

სალომე ქავანაძე

**ცისივეჩი ყანნეზირან
– მაჩარისოდამე**

**თბილისი
2005**

სალომე კაპანაძის წიგნი „ციხეური ყანწებიდან – უკვდავებამდე“ ტიციან ტაბიძის შემოქმედების ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს – პროზას, პუბლიცისტიკასა და ნარკვევებს ეძღვნება. აქ შესულია ბევრი საინტერესო, აქამდე უცნობი მასალა, რომელიც სრულყოფს მისი, როგორც მრავალმხრივი შემოქმედის პორტრეტს.

წიგნი გამოადგებათ ლიცეუმის მოსწავლეებს, სტუდენტებს, და საერთოდ, ქართული ლიტერატურის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი **რევაზ მიშველაძე**
ფილოლოგიის მაცნეირებათა
დოქტორი. პროფესორი.

რეცენზენტები **დავით თემზაძე**
ფილოლოგიის მაცნეირებათა
დოქტორი. პროფესორი.

ბელა ჟიფურია
ფილოლოგიის მაცნეირებათა
კანდიდატი. დოცენტი.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა საცნაური ხდება სრულიად ახალი ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ევოლუციის კონტურები, როცა მწერლობას კიდევ ერთხელ დაეკისრა „ერის სულიერი სახის“ (გრ.რობაქიძე) წარმოჩენის მისია „ქართული კულტურის მსოფლიო რადიუსით გამართვის“ მოთავეთა შორის ყველაზე კოლორიტულ სეგმენტს „ცისფერყანწელები“ წარმოადგენდნენ. მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრირების ყველაზე გამოკვეთილი ინიციატივა სწორედ მათგან მოდიოდა, თუმცა ამ თვალსაზრისით გამორჩეულად დიდია ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა წვლილი.

პოეტური კულტურის განახლებისა და რეფორმების სურვილით მოსული ახალი თაობა პრინციპულად სვამდა აქამდე არსებული ესთეტიკური პრინციპების რევიზიის საკითხს. „ქართული პრობლემის“ ახსნისათვის ესთეტიკურ-ფსიქოლოგიური ფონის შექმნა და ამ პროცესში დასაველური კულტურული ღირებულებების მიმოქცევაში შემოტანა იყო ის შინაგანი მიუხეტი, რომელიც გამოხატავდა შიშობას ახალი ეპოქის დასაწყისათვის. ამ პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო ტიცვიან ტაბიძე. „როდესაც გამახსენდება ტიცვიან ტაბიძე, მაგონდება გოეთეს უკედავი ლეგენდა ეფფორიონზე“, - წერდა თავის მოგონებებში სანდრო შანშიაშვილი. ასეთი იყო თანამედროვეს მიერა- მიჰერობილი მისი ლიტერატურული პროფილისაკენ. მხერა მიჰერობილი პოეტისაკენ, რომელსაც უსახლეროდ უყვარდა სიცოცხლე. სამყაროს აღქმის ურთულეს პროცესში, მართალია, იგი ზოგჯერ დაეჭვებითაც გამოხატავდა თავის პოეტურ „მეს“, სიმბოლიზმის, დადაიზმის, მოდურ „იზმებს“ აყლილი ხშირად დაეძებდა გამოსაველს პოეზიის განახლებისათვის, მაგრამ მანც „ეაეა-ფეაეელას ფილტვებით“ სუნთქავდა და მუდამ თან დაა-ტარებდა ქართველი ერის, ქართული კულტურის გამორჩეული

ბის იდეას.

„ყოფნა-არყოფნის“ დილემას პოეტი იმ პერიოდში ზოგჯერ „არყოფნის“ სასარგებლოდაც წყვეტდა. ინერტული ბრბო ხშირად უფორიაქებდა გონებას და იღუმალნი განცდით აფეტიშებდა დეკადანსის პოსტულატებს. იმდროინდელი კრიტიკა ლიტერატურული მოვლენებისადმი მექანიკური მიდგომით ხსნიდა პოეტის მიერ ამქვეყნიური ყოფნის ალეგორიული წარმოსახვის სურვილს.

ტიციან ტაბიძე უაღრესად მრავალფეროვანი ლიტერატურული პროფილით – არა მარტო პოეტური მონაგარით, არამედ პროზაული და პუბლიცისტური ნააზრევითაც არის ჩვენთვის საინტერესო. მის აზროვნებაში შერწყმულია კრიტიკოსისა და ლირიკოსის მხატვრული ალლო, საოცარი ზომიერებით არის დაცული ეროვნულისა და პირადულის ერთობის ტრადიცია. მიუხედავად მისი განსაკუთრებული ინტერესისა ევროპული კულტურის მიმართ, ყოველივე მწერლის სუბიექტურ პრიზმაში დანახული, საერთო ეროვნული თვითშემეცნების ნაწილია. მწერლის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მანიშნებელია ისიც, რომ იგი ყოველთვის თანაბარი ინტერესით ერთვებოდა 20-30-იანი წლების თეატრალურ, სახვით, და, რა თქმა უნდა, ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა-ასახვაში. სათქმელს იგი არაორდინალური ფორმით გამოხატავდა მაშინაც, როცა ნარკვევის სახით ცდილობდა მის წარმოდგენას. ზიუხედავად კონიუნქტურული პასაჟებისა და დოკუმენტური ჟანრისათვის დამახასიათებელი თხრობისა, იგი არასოდეს იმყოფებოდა მხოლოდ ფაქტების ტყვეობაში. ტიციან ტაბიძე აქაც შემოქმედებით სამუშაოს ეწეოდა და ნარკვევს აქცევდა ისეთივე დატვირთვის ლიტერატურულ ჟანრად, როგორც მოთხრობა, ნოველა და რომანი. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ქართუ-

ლი პოეზიის, არამედ ეროვნული პროზის, ესეისტისა და პუბლიცისტის განვითარების საქმეში.

პროლეტარული კრიტიკის მესვეურები და „ლიტერნი ამა სოფლისანი“ პარტიის მაღალი ტრიბუნებიდან გამაფრთხილებლად უქნევდნენ თითს ყველას, ვინც „ახალი ეპოქის“ სადიდებლად სიტყვებს დაიშურებდა ან სევდანარევი კილოს გამოურევდა სტრიქონებს შორის. საუბედუროდ, ეს მუქარა ლიტონ სიტყვებად როდი რჩებოდა. ოფიციალური ხელისუფლება ლიტერატურის მოსათვინიერებლად მიმართავდა ყველა საშუალებას – ძალადობას, მუქარას, გაფრთხილებას, სოგჯერ დაყვავებასა და წახალისებაც კი. ყველაზე მობილიზებული იერიშები ლიტერატურაზე წარმოებდა. 1936 წელს „ლიტერატურული საქართველო“ წერდა: „ჩვენი გაზეთი მკაცრად შეებრძოლება მწერლობაში შემოქმედებითი ობიექტისადმი უსულგულო, ნეიტრალურ მიდგომას. ნატურალისტური მხატვრობის, „მხოხავი“ ემპირიზმის ყოველგვარ შემთხვევებს. გაზეთი დაუნდობლად ამხელს და შეებრძოლება ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ტრადიციებს, დაცემულობისა და უიმედო განწყობილების რეციდივებს. ნაციონალისტურ განწყობილებათა ნაშთებს და საერთოდ პროლეტარიატისათვის უცხო და მტრულ იდეურ გავლენათა ყოველგვარ გამოვლინებებს“. ამ პათოსით გაუღწნოთილ კრიტიკის ქარცეცხლში ერთობ ხშირად ფიგურირებდა ტიციან ტაბიძის სახელი, უკიჟინებდნენ, რომ მის ლექსებში სუსტად იგრძნობოდა „ეპოქის მაჯისცემა“, „ჩვენი ცხოვრების დუღილი“. 1934 წელს გამოცემული ტიციან ტაბიძის ლექსთა კრებული განქიქების საგნად იქცა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში შეტანილი იყო პოეტის სოგიერთი სიმბოლისტური ლექსი. ტიციან ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის ათვლა, კომუნისტური კრიტიკის აზრით, უნდა დაწყებულიყო იმ დღიდან, როდესაც მან განაცხადა: „დაფასთან ვდგავარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარციო კი არა, სისხლით

რომ ვწერდი“. ა.კ. თათარაშვილმა საგანგებოდ მიუთითა პოეტს: „აქ შეტანილია ძველი ლექსები, გამსჭვალული დაცემულობის, ნაციონალისტურ განწყობილებათა და რელიგიურ მისტიციზმის გესლით“.

1937 წლის 30 სექტემბერს „ლიტერატურულ საქაროველოში“ იბეჭდება გ. ნატროშვილის უაპელაციო წერილი „პოლიტიკური გახრწნის ჭაობში“. პარადოქსია, მაგრამ პოლიტიკურად გახრწნილთა რიგებში აღმონდა პოეტი ტიციან ტაბიძე. იგი არც ცეკას მდივანი იყო და არც რაიკომისა, სულ ცოტა, არც რაიკომის ინსტრუქტორი, იგი პოეზიისთვის დაბადებული, ორპირის ფუნსე გაზრდილი ბიჭი გახლდათ, რომელსაც, „სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მიწა აწვალებდა“. როგორც ჩანს, საქართველოს მზესა და მიწასე საგანგებო ყურადღების გამახვილება კრიტიკოსს საფუძვლიან არგუმენტად მიუჩნევია – იგი ნაციონალიზმის მოტივით ფიგურირებს. ამას თან ერთვის ტიციან ტაბიძის მიერ „ქება-დიდების საგნად ყოველივე ანტისაზოგადოებრივი, ამორალური, პატრიარქალური, ანტიხალხური და ანტიადამიანური ტენდენციების გამოცხადება“.

საქართველოს კომპარტიის XI ყრილობაზე ტიციან ტაბიძე მ. ჯავახიშვილთან, პ. იაშვილთან და ნ. მიწიშვილთან ერთად „საზოხლარი ჯაშუშებისა და გამიცემლების რიგებში“ დაასახელებს. ისინი თურმე „საბჭოთა მწერლის ნიღაბს იყენენ ამოფარებულნი, ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას, ჯაშუშობას, ფულზე ჰყიდნენ თავის სამშობლოს“. ცხადია, დასახელებულ მწერლებს და მათ შორის, ტ. ტაბიძესაც არავინ აპატიებდა ამ „ქმედებებს“. 1937 წლის 8 ოქტომბერს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელსაც კანდიდ ჩარკვიანი თავმჯდომარეობდა, სპეციალურად განიხილეს ტ. ტაბიძის საკითხი. რადგან პოეტმა არ ისურვა „ეთქვა სიმართლე და ბოდორიდეითვალთმაქცა“, იგი მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს.

ტიციან ტაბიძე გრძნობდა მოახლოვებული ბოროტების საფრთხეს. პაოლო იაშვილის თეიმბეკელელობის შემდეგ, ლ. ბერიას დაჯინებული მოთხოვნა, ხელი მოეწერა მისი თანა-მოკალმისა და სულიერი ძმის „ჯაშუშობის“ დოკუმენტზე და ტიციან ტაბიძის სასტიკი უარი, პოეტსე წარმოებული ძალადობის ბოლო აკორდი იყო. სახლში მობრუნებული ტიციანი უკვე გრძნობდა მოახლოვებული სიკედილის სუნთქვას და მორალურად ტერორიზებული სახლიდანაც ვეღარ გამოდიოდა. თუმცა გრიბოედოვის ქუჩაზე, საკუთარ ოჯახს შეფარებული ტიციან ტაბიძე იმ მძიმე წუთებშიც უთქმელობას თქმას ამჯობინებდა და მასთან მისულს. ჩიქოვანს თურმე რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსიც კი წაუკითხა. დაპატიმრებამდე ერთი დღით ადრე პოეტს თაყისი ქალიშვილ-სათვის უთქვამს: „იქნება, შვილო, აღარც დედა გყავდეს, აღარც მამა, შეიძლება ცხოვრებაში ძალიან გაგიჭირდეს, მაგრამ ხალხის არასოდეს შეგრცხვებაო“. პოეტი იმავე დამეს წაიყვანეს ისე, რომ ოჯახს მისი ნახვის უფლებაც კი არ მისცეს. ტიციან ტაბიძეს „დაუტკიცდა“ ერთ-ერთი აქტიური წევრობა ნაციონალისტურ-ფაშისტური ორგანიზაციისა საქართველოში და საფრანგეთის ჯაშუშობაც კი. წინასწარმეტყველურად ახდა პოეტის სტრიქონები: „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ალბათ ჩვენც სადმე ჩაგვაძალღებენ“.

ტიციან ტაბიძის კოლომბინა – ნინო მაყაშვილი, ნიტა ტაბიძის მოგონებით, არც იმან გატეხა, რომ მამის ნახვის უფლება არ ჰქონდათ, არც იცოდნენ, სად იყო ტიციანი და ეკონომიურად ძალიან უჭირდათ. ნინო მაყაშვილს საშუალებას არ აძლევდნენ, რომ სადმე ემუშავა, მაგრამ მისი იმედის ნაპერწკალს ასაზრდოებდნენ ტიციანის ახლო მეგობრები – იქნებ ცოცხალია, იქნებ მობრუნდეს, რადგან ზოგნი და ზოგნი რაღაც სასწაულით მაინც ბრუნდებოდნენ იმ ჯოჯოხეთიდან. ბორის პასტერნაკი, რომელმაც ბოლომდე სრუნავედა ტიციან ტაბიძის ოჯახსე, იმხანად ნი-

ნოს წერდა: „მარწმუნებენ, თითქოს უნახავთ დაბრუნებული ჩარენცი, რომელიც ყველას დახერხეტილი ეგონა, რატომ არ შეიძლება ასეთივე ბედი ეწიოს ტიცციანს?“ იმასვე იმეორებს მწერალი ნინოსადმი 1940 წელს გაგზავნილ წერილში: „ტიციანი ცოცხალია, სადღაც ახლოს არის და ალბათ მალე დაგვიბრუნდება“. მოლოდინი არ გამართლდა. ტიცციან ტაბიძის ფიზიკური არსებობის შესახებ ყველა ცნობა ყალბი გამოდგა. მავანნი იმასაც ირწმუნებოდნენ, თითქოს ტაიგის მიუსაფარ სივრცეში პოეტი დიუნტერიის შიშით მატარებლიდან გადაეგდოთ.

მეტად საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1995 წლის 20 ოქტომბერს, სადაც ყოფილი პოლიტპატიმარი ვალერიან ჯორჯიკია ამტკიცებს, რომ 1938 წელს გადასახლებაში იგი შეხვედრია ტ. ტაბიძესა და მ. ჯავახიშვილს. მისი თქმით, ტიცციან ტაბიძე იქვე გარდაიცვალა.

ეს ცნობა ეწინააღმდეგება დღემდე გაერცელებულ ვერსიებს ტიცციან ტაბიძის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ. მაგრამ რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, ლიტერატურის მეისტორიე უყურადღებოდ მას მაინც ვერ დატოვებს.

პოეტის ქალიშვილი – ნიტა ტაბიძე ირწმუნება, რომ ტიცციანი თბილისს არ გასცილებია და იგი აქვე დაიხვრიტა.

ამავე აზრის გახლავთ სოსო სიგუაც. მის მიერ 1991 წლის 13 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ტიცციან ტაბიძის დაპატიმრებისა და დაკითხვის ოქმები. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით წერილის ავტორი ასკენის, რომ ტიცციან ტაბიძის დახერხეტის განახენი 1937 წლის 15 დეკემბერს იქნა სისრულეში მოყვანილი.

ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად, ცინიკური სისასტიკით მიიყვანეს ამ დღემდე პოეტი, მოაზროვნე, შესანიშნავი პიროვნება. ძალადობით იქნა ჩამქრალი სიცოცხლისა და სიყვარულისათვის დაბადებული პოეტის ნათელი სახე. მის წინაშე დანაშაულის

გრძნობა დღესაც უამრავ კითხვასე მოითხოვს პასუხს. ერთ-ერთი მათგანი პროფ. რეკაზ მიშველაძის მიერ დასმული და მის მიერვე პასუხბაცემული კითხვაა „რა დანაშაული მიუძღოდა? იქნებ მხოლოდ ის, რომ ჭეშმარიტი პოეტის სიყვარულით უყვარდა ეს ქვეყანა; მხოლოდ ის, რომ მის დიდრონ, ცისფერ თვალებში ნიადაგ ერთა ძმობისა და მოყვასის თანადგომის სურვილი ენთო; მხოლოდ ის, რომ უდანაშაულო კაცის ალალი სისხლის წვეთივით გულთან წითელი მიხაკი უელავდა და ამაყი იყო – თავისი საქართველოთი, თავისი რუსთაველით, თავისი შთამაგონებელი პოეზიით“.

იმავე წერილში ავტორი დასძენს: „მადლობა ყველას, ვინც პოეტის მტრობა არ დაიჯერა და ტიცციანის ლექსთა წიგნაკი ბალიშქვეშ საიმედოდ შეწურთა“. ჭეშმარიტად, მადლობის მეტი რა გვეთქმის იმათ მიმართ, ვინც იმ ტოტალური წმენდის ეპოქაში ტიცციან ტაბიძის ამღერებული სტრიქონები შეგვინარჩუნა და კიდევ ერთხელ მოგვცა შესაძლებლობა მოვბრუნებოდით ტიცციან ტაბიძეს – პოეტს, ერის ჭირისუფალსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული სიტყვის მებაირახტესა და ნატიფი ლიტერატურული გემოვნების შემოქმედს.

არ ვიქნებით ობიექტურნი, თუ არ აღვნიშნავთ, რომ ტ. ტაბიძის შემოქმედების მიმართ გამოთქმულ არაერთ უმართებულო, ტენდენციურ შეფასებათა გვერდით ქართულ საბჭოთა კრიტიკაშიც მოიპოვება სათანადო პასუხისმგებლობით დაწერილი სტრიქონები. გასაგები მიზეზების გამო პოეტის შემოქმედების მიმართ განწყობილებები ეცვლებოდათ სოგჯერ ერთი და იმავე ავტორებსაც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კრიტიკოს შალვა რადიანის სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსასრებებს. ოცდაათიან წლებში მისი დამოკიდებულება ტიცციან ტაბიძის პოეზიის მიმართ ასეთი გახლდათ: „ამგვარად, ტიცციან ტაბიძე გვევლინება საქართველოს წარსულის რესტავრაციის მომხდენ პოეტად,

ის თავის თავს ყველაზე უფრო ეროვნულ პოეტად აცხადებს, მაგრამ უნდა მოვახსენიოთ მას, რომ მეტად საეჭვოა ეს მისი განცხადება, მეტად ვიწრო და შემოფარგლულია მისი ეროვნული ხედვა, მისი შემოქმედება დაყვანილია ინდივიდუალურ-პესნიმისტურ და მისტიკურ-ნაციონალისტურ თვალსაზრისამდე. როგორც მოსალოდნელი იყო, დროისა და სოციუმის მოთხოვნით კრიტიკოსს ახრი შეეცვალა პოეტზე მისი რეაბილიტაციის შემდგომ. მაგრამ ყველამ შესანიშნავად ვიცით, რომ შემოთხოვენილ მოსაზრებათა მსგავსმა შეფასებებმა ლომის წილი ითამაშა ტიცინ ტაბიძის ფიზიკური განადგურების პროცესში. თუმცა უკვე სამოციან წლებში შალვა რადიანმა ერთ-ერთმა პირველმა „ობიექტური“ შეფასება მისცა ტიცინ ტაბიძის არა მარტო პოეტურ მოღვაწეობას, არამედ მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსაც. „ტიციან ტაბიძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ნარკვევები ნათელყოფენ მათი ავტორის მაღალ გემოვნებას, განსწავლულობას, დაკვირვებულ თვალს, ერუდიციასა და კვლევა-ძიების უნარს, ტიცინ ტაბიძემ პირველმა გამოთქვა მრავალი საგულისხმო დებულება თუ მოსაზრება, რაც შემდეგ გაიზიარა ლიტერატურის ისტორიამ. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოქვეყნებულ ორ წერილზე“.

მსგავსი მეტამორფოზები შეიმჩნევა საბჭოთა კრიტიკის ავტორიტეტის ბ. ჟღენტის შეფასებებშიც. თუ ოცდაათიან წლებში კრიტიკოსი საკმაოდ მკაცრი სახსოვით უდგებოდა ტ. ტაბიძის შემოქმედებას, რეაბილიტაციის შემდგომ მან ტონი შეარბილა და სამართლიანად მიუთითა მის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან ნიჭზე და იმაზეც, რომ ლირიკული პოეზიის ჭეშმარიტად უჭკნობი შედეგების გვერდით, ტიცინ ტაბიძემ დაგვიტოვა პოემები, მხატვრული პროზის ნიმუშები, მთელი სერია ნარკვევებისა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, რომლებიც

იმდროინდელი სასოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებისადამია მიძღვნილი.

ტიციან ტაბიძის პუბლიცისტურ ნიჭზე მიუთითებდა პროფესორი ს. ცაიშიელი. მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ პოეტის წერალების წიგნში უნდა შესულიყო მისი პირველი პერიოდის ლიტერატურული წერილები და დეკლარაციები.

ტიციან ტაბიძის შემოქმედების კვლევის საქმეში უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის მირიან აბულაძის მონოგრაფიას „ტიციან ტაბიძე“. ზ. აბზიანიძის, ნ. დუმბაძის, ც. ხუაერელის, თ. მაღლაფერიძის, ს. სიგუას ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის ბოლოდროინდელი გამოკვლევა, სადაც ახლებური თვალსაზრისითაა განსჯილი და შეფასებული ტიციან ტაბიძის, როგორც შემოქმედის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი, განსახედვრულია პოეტის დეაწლი ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ტიციან ტაბიძის სახელი ძირითადად ლირიკას უკავშირდება. იგი ცნობილია, როგორც პოეტური სიტყვის ოსტატი. სულის სიღრმიდან დაძრული მისი პოეზია ხიბლავს და ატყვევებს მკითხველს პოეტური უშუალოებით, რითაც იგი გამოირჩეოდა თავისი ცისფერყანწვლი ძმებისაგან. 1944 წელს ქართული ემიგრანტული კრიტიკის ნიჭიერი წარმომადგენელი ილია შენგელია წერდა: „გულუბრყვილობა უმთავრესი მადლია პოეტისათვის. ვისაც ეს სიკეთე მიჰმადლებია – ბრწყინავს უსამკაულოდაც. ტიციანის ლექსები არ გამოირჩევიან გარეგნულად. ვერც გალაკტიონის მუსიკალობას, ვერც რობაკიძის დიდებულებას ვერ გაუწევენ ისინი მეტოქეობას. სოფჯერ გიკვირთ კიდევ: „შეხედავ ლექსს, არ ვარგა, დაუდევრადაა დაწერილი. წაიკითხავ, არ გავიწყდება, სულში ჩაგიძვრე-

ბა და სადღაც იდუმალ სიმს ისე ძალუმად შეგიტოკებს, რომ გაოგნებული რჩები. პოეტურ უშუალობაშია ის საიდუმლო, რომელიც ტიცციანს ხდის ასე საყვარელ პოეტად“.

ტიციან ტაბიძის ლირიკის ხიბლი მართლაც მომნუსხველი და შთამაგონებელია, მაგრამ არა მარტო მისი უშუალობის გამო. მასში ადამიანურ ვნებათა სულიერი მიმოქცევის დინამიკა იმგვარადაა ესთეტიკის პრიზმაში გარდატეხილი, რომ იმთაყითვე სარწმუნო ხდება ხელოვნების უკედავების იდეა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას არასოდეს აღჰყრია ეჭვი მარადიული ფასეულობების მიმართ. სამშობლო მასთან ყოველთვის პირველადი სიწმინდის კონტექსტში მოიაზრებოდა.

ტიციან ტაბიძის, როგორც შემოქმედის სრული იდენტიფიკაციისათვის, ნამდვილი რაგვარობის განსაზღვრისათვის საკმარისი არ არის მისი ლირიკული შედეგების შეფასება, აუცილებელია მისი პროზაული მემკვიდრეობის ღირებულების გათვალისწინებაც, რადგან მისი, როგორც შემოქმედის მსოფლგანცდა ნაწილობრივ სწორედ აქ არის რეალიზირებული.

ტიციან ტაბიძის სახელი ქართული პრესის ფურცლებზე ათიანი წლების დამდეგს გამოინდა. ჯერ კიდევ 16-17 წლის ჭაბუკი საზოგადოების წინაშე წარსდგა არა მხოლოდ პოეტური ნიმუშებით, არამედ პროზაული მინიატურებითა და წერილებით.

თვითშემეცნებითა და საკუთარი ხმის პოენის სურვილით დაწერილ ამ ქმნილებებში იგრძნობა გამძაფრებული ინტერესი სიტყვისა და სამყაროს თანაფარდობისადმი, მისი შემოქმედებითი ექსტაზის საფუძველს აგრეთვე ქმნის ქვეყნის ისტორიული ყოფაც, პოლიტიკური დეკორაცია. ეს იყო ის, რაც ყოველთვის აწვალებდა მას, „მისტიკურ-სიმბოლისტური აგონიით შეპყრობილსაც“ და „ახალ ცხოვრებასთან“ ნაზიარებსაც.

მიუხედავად ცალკეული ნოეულებისა, ტიცციან ტაბიძის პროზის ძირითად ნაწილს მინიატურები წარმოადგენს. ეს ჟან-

რი ქართულ ლიტმცოდნეობაში საგანგებო კვლევა-ძიების საგანი თითქმის არასოდეს ყოფილა. მინიატურებით გატაცება განსაკუთრებით საგრძნობი სწორედ სიმბოლისტიკებში იყო და მცირეოდენი გამოკვლევაც მასზე ამ ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელს – სანდრო ცირეკიძეს ეკუთვნის. სხვათაშორის, იგი ამ ჟანრის საუკეთესო ოსტატიც გახლდათ.

მინიატურის ძირითად დამახასიათებელ თვისებას ავტორის განწყობილების გადმოცემა წარმოადგენს, რაც ზოგჯერ ფილოსოფიურ განსჯაში გადადის ხოლმე. როსტომ ჩხეიძის ასრით, საფუძველი ქართული მინიატურის სტრუქტურასა და სტილისტიკას ჩაუყარა ვაჟა-ფშაველას მოდერნისტიკა და სტილურმა ძიებებმა. იგი წერს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს განახლებაც და სხვა მხატვრულ თავისებურებათა გამოჩენაც კვალდაკვალ ვაუასეულ ძიებათა უერცეს წიაღში ტრიალებს, ქართული მინიატურის მიქლავრი შინაგანი მუხტი ვაუას წყალობაა“.

მინიატურებით გატაცება განსაკუთრებით საგრძნობი იყო მეოცე საუკუნის 10-იან წლებში, რაც განპირობებული იყო სასოგადოების იმ განწყობილებით, რომელიც შეიქმნა ჩვენთვის ცნობილი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით საუკუნის დასაწყისში. ვრცელ ეპიკურ ნაწარმოებთა ნაცვლად ქართული პროზა მოიცვა მინიატურის ნაკადმა, რადგან ხანგრძლივი თხრობისათვის მწერლობას თითქოს აღარ ეცალა. გაჩნდა ტენდენცია სათქმელის მოკლედ, მაგრამ ღრმად და დამტევედ გადმოცემისა. გრძელი სიტყვის მოკლედ თქმასაც არანაკლები ოსტატობა და შემოქმედის ინტუიცია ესაჭიროებოდა. ამგვარად, ტიცვიან ტაბიძის მიერ სათქმელის მინიატურის ფორმით გამომჟღავნება, გარკვეულწილად, მის ლიტერატურულ ნიჭსა და ოსტატობაზეც მიუთითებდა. მწერლის კარგ ლიტერატურულ გემოვნებას ცხადყოფს მინიატურებში ფსიქოლოგიზმის, სიუჟეტური ქარგისა

და დიალოგის გაჩენაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინიატურით ტიცვიან ტაბიძის გატაცება მისი შემოქმედების ადრეულ პერიოდს ემთხვევა, ამ უანრის გაჩენა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების გამოძახილიც იყო. ეს ის დროა, როდესაც რუსეთის იმპერიაში ბნელი, უსასტიკესი რეჟიმი იყო გამეფებული, საქართველოში იღვენებოდა ქართული სიტყვა და ლიტერატურაში ჩამოკიდებული „საყდრული მყუდროება“. საჭირო იყო ამ რუტინული ატმოსფეროს შეთანხარება და გამოსავლის ძიება, რათა მშობლიური მხატვრული აზრი გაძარცვა-გაღარიბებისაგან გადაერჩინათ.

ტიციან ტაბიძის მინატურები გამოძახილია ქართველი კაცის რაული სულიერი მდგომარეობისა. ერთი შეხედვით, აპათური განწყობილებანი, უნიადაგო პროტესტი და მისტიციზმი, რომელშიც სინათლის სხივი ღამის არ გამოსჭყევის, სწორედ აქედანაა ამოზრდილი; მაგრამ, ნყენი აზრით, ეს განწყობილებანი კანონზომიერი ეპოქალური გამოძახილი იყო, რომელსაც საბოლოო ჯამში მანც ეროვნულის საერთო საკაცობრიო მხატვრული განზოგადების სიმალლეზე აყვანის სურვილი მართავდა.

ქართულმა სიმბოლიზმმა, როგორც ესთეტიკურმა მოძღვრებამ ვერ გაითავისა ვეროპელი სიმბოლისტების პატრიოტიზმთან დაკავშირებული ფორმულირებები. ცნობილია, რომ პატრიოტიზმი მათ ჭეშმარიტი პოეზიის ღირსების დამამცირებელ გრძობად გამოაცხადეს. მიუხედავად იდენტური ესთეტიკური პოზიციებისა, ქართველი სიმბოლისტების მოწყვეტა ეროვნული პრობლემებისაგან შეუძლებელი შეიქმნა. ამ კანონსომიერმა წინააღმდეგობამ, რომელიც ფაქტიურად მართავდა მათ პოეტურ სულებს, ისინა ქართველი სიმბოლისტები უკიდურესი ცალმხრივობისაგან.

მიუხედავად დეკადენტურ-სიმბოლისტური შეფერილობისა, ტ. ტაბიძის პროზაულ მინიატურებში უკიდურესი გუჯლისყურით არის აღქმული სამშობლოს ბედის პრობლემა. ეროვნული თავისუფლებისა და თავისთავადობის იდეა არის ის სადინარი, საიდა ანც მოედინება მათში გაცხადებული უზარმაზარი სევდა. „მე მართალია ხშირად ვცდებოდი, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ ღაზღანდარა დადაისტი,ყოველთვის მაწვალებდა ჩემი ქვეყანის ბედი“, – აღნიშნავდა ტ. ტაბიძე. ეს პროტესტი გამოთქმული იყო მისი სიმბოლისტური პერიოდის ნაწარმოებთა ცალმხრივი, არაზუსტი და ხშირად არაობიექტური კრიტიკის გამო, რადგან მისი ტრაგიკული პერსონაჟების უსასღვრო კაეშანი, უიმედობა, სიცოცხლის ამოების მტანჯველი გრძობა მოძრაობაში მოჰყავდა იმ შინაგან მუხტს, რომელსაც საქართველოს ტკივილი ერქვა. სასოგადოებრივი ცნობიერების უკიდურესად ქაოტურ ატმოსფეროში ტიცინ ტაბიძე, როგორც ქართველი შემოქმედი მძაფრად აღიქვამდა მშობლიური ქვეყნის უმწეობას, რაც რელიეფურად სწორედ მის მინიატურებში იხენდა თავს.

მინიატურა „თეთრი ღამე“ 1912 წელსაა დაწერილი. ენ-

გურის ნაპირას ფეხმორთხმული პოეტი ყურს უბდებს „გიჟ ტალღათა ცოფიან ყეფას“. სამშობლოს თეთრი ღამე „თეთრი ვით გედი, მდუმარე ტბიდან აფრენილი, ნათელი, ვით ქალწულის ზმანება, ვით ანგელოზის სიცილი“ მასში აღძრავს ლოცვის სურვილს. რაზე ლოცულობს პოეტი და რატომ ემხოზა პირქვე უბედურების აგონიაში ჩაყარდნილი? თითქოს საოცრად ღამაზია სამშობლოს ცა, ბუნებაც დღესასწაულობს, მაგრამ ეს მირაჟია, რომლის მიღმა ღრმა განცდები იმარხება. პოეტს ბანგისაგან უნდა გამოიყვანოს ავისმომასწავებელ სიმშვიდეში მყოფი საქართველოს ზეცა, ტკბილად გაჭიანურებულ სიკვდილის პროცესს ლოცვა შეაშველოს და იქნებ მაშინ: „სამშობლოს მიწა ერთხელ მაინც დაფიქრდება – რისთვის არის უბედური მისი ღვიძლი, როცა თვით იგი დღესასწაულობს“.

ამავე აზრს ავითარებს პოეტი მინიატურაში „კოლხიდის ცის ქვეშ“. მას თარიღად 1912 წელი უზის. ამ დროისათვის რუსეთის იმპერია სასკოლო პროგრამაში მხოლოდ ერთ გაკვეთილს იმეტებს ქართულისათვის, „იხრწნება ქართული ქალაქი, ქართული ხასიათი, წვრილი მემამულეებისა და მუქთახორების ფონზე“. „ქუთაისი მაშინ წარმოგვიდგება როდენბახის მკედარ ბრიუგედ“ – იგონებს ტიციან ტაბიძე. ასეთი ბნელი ატმოსფერო მას ძალაუნებურად აღუძრავდა იმ უმწეობის განცდას, რომელიც გამოხატულებას პოულობდა მინიატურებში.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში არაერთხელ ცნაურდება ძველი კოლხეთის თემა, როგორც მიუწევდომელი სიდიდისა და ეროვნული გამძლეობის გამოხატულება. მოგვიანებით თავის ავტობიოგრაფიაში იგი აღნიშნავდა: „მოწიფულ ასაკში ორპირი და რიონის დელტა მაგონებდა მითს ოქროს მაძიებლებზე – არგონაუტებზე, რომლებიც ამ მიდამოებში გადმოსახლდნენ, დააძინეს დრაკონი და კოლხეთის მეფე აიეტს ოქროს საწმისი და მზეთუნახავი ქალი მედეა მოსტაცეს“. ამ შთაგონებით არის

დაწერილი მისი მინიატურა „კოლხიდის ცის ქვეშ“. მას წითელ ზოლად გასდევს დამარხული დიდების მძაფრი განცდა, ძველი ბრწყინვალეების ნოსტალგია.

„კოლხიდის ცის ქვეშ დამარხულ ბედნიერებას დასტირის წყალზე გადამდგარი მდუმარე ტირიფი“ – სევდიანად მოუთხრობს ავტორი თავის სატრფოს. „კოლხიდის ცის ქვეშ გამქრალ თავისუფლებას დასტირის თმაგაწეწილი კოლხიდის ასული“ – აგრძელებს იგი მონოლოგს და მთელი მინიატურა ემსგავსება უსაზღვრო სევდით მოქსოვილ პომეს, რომლის პროლოგიც და ეპილოგიც თვითგვემის უსასტიკესი განაჩენის გამომტანია: „მის ქვეშ უნდა დაიმარხოს ჩემი ცოდვილი სული“. ასეთი დასასრული, მსხვერპლშეწირვა, პასიური, მაგრამ მაინც პროტესტი გახლავთ სამშობლოს უმწუო მდგომარეობის გამო. უდავოა, რომ იმ შაებნელი რეაქციის წლებში ტიცვიანის სულში დუღდა და პასუხს თხოულობდა კითხვა, სად გაქრა კოლხიდის თავისუფლება? „წარსულის ზვიადი ვნებით“ გულდამძიმებული პოეტი გამოუსაველობის გრძნობას აპათიაში ჩაუგდია, მომავალზე ფიქრის სურვილიც აღარ შერჩენია.

უიმედობა და მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება კარგად ჩანს მინიატურაში „პირველი სევდა“. სამშობლოს ზეცა უპასუხოდ ტოვებს ბედნიერების მაძიებელი ჭაბუკის კითხვას – ‘სად არის ლხენა?’ ეს ტრაგიკული კითხვა წარმოშვა სწორედ იმ ასწივდმეტწლოვანმა კოლონიურმა ყოყამ, ეროვნულმა ჩაგვრამ, რომელმაც საქართველოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების რწმენა გაუნადგურა. პირველად სწორედ ამან ჩაუყენა ჭაბუკს თვალებში უშველებელი სევდა, უპასუხოდ დატოვებულმა კითხვამ კი საბედისწეროდ გადაუკეტა მომავლისაკენ მიმავალი გზა: „წარსული სევდამ მოქარგა და უხილავი ჯაჭვით გადაება მას მომავალი... პირველად ვკითხე მაშინ სამშობლოს ცას, სად წავიდა ჩემი ბავშვობის ლხენა და პირველად დატოვა ცამ

„უკასუხოდ ჩემი კითხვა...“

მინიატურაში „ფერია ბედნიერებისა“, რომელიც 1910 წელსაა დაწერილი, დედასა და პირმშოს შორის გამართულ დიალოგში ავტორი მისტირის დაკარგული ბედნიერების შორეულ აჩრდილს. ადამიანებს ხელიდან გამოეცალათ ფერია ბედნიერებისა, რომელმაც ამქვეყნიური სიავით ფრთებდასისხლიანებულმა საბოლოოდ შეაქცია სურგი გაბოროტებულ ადამის მოღმას. „იმისთვის არის, რომ ადამიანებს სახე ჩამოსტირით ხოლმე, ვერ ნახავ პირმცინარე ადამიანებს, გლოვობენ დაკარგულ ბედნიერებას“ – ეუბნება დედა შვილს და ნუგეშის სატარებლად ყრმას ა.მედებს, რომ მის დასაბრუნებლად ახლაც ლოცულობენ ცათამდე აყუდებული შორეული მთები, რომელთაც გული ელევით ბედნიერების მოლოდინში. ვინ არიან ის „მთები“, რომლებიც ბედნიერების დასაბრუნებლად იღწვიან? შესაძლებელია, აქ ის მოღვაწენი იგულისხმებოდნენ, რომლებიც რეაქციის ბნელ, პირქუშ ატმოსფეროში თანამოძმეთა ყოფის გასაკეთილშობილებლად იბრძოდნენ. „ნეტა როდემდის გაგრძელდება ეს მოლოდინი, უთუოდ ჩვენ ვერ მოვესწრებით, არა, დედილო?“ – ეკითხება დედას უიმედობით შეპყრობილი პატარა, რომელიც მალე ჩათვლემს კიდევ, მაგრამ დედას დიდხანს არ ასვენებს საბედისწერო კითხვა – დაბრუნდება თუ არა „დაკარგული ბედნიერება“, ანუ აღდგება თუ არა დიდებული წარსული?

სხვათაშორის, წარსულის რომანტიკული თემა ტიცციან ტაბიქესთან ხშირად სამშობლოს სახელთან არის დაკავშირებული. ამით იგი ქართველ რომანტიკოსებს ენათესავება. მათ ერთმანეთთან აკავშირებს სწორედ აწმყოთი უკმაყოფილება და წარსულის ნოსტალგია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სიმბოლისტების წარსული არ არის რომანტიკოსთა წარსულის იდენტური. მათი წარსული უფრო აბსტრაქტულია, უფრო მრავალმნიშვნელოვანი და რეაქციული. ტიცციან ტაბიქის მინია-

ტურები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან. მათ ექსპრესიულობას აძლიერებს ტრაგიკული დატყვების ნოტებიც. ეს კაეშანი 1905-1907 წლების რევოლუციის რეაქციის ატმოსფეროს ემოციური განცდის შედეგაცაა. მინიატურებში გაცხადებული უამედობა და მორალური უმწეობა სოციალ-პოლიტიკური პრობლემებიდანაა ამოზრდილი. დღეს შეუიარაღებელი თვალთაც კარგად ჩანს ნამდვილი მიზეზი ამ განწყობილებისა. ხშირად ინტიმური სევდის ქვეშ მოქცეული სტრიქონები ალგორითულ კაასრებას მოითხოვს, მისი „სატრფო“ აკაკის სატრფოს დარად ბიოლოგიური ქალი როდია, ტკივილიანი სტრიქონები სწორედ „მარადიული სატრფოს“ სეუბედის გამოა ცრემლით გაუღნთილი. ეს არა მარტო მხატვრული ხერხი გახლდათ, არამედ იმ საშინეზღი დროის ტრაგიკული მახასიათებელიც – გაორების სინდრომი. როცა ერთის ქვეშ მეორე უნდა გეგულისხმა და საგულუაგულოდ შეგენილბა მწერლის სურვილი.

ამ სევდიანი პანოს ყველაზე თვალშისაცემი დეტალი მდგომარეობიდან გამოუსაველობის განწყობილებაა. საკუთარ ძალებში რწმენადაკარგული და პესიმიზმით შეკერობილი მწერალი მთლიანად ეძლევა მისტიკურ-სიმბოლისტურ ბურანს. საქართველოს ძველი დიდების აღდგენის იმედის დაკარგვამ იძულებული გახადა მისი სიმღერების კილო ერთგვარი სექსტიკური ყოფილიყო თანამედროვეობის მიმართ და წარსულის რომანტიკული მოგონებებით ეცოცხლა. მოგვიანებით, ტიცვიან ტაბიქემ საბოლოოდ მოუყარა თავი ათიან წლებში მინორულ, ნახევარტონებში გამოთქმულ მოსასრებებს და უკვე რეალურად, შესაძლებლად მიიჩნია ფიქრი საქართველოს მონარქიული წყობილებას აღდგენაზე. „საქართველოს აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“ – განაცხადა მან, შაგრამ ეს მოგვიანებით, 1916 წლისათვის. ის მინიატურები, რომლებიც 1909-1913 წლებით არის დათარიღებული, ამ თვალ-

საზრისით შედარებით მოკრძალებულად ამჟღავნებენ ამ სურვილს.

მართებულად შენიშნავედა პროფესორი სერგი ჭილაია: „საქმე იმაშია, ვინ როგორ ფიქრობდა მომავალზე, ვინ რა გზას სახავედა მის გადასარჩენად. როგორც აღნიშნულია, ცისფერყანწველების და კერპოდ, ტიცციან ტაბიძის ეროვნული იდეალები გამოიხატა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, ძველი, ძლიერი ეროვნული კეთილდღეობისათვის ბრძოლა ტიცციან ტაბიძეს მამულიშვილობის ეტალონად მიაჩნდა. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლის მესამე პროლეტარულ ეტაპზე ოცნება ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების აღდგენაზე და აღექსიანდრე ბატონიშვილის ანდერძის არდავიწყების ქადაგება მუშათა კლასის საერთო განმათავისუფლებელ ინტერესებთან არავითარ კავშირში არ იყო და სწორედ იმის გამო, რომ სამშობლოს ხსნის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას ვერ მიაგნო და რაც მთავარია, ეს შეუძლებლადაც მიაჩნდა, პოეტმა შორეულ წარსულს მიმართა“.

მართლაც, შორეული საუკუნეები ტიცციან ტაბიძისათვის ხდება მიუღწეველი სიდიდისა და ეროვნული გამძლეობის გამოხატულება. იმ დროისათვის, მისთვის ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა ნაწილობრივ მაინც დაეთრგუნა ქვეყნის უმწვეო მდგომარეობით გამოწვეული განცდა. დრო და სივრცე, რომელიც ყოველ წარსულს რომანტიკულ კოლორიტს აძლევს, დიდებით მოსაედა მომავლის რწმენას და თანამედროვეთ ეროვნული ენერჯის მობილიზირებისათვის განაწყობდა. წარსული ტიცციან ტაბიძისათვის ხშირად ხდებოდა მთავარი დეკორაცია. ყველაზე კრიზისულ მომენტებში იგი თავს აფარებდა შორეულ, მითიურ წარსულს, რომელიც სხვადასხვა სახითა და პერიოდულობით ყოველთვის ჩნდებოდა მის შემოქმედებაში. წარსულის მითიზაციის მეთოდი ერთგვარად განტვირთავდა

ხოლმე იმ სასოწარკვეთილ ტონს, რომელიც ათიანი წლებიდან მოწყებოდა მის შემოქმედებას. ამდენად, ტიციან ტაბიძე უკვე ცალსახად გამოკვეთილი, სიმბოლისტური სკოლისათვის დამახასიათებელი ყველა საჭირო სიმპტომატიკით გამოცხადდა ჯგუფ „ცისფერ ყანწებში“.

„სიმბოლიზმის ლიტერატურული პრინციპების აღიარებამდე ტიციანმა განულო მხატვრული დაოსტატების ეტაპი, რომელსაც ლიტერატურული შეგირდობის ხანა შეიძლება დაეარქვათ“. მაგრამ ეს შეგირდობის ხანა იმდენად უხვი, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი იყო, რომ მას მხოლოდ შესაფერისი სკოლის ფარგლებში მოქცევადა აკლდა. სიმბოლისტი პოეტისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით ტიციან ტაბიძე მოღვაწეობას იწყებს ჯერ კიდევ ათიან წლებში. 1916 წლიდან ეს ტენდენციები იწმინდება და ლიტერატურული სკოლის სახეს იღებს.

უდაუოა, ტიციან ტაბიძის სიმბოლიზმით გატაცებას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1916 წლამდე. ფართო ერუდიციის, ნიჭიერი ჭაბუკი უკვე ათიანი წლებიდან არის ნაზიარები ფრანგი სიმბოლისტების ესთეტიკურ მოძღვრებას. რასაკვირველია, თავისი როლი ითამაშა ტიციან ტაბიძის მიერ ეპოქისა და საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა არსში გარკვევის მცდელობამ. მან თავის პრიზმაში გარდატეხა ევროპელი და რუსი სიმბოლისტებისაგან მიღებული ესთეტიკური შთაბეჭდილებანი და დაუძლეველი წინააღმდეგობების მძაფრი აღქმა გამოიმუშავა. ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოვლენილი ტრაგიკულ შეგრძნებათაგან იყო ამქვეყნიური ამაოების, ცხოვრების უხანობისა და წუთისოფლის წარმავლობის განცდა.

ამაოების თემა, რომელიც ნიშანდობლივია ქართული რომანტიზმისათვის, არც სიმბოლიზმისათვის იყო უცხო. ნიშნეულია ეს თემა ტიციან ტაბიძის პროზაული მიწიატურებისათვისაც. ეკლესიასტეს – „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო“, ასასრ-

დოებს მის ბევრ მინიატურას. იმ უამრავ დეფინიციათა შორის, რომელიც ამ დიღემის მისამართით გამოთქმულა თავისი გამორჩეული დამოკიდებულება აქონდა სიმბოლისტურ სკოლასაც. „ფუჯია სიკედილზე ფიქრი“ – აცხადებდა პოლ ვალერი.

სიკედილ-სიცოცხლის პერმანენტულ მონაცვლეობაზე, ადამიანური ყოფის წარმავლობაზე ღრმა დაფიქრება, ბუნებრივია, არც ტიცინანისთვის იყო უცხო. ამაოების ტრანსცენდენტური პრობლემა ცნაურდება მის არაერთ ნოველასა თუ მინიატურაში. მათ შორის გამოყოფთ ნოველას „უკუდავი არის ამაოება“, რომელიც ეძღვნება ია ეკალაძესა და სანდრო შანშიაშვილს. მაქში სიცოცხლისა და ადამიანის არსებობის პრობლემა გადაწყვეტილია სიცოცხლის არარობისა და სიკედილის მარადისობის სიმბოლისტური კონცეფციის შუქზე. „მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება – ღამის განთიადზედ ყვავილი რომ გადაიშლება, მწვავე დააჭერს და გახმება... რაც დღეს სიმართლე გგონია, ხვალ ტუილია; შორიდან გეჩვენება ბედნიერება, ახლო მიხვალ და არ არი“. ავტორი გვეუბნება, რომ ადამიანი იმიტომ გაჩნდა, რომ ტანჯვითა და წამებით მოხატოს თავისი უბადრუკი არსებობა. ყველაფერი ამქვეყნად ცვალებადია, წარმავალი, ამაოების გარდა.

ასეთივე განცდა ცნაურდება ტიცინან ტაბიძის მინიატურაში „ფარვანა“. ისმის გულგატეხილი, უსასოობით შეპყრობილი პოეტის ტრაგიკული ხმა. ადამიანების ყოფას იგი ფარვანას ჯანმოკლე სიცოცხლეს ადარებს, რომელიც წუთისოფელთან ჭიდილში უკვალოდ იწვის და იფერფლება: „დაბადებიდანვე ველტვით რადაცას, რომელიც ბედნიერებაც არის და სიყვარულიც, მაგრამ ამაოა ლტოლვა, ოცნება პერთის, ოცნება ცახცახებს, ნადველში პქრება ჩვენი ცხოვრება, საფლაუში მიგვაქვს გრძნობა დაუკმაყოფილებელი, წადილი აღუსრულებელი“.

უიმედობისა და სასოწარკვეთილების ტონი კიდევ უფრო ძლიერდება მინიატურაში „ეპიტაფია“. ეს არის მონოლოგი ეჭვი-

ბით განადგურებული სულისა, რომელიც მხსნეელის მისიით მოველინა ქვეყანას „სოფლად მოყიდა ბურანში მყოფ ძმათა გასადვილებლად. მაგრამ ამოდ გაჰკიოდა ჩემი ნადარა... ამად იყო სმა სიმართლისა არავის ესმოდა“. ავტორი მტკივნეულად აღიქვამს თანამოძმეთა ინერტულობას, საგანგაშოდ მიიჩნევს მათ აკისმომასწავებელ სიმშვიდეს. როგორც ეხედავთ, ტიცვიანისთვის არც „ნადარის“ ფუნქციებია უცხო. ის კარგად აცნობიერებს შემოქმედის მისიას, მაგრამ ხსნა არ არის და მგრძნობიარე პოეტი უსასრულო მწუხარებას ერწყმის.

მომავლის რწმენასაა მოკლებული ნოველა „აჩრდილთა გოდება“. იგი 1911 წლით არის დათარიღებული. საფლავიდან წაწოდვარს აჩრდილთა სულები სოფლად აღოდდნენ და არყოფნის ღამეს წამოყენენ. სურვილებითა და იმედებით მოდიან ისინი სოფლისაკენ, შემოქმედს კი გზის განათებას სთხოვენ. აჩრდილთა რწმენით მიიწვევენ წინ მოკვდავთა სამყოფელისაკენ, მაგრამ იქ ღაღატი, გაუცხოება და გაუტანლობა ხვდებათ. რწმენადაკარგული სულები გამოსავალს უკან დაბრუნებაში პოულობენ.

ნოველა საინტერესოა იმითაც, რომ სიმბოლისტური ფერებით წარმოგვიდგენს მწერლის უიმედობისა და ცხოვრების სამდურავის მიზეზს – ეს, როგორც ჩანს, რწმენის დაკარგვაა: „ცხოვრება შეუბრალებელი აღმოჩნდა, რწმენა მწუხარე ჰანგიით დაითრო, ჩაქრა ვნებათაღელვა და ცხოვრების ფსკერზე მოექცა ყოველკვარი იმედი“. ასეთი მკვეთრად ტრაგიკული უღერადობით და ცხოვრების ამოების მძაფრი განცდით არის შექნილი ეს ნოველა. სხვათაშორის, სიუჟეტური ქარგითა და პრობლემატიკით იგი ეხმაურება ნიკო ლორთქიფანიძის ნოველას „სიკვდილის წამალი“, თუმცა აქ ფილოსოფიური სიმწვავეით დასმულ პრობლემას – სიკვდილი თუ სიცოცხლე, მწერალი სიცოცხლის სასარგებლოდ წყვეტს.

ამ თემას აგრძელებს მწერალი თავის მინიატურაში „სასა-

ფლაოსე“.

სევდაშემოწოლილი პოეტი დაღამებისას სასაფლაოსკენ მიიქარის. ადამიანებისაგან გულნატკენი, იგი დუმილის ენით ესაუბრება საფლავის ლოდებს. მრავლისმომსწრენი, ისინი დამაჯერებლად მიაწერენ ადამიანთა მოდგმას ღალატსა და სიცრუეს: „ბაბილონის გოდოლი აშენდებოდა ამდენხანს ადამიანთა სიცრუისა“ – ამტკიცებენ ისინი და დასტურად სასაფლაოსე ხილულ, რეალურ ამბებს უყევიან პოეტს. ახალგაზრდა ვაჟი ასამარებს სატრფოს, რომელიც სიცოცხლეში მისი სათაყვანებელი კერპი იყო. ვაჟის გოდება საფლავის ლოდებსაც წედებოდა გულში, მაგრამ გამოხდა ხანი და მან სასაფლაოსე სხვა ქალთან ერთად გამოიარა. საფლავის ლოდები მდულარე ცრემლებით გლოვობენ ადამიანთა ღალატს. აეტორი მსჯავრდადებულივით ისმენს საფლავის ლოდების ბრალდებებს. ადამიანებს არ ძალუბთ ხანგრძლივიად შეინარჩუნონ დაკარგულთა ხსოვნა, დროებითია ყოველი წარმატების გახსენება. ის, რაც ერთ დროს ჩვენთვის სათაყვანებელ არსებას წარმოადგენდა, სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ფერფლია და ნაცარი.

მინიატურა თავისი პრობლემით გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავეს“ ენათესავება. თუმცა ლექსის აეტორის ოპტიმიზმი უფრო თვალში საცემია, რადგან იგი დამაჯერებლად ედავება მოხუც მესაფლავეს ადამიანთა ღირსებების დასაცავად. ტიცციან ტაბიძის საფლავის ლოდების მტკიცებანი ადამიანური სიავის კრიტიკის ფარგლებს არ სცილდება. ცხოვრების ამოუების აპოლოგია გასდევს მათ მიერ მოყოლილ ამბებს, რომელსაც აეტორი დუმილით უსმენს და შეკამათების სურვილსაც არ ამჟღავნებს. როგორც ჩანს, აეტორი სავსებით ეთანხმება „ადამიანთა ცხოვრების ცოცხალ მატთანეს“ – საფლავის ლოდებს.

1911 წელს არის დაწერილი ტიცციან ტაბიძის „სატანის ქნარზე“. მწერალს იქვე მინიშნებული აქვს მისი ჟანრული გან-

მარტეზა – სილუეტის ნაწარმოებში შემოყვანილია ფინიკიური და სირიული, ქანაანელთა და აზიური ღვთაება, ცისა და მთვარის ქალღმერთი, რომელსაც ასირიასა და ბაბილონში იშთარს ეძახდნენ, ხოლო ბერძნებმა ასტარტე შეარქვეს. იგი სიცოცხლის ჩასახვის ქალურ საწყისს განასახიერებდა და მიწნეული იყო სიყვარულის ქალღმერთად. ამიტომაც მის ტაძარს ისევე სწირავდნენ ნაშთებს მემკვიდრე, როგორც აფროდიტეს ბერძენი ჰეტერები. სილუეტში „სატანის ქნარზე“ მწერალი რომანტიკულ ფერებში მოვეითხრობს სატანის სიყვარულზე მომხიბლავი ასტარტეს მიმართ, სატანისა და ასტარტეს სახეები აქ მოხმობილია ბოროტებასა და სიკეთის კონტრესტში. ასტარტე უარყოფს „მშფოთარი სულის“ სიყვარულს. მწერალი, ბუნებრივია, დასაშვებს არ ხდის სიყვარულის ქალღმერთის კავშირს ჯოჯოხეთის მოციქულთან, თუცა, არც იმას გამორიცხავს, რომ სიყვარული, ხშირად ბოროტების მსხვერპლი ხდება. ტიცინი ტაბიძე აქაც არ დალატობს თავის იმდროინდელ განწყობილებებს. უიმედობისა და სასოწარკვეთილების ტონი აქ თავის აპოგევს აღწევს.

ასეთი მხატვრულ-ფილოსოფიური განწყობილებების ფონზე პარადოქსივით მოჩანს მინიატურა „ნაკადის დუღუნი“. დიდი წინაპრის დარად პოეტი „სოფლით დევნილი, ბუდით მწარედ ანატირები“ ნაკადისაკენ მიიქარის, რათა იქ წამით მაინც იპოვოს სულის სიმშვიდე. ბარათაშვილისეულ მოტივებს ბუნებასთან მიახლოების და მასთან მედიტაციური შერწყმის მოძრაობაში მოჰყავს მისი ცნობიერება. „იდაყვდაყრდონიბილი ყურს ვუგდებ მას და სული ოცნების მხარისკენ მიფრინავს, მოგონებათა მკრთალნი აწრდილნი თავს დამცემციმებენ და თვალთაგან ღმობიერების მღუღარე ცრემლი მდის ხოლმე“. ჩვენთვის მოულოდნელად, მწერალში ნაკადის დუღუნი მისთვის თითქოს მიუღებელ გრძობას აღძრავს – ეს არის იმედისა და ბრძოლის სურვილი. „სეუდიანი დუღუნი არ არის გულწათხრობილი, სა-

სოწარკვეთილი მოთქმა, — მასში გამოსვკვივის იმედი. დიახ, ის არის ემბლემა ძლევისა, და მართლაც ამ მიხედვით უამს როს დაპატრონებია სოფელს მწუხარება და ფასკუნჯის ფრთებით დაფრინავს ნაღველი, როს გარშემო ყველგან და ყოველს სძინავს, — ის კელავ ბუტბუტებს და მალე მისი მწუხარე დუღუნი ბრძოლის ყიჟინად გადაიქცევა. მეც ვგრძნობ, რომ სოფელი და ადამიანი ცოდვის მორეეში ჩაეფლა და იედესლაც წმინდა, ვით კამკამა წყალი ამ ნაკადისა ადამიანის გული ახლა ბოროტების სავანედ გადაქცეულა, მაგრამ ფენიქსი — კურთხეულ იყოს მისი შემოქმედი! — რა მაგონდება, სეედა გადიელის და ნაღველიც თავს მანებებს. მწამს, რომ ადამიანი, როგორც ფენიქსი, კელავ განახლდება. „გწამდეს და ცხონდები“ და მეც მწამს...”

მინიატურა „ნაკადის დუღუნი“ მარგალიტივით ელავს ეჭვებითა და მეღანქოლიით გაჯერებულ სსვა მინიატურათა შორის. პოეტს თითქოს სამუდამოდ უნდა ჩამოიცილოს მარტოობისა და ურწმენოების მქირდავი ანრდილი, რწმენით დაამარცხოს კაეშანი და ფენიქსივით აღსდგეს. თითქოს ერყევა საფუძველი ტკივილიან ფიქრებს თვითმკვლელობასა და სიკვდილის აგონიაზე, მაგრამ მის შემდგომაც შავი სეედა მეფისტოფელის ღიმილით უცქერს მარტოობით გონებაში წამლულ პოეტს და ისეე უნუგეშოდ ათქმევენებს: „თვალწინ მითრთის მისი ანრდილი, სადაც უნდა ვიყო, ყველგან, ყოველთვის მარტოობა ჩემი თანამგზავრია, მუდამ თან დამდევს, ვით ანრდილი, ვით შურისმაძიებელი ლანდი, გარეწარ კაენს თან რომ დასდევდა.“ ასეთი მეტამორფოზის შემდგომაც კი სიკვდილის დემონი პოეტის ცნობიერებაში კელავ შლის ფრთებს. ავი წინათგრძნობა თელავს მისი იმედის ყვავილებს და უბედურება ცეცხლის ეტლით დაქრის სტრიქონებს შორის. უსუსურობის გრძნობით მოღლილი იგი მუხლს იყრის და მორჩილად ისმენს სიკვდილის ნაღველიან სიმღერას. „სიკვდილი აპოთეოზია ბუნებისა, ის მიწანია ჩვენის ცხოვრებ-

ისა, მის წინ სიცოცხლე თრთის და ცახცახებს“— ამბობს ავტორი. უფიქრობთ, სიკვდილის თეიმომისნად გამოცხადებით ტიცციან ტაბიძე ეხმაურება არა მარტო ფრანგი სიმბოლისტების სიკვდილის გაგებას. „სიკვდილი გეარწევს, მან ჩვენ მოგვცა ცხოვრება წყნარი, ის არის ყოფის თეიმომისანი, სასო და შეველა“. არამედ ვაჟა-ფშაველას ცნობილ ტაექსაც „ღმერთმა გიშველა სიკვდილო, სიცოცხლე შეენობს შენითა“, რაც სამყაროს წინააღმდეგობის პრინციქსაც ეუუძნება და აღბათ სიკვდილის იდუმალების მარადიულ პრობლემასაც. ვიქტორ ნოსაძე თავის „ეეფხისტიქაოსნის“ ღმრთისმეტყველებაში“ აღნიშნავს: „ყველა მოაზროვნეს, ყველა მწერალს, ყველა მგოსანს, რომელიც კი სიკვდილის საკითხს შეხებიან, ყველას ერთნაირი აზრი გამოუთქვამს, განსხვავება მხოლოდ გამოთქმის წესშია, მის სიძლიერეში, ხერხში და სილამაზეში“.

ტიციან ტაბიძის მხატვრული კონცეფციით, ადამიანს თრგუნავს, აძაბუნებს და იმორჩილებს გარდუვალი სიკვდილის მოლოდინი. ადამიანი უღონოა მისი ბედისწერის წინაშე. სწორედ ეს არის მისი ლირიკული გმირის დაუძლეველი ტრაგედია.

საგანგებოდ გეინდა შევჩერდეთ ტიცციან ტაბიძის მოთხრობაზე „ელეაზარი“. იგი მწერლის არც ერთ კრებულში არაა შეტანილი. ჩვენი აზრით, ეს ნაწარმოები საერთოდ უცნობი უნდა იყოს მკვლევართათვის. მოთხრობა დაიბეჭდა პაოლო იაშვილის რედაქტორობით გამომაველ ჟურნალ „ოქროს ვერაში“ 1915 წელს.

ნაწარმოებს იგივე განცდები დაყვება, ისეთივე მძაფრად გამოხატული სასოწარკვეთილი ტონი როგორც სხვა დანარჩენ პროზაულ ნიმუშებს. ჩვენს წინაშეა მძაფრი ტკივილით აღძრული აღგოროული წარმოსახვა ამქვეყნიური ყოფისა, მძიმე ფანტასმაგოროული სურათი მთელი მისი სისასიტიკითა და დაუნდობლობით.

მკვდრეთით აღმდგარი ელეაზარი გარკვეული დროის შემ-

დეგ თავის ნებით უბრუნდება სიკედილის სამეფოს. აქაც წარმ-
მართველი იდეა სიცოცხლის წარმატების განცდაა. რაც უფრო
ღრმად ეცნობა ადამიანი ცხოვრების კანონზომიერებებს, მით
უფრო იპყრობს მარტოობისა და მიუსაფრობის სევედა.

როგორც ვხედავთ, ტიციან ტაბიის პროსაულ მინიატურებსა
და მოკლესიუეტებიან ნოველებში ტრადიციული ადგილი უკავია
სიმბოლისტიკისათვის დამახასიათებელ ესთეტიკურ შეხედულებ-
ებს. სიკედილის კულტი, მარტოობისა და ეულად დარჩენილი
ადამიანის თვითმკვლელობაზე ზიქრი, სიცოცხლეშივე სიკედი-
ლის განზომილებაში ყოფნა, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტიციან
ტაბიის შემოქმედებაში სიმბოლისტური ტენდენციები გაც-
ილებით ადრე იჩენს თავს, ვიდრე ეს ლიტერატურული სკოლა
ოფიციალურად გამოაცხადებდა თავისი არსებობის შესახებ, ე.
ი. 1915 წლამდე. ამის მიზეზი გახლდათ არა მარტო ფრანგი დ-
რუსი სიმბოლისტიკის გავლენა მის შემოქმედებაზე, არამედ ის
ეპოქალური ძვრებიც, რომელთაც, ბუნებრივია, თავისი კვად-
დაანნიეს მისი შემოქმედების გრძობად-გამომსახველობით ას-
პექტებს. პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისა და რევოლუცი-
ის დამარცხების შედეგად შექმნილმა პირქუშმა ატმოსფერო-
მ, რასაც თან ერთოდა საქართველოს გაურკვეველი პოლიტიკური
სტატუსი, კანონზომიერად წარმოშვა ეს განწყობილებები, როგორც
არსებობის გადაულახავი წესი. გარკვეულწილად სწორედ ეპო-
ქა ქმნიდა საფუძველს და სტიმულირებდა სიმბოლისტური ხე-
ლწერის წამოყალიბების პროცესს მწერლობაში.

ამ პერიოდში ტიციან ტაბიის ლიტერატურული პრო-
ფილი აღბეჭდვლია მარადიულ ეგზისტენციალურ პრობლემათ-
ა - მარტოობის, ზედაპირული ბედნიერებისა და შინაგანი
სიცარიელის ნიშნით, რაც სოგადად ეგზომ დამახასიათებელი
გახლდათ სიმბოლისტური სკოლისათვის. ლიტერატურის ის-
ტორიამ კარგად უწყის, თუ რამდენჯერ გადაუჭირეს შოლტი

„სიმახინჯისა და ბოქემის კულტის“ აპოლოგეტს, მაგრამ იშვი-
ათად მოუკითხავს უნემეს, სად იყო სათავე იმ სადინარისა, რომელ-
იც კვებავდა ამ განწყობილებებს. რადგან ეს არ გახლდათ მხ-
ოლოდ პოეტური კოკეტობა, მხოლოდ საკუთარი სივრცით
შემოზღუდული შემოქმედის კოზირება ლიტერატურის იმდროინ-
დელ აკანსცენასზე. მეტი წილი ამ განწყობილებებისა პროვო-
ცირებული იყო როგორც პროტესტი ეპოქალური და უფრო
ხშირად ეროვნული ტრაგიზმის წინააღმდეგ: და არა მარტო, ეს
გახლდათ ამბოხი ტრადიციული გამომსახველობის წინააღმ-
დეგაც.

ტიციან ტაბიძის პროზაულ ნაწარმოებებში საკმაოდ დიდი
ადგილი ეთმობა სიყვარულის მარადიულ თემას. მისი შემო-
ქმედებითი მგრძობილება ხშირად სწორედ ამ თემის ირგვლივ
ფოკუსირდება.

ქართველმა სიმბოლისტებმა საერთოდ უადრესად ახლე-
ბური, ორიგინალური მიდგომა გამოამუშავა სატრფიალო თემის-
ადმი. საყვარელ არსებაში მათ დაინახეს რეალობის კონტექს-
ტიდან ამოგლეჯილი მისტიური ძალა, რომელსაც უნდა მიეახ-
ლოებინა ისინი ირეალური, იდეალური სამყაროსათვის. ეს ტენ-
დენცია ნიშნულია ტ. ტაბიძის არა იმდენად პოეზიისათვის,
არამედ: პროზისთვის. ტიციან ტაბიძის ლექსების ლირიკული
გმირი ეროტიზმს განრიდებულია და ბავშვური ადტაცებით ექლ-
ევა ხოლმე მშვენიერ ქალთა ტრფობას. პოეტი საოცარი უშუა-
ლობით სავსე სტრიქონებს უძღვნიდა თავის პოეტურ მუხებს —
თამუნის: წერეთელს, ისია ნაზარიშვილს, მელიტა ჩოლოყაშვილ-
სა და ნართა მანაბელს. ამ მშვენიერმა ქალბატონებმა სამუდა-
მოდ დაიღეს ბინა ტიციან ტაბიძის პოეზიაში. რაც შეეხება
მწერლის პროზაულ ქმნილებებს, მათ პროტოტიპი არა აქვთ.
ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ისინი უცნობია.

ტიციან ტაბიძე თავის მინიატურებსა და მოკლესიუჟეტიან

ნოველებში არ ღალატობს სიმბოლისტურ ტრადიციებს და ქმნის შორეულ, იდეალური სატრფოს ხატებას. სატრფოს იერსახე ხშირად აბსტრაქტული და ბუნდოვანია, წარმოდგენილია, როგორც განუხორციელებელი სიყვარულის სიმბოლო. წინ წამოიწევს ავტორის სუბიექტური განწყობილებანი, შეინიშნება ფსიქოლოგიის ელემენტებიც, ტიცინ ტაბიის მშვენიერი ქალი აღქმულია, ძირითადად, როგორც მისტიკური სახე. მწერლის მიერ გამოვლენილი ხილვითი ასპექტი, ლირიკული ინტონაციები, კონკრეტული გარემო და გამომსახველობითი პათოსი ემორჩილება სიყვარულის ამგვარ გააზრებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ შეინიშნება ირეალური და რეალური სატრფოს მიახლოების ცდაც. ტიცინ ტაბიის სიყვარულის განცდის მოდელი, რა თქმა უნდა, არ გამოირჩევა სიღალბითა და უშუალოდ. გამუდმებული ლავირება სეკლითა და კაეშნით მის სატრფოს ანიჭებს რეფლექტური სუბიექტის ყველა თვისებას.

1911 წელს ტიცინ ტაბიე ქმნის ნოველას „ნაწყვეტი დღურიდან“. ეს არის დღიურის ფორმით დაწერილი მოკლესიუვეტიანი ნოველა, რომელშიც ფსიქოლოგიის ელემენტების პარალელურად მოჩანს მიწიერი გრძნობის აგონიით შეპყრობილი ადამიანის მძაფრი სულიერი ტკივილები. სიყვარული აქ ისეთ მაგიურ ძალადაა წარმოდგენილი, რომელიც ამოძრავებს ადამიანთა ცხოვრებას, მოელ სამყაროს: „სიყვარული, სიყვარული!... ყოველი ასო ამ სიტყვისა ადამიანის სისხლით არის ჩაწერილი მატთანში. ცხოვრება შეჩერდებოდა, ის რომ არ ამოძრავებდეს! ვინ იცის, ახლა რამდენი ფიქრობს მასზე, ადამიანმა არ იცის, რა არის ადამიანობა, თუ მას არ ჰყვარებია, სულ ერთია, როგორი სიყვარულით, თუ სიყვარული ბედნიერია, მაშინ აღტაცებას არ აქვს საზღვარი, შევების ქსელში ნეტარებს სული; თუ უბედურია, მაშინ ის ტანჯვება, მაგრამ ამ ტანჯვაშიც არის სიღ-

ამაზე, რომელსაც ვერვინ გამოისყიდის“. პავლე მოციქული წერილში კორინთელთა მიმართ ამბობს: „სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არც ვერაი ვარ, შეღათუ საწიულად და სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არა ვერაი სარგებელ არს ჩემდა“. ასეთივე უსაზღვროებითა და მარადი შეგრძნებით აღიარებს ტიციან ტაბიძე სიყვარულს იმ მარადიულ ენერგიად, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სამყარო და რაც ადამიანს აკაეშირებს უნივერსუმთან.

მწერლის კონცეფციით, ცხოვრება მუდმივი მონაცვლეობაა სიყვარულით მონიჭებული ბედნიერებისა და უბედურებისა. ადამიანის ტრაგედია იწყება მაშინ, როდესაც ირღვევა სიყვარულის ჰარმონია. საუბედუროდ, სიყვარულის გამოვლენა ხდება როგორც მშვენიერ, ისე მახინჯ ფორმებშიც. ნოველაში სრულიად უწყინარი, მშვიდი მხატვრის მკვლელად ქცევის ფაქტი საბედისწეროდ არღვევს ამ ჰარმონიას.

მხატვარმა მაროს შეაღია სახელი და ღირსება. ამ ქალმა შეიწირა მისი განცდები და გრძნობები. მარო მხატვრის ცნობიერებაში რეალური ქალი როდია, იგი ფატალური ლტოლვის საგანია, კერპია, რომლის შეხებაც კი მომაკედინებელ ცოდვად ეთელება ყველას. მხატვარი სიხლისა და სიძულვილის გრძნობით გონებაარეული კლავს მაროს ქმრადყოფილს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კაცი ეხებოდა მას, რომ მის „მონურ თვალებს“ უფლება ჰქონდა ყოველ ღამე შიშველი ენახა მარო. მხატვარს აგაყუბდა ეს ასრი, თუმცა კარგად იცოდა, რომ მაროსთვის იგი არც პირველი და არც უკანასკნელი მამაკაცი არ იყო. „ვიცი, ბევრი კოცნიდა მის ტუჩებს, მაგრამ ჩემთვის მაინც წმინდაა, ქალწულებრივი კდემით გამოიყურებიან“ – აღიარებს ნოველის გმირი. მაგრამ მაროს სიყვარულის გარეშე არ არსებობს ბედნიერება, მარო არის მიზეზი გიჟური გახელებისა, ჭეშმარიტი ვნების სიმბოლო. „მე მ'ხეს არ ვაპატიებ, შენს ღაწივებზე რომ სხივებს ათამაშებს, მე მიწას არ ვაპატიებ, რომ შენს ფეხებს

პიკოცნის“, – ამბობს იგი.

ნოველის გმირი მთელი არსებით ეძლევა სიყვარულის ექსტაზს, რომელიც მას მკვლელად აქცევს. იგი თვლის, რომ უმაღლესი ბედნიერება ადამიანს ენიჭება მხოლოდ სიყვარულის მგზნებარებით და არაფერზე ფიქრობს, გარდა სიყვარულის გიჟური თავგანწირვისა. ამ თავგანწირვას იგი არ აკარებს არც გონების სიფხიზლეს, არც წინდახედულებასა და საქციელის წინასწარ განსაზღვრის დამკვიდრებულ ტრადიციას.

ნოველის გმირის ბედნიერება არ შედგა. მკვლელად აღიარებული მხატვარი უკვე ცნობიერი თვალებით შეჰყურებს გუშინდელ თავდავიწყებას. ნოველის ამ დრამატული კოლიზიის ძირითადი არსი საბოლოოდ ყოკუსირდება გროსობის წარმატლობის იდეაში „არა არის რა ახალი მისი ქვეშე – გარდა ამოცბისა და სულის აღრევისა“.

სიყვარულის თემას აგრძელებს ტიცციან ტაბიძის ნოველა „ცისკრის სიყვარული“, რომელიც პერსონაჟთა გამოკვეთის, თეატლსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე სრულქმნილ ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. გამოიჩინევა იგი სიუჟეტური ქარგიტაც.

ერთ მშენიერ საღამოს სიყვარულის თემა დავის მიზეზი ხდება მეგობართა წრეში. ბოლოსდაბოლოს ყველამ აღიარა, რომ „სიყვარული დიადი გროსობაა, რომელსაც უბრალო ჭია შეუძლია მეფედ აქციოს, რომ ის მიიყვანს ადამიანს თავგანწირვამდე“.

მართლაც, სიყვარული ის მაგიური კრისტალია, რომელიც მთლიანად ავლენს ადამიანის ბუნებას, მის ენებასა და მსოფლშეგრძნებას. ასეთი თავგანწირული სიყვარულის მოწმე ხდება ნოველის გმირი, ქართველი მხატვარი – ოთარი ვენეციაში ყოფნის დროს. ღარიბი ვენეციელი მხატვრის შეგირდი, იგი ხატვაში კლავდა ხოლმე იმ საწინელ სევდას, რომელსაც მისივე ხელით დახატული სატრფოს სურათი გვრიდა.

ვენეციელი მხატვრის პატარა ქალი, რომელიც მხოლოდ თხოუმეტი წლისაა, გაუმიჯნურდება ქართველ მხატვარს. იგი ამაყად იმარხავს გულში მამამისის შეგირდის სიყვარულს, რადგან ოთარის ოთახში გაკრული ქალის პორტრეტი უამბობს მას, რომ მხატვარი სხვა ქალის სიყვარულის ტყვეა. „განა შეიძლება აღამიანმა ასეთი გზნებით დახატოს სხვისი სურათი?! თქვენ უკვდავყავით თქვენი სატრფო. ბედნიერი ყოფილა საქართველო, თუკი ასეთი ქალები ამშვენებენ მის ბუნებას!“ – სევდიანად უბნება ოთარს ბერტა და იმ დღიდან მის არსებაში ერთ-ერთ ქმედი დარდი სახლდება. ვერც ბერტას სევდიანმა თვალებმა, ვერც მასმა ნაღვლიანმა სიმღერებმა ვერ დაუნთქეს ოთარს გულში სიყვარულის ცეცხლი. აუწერელი ტკივილი თრგუნავს მის არსებას. „ელემიდან ლტოლვილ ქერუბიმს დაემსგავსა. საოცარად სევდა შეიჭრა მის სიმღერებში“.

განშორებისას ოთარი ხვდება, რაზეც ნაღვლობს პატარა ბერტა. მხატვარს უსუსურობისა და გამკენწლავი სირცხვილის გრძნობა ეუფლება. „წყეულიმც იყოს ასეთი მხატვარი“ – ფიქრობს იგი და აღიარებს, როგორ იკარგება პატარა ბერტას ბუმბუკაზ გრძნობათა ლაბირინთებში. იგი არ აღმოჩნდა მისად ბერტას ძლიერი გრძნობის მისაღებად. თვალებზე უშველებელი ცრემლის ყვაკილით გააცვილა ვენეციელმა ქალმა ქართველი მხატვარი. განშორებისას მან სატრფოს სურათი სთხოვა და გათვლილი ოცნების ფასად ლედი მაკბეტივით მასზე იძია შური. „გემი დაიძრა, მე ვხედავდი ის იდგა ერთ ადგილას და მე მომჩერებოდა. ვხედავდი, მან დახია ჩემი სატრფოს სურათი, ნაკუნუნაკუნად აქცია, შედგა ფეხებით და სრესა დაუწყო... მე ვხედავდი, როგორ სდიოდა მას ცრემლები, მაგრამ გემი მიჰქროდა და ტალღები შაეფებს აყრიდნენ ბაქანს“.

ბერტა განშორებას შეეწირა, მაგრამ გამოხდა ხანი და გამოფენაზე ყველას ყურადღება მიიპყრო უცნობი მხატვრის

სურათმა „ცისკრის სიყვარული“. ეს იყო ბერტას ტრაგიკული სიყვარულის უკედაფეყოფა.

ნოველა „ცისკრის სიყვარული“ არკვევს ხელოვნებისა და ადამიანის გრძნობათა შორის უძლიერესი – სიყვარულის ურთიერთმიმართების საკითხს. სიყვარული ღვთაებრივი ძალაა, რომელიც წარმართავს სამყაროს და მასში გაბნეულ მრავალსახეობებს ერთმანეთთან აკავშირებს. მას მრავალი გამოვლინება აქვს. ყველაზე შთამბეჭდავი მათ შორის ხელოვნებაა, რომლის ნიმუში მაშინ აღწევს სრულყოფილებას, როცა მისი ემანაცია სწორედ სიყვარულიდან ხდება. მან მიანიჭა სრულქმნილება ოთარის მიერ შექმნილ ტილოს, რომელმაც გამოუენაზე ყურადღება დაიმსახურა.

სიყვარულის თემაზეა შექმნილი ტიციან ტაბიძის ნოველა „ლენორა“.

სიმბოლისტების საერთო სატრფო, იდუმალი ქალი ლენორა დასახელებულია ტ.ტაბიძის შემოქმედებაშიც. ლენორა ედგარ პოს ცნობილი „ყორანის“ მეშვეობით ფრიად პოპულარული გახდა მსოფლიოში. ეს არის გარდაცვლილი სატრფოს ხატება, რომელსაც არაერთი სტრიქონი ეძღვნება პოს ლირიკაში. ლენორას გამოიჩინა ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში სავსებით ბუნებრივი და ორგანულია, თუ გავითვალისწინებთ მისი შემოქმედების სიმბოლისტურ ხასიათს. ქალი, რომელიც დაკავშირებულია სიკედილთან და სიღამაშესთან, იდუმალი, ტრაგიკული ლენორა უთუოდ ორგანულია ტიციანის პროზისათვის.

ნოველაში ავტორი იცავს ამ ქალის ტრადიციულ სახესთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს. ლენორა აქაც გარდაცვლილი სატრფოს სახით გვევლინება, რომლის სიკედილს ტრაგიკულად განიცდის მეუღლე. ლენორას გარდაცვალებით ამქვეყნიურობას მოწყვეტილი ლეენანი ყოველ დღე აკითხავს მის საფლავს, რათა ერთგულების აღსარება უთხრას. ლენორას

სამარე ერთადერთი ნუგეშია მისთვის. „ხელავ, ლენორა ვერ გივიწყებ, მკედარიც მიყვარხარ, მკედარიც! შენს სახელს ვერავინ დამავიწყებს, ვარდებითა და სამბახებით მოურთავ შენს საფლავს! კრულ ვიყო, თუ რომელიმე ქალის სახელი გულში გავივლო, თუ ვცოცხლობ, ისევ შენთვის, რათა ჟამს მწუხარეს შენზე ვილოცო, შენი სახელი იყოს ჩემი უკანასკნელი სიტყვა, ჩემო ლენორა“. ასეთი ერთგულებით აკითხავს ლევანი ლენორას საფლავს და სწამს, რომ მანაც ასეთივე წრფელი სიყვარული ჩაიტანა საფლავს, მაგრამ შემთხვევით აღმოჩენილმა ლენორას მიერ დაწერილმა სასიყვარულო ბარათმა, რომლის ადრესატი სხვა მიმამკაცი იყო, თვალები აუხილა ლევანს. დაემხობა სიწმინდის კერპი და ღალატი საშინელ, შეურაცხმყოფელ ჭრილობად დაედება მის ცნობიერებას, რადგან ლენორაზე მოგონება მნიშვნელობით სიცოცხლის სასრისს უტოლდებოდა და ნოველის გმირის სულიერი მდგომარეობის განმსაზღვრელი იყო. რწმენა-დაკარგული ნოველის გმირი ყოფნა-არყოფნის ტრაგიზმს არყოფნის სასარგებლოდ წყვეტს.

ნოველაში ლენორას სახე წარმოდგენილია მოღალატე სატრფოს სახით. ეს თვისება, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ ტიციანისეული ლენორასათვისაა ნიშანდობლივი. ამით იგი არც ერთი პოეტის ლენორას არა ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთ ნაწარმოებს არ ვიცნობთ.

სიყვარულის მოტივზე შექმნილ ნაწარმოებებს შორის შეიძლება დავასახელოთ ლექსი პროსად „გაზაფხულის დღესასწაულზე“. გმირის უნაზეს მონოლოგში იგრძნობა მოწყურებული სწრაფვა, უსაზღვრო ლტოლვა უხილავი სატრფოსაკენ. აბორგებული, ღოცვით გასპეტაკებული მიჯნურის სული მარადისობის ბჭეებს ასანზარებს. „მე ყველაფერში ვარ, ჩემში – ყველაფერია“ – აცხადებს იგი. რაც უფრო შორეული და მიუწვდომელია მისთვის სატრფო, მით უფრო ძლიერია სიყვარულის

ცეცხლი. ტიცციან ტაბიძის პროზისათვის, ისევე როგორც პოეზიისათვის ორგანულია საყვარელი არსებისადმი შორეული ტრფიალი. პოეტს არასოდეს გადასრდია სიყვარული ეროტიკში. მისი დამოკიდებულება სატრფიალო არსებისადმი არასოდეს საჭიროებდა გარეშე პირობებს – თანაგრძობას ინტიმური სიახლოვის სახით. ამ სულისკვეთებით იწერებოდა მისი პოეტური შედეგებიც. 1915 წელს დაწერილ ლექსში „შორეული“, რომელსაც თითქმის ოთხი წელი აშორებს „გაზაფხულის დღესასწაულთან“, ტიცციან ტაბიძე იმავე აზრს ავითარებს: „ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი“ ან „შენი სიშორის მიმაფრენს ქარი“. ასეთი სიშორის რომანტიკა სულაც არ გამოარჩევდა სიმბოლისს, არც ევროპულსა და არც ქართულს. საკმარისია გაეხსენოთ პ. იაშვილის „ელენე დარიანის დღიურები“ ან უფრო ადრე „ცისფერ ყანვებში“ გამოქვეყნებული გრ. რობაკიძისა და სხვა სიმბოლისტი პოეტების სონეტები.

მინიატურა „მწუხარულ ჰანგზე“ სატრფოსთან გატარებული დღეების ნაღვლიან მოგონებაზეა აგებული. იგი ერთგვარად აგრძელებს „ლენორას“ თემატიკას და სიკვდილს ანიჭებს სიყვარულის შეცნობის საიდუმლო მისიას. სიკვდილის ფონზე ადამიანის გრძნობადობა თვითგამორკევეის უფრო დიდ შესაძლებლობას იძენს. „საყვარელი ქალი, რომელიც გუშინ შენთან იყო, დღეს სამუდამოდ წაეიდა და აღარ მოუა აღარაოდეს“. შემოდგომის მწუხარე საღამო მინიატურის ლირიკულ გმირს მოგონებებს უფორიაქებს, მაგრამ ფანჯრის მინაზე მოხეტიალე წვიმის წვეთები ახსენებენ, რომ სიკვდილიცა და სიცოცხლეს, ერთად ყოფნისა და განშორების მონაცვლეობა კანონსომიერ ცვალებადობას წარმოადგენს. მინიატურაში კვლავ ხშიანობს ეკლესიასტეს ცნობილი ფორმულირება – „ამაოებათა ამაოება და ყოველივე ამაო“.

ტიცციან ტაბიძის მინიატურები ამ თვალსაზრისით ერთ

გარკვეულ თვალთახედვას ემორჩილება – ამოუებისა და წარ-
შეულობის განცდა ხშირად სწორედ უიღბლო სიყვარულით არის
მოტივირებული. აქ ყველაფერი კონცენტრირებულია გრძნობა-
თა ინტიმურ წყობაზე, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ლოდინის
სკედა და იშვიათად სიყვარულთან ზიარების სიხარულიც.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს ამორძალების თემაზე შექმნილი მოთხრობები, რომლებიც სიყვარულის მოტივზე დაწერილ ნაწარმოებთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ.

რომანტიკული გზნებითა და გატაცებით არის დაწერილი ტიციან ტაბიძის მოთხრობა „შექმნილი ლეგენდა“. მან იგი სრულიად ახალგაზრდამ 1913 წელს გამოაქვეყნა. მწერალმა გამოიყენა მითი ამორძალზე, სახელდობრ დიოდორ სიცილიელის მიერ შედგენილი ისტორიიდან – თაყი ალექსანდრე მაკედონელისა და ამორძალების დედოფლის ფალესტრიდას შეხვედრის შესახებ. ფალესტრიდა არანეულებრივი სილამაზითა და ფიზიკური სიძლიერით გამოირჩეოდა. დიოდორ სიცილიელის ცნობით, იგი თავისი სამასი მეომარი ქალით სწვევია ალექსანდრე მაკედონელს, რათა მისგან შეიღი გაეჩინა. ალექსანდრე მოუხიბლავს მის თავდაჯერებულობას, ღირსეული მასპინძლობა გაუწევია მისთვის 30 დღის განმავლობაში და გულუხვად დაუსაწყრებია.

თქმულებები ამორძალებზე განსაკუთრებით პოპულარული იყო ძველ საბერძნეთში, ინდოეთისა და ლათინური ამერიკის ხალხებს შორის. ძველბერძნულ მითებში მოთხრობილია ცბიერი და ორგული ომის მეფის არესისა და ჰარმონიის შთამომავალი მებრძოლი ქალების შესახებ, რომელთაც ამორძალებს უწოდებდნენ. მათზე წერდნენ ძველი ბერძენი ისტორიკოსები 2500-ზე მეტი წლის წინათ. უფრო გვიანდელ თქმულებებში ახსენებენ სწორედ დედოფალ ფალესტრიას, რომელიც თითქოს ესტუმრა ალექსანდრე მაკედონელს, რათა მისგან შეიღი ჰყოლოდა. სწორედ ფალესტრია წარმოადგენს ტიციან ტაბიძის მოთხრობის მთავარი გმირის პროტოტიპს. ამ ამორძალის სახე მოგვიანებით

ინდება გრ. რობაქიძის დაუმთავრებელ რომანში „ფალესტრა“. ამორძალთა დედოფალზე, მის ფსიქოლოგიაზე დაწერილ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებთა შორის შეიძლება დავასახელოთ ოსკარ უაილდის „სალომე“ და ჰაინრიხ ფონ კლაისტის „პენტეზიდეა“.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ქართულ მწერლობაში ამორძალების, როგორც ლიტერატურული სახის პერსონიციკრება პირველად ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ხდება. ტიციან ტაბიძის ინტერესი მითებისა და მითოსური არქექტიპების მიმართ სრულიად კანონზომიერია. მწერლის ლტოლვა მითოსური სამყაროს ლიტერატურიზირებისაკენ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან წარსულისაკენ მიბრუნება რომანტიკოსთა დარად სიმბოლიზმსაც ახასიათებდა. გავიხსენოთ თუნდაც მათი ოცნება საქართველოს მონარქიული წყობილების აღდგენაზე. სათავეებისაკენ მიბრუნების სურვილი განპირობებული იყო არამარტო კაცობრიობის სიყრმის ნოსტალგიით, არამედ მითისქმნადობის ახალი მოდელის დამკვიდრების სურვილით. აწმყოს მითოლოგიაზეა ხდებოდა არამარტო ქართულ მხატვრულ აზროვნებაში, „ჯერ კიდევ ფრიდრიხ ნიცშემ აღადგინა დიონისოს რელიგია, შექმნა ზეკაცის მითი, რომელიც ძალაუფლების ნებაში განხორციელდა და ქრისტეს დაუპირისპირდა. ზიგმუნდ ფროიდმა ახალი მითი სექსში დაინახა, მარქსმა – კლასთა ბრძოლაში, აინშტაინმა – ოთხგანზომილებიან სამყაროში, ვაგნერმა – ნიბელუნგების სამყაროში“. ერთი სიტყვით, ხელოვანთა საუფლოს რჩეული არისტოკრატები წარმოუდგენლად მიიჩნეოდნენ რაიმეს ასახვას მითის დამოწმების, მითიური მეხსიერების ამოქმედების გარეშე. „ვისაც სიმბოლო და მითი არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“ – აცხადებდა გრ. რობაქიძე.

ტიციან ტაბიძე მითხრობაში „შექმნილი ლეგენდა“ ეყრდნობა ძველბერძნულ მითს, მაგრამ ამავდროულად შემოჰყავს

ნაციონალური, მახლობელი და მშობლიური მითიური პერსონაჟი - ამირანი.

საოცარი სისრულითა და ოსტატობით არის აღწერილი ამორძალების დედოფლის - ისოველის ბოხოქარი ნებებეს სამყარო. ტიციანი მოთხრობის შესავალშივე იძლევა პორტრეტს, რომელიც მისი სულიერი სამყაროს იდენტურია. „ისოველ - ასე ერქვა ამორძალების დედოფალს. შეუღამისას მძინარე ტბაზე ანთებულ ჩირაღდანს მიაგავდა მისი თვალები, კოლხიდის ჭალებში გაუშლელი ჭკნებოდა ველური ვარდი, დედოფლის მკერდს რომ შეხედავდა, შემდეგ ეკარგებოდა სურვილი, რომ გაშლილიყო. გულუბრყვილო პართიანელს მშვილდი ეგონა მისი მოღუნული წარბები და ისრები - წამწამები. მის ხშირ ტვერთმას ჰქონდა ფერი ისეთი შავი, როგორიც ყორანმა მიიღო უფლისაგან დაწყევლის შემდეგ.“ ეს ქალი, აუტორის თქმით, ღრერთა გიჟური ავხორცობის ჩანასახია და ამიტომაც „მასში ყოველთვის ცხოვრობს გაუმაძღარი, არავისგან ნანახი ავხორცობა“. დაუოკებელი ინტერესის მომგვრელია ასეთი ბუნების ქალის ამბავი, რომელსაც აუტორი საოცარი ექსპრესიულობით გვიყვება.

ისოველი ძლიერი ქალის ტიპია, ამიტომაც მუდამ მარტოხულია, რომელიც ცნობისმოყვარეობას იწვევს და რომლისგანაც მუდამ რაღაცის შეცნობას მოვლიან უბრალო მოკვდავნი. „ის მიაგავდა უდაბნოში, ცხელ სილაზე გაწოლილ ვეებერთელა გველს, სიყვარულის აღერსის მოლოდინში მონებიერეს“. ისოველი სიყვარულის აღერსის მოლოდინში მონებიერე ქალია. მართალია, ბევრი ეაჟკაციის გული დაუსერავს, ბევრი თაებრუდაჩვევი ქალური წარმატება მოუპოვებია, მაგრამ მაინც გრძნობის მოლოდინშია. „მაშ, რა ახრი ჰქონდა ჩემს განენას, თუკი ებუდური უნდა ვყოფილიყავი?!“ - ფიქრობს ისოველი; იგი განწირულია მარტოობისათვის. ჩვენი ახრით, ისოველი შეკაცის ყაიდაზე პროეცირებული ქალის ხატია. მისი მედიდურობის,

სიამაყის რეალიზება ჩვეულებრივ სამყაროში ჩვეულებრივად ქალისათვის დამახასიათებელი ტიპური ნებულობით არ ხდება. მისი დემონური პატივმოყვარეობა ხელს უშლის მას იყოს ბედნიერი არსებულ გარემოში. მაგრამ ძლიერი ნებისყოფის ქალი არ ურიგდება ღმერთებისაგან ბოძებულ ბედისწერას. მთელ მის შეგნებას მასთან ბრძოლის უინი და აღტყინება მართავს. ტანსაცმელშემოფლეთილი მიაღწევს იგი ალექსანდრე მაკედონელის სარეცელამდე. თითქოს ორმა დაკარგულმა ნახევარმა კპოვა ერთმანეთი. „მე შენ არ მენახე და მიყვარდი. სიხმარში გსედავდი და ახლაც არ მჯერა, რომ ნამდვილია“. ორთავე – ალექსანდრე და ისოველი ღმერთების რჩეულნი არიან. ამიტომაც შეახვედრა ისინი ბედისწერამ. დაუპყრობელის დაპყრობის, შეუცნობელის შეცნობის მოუთოკავე სურვილი მართავს ორთავეს. სწორედ ამაშია ამ პერსონაჟის ხასიათის სიღამაზე და მომსიბეღელობა. დაუოკებელი სწრაფვა შეუცნობელისა და სიცოცხლის უგემური სიამისაკენ ხომ მუდამ დიდი ვნებების, დიდი უინის აღმძვრელია ადამიანში.

ტიციან ტაბიძეს მოთხრობაში აინტერესებს არა იმდენად ისოველ – დედოფალი, არამედ ისოველ – ქალი. სწორედ ისოველ ქალი არის მისი აღტაცების საგანი და ჩვენთვის საინტერესო თავისი ფსიქოლოგიური წყობით. ისოველი მრისხანე დედოფალია, მაგრამ ეს ქალური მრისხანება უფროა, ვიდრე მეფური. როგორც კი უღირსი მონა თვალს შეაყლებს მშვენიერ დედოფალს და ისოველი მასში მამაკაცის ვნებიან გამოხედვას დაიჭერს, მას მრისხანება და ბრაზი ეუფლება. „ისოველს არ გამოპარვია მონის ხელის მოძრაობა და მოუნდა, საშინლად მოუნდა მისი სიკვდილი“. „ღმერთებთან წილნაყარი“ ეს მარტოსული ქალი მთელი არსებით ეწინააღმდეგება ბედისწერას, როდესაც სიკვდილი მას ხელიდან აცლის ალექსანდრე მაკედონელს, ნიშნად პროტესტისა იგი ამირანის ნახვას ელტვის.

კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ეს მითიური გმირი „დედოფლის“ დამსხვრეული იმედის გემზე აფრიალებული აალქანია“.

მოთხრობის ფინალში კავკასიის ქედისაკენ იზურა-მიყურობილ დედოფალს ვხედავთ. იგი უსათუოდ უნდა ავიდეს ამირანთან, კავკასიის ქედზე, რათა კვლავ დატყბეს სიყვარულის იმ გიჟური ვნებით, რომელიც მსოფლოდ ამ ტიპის ქალებისთვისაა ნიშანდობლივი, მისი დუელი ბედისწერასთან კვლავ გრძელდება.

ჩვენი აზრით, ეს მოთხრობა არ ჰგავს ტიციან ტაბიძის მინიატურებს არც ასახეის რაკურსითა და არც გაწყოებით. მოთხრობის პერსონაჟი ერთადერთი მებრძოლი ხასიათის გმირია მის იმდროინდელ ნაწარმოებებში. სწორედ ამის გამო მოთხრობას რომანტიკული შექნარდილები უფრო დაეკება, ვიდრე დეკადენტურ-სიმბოლისტური ინტონაცია. შემთხვევით არაა, რომ სიმბოლისმს ზოგჯერ ნეორომანტიზმსაც უწოდებენ. წარსულის გაიდევლებით ისინი გარკვეულწილად ემსგავსებიან ერთმანეთს. მათი დამოკიდებულება მომავლისადმი კი უფრო განსხვავებულია. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვყავს რომანტიზმის ნათელი ფრთის წარმომადგენლები.

ამორძალების არანაკლებ საინტერესო სახეა დახატული მოთხრობაში „ამორძალები“. სხვათაშორის, ეს ნაწარმოები, ტიციან ტაბიძის თხზულებათა სამტიომეულში ნარკვევადაა მიჩნეული და შეტანილია ნარკვევების ციკლში. ჩვენი აზრით, ის მოთხრობაა ყველა მიმართებით და პოეტის ნაწარმოებთა ბოლო კრებულში ის სწორედ მოთხრობათა რკალშია მოქცეული.

ნაწარმოებში მოქმედება მიმდინარეობს შავი ზღვის სანაპიროებზე. უნდა ითქვას, რომ კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროზე სინამდვილეში არსებობდნენ ამორძალები. ამ ტერიტორიაზე მართლაც ნაპოვნია ძველი დროის ამორძალების სამარხები. მპიეების გვერდის აღმოჩნდა საბრძოლო დანები, ფარები,

ქუენის აღკაზმულობა – ყველაფერი, რასაც ისინი სიცოცხლეში
ქუენებდნენ და, რაც მიჰქონდათ საიქიოში.

მოთხრობის სიუჟეტი, ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების ევრო-
პაში გაქრცელებულ ერთ-ერთ თქმულებას ეყრდნობა. დაღემი-
ღის ლექსად დაწერილ ქრონიკაში მოთხრობილია ჩეხი ამორპა-
ლების შესახებ, რომლებმაც დახოცეს საკუთარი ქმრები და 739
წელს ვლასტას მეთაურობით დაიწყეს ომი მამაკაცებთან. ძნე-
ლია დაწამდილებით იმის თქმა, იცნობდა თუ არა ტიციან ტაბიძე
აქ ევროპულ თქმულებას, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტი ძლიერ
წააგავს ზემოთ მოთხრობილ ამბავს, ქმრების წინააღმდეგ ამ-
ბოხებული ამორპალების წინამძღოლი ვლასტა კი მოთხრობის
მთავარ გმირს – ტომირანდას.

ამორპალების დედოფალი – ტომირანდა, უარყოფს რა თავის
პირველყოფას, თავად ხდება თავისი ბედის რეჟისორი. მის ხას-
იათში თავიდანვე იგრძნობა მეამბოხე, რადგან „ტომირანდა არ
შგავდა სხვა ქალებს, ის დაბადებული იყო გრიგალისა და ქარიშხ-
ლებისათვის, ეჯავრებოდა მყუდრო ცხოვრება და მშვიდი ამინ-
დი. მისთვის დღესასწაული იყო იარაღის უღარუნი და ბუნების
ქარიშხალი“. ავტორი ამით გვაგრძნობინებს, რომ ამ პერსონ-
აჟის ირცელივ უნდა წარიმართოს მბაფრი, არაორდინალური
მოვლენები. რომ ამ ქალის გამონენა უსათუოდ დაუკაჟ-შირდება
უდიდეს ცვლილებებს იმ საზოგადოებაში, რომელშიც იგი ცხ-
ო კრობს. მართლაც, როგორც კი საფრთხე დაემუქრება მის ქალურ
ღირსებას, ტომირანდა იწყებს არსებობას როგორც მეამბოხე და
დაუნდობელი მბრძანებელი.

შაჟი ზღვის სანაპიროებიდან ყველა მამაკაცი გაქრეფილ-
ია აზიაში საომრად. ქალები და ბავშვები ბედის ანაბარა მიუ-
ტოვებიან. შიმშილი და ავადმყოფობამ საშინლად გაამწარა
ისინი. ტომირანდა გრძნობს, რომ მოვიდა მისი უამი და იწყებს
ქალთა აამეფოს დაარსების იღვის ხორცშესხმას. იგი შეისწავ-

ღლის მშვილდ-ისრის ხმარებას და უკეთ რომ დაეუფლოს მას, მარჯვენა მკერდს მოიჭრის. „ტომირანდამ ამოიღო გახურებუ-
ლი მუგუნალი და ბევრი არ უყიქრია – მიიტანა მარჯვენა
კუძქუსთან. ხორცი დაიწყო შიშინი და დამწვარი ხორცის სუნი
მოედო არემარეს. საშინელი ტკივილი იგრძნო ტომირანდამ, მა-
გრამ ერთი არ დაუკენესია და არც ერთი ცრემლი არ ჩამო-
ვარდნია“. ამორძალად კურთხევის ამ სცენით ტომირანდამ დემონ-
სტრაციულად დაუმტკიცა თავისი უპირატესობა ქალებს და ყვე-
ლას აგრძნობინა მისი წინამძღოლობის გარდუეალი კანონ-
ზომიერება. ეს ძლიერი ქალი ხსნას პოულობს არა ქმრების
დაბრუნების შოლოდინსა და იმედში, არამედ საკუთარი სი-
ძლიერისა და ავტორიტეტის შექმნაში. ამასვე შთაუნერგავს იგი
სხვა ქალებს. ერთადერთი, რაც მას ამოძრავებს, ეს არის დაუოკე-
ბელი შურისძიების უინი უსამართლო და უღმერთო წამები-
სათვის, რაც მან და მისმა მეგობარმა ქალებმა გადაიტანეს თა-
ვიანთი ქმრებისაგან. „ტომირანდა დიდხანს ეძებდა ვილაცას
ჯარში, შემდეგ მისი თვალები გაიერდნენ ახლასე.

– გახსოვს, შენ როგორ მიგაბა ქმარმა გარეულ ხარს და მინ-
დორში გააქროლა... გახსოვს, როგორ ხარობდა, როცა ტანში
ქვეები და კენჭები გესობოდნენ?

– მახსოვს დედოფალო და არც არასდროს დამავეიწყდება, ჩემი
იმედი გქონდეთ.

– პროტია, გახსოვს, როგორ დაგამწყვდია ქმარმა ქვიან გამოქე-
აბულში და არ გაჭმევდა საჭმელს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ
დაგებადა ქალი და არა ვაჟი?

– მახსოვს და არც დამავეიწყდება, დედოფალო.

–მეც არ დამავეიწყდება არაფერი – გაათავა ტომირანდამ... და
არც არავის ვაპატიებ...“

ამ განწყობილებით დამუხტული ტომირანდა ყველაფერს
აკეთებს გამარჯვებისათვის და მართლაც, მისი პირველი ნაბიჯები

დამოუკიდებლობისაკენ ტრიუმფით იწყება. იგი დიდი წარმატებით დაიყოლიებს ქალებს მკერდის მოკვეთაზე, გააძულებს თავიანთ ქმრებს და შურისძიების გრძნობით განაწყობს მათ. იწყება ტომირანდას ზეობისა და გაღმერთების ხანა. მის ქანდაკებას გუნდრუკს უკმევენ. მისი ყოველი სიტყვა გარღვეულია კანონია ამორძალთათვის. ისინი ტომირანდას უყურებენ, როგორც მესიას: „ტომირანდა, გვიპატრონე, ჩვენ დაგემორჩილებით ყველანი! – ისმოდა ძახილი“. მაგრამ მოთხრობაში იბადება წინააღმდეგობა მშვენიერი ამორძალი ქალების – ფემასა და კლიტევრას სახით. ერთი შეხედვით, მრისხანე დედოფალი მათაც იმორჩილებს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. წინააღმდეგობა კი იმდენად უმნიშვნელოა გამძვინვარებულ ქალთა მასასთან შედარებით, როგორც ოკეანეში წვეთი წყალი.

ტომირანდასგან შთაგონებული ამორძალები ხმლითა და მახვილით ეგებებიან თავიანთ ქმრებს, მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ტომირანდას ზმანებაში შემოდის მოგონება ქმართან გატარებული დღეებისა და მის არსებაში დედოფლის პატიემოყვარეობასთან ბრძოლას იწყებს დედაკაცური საწყისები. „მის ძლიერ ბუნებას ესმანებოდა ქმრის ალერსი და ამ გრძნობით შედიოდა კარავში“. ტომირანდას ხასიათი მთლიანად დამუხტულია სისასტიკითა და ტირანიით, მაგრამ ამ ჯაუშანისებური საფარველიდანაც აღწევს ქალური ინსტიქტები, განგებისაგან მინიჭებული ბუნება მისი სქესისა. სიყვარული მას დიდების მწვერვალზე წამოეწევა. ავტორს შეგნებულად პყავს შემოყვანილი ნაზი, მოსიყვარულე ამორძალის – ფემას სახე, რომელიც ბედისწერასავით გასდევს საკუთარი დიდებით მონებიერე დედოფლის სიცოცხლეს. იგი თავიდანვე არ იზიარებს ტომირანდას აზრებსა და მიზნებს. ფემა და ტომირანდა ანტიპოდები არიან. ფემა ბუნებრივია, მიწიერი და სათნო. ტომირანდა კი თუმცა ძლიერი, მაგრამ პატივ-

მოყვარე, სასტიკი დედაკაცია. რომელი ადგას ჭეშმარიტების გზას, მრისხანე დედოფალი თუ ფემა? ტომირანდას დაცემა კანონ-სომიერი და ლოგიკურია. სიკვდილის აგონიაში მყოფი დედო-ფალი გრძნობს, რომ მისი რწმუნობის იდეა მხოლოდ ფარსია, რადგან მან დიდების მწვერვალისაკენ მიმავალმა დაკარგა ყვე-ლაზე მთავარი – მიწიერი საწყისის შეგრძნება.

მოთხრობის გამჭოლი იდეაა, რომ სიძულვილს ამარცხებს სიყვარული, სიკვდილს – სიცოცხლე. ადამიანის ზეასვლა სისხ-ლიანი ვსით განწირულია უკუსელისაკენ ტრაგიკული ფინალით. ტომირანდას მორალური მრწამსი ეურდნობა საკუთარ სულიერ და ფიზიკურ სიძლიერეს. იგი წინააღმდეგობას დიდ შინაგან ქალურ ინსტიქტებს, მისი არსებობის ყველაზე გრძნობად მს-არეს. მისი თავზეხელადებული სისასტიკე და ფანატიკური გატა-ცება მარცხდება ადამიანური სიყვარულის წინაშე და ტომირან-და თავისივე ხელით მიჰკლვარებით დანადრულ ველზე ფეთქდუ-ბა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოროტების დამარცხების კანონ-სომიერება მოთხრობაში ბუნებრივად არის გატარებული. 1925 წელს დაწერილი ეს ნაწარმოები საგრძნობლად განსხვავდება ტ. ტაბიძის ათიანი წლების პროზისაგან ოპტიმისტური პათოს-ითა და მხატვრული ასახვით.

საინტერესოა ისიც, რომ ტ. ტაბიძეს დაუწერია სცენარი „ამორძალების დედოფალი“. გაზეთ „კომუნისტის“ 1927 წლის 5 მარტის ნომერში დაბეჭდილია ცნობა, რომ რეჟისორი ალექსან-დრე წუწუნავა პოეტ ტ. ტაბიძის სცენარით გადაიღებს კინო-ფილმს „ამორძალები“. იმავე გაზეთის მე-8 ნომერში გამოქვეყნ-და სახკინმრეწვის დირექტორის ინტერვიუ, სადაც იგივეა გაცხ-ადებული.

როგორც ვიცით, სახკინმრეწვეს ასეთი ფილმი არ გადაუ-ღია. საინტერესო იყო იმის გარკვევა, მართლა დაწერა ტ. ტაბი-

ქემ სკენარი, თუ ეს იყო დაპირება ან ვარაუდი, რაც პოეტს შემდგომ არ შეუსრულებია. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ იმ წლებში ქართველი მწერლების მიმართ ცხენე ფრთა და პროლეტარული მწერლობა აქტიურად იყო ნაბმული ქართული კინოს საქმიანობაში. სოვიერთმა მათგანმა მთელი თავისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება კინოს შესწირა.

ცისფერყანწელები, თეატრისგან განსხვავებით თითქოს ინტერესს არ იჩენდნენ კინოსადმი. მაგრამ რეჟისორ ალ. წუნუნაევას პირად არქივში აღმოჩნდა ტ. ტაბიძის კინოსცენარი „ამორძალების დედოფალი“ დაწერილი ქართულ და რუსულ ენაზე. სცენარს წინ უძღვის შესავალი, სადაც ტიციან ტაბიძე წერს: „რასაკვირველია, დღევანდელი კინოწარმოება დაყრდნობილია თანამედროვე ყოფას. ამ მხრივ ქართულ კინოს აქვს კიდევ თავისი ისტორია. ბევრი თვალსაჩინო ქართველი მწერლის ნაწარმოებები გამოიყენა კინომ, პირველ რიგში, ალ. ყაზბეგი. მაგრამ ყველა ამ ნაწარმოებს აქვს განსაზღვრული მოკლე რადიუსი მოქმედებისა და არ არიან გადასული მსოფლიო რკალზე. მაშინ, როცა ბევრი ქართული პრესტორიული და ისტორიული თემები ამისათვის იძლევიან მდიდარ მასალას. ჯერ მე ვფიქრობდი დამეწერა სცენარი უფრო რომანტიკულ შამილის ეპოქაზე. რასაკვირველია, ეს არ იქნებოდა მარტო ქართული ფილმი და მას მეტად მჭიდრო კავშირი ექნებოდა კავკასიასთან. შემდეგ მე ვფიქრობდი დამეწერა სცენარი არგონავტების მოგზაურობაზე, კოლხიდაში მედეას და ოქროს ვერძის მითისა – მაგრამ ჩვენში ტექნიკური საშუალებები ამას უთუოდ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ აიტანენ. წინამდებარე სცენარი „ამორძალების დედოფალი“ დაწერილია ძველი ლეგენდის გავლენით – ჩემი ფიქრით, ეს არ იქნება ახელი დასადგმელი და ამას გარდა აღებული თემაც, ასე ვთქვათ, საერთაშორისოა, რომელიც წინასწარ გულისხმობს რადიუსის გადიდებას“.

ტ. ტაბიძის სცენარი „ამორძალების დედოფალი“ შვიდი ნაწილისაგან შედგება: 1. შეხვედრა მთაში; 2. სიკედილის რთეწლი; 3. ტომირანდას სასახლე; 4. ფემა; 5. ქორწინების ღამეები; 6. კლიტევრა; 7. ტომირანდას ბოლო.

სცენარი ძალზე საინტერესოა როგორც დრამატული ქარგით, ისე პერსონაჟთა ხასიათებით. იგი დაწერილია ეკრანის სპეციფიკის ცოდნით და აბსოლუტურად პასუხობს კინოსცენარის მოთხოვნილებას.

როგორც ვხედავთ, ტ. ტაბიძეს კალამი უცდია ქართულ დრამატურგიაშიც. რაც, ცხადია, მის ფართო განსწავლულობასა და დიდ შემოქმედებით ენერგიაზე მიუთითებს.

„ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი“

ტ. ტაბიძე თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდშიც ყხიხლად ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ის ისტორიული კატაკლიზმები, რომლის მომსწრე თავად პოეტი გახლდათ, არ შეიძლებოდა მის შემოქმედებაში რაიმე ცვლილებების დასაბამი არ ყოფილიყო. ძნელი სათქმელია, ნამდვილად გულწრფელად გაითავისა მან „რევოლუციური ქარიშხალი“, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სინამდვილე მის შემოქმედებაში უაღრესად თავისებური ფორმით გამოიმჟღავნდა.

20-იანი წლებიდან ტიცვიან ტაბიძე ნარკვევების ჟანრს ეძალეობა. ნარკვევი დოკუმენტურ ეპიკურ ჟანრებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ჟანრია. „იგი ხასიათდება ნამდვილი ამბის, უპირატესად სანიმუშო მოვლენის ან აღამიანის მხატვრულად წარმოსახვით, უსიუეტო, აღწერითი თხრობითა და მომენტის შესაფერისი სააგიტაციო ხასიათის იდეური აქცენტირებით, აშკარა განსჯით. ავტორი უშუალოდ, არსებითად, პუბლიცისტური სიმახვილით ავლენს თავის შეფასებას, დამოკიდებულებას“. ტიცვიან ტაბიძემ თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსახატავად ამ ჟანრშიც სცადა ბედი. ფართო განათლებისა და მახვილი ინტუიციის პოეტმა შეძლო ქართული და არა მარტო ქართული კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენების აქტიურად გაშუქება პუბლიცისტისა და დოკუმენტალისტის მზერით. ამიტომაც მის ნაშრომებში თავმოყრილია უამრავი შემეცნებითი მასალა უაღრესად საყურადღებო არა მარტო აკადემიური ლიტერატურათმცოდნეობისათვის, არამედ ისტორიისათვისაც. ობიექტური სინამდვილის შესანიშნავი აღქმის უნარი, რწმენა იმისა, რომ ყველაფერი უკვე კეთდება ძლიერი, გაუტეხელი ფსიქიკის მქონე ხალხის ჩამოსაყალიბებლად, „მონოლითური სახელმწიფოს“ შესაქმნელად ასაზრდოვებდა ტიცვიან ტაბიძის გული-

სყუროთ შექმნილ ნარკევეებს. ეს იმას ადასტურებს, რომ ნარკევეები არ ყოფილა მისი დროებითი გატაცების საგანი. ლოკუმენტური ჟანრი იქცა მისი „სუღიერი მისწრაფებების“ დაკმაყოფილების ერთ-ერთ იარაღად. ვინ იცის, იქნებ თავის გადარწმუნის საშუალებადაც, როცა ტიციანმა თავად აღიარა, რომ „ხელმეორედ დაიბადა და მოინათლა ცეცხლითა და ნიაღვრით“. პოეტი ერთგვარად მოიხიბლა „ზედადამიანური ეპოპეით“ და საოცრად გულწრფელი სამსახური გაუწია საქართველოში ახალი წყობის იდეოლოგიურად ჩამოყალიბების საქმეს.

ნარკევეის დასახასიათებლად საჭიროდ და უურადსაღებად მიგვანნა 1934 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ კრიტიკოს შ. აღხაზიშვილის მიერ შემოთავაზებული ნარკევეის, როგორც ლიტერატურული ჟანრის ფორმულირება. იგი წერს: „ნარკევეი ისეთივე უფლებების ლიტერატურული ჟანრია, როგორც მოთხრობა, ნოველა ან რომანი. ცხადია, ნარკევეი ვერ განდევნის ლიტერატურიდან სხვა ჟანრებს, ვერ გასწევს მათ მაგივრობას, მაგრამ ეს არც არის საჭირო, რადგან ნარკევეს აქვს თავისი დამოუკიდებელი და სპეციფიკური ლიტერატურული მნიშვნელობა. ზოგი ფიქრობს, რომ ნარკევეი უნდა აძლიერდეს მხოლოდ უბრალო ინფორმაციას ამა თუ იმ აღმშენებლობის ობიექტების შესახებ. არაა სწორი: ნარკევეი უბრალო საგანზეთ რეპორტაჟი არ არის, სადაც მხოლოდ ფაქტების აღწერას ხდება, საქმე სწორედ იმაშია, რომ ნარკევეი შემოქმედებაა და როგორც ასეთი მოითხოვს მისი დამწერისაგან შემოქმედებით სამუშაოს, საჭიროა, რომ ნარკევეის დამწერი ფაქტების ტყვეობაში არ იმყოფებოდეს, არამედ არჩევდეს მთავარ ფაქტს მეორესარისხისგან და ფაქტისაგან დადინახოს ფაქტი არა განყენებულად, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობაში“.

არც თუ ცნობილი კრიტიკოსის მიერ ნარკევეის სპეციფიკაზე საუბარი, ჩვენი აზრით, ზედმიწევნით სრულად არის წარ-

მართული. საგულისხმოა ისიც, რომ ტიცციან ტაბიძე სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა. ამ უანრისადმი შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობა ტიცციან ტაბიძეს კარგად ჰქონდა აცნობიერებული.

მან იმთავითვე განსაზღვრა ნარკვევის უანრული სპეციფიკაც. იცოდა, რა რომ „ახალი ეპოქის შემქმნელებს“ პოპულარობა სჭირდებოდა, ენერგიულად, ენთუსიაზმით აცნობდა მკითხველს „ახალი კაცისა“ თუ მოკლენის სახეს. ქართულმა კრიტიკამ იმთავითვე ჯეროვნად შეაფასა მისი ნიჭიერად დაწერილი ნარკვევები. ცხადია, რომ ისინი უპირველესად ტიცციანის „იდეოლოგიურ მუშაობას“ აფასებდნენ და მერე კი მის მხატვრულ-გამომსახველობით უნარს: „ტიცციან ტაბიძის ნარკვევები — ეს არის უშუალო გაგრძელება მისი პოეტური შემოქმედებისა. სივა ქართველ მწერალთა იმდროინდელ ნარკვევებთან ერთად ტიცციან ტაბიძის ეს ნიჭიერად დაწერილი ნარკვევებიც უდავოდ ქმნიან გარკვეულ ეტაპს ქართული ნარკვევის ისტორიაში და მისგან თანამედროვე ქართული ნარკვევის ოსტატებმა ჯერ კიდევ ბევრი რამე უნდა ისწავლონ“ — წერდა იმ პერიოდში სარგის ცაიშიელი.

ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები ძალაუწებურად განაწესობდა ტიცციან ტაბიძეს აქტიურ პოზიციაზე დასადაგომად. ნარკვევები მას საშუალებას აძლევდა თავისებურად გამოემჟღავნებინა სინამდვილესთან დამოკიდებულება. მართლაც, როდესაც არჩახული ტემპით დაიწყო შერჩება. ჭაობების ამოშრობა და არსების გაყვანა, ძნელი იყო დადებითი ემოციების მოთოკვა. პიოუმეტეს, რომ პოეტი ძალიან ბევრს მოგზაურობდა და ეცნობოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გაშლილ მშენებლობებს. „დეკადენტური განწყობილებებით“ მოქანცული პოეტი საოცარი ინტერესით აჰყვამ განახლებისა და ცვლილებების ამ ორომტრიალს. თავის ერთ-ერთ სოლიდურ ნარკვევში „ახალი კოლხ-

ოდა“ ტიცციან ტაბიძემ თანაგრძობა გამოუცხადა ახალი კოლხიდის პერსპექტივებსა და მაღარით დახშული ჭაობების ამოშრობის საშეილიშეილო საქმეს. მან ნარკვევის შესავალში ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია: „ახლა ნაკლებად საინტერესოდ მიმაჩნია საკუთარი პირადი განცდა და ჩემი მეზობლების რომანტიკულ ცხოვრებასაც ნისლი გადაეფარა. ახლა მე მინდა უუმღერო იმ საქმეს, რომელიც საერთოა ჩემთვის, ჩემი მეზობლებისა, ყველა ქართველისათვის“. სხვათაშორის, ნათქვამის გულწრფელობა ჩვენთან საუბარში დაადასტურა ნიტა ტაბიძემაც. მისი ცნობით, ტიცციანს მეუღლე – ნინო მაცაშვილიც ჩაურთავს ამ გრანდიოზულ პროექტში.

ნარკვევი „ახალი კოლხიდა“ ეძღვნება ტიცციანის ორპირელ მეზობლებსა და რუს ინჟინერს ვასილი ავდევეს, რომელიც ინიციატორი ყოფილა კოლხიდის ჭაობის ამოშრობის. ცნობილია, როგორი სიყვარულით უყვარდა ტიცციანს მშობლიური ორპირი. ეს გრძობა – უდიდესი სითბო, მზრუნველობა მშობლიური კუთხისა და ხალხისადმი, რომელთა წრეში გაიზარდა პოეტი, მას არასოდეს განელებია. ნინო ტაბიძე იგონებს: „ტიციანს ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური სოფელი ორპირი, უზარმაზარი ხის ოდა, ეზოს უკან წაბლისაგან ნაგები სამზარეულო. შუა ცეცხლზე შემომდგარი, მიიმე ჯაჭვებზე ჩამოკიდებული ქვაბის ყურება ქვეყანას ერჩინა“. სწორედ ორპირისა და ორპირელებისაგან იყო ბევრით დაეაღებულ ტიცციანის შთაგონება და პოეტური ფანტაზია. ამის აღნიშვნა მას ნარკვევებშიც არ ავიწყდებოდა: „მე მათგან მაქვს სლაპრების სურნელება დარჩენილი, მათგან ვისწავლე არსენას ლექსის კითხვა და რიონში ცურვა, აქამდე გამომყვა რძია-რძიისა და ლაყანის სინედლე, რომელიც ერთადერთი ატრიალებს ღირიკის წისკვილს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნარკვევი „ახალი კოლხიდა“ ეძღვნება ტიცციანის ორპირელ მეზობლებსა და რუს ინჟინერს

ვასილი ავდევეს. ეს კაცი ხშირი სტუმარი ყოფილა ტაბიძეების ოჯახის და გაუცენია იგი მათთვის პაოლო იაშვილს. ნინო ტაბიძე თავის წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“ მას დადებითად ახასიათებს: „საინტერესო პიროვნება და პოეზიის დიდი ტრფიალი გახლდათ. მის კალამს ეკუთვნის წიგნი ‘მე მიეღივარ’. მგონი, ჭიათურაში მუშაობდა, რკინიგზა გაჰყავდა. გენიალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული, ვოლგის დინების შეცვლას, მიწების განაყოფიერებას აპირებდა. ამ თემაზე ლაპარაკი არ სწყინდებოდა. მაღლე ავდევევი მოსკოვში გაემგზავრა. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი სახელი გამოუყო, სადაც განაღდა მუშაობა ამ გეგმების ცხოვრებაში განსახორციელებლად, მაგრამ 1937 წელს ვერც ავდევევი ასცდა ბედის რისხვას“. როგორც ჩანს, ვასილი ავდევეის ამ გეგმებს ბოლო ხანებში შეემატა კოლხიდის ჭაობის ამოშრობის ინიციატივაც. ამ პიროვნების სხვა გამოჩენულ თვისებებთან ერთად, ორპირის განახლების ინიციატორი ავდევევი, რასაკვირველია, პოეტში დიდ პატივისცემას იწვევდა. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები იმ ტოტალური წმენდის ეპოქაში უფრო ხშირად იქცეოდნენ სამიწნეებად. როგორც ირკვევა, ისიც 1937 წელს დაუხერტიათ.

ნარკვევი „ახალი კოლხიდა“ შედგება რვა ნაწილისაგან:

1. მითოსის დიალექტიკა; 2. კოლხიდის ორმაგი ბუნება; 3. ტრაგიკული მედეა; 4. ჰიპოკრატეს დიაგნოზი; 5. პატრონის მოლოდინში; 6. კოლხიდის ჭაობის ამოშრობა; 7. ნაოსნობა რიონზე; 8. ზღვის კურორტი ანაკლია.

ნარკვევში თავიდანვე იკვეთება მწერლის დადებითი განწყობილების კონტურები კოლხიდაში დაწყებული მუშაობის მიმართ. ეს დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივად მოჩანს, რადგან ტიციან ტაბიძეს კარგად ახსოვდა ჭაობისაგან დამღიერებული ეს მხარე. იგი ხშირად ისტორიკოს-მემატიანეებსაც იშველიებს, რათა მკითხველს თვალწინ აღუდგინოს ძველი კოლხე-

თის სურათი. მართალია, ეს მხარე შედეგს სამშობლო, „კოლ-თა უძველესი ცივილიზაციის მიწა“ და ოქროს საწმისის ქვეყანა იყო, მაგრამ, მისი თქმით, „თუ მშრომელი ხალხის მარჯვენამ არ მოიცავდა“, ჭაობის სინესტე და ფაცხებში დანთებული კვარი ბევრს ვერაფერს შემატებდა მის ისტორიულ წარსულს. ტიცთან ტაბიძე მართლაც გულწრფელი აღტაცებით შესცქეროდა კოლხიდის ყმაჩანებს შერკინებულ მშრომელი ხალხის შრომით, აათოსს.

ნარკვევი 1931 წელსაა დაწერილი. ამ დროისათვის ტიცთან ტაბიძეს უკვე კარგად აქვს გაწაფული ხელი ნარკვევების წერაში, მაგრამ ყურადღებას იპყრობს არა მარტო წერის მანერა, ოსტატურად აღწერილი ეპიზოდები და ფაქტების სიზუსტე, არამედ მისი დიდი განსწავლულობაც. იგი კარგად არის ნახედული ქართულ მატრიანეში. შესანიშნავად იცნობს იმ წყაროებს, რომელთაც შემოუნახავო ცნობები ამ რომანტიკული კუთხის შესახებ. შესაშური სიზუსტითა და ისტორიის ცოდნით არის აღწერილი ნარკვევში ძველი კოლხეთის ისტორია. ავტორი ეყრდნობა რომაელ, ბერძენ ისტორიკოსებს, თქმულებას არგონავტებზე, ასოლონ როდოსელის, პიპოკრატეს, კარლოს რიხტერის შეხედულებებს კოლხეთის ისტორიისა და ბუნებრივი პირობების შესახებ.

ნარკვევში მოცემულია მეტად საინტერესო მოსაზრება: კერძოდ, პოპეროსის „ოდისეაში“ ულისის აღწერილობა მას აგონებს კოლხიდის ბუნებას: „როცა „ოდისეაში“ ვკითხულობთ ულისის ამბავს, ჩვენ ადვილად ვცნობთ კოლხიდას და მის აღწერილობას. მართლა და ვინ არ მიხვდება, რომ აქ კოლხიდასება ლაპარაკი, როცა იხსენება ფართო მდინარე, რომელშიც შესულა ულისის ხომალდები, ის ევება ტყე, რომელიც მოდებულია სღვის ნაპირზე, ის ირმები, აქ რომ ბლომად შეხიზნულან და ის სასახლე, რომელიც ტყით დაბურკულ აღვიღზე დგას. ადვილი ამოსაცნობია ამ აღწერილობით აწინდელი ნაქალაქევი. დეინო და

თაფლი აქ დღესაც ისეუ ჩინებულთა და ქაღები დღესაც ისე ხელსაქმობენ ქარგაზე, როგორც პომეროსის დროს.“ სხვათა- შორის, ეს მოსაზრება მოგვიანებით განაყოთარეს გ. გორდესიან- მა და აგრეთვე ზვიად გამსახურდიამ თავის ცნობილ ესსეში „საქართველოს სულიერი მისია“.

როგორც უკვე ვახსენეთ, ტიცვიან ტაბიძე თავის ნარკვევში კერძობა არაერთი ცნობილი მემბტიანისა და მოგზაურის ჩანაწერებს კოლხიდის ბუნების თაობაზე. მათ შორისაა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც იმოგზაურა კოლხიდაში და 1859 წელს ფოთის ქალაქად გამოცხადების ცერემონიალსაც დაესწრო. ცნობილი რომანისტი ყელამღე უფლობოდა სამეგრელოს ჭაობებში. აღ. დიუმა თავის მოგონებებში არაერთგზის აღნიშნავდა კოლხიდის ნესტიანი ბუნების ნაკლს. იგი, რასაკვირველია, არც მისი რომანტიული წარსულის მიმართ იყო გულგრილი. საგულისხმო ის არის, რომ ტიცვიანი მოხერხებულად იყენებს მისი მოგონებებიდან ამ არასასიამოვნო ეპიზოდს რათა თვალსაჩინო გახადოს ის კონტრასტი, რომელიც არსებობდა ახალ და ძველ კოლხიდას შორის. იგი ხომ თავადაც იყო თვითმხილველი, თუ როგორ ტანჯავდა ციება და უმშური აქაურ ხალხს, თუმცა არც იმის ხასიგასმა ავიწყლებოდა, რომ უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის კოლხეთისაგან ბერძნებსაც კი ბევრი რამ ესწავლებოდა. „ვინც კი წაიკითხავს პომეროსს, ვინც კი შეისწავლის თქმულებას არგონავტებისა, ფრიქსისა და პელასასას და წაიკითხავს ევროპის მოტაცების ამბავს პეროდოტეს წიგნში და სხვა, ის ხშირად ასეთ აზრს დაადგება და დარწმუნდება, რომ ბერძნებმა ბევრად თუ ცოტად მიიღეს განათლება იმ ერებისაგან, რომელთაც ისინი ბარბაროსებს უწოდებდნენ. მეფე, რომელმაც არგონავტები, ტირიელები, ტროადელები და სხვა მიიღო, და თვით მისი ერიც განათლებით უფრო მაღლა იდგა იმ ავანტიურისტებსა და იმ ჯარებზე, რომელნიც

ესტუმრენ მას გასაპარცევადა და სტუმარ მასპინძლობის წესის დასარღვევად.“

ფოთში ჩასული ტიცვიან ტაბიძე ივონებდა, თუ როგორ მართავენ პირტიტველა ენთუზიასტები აქ პოეზიის საღამოებს და ამ ციებ-ცხელებისგან გატანჯულ ხალხს უკითხავდნენ მაღარმეს სონეტებს. აქვე მწერალს საკმაოდ მკაცრი განაჩენი გამოაქვს თავისი წარსულისათვის: „ბევრი რამ მოსახანებელი უნდა იოქვას ამ ცხოვრებაზე ახლად თვალგახელილ ადამიანებისაგან, მაგრამ ეს პოემა არ არის მარტო აღსარება დაბნეული სულის, ეს არის ფიზიკურად მეორედ შობილი ადამიანის ახალი ხელშეხება“. ასეთი სულისკვეთებით ათვალთვრებდა ტიცვიანი ჭაობის ამოშრობისათვის გაყვანილ არხებს და ამ მხარეს დიდებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ნარკვევში ჩნდება სახელები იმ ადამიანებისა, რომლებიც ემსახურებოდნენ კოლხიდის განახლების კეთილშობილურ საქმეს. დ. ცქიტიშვილი, ექვთიმე გაგუა, ანდრო ფალავა, ფოთის პორტის უფროსი ვინმე კრილოვი, ახალგაზრდა მესღვაური მიხა დავითენკო. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს რუსი ყმაწვილი მშენებრად ლაპარაკობდა ქართულად და ჩვენთვის აშკარა ხდება ავტორის დაუფარავი კმაყოფილების გრძობა. მენარკვევე საქმეში ჩახედული დამკვირვებლის თვალთ ჭერეტს იქ მიმდინარე სამუშაოებს და არ მალავს თავის განწყობილებას ნახულის გამო: „თითქოს ვიდაცამ მართლა ორმოდან ამოიყვანა და ახალ ცხოვრებაზე აუხილა თვალი“. გულწრფელად შეიძლება იოქვას, მართლაც ძნელი იყო გაგეძლო ცდუნებისათვის და გულგრილი დარჩენილიყავი იქ დაწყებული აღმშენებლობითი ტემპისადმი. პოეტის თვალწინ დგებოდა, წელში იმართებოდა და ნათლებოდა ჭაობისაგან დამსრალი კოლხეთის მიწა. ტიცვიან ტაბიძის ფანტაზიას ცეცხლს უკიდებდა ეს ცვლილებები, თვალწინ წარმოუდგებოდა განახლებული კოლხეთი ნარინჯ-

ისფერი ციტრუსით, საბავშვო სანატორიუმებით, კულტურისა და დასვენების პარკებით. სხვათაშორის, ტიციან ტაბიძე გახლდათ პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც იმოგზაურა ამ მხარეში და თავისი ნარკვევით სამარადუამოდ უკვდავეო კოლხიდის ჭაობის ამოშრობისა და განახლების პროცესი. ასე, რომ, ნარკვევი „ახალი კოლხიდა“ ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი, ყრცვლი და საინტერესო პუბლიცისტური ნაწარმოებია.

სამწუხაროდ, 30-იანი წლების კრიტიკის „დიდოსტატები“ ნარკვევმა ვერ დააკმაყოფილა, „დღევანდელი ნათელი და მართალი სურათების ასახვისადმი წაყენებული მოთხოვნები“, როგორც ჩანს, მასში არასათანადოდ იყო წარმოდგენილი. ა. ჟღენტმა 1932 წელს ასეთი შეფასება მისცა ნარკვევს „ახალი კოლხიდა“: „ტიციან ტაბიძე არ გაურბის საბჭოთა თემატიკას, მაგრამ აქაც პოეტის მსოფლმხედველობითი დაშორება რევოლუციურ დღევანდელი საგან და მისი ტყვეობა სიმბოლისტური მისტიციზმის რკალში საშუალებას არ აძლევს პოეტს აღებუდი თემატიკური მასალა შესაფერ ფუნქციონალურ განსხეულობაში მოგვცეს“.

ტიციან ტაბიძის ნარკვევების სერიაში კოლხიდის თემას აგრძელებს ნარკვევი „რიონიდან ენგურამდე“. იგი დაწერილია 1935 წელს. გაზეთ „კომუნისტისა“ და „იზვესტიას“ დავალებით ტიციან ტაბიძე დაესწრო რიონის ჰიდროელექტროსადგურის გამოცდისა და გაშვების პროცესს. ამ გრანდიოზულმა მშენებლობებმა ლირიკოს პოეტში აღძრა კონტრასტული გრძნობები. ერთის მხრივ, მას აგონდებოდა ძველი ორპირის ლექი და ბალღამი, უმეურით დააყადებული ხალხი. მეორეს მხრივ, მის თვალწინ იშლებოდა თანამედროვე მშენებლობებში ნართული, სახეშეცვლილი, „სიცოცხლის ელფერშემატებული“ ხალხის ყოფა. ბავშვობისა და ყრმობის წლების მოგონებები მენარკვევში აღძრავდა „რომანტიზმის რეციდივებს“, მაგრამ

მან კარგად იცოდა, რომ რიონის პირველი დენის მემბრიანეს ზისია ეკისრებოდა და ეს არ იყო პასუხისმგებლობა მარტო უაქტის აღწერის წინაშე. ოდნავი გადახვევა მოვლენების შეფასების იმდროინდელი ტრადიციიდან, შეიძლებოდა დამღუპველი ყოფილიყო ავტორისთვის.

ქალაქ ქუთაისთან დაკავშირებით ნათქვამი ყოველი ფრაზა ნარკვევში დიდი გულწრფელობით გამოირჩევა. ამ ქალაქთან მას მრავალი რამ აკავშირებდა – სწაულების წლები, უურნალ „ციხფერი ყანწების“ გამოცემა. „ქუთაისი ჩემთვის გამოუცდელი ურუნტელის ქალაქია, ანდა როგორ არ უნდა იყოს, თრთოლვის მომგერელი ეს ქალაქი, რომელთანაც დაკავშირებულია შეგნების პირველი გაღვიძება და სადაც მიდიოდა ჩემი ბავშვობისა და ყრმობის წარუხოცელი წლები“ – წერდა იგი.

რიონის მიდამოებს ნარკვევში ენაცვლება ენგურის სანაპიროების აღწერა. ქუთაისიდან სუგდიდში მიმავალი მწერალი მოხიბლული წერს სამეგრელოს ოდების წესრიგსა და სისუფთავეზე ამით აღტაცებას თან ერთვის სამეგრელოს მკვიდრთა შრომისუნარიანობით გამოწვეული კმაყოფილება. ნარკვევში ჩნდებიან ამ ქუთხის სახელოვანი შეილები. ისეთები, როგორებიც იმ დროს იყო ვარლამ ჩიქოვანი. მისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს მე ნარკვევს უათკეცებს ჩხოროწყუელი გლეხი გრ. ვეკუა. ჩაბალახსა და ჩოხაში გამოწყობილი ეს ეგზოტიკური მეგრელი ტიცინანს უიარაღოს „მამელუქის“ ხვინას მამას მოაგონებს: „ასეთი კიდე შეხედებით ქართულ მწერლობაში, სამაგიეროდ მხატვრობას არ შეუნახავს ეს სახე, როცა ეს სწორედ მხატვრობისათვის არის განიხილი. რამდენი ძალა და ახოვანება არის აფიგურაში, მის მიხრა-მოხრაში და საუბარში. თან გადმოუცემელი თავაზიანობა და სისადავე. ასეთი ხალხი აშენებდა წინაირუხის ციხეს და ებრძოდა ბატონებისგან გაყიდული მონების დასატოვებლად უწყალო თათრებს. ასეთი მეგრელი ანატოლი

ის ბაზარზე ბევრი გაყიდულა წინათ. ახლა კი მშვიდად ცხურობს თავის სახლში“. ნიჭიერი პუბლიცისტის მიერ აღწერილი მოვლენების ფონზე ეს პიროვნებები ისე დამამახსოვრებლად გამოჩნდებიან ხოლმე, რომ მხატვრული სახის შექმნის ეფექტსაც კი აჭარბებენ. ეს ის ხალხია, რომელთა მხრებზე იმ დროს რეალურად გადადიოდა აღმშენებლობების მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა. სწორედ მათი ენერჯის წყალობით უნდა მომხდარიყო კოლხეთის ჭაობის ამოწრობა, ჰესების აგება და სოფლის მეურნეობის განახლება-რეკონსტრუქცია. ამ ტიტანური შრომის ფონზე ტიცციანი მოკრძალებულად წარმოაჩენდა თავის ღვაწლს, მე მხოლოდ წერა და ოცნება შემოიძლიაო.

„რიონიდან ენგურამდე“ წარმოადგენს ტიპურ სააგიტაციო ხასიათის ნარკვევს, სადაც ავტორი ავლენს რა თავის დამოკიდებულებას იქ მიმდინარე მოვლენების მიმართ, ამავდროულად შესანიშნავ პროპაგანდას უწევს საბჭოთა საქართველოში პიღროვლექტროსადგურების მშენებლობის საქმეს. მართალია, ნარკვევი ფაქტებსეა აგებული, მაგრამ აქაც ვლინდება ტიცციან ტაბიძის მხატვრული წარმოსახვის უნარი, რაც ცხადია, გამორჩეულ სიბლს მატებს მას.

ნარკვევი „ტყვარჩელი“ დაწერილია 1932 წელს, ახალ ათონში და მოგვითხრობს აფხაზეთში, კერძოდ, ტყვარჩელში მწერლის მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებსე.

ნარკვევი იწყება დროის მოთხოვნით შთაგონებული შედარებით – ტიცციანი თავისებურად გაიაზრებს მ. გორკის მოთხრობის „ადამიანის დაბადების“ ერთ ეპიზოდს. აფხაზეთში, კოდორის მიდამოებში მშობიარე რუსი ქალის ტყვივლებს მისი პოეტური ფანტაზია უკავშირებს სოციალიზმის დაარსების სიმნელეებს: „განა როგორც ამ მოთხრობაშია აღწერილი მშობიარე ქალი, ისე არ უხდებოდა პროლეტარიატს საბჭოთა კავშირში დაებადებინა ახალი სოციალისტური კულტურა? განა

ასე არ იყო სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული, როცა სასიკვდილოდ ებრძოდა გაბატონებული კლასი და ცეცხლსა და მახვილს აძლევდა, რაც კი გადაურჩა გამანადგურებელ იმპერიადლისტურ ომს? განა ყოველი მხრით ინტერვენტები არ ცდილობდნენ რკინის ხაზი გაეკლათ საბჭოთა კავშირისათვის, გაეთიშათ, გაერიყათ და ეკონომიური ბლოკადით აეკუმულინათ ქედი მოეხარა?"

ნარკვევში ავტორი საუბრობს ტყვარჩელის წიაღისეული მარაგის შესახებ. ახასიათებს ნახშირის სახეობას და ციფრებსაც კი ასახელებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტიცციან ტაბიძე ამ ნარკვევის წერისას კარგად იყო ნახეული იქ მიმდინარე პროცესებში, სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული იქაური პრობლემებით. იგი კარგად იცნობდა მთებში შეჭრილი ამ პატარა დაბის ბუნებრივ პირობებს და ნარკვევში ცნობებსაც კი გვაწვდის მისი ისტორიული წარსულიდან. მისივე გადმოცემით, ტყვარჩელს იმხანად იტალიელების ყურადღებაც მიუქცევია. მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ აპირებდა იტალია მ. შინდელ საქართველოზე მანდატის აღებას და საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნას ამიერკავკასიაში. ნარკვევში სულმიწვენითი პუნქტუალობით არის აღწერილი მოგზაურობის ყოველი დეტალი, ნაცნობობა ახალ პიროვნებებთან. როგორც მანს, მეწარმევე ფრიად კმაყოფილი დარჩა ხილულით, თუმცა მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ტიცციან ტაბიძე კვლავ იშველიებს მისთვის ჩვეულ მეთოდს – წარსულის გახსენებით უფრო საინტერესო გახადოს მკითხველისათვის დღევანდულობის რეალობა. მწერალი ახდენს ფრანგი მეცნიერისა და მოგზაურის დიუბუა დე მონპეროს სიტყვების ციტირებას, რომელიც ასე აღწერდა აფხაზეთს: „ამ დიდმნიშვნელოვან ნანგრევებს ფარავს მშვენიერი ტყე, რომელშიც აქა-იქ გაყინტულან აფხაზეთის სოფლები. ეს შეუვალი ტყე და ეს მდინარის უდაბნო ნაპირები კაცმა რომ

ნახოს, განა შეიძლება იყიქროს, რომ ეს ის ადგილია, სადაც ისტორია დაწყებულა? რომ ეს უძველესი სლაპრებისა და მითოსების ქვეყანაა? რომ ეს ის ადგილია, საიდანაც გაერცელებულა კულტურა? რა მდგომარეობაში დარჩენილა ახლა ის ხალხი, რომელიც თითქოს სტკებოდა ამ სამოთხის მსგავსი ქვეყნის ნეტარებით. დღეს თითქო მიტოვებულია ადამიანებისაგან ეს მშვენიერი ქვეყანა. ვინ იცის, იქნებ განგება ისე ასვენებდეს სამეფოებსაც, როგორც კაცი საყანეებს?“

ნარკვევში ტიციან ტაბიძე აყალიბებს თავის 'შეხედულებას მწერლის მუშაობის სპეციფიკის თაობაზე. იგი თვლის, რომ ნარკვევის დასაწერად ამჟამად სულ სხვა სულისკვეთება იყო საჭირო. აშკარაა, თუ რა სულისკვეთება სე საუბრობს ავტორი. ეხება რა ნარკვევის პრობლემას, ტიციანი მოუწოდებს ამ უანრის რეკონსტრუქციისა და განახლებისაკენ. საამისოდ მან ერთერთმა პირველმა გადადგა რეალური ნაბიჯები და ნარკვევს დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა: „წიგნისა და ნარკვევის დასაწერად ნაკრად უნდა დაჯდეს მწერალი, და თუ ათასობით მუშაობენ ახალი ადამიანები, ათობით მაინც უნდა იხსდნენ მწერლები, კი არ უნდა იხსდნენ, ნაბიჯი უნდა იყვნენ მუშაობაში“. ასე ჩამოაყალიბა მან მწერლის დანიშნულება იმ პერიოდისათვის და თავადაც მოახდინა ამის თეალსაჩინო რეალიზება თავისი ნარკვევების სახით. ამით მან დიდი სამსახური გაუწია „ახალი ეპოქის დიდებას“. ჩვენი აზრით, ეს ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული, რადგან ნგრევითა და გაურკვეველობით გადაღლილი პოეტი ეძებდა გამოსავალს და პოულობდა გარდაქმნების, აღმშენებლობების პროცესში. ამავე დროს მან კარგად იცოდა სიტყვის ფასი, რომელსაც ჰქონდა უსარმაზარი იდეოლოგიური ძალა. თავისი ნარკვევების სახით ტიციან ტაბიძე ყურადღებას ამახვილებდა გიგანტური ცვლილებებისა და გარდაქმნების ოკეანეში ნაპოვნი ყველა საჭირო ფაქტსა თუ მოვლენაზე, რომელიც

ეპოქის მაჩასიათებელი იყო. დღეს ეს ნარკვევები ძვირფასი დოკუმენტური მასალაა, და რა თქმა უნდა, ტიცვიან ტაბიძის ბრწყინვალე პუბლიცისტური ნიჭის დასტურიც.

1927 წელს ტიცვიან ტაბიძე წერს ნარკვევს „ახალი მცხეთა“. საქართველოს ეს უძველესი დედაქალაქი, ოდესღაც ფესვმაგარი, მირონით განბანილი, ჯერ კიდევ გრ. ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეში იწვევდა გულისტკივილისა და სინანულის გრძნობას, რადგან სამიკიტნო დაბად იყო გადაქცეული. ტიცვიანის დროინდელი მცხეთის რეალობა ამ პერიოდისათვის ასეთი განწყობილებისათვის უკვე საბაბს აღარ იძლეოდა, ამიტომაც მენარკვევე მოხიბლული ჩანს მცხეთის „ახალი მისიით“ – საქართველოს უძველეს დედაქალაქში პესის მშენებლობა მიმდინარეობდა. საგულისხმოა, რომ რა თემაზეც არ უნდა შეექმნა ტიცვიან ტაბიძეს ნარკვევი, არასოდეს ავიწყდებოდა საკუთარი ქვეყნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების დემონსტრირება. მას არასოდეს ტოვებდა ეროვნული სიამაყის გრძნობა თავისი ქვეყნის ისტორიული წარსულის გამო. ეპოქა ეპოქა იყო, მან თავისი სიახლენი მოიტანა. მაგრამ ტიცვიანის თქმით, მისი ნიჭიერი თანამემამულენი, როგორც ნოყიერი ნიადაგი, ისე დაუხვედნენ ამ სიახლეებს. ქართველი ხალხი კარგი მასპინძელი გამოდგა იმ აღმშენებლობითი ეიფორიისა, რომელიც ახალმა ეპოქამ მოიტანა. მენარკვევეს სრულიად კანონზომიერად ეჩვენებოდა მის სამშობლოში ასეთი ტემპით დაწყებული მშენებლობები და ეკონომიური განახლების პროცესები, რადგან საამისოდ საქართველო საკმაოდ მომზადებულ ქვეყნად მიაჩნდა: „არც ინდუსტრიალიზაციის ღოზუნგი არის უსვეულო ჩვენი ხალხისათვის. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ პირველად ქართველებმა ისწავლეს ფოლადის გადაღნობა. საქვეყნოდ ცნობილია ბერძნების მიერ შექმნილი მითი არგონავტებთა მოგზაურობისა კოლხიდაში ოქროს ვერძის

მოსატაცებლად. ახლა სკენ ვიცი, რომ მითი ძალიან სარწმუნო
ამბავია." ასეთი დამაჯერებლობით მოგვითხრობს ავტორი
საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ. ეს არის გამ-
ოვლენა ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული მწერ-
ლის ფსიქოლოგიისა, რომლის შესახებ ტიცინანი ჯერ კიდევ
1916 წელს დაწერილ წერილებში აცხადებდა და რომელიც ვერ
დაჩრდილა კომუნისტების მიერ შეთითხნილმა ერთა აღრევისა
და ე.წ. თანასწორუფლებიანობის თეორიებმა. ტიცინანის გულ-
წრფელი აღტაცება ნაკარნახევი იყო შრომის პროცესით, შენებ-
ის რიტმით. ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივადაც, რადგან გან-
ათებულ მცხეთას არ შეიძლებოდა ვინმე გულგრილი დაეტოვე-
ბინა. „ხმლისა და გუთნის“ საქართველო – უბრალო მოდგმათა
ცვლის კანონით გადადიოდა განვითარების ახალ ფაზაში. ტი-
ცინანის ასეთი მხურვალე თანადგომა სოციალისტური მშენებლო-
ბისადმი გამოწვეული იყო იმ რეალური ეკონომიკური ცვლილე-
ბებით, რაც მოჰყვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარებას.

1934 წელს დაიწერა ნარკვევი „ორპირი“. ორპირთან ტიცინანი
მკვიდრად იყო დაკავშირებული. მშობლიური სანახები არაერთხ-
ელ გაივლევებენ მის მოგონებებსა თუ ნარკვევებში. თანაგრძნო-
ბა და გულისტკივილი ამ ციებითა და უემურიტ გატანჯული
კუთხის მიმართ უსომოდ დიდი იყო, რადგან პოეტი თავად გახ-
ლდათ თვითმხილველი აქაურ მაცხოვრებელთა ტანჯვისა: „ქეთუ-
ვან დედოფალს მხოლოდ ერთხელ დაადგეს თავზე სპარსელებმა
გახურებული ქვაბი და დაუწვეს შანთებით ძუძუები, – ორპირის
ქალებს ყოველ დღე ადგიათ თავზე წამების გვირგვინი ფხალის
ნეშოებით და ყოველ დღეს მიაქვს მათი ძუძუების ბედქარი“. მწერლის
ფანტაზიაში ამოტივტივებული ეს ტრაგიკული პარალე-
ლი შემთხვევითი არ იყო, რადგან ორპირის ხაშმითა და ბალ-
დამით გაუღენთილი მიწა წუთისოფელს უმოკლებდა მძიმე

შრომით ისედაც არაქათგამოცლილ გლეხობას. უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, ტიცვიანი ნარკვევში იმოწმებს პიპოკრატეს, ვახუშტი ბატონიშვილს, ალ. დიუმას მოგონებებს. ნარკვევში გაიელვებს ნიკო ნიკოლაძის, ივ. გომართელის სახელები. ეს უკანასკნელნი იშუამად წარმოადგენდნენ ორპირკულების იმედს და სათავეში ედგნენ იქ დაწყებულ მოძრაობას.

ნარკვევში ავტორი ლაკონურად, მაგრამ საოცარი სიღრმადით აგვიღწერს ორპირის ბუნებას. მიკითხველს თვალწინ წარმოუდგება, როგორ ებრძვიან აქ ერთმანეთს იმერელი გლეხის შრომისმოყვარეობა და ბუნების სისასტიკე. გამჭრიახი მენარკვევის კალმის ერთი მოსმით ჩვენს თვალწინ იშლება იმერეთის სამთარი: „ნამდვილი ჯოჯოხეთია იმერეთის სამთარი და იმერეთის სამთარში – ორპირის სამთარი“ – წერს ტიცვიანი.

„ვერგილიუსს რომ მოენდომებინა დანტეს უარესი ჯოჯოხეთით დაფრთხობა, იმერეთის ისლით დახურულ ფაცხაში შეიყვანდა“. ასეთი რეალიზმით აღწერს მწერალი ორპირის წარსულს, საქართველოს იმ კუთხეს, რომელიც თითქმის გადაქმენების პირას იყო მისული. მალე პოეტი თვითმხილველი ვახდა იმისა, თუ როგორ მოედო სიცოცხლის ელფერი „ციებისაგან გამომპალსა და ღაქაშებიდან დაბრიყვებულ“ მიწას, იგი რეალობას ეედარ გაურბის და როგორც ნარკვევიდან ჩანს, არცა აქვს ამის სურვილი, რადგან მისი კეთილი მზერა დატვირთულია აღმშენებლობის სიხარულით. მას ცხადად წარმოუდგებოდა, თუ როგორ იფინებოდა ორპირი დაყნარით, ფორთოხლით, მანდარინითა და ღინონით, რძიას-რძიას, ანწლების, ლაფანასა და სხვა უსარგებლო მცენარეთა მაგიერ.

ნარკვევში ტიცვიან ტაბიძე კვლავ მიმართავენ ტრადიციულ, შედარების ხერხს – ორპირის წარსულის გახსენებით უფრო, საგრძნობი გახადოს აწმყოს პროგრესი. როგორც ცნობილია, ტიცვიან ტაბიძე 30-იან წლებში კოლხიდის ჭაობების დაშრობის

გეგმის მხურვალე აპოლოგეტი იყო. ნიტა ტაბიძე იგონებს: „მამას საოცრად სწამდა კოლხეთის ჭაობის ამოწრობისა, აღფრთოვანებული იყო და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს იქ მიმდინარე პროცესებს“. ტიცციანის სურვილი, შეცვლილი, განახლებული ენახა მშობლიური კუთხე, უსომოდ დიდი გახლდათ. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ თემაზე დაწერილი ნარკვევითაც თავის წვლილს შეიტანდა ორპირის განახლების საქმეში. მატერიალური კეთილდღეობის მაცდუნებელმა პერსპექტივებმა იმხანად გულწრფელობა შემატა მის ნარკვევებს, მაგრამ, როგორც ვიცით ეს საკმარისი არ აღმოჩნდა 37 წლის ორგანიზატორთათვის. რადგან გულწრფელობა და სიმართლე იყო სწორედ ის მეწყერი, რომელსაც ადრე თუ გვიან უნდა დაენგრია ყალბი პათეტიკით ნაგები კომუნისტური ხუხულა. მწერლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მისი გულწრფელობა, მისი არსებობა ვიღაცას მეთისმეტად აღიზიანებდა. როდესაც ტიცციანი გულმოდგინედ მუშაობდა ზემოთგანხილულ ნარკვევზე, უფრონაღ „მნათობში“ შ. რადიანი წერდა: „ტიციან ტაბიძეს დღესაც ძველი „ტვირთი“ ჯერ კიდევ ძლიერ აწევს მხრებზე. ამის შედეგად მის უკანასკნელ ღეიშებშიაც არის მისტიციზმი, ფანტასტიკა, სიმბოლისტური ნისლი“. როგორც ჩანს, სიმბოლისმიდან საბჭოთა რეალისმზე გადასასულელი ხიდი ისე ღრმად იყო ჩატეხილი, რომ თავად კომუნისტურ კრიტიკას შეუძლებლად მიაჩნდა მისი გამთელება. ამიტომაც მათ ბოლომდე ვერ დაიჯერეს „ცისფერი ეანწების“ „გაწითლება“ და თავად ურწმუნოები ეჭვის მახვილით თელავდნენ გულწრფელობის ასეთ გამოვლენას.

1933 წელს ბ. უდენტი ყველაფრის მიუხედავად კვლავ ნაკლს ეძებდა მწერლის შემოქმედებაში: „ტიციან ტაბიძე მომქმედი და ლიტერატურულად აქტიური ძალაა. იგი არასოდეს არ დამდგარა „შემოქმედებითი დუმილის“ პოზიციაზე. იგი არ გაქცევია საბჭოთა თემატიკას და უკან არ დაუხევია რევოლუციური დღევან-

დელობისაგან. ყოველივე ეს პოეტის ღირსებაა, რაც უქვეყნადაა უნდა აღინიშნოს, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში უმთავრესი და გადამწყვეტი მსოფლმსუდველობაა და შემოქმედებითი მეთოდი. ამ მხრივ კი ტიციან ტაბიძე ისევე სიმბოლისტურ-დეკადენტური პოეზიის ტყვეობაშია. მას დასჭირდება ინტენსიური ბრძოლა და მუშაობა ამ გაელენიდან განთავისუფლებისათვის“. ამგვარი შეფასებები მომდინარეობდა იმ სქემებიდან, რომელიც საერთოდ იყო შემუშავებული ცისფერყანსუელთა მიმართ. კრიტიკოსებს ლომის წკლიდა მიუძღვით ამ შემზარავ განაჩენში, რომლის წყალობით დღეს პოეტის საფლავიც აღარ შემორჩა შთამომავლო ხას. მისი ტრაგიკული აღსასრული იყო ლოგიკური შედეგი იმ უსამართლო ბრალდებებისა, რომელსაც არასოდეს აკლებდა ტიციანს იმდროინდელი ქართული კრიტიკა.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ცალკე შეიძლება გამოიყოს ხალხთა მეგობრობის თემისეუ შექმნილი ნარკვევები. ცნო ბილია, რომ პოეტი ხშირი სტუმარი იყო რუსეთის და პოეტური ცხოვრების საინჟერესო დღეებს პეტერბურგელ და მოსკოველ პოეტებთან ატარებდა. მეგობრული კონტაქტები ჰქონდა ტიციანს სომეხ და აზერბაიჯანელ მწერლებთან. ამის დასტურად დღეს ჩვენს ხელთ არსებული მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ნინო მაყაშვილის ცოცხალი მოგონებებია. საოცარი ურთიერთობა აკავშირებდა ტიციან ტაბიძეს ა. ბელთან, ბ. პასტერნაკთან, კ. ბაღმონტთან, ს. ვსენინთან და სხვებთან. ეს ურთიერთობები ნამდვილად არ იყო შემოღონ ნაკარნახევა, ხელოვნურად ინსპირირებული. პოეტური სულები თავადაც ბუნებრივად, უშუალოდ პოულობდნენ ერთმანეთს. ტიციან ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა მწერლობაში ეროვნებათა შორის კეთილგანწყობის ამსახველი პუბლიცისტური ნაწარმოებები. ესენია: „ერთი კვირა ოსეთში“, „ტოლსტოის დღეები“ და „ქართველი მწერლები სამხეთში“.

ქრონოლოგიურად, ნარკვევი „ერთი კვირა ოსეთში“ ერთ-ერთი პირველია. იგი დაწერილია 1926 წელს და მოუყიხრობს საბჭოთა მწერლების სტუმრობის შესახებ ოსეთში, რომელთა რიცხვში გახლდათ თავად ნარკვევის ავტორიც. გახვლა ორგანიზებული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ. ტიცოან ტაბიძესა და მიხ. ჩიქოვანს დაეძღვებოდა მკვლევართა წინასწარ მოემზადებინათ ნიადაგი ამ სტუმრობისათვის. ამ მიზნით ისინი ორი კლით ადრე გაემგზავრნენ ქ. გორში. ცნობიანოყვარე პუბლიცისტის თვალი წვედება ელემენტარულ წერილმანსაც კი, რომელსაც ისე წარმოგიდგენს, რომ მას ეკარგება მღვდელმთავრის ხოცვლის ელფერი და მკითხველის ყურადღების რკვეში ეძევება. გზადაგზა იგი მოიგონებს ნიკო ლომიურს, ვარიანია დანახვა კი ჩქარაღს ბავშვობის მოგონებებს აუშლის: „აგერ ვარიანიც — იაკობ გოგებაშვილის სოფელი ხევით მთახე შებურული, ვის არ მოაგონდება თავისი ბავშვობა, დედის ძუძუზე უტკბესი „დედა ენა“ და „ბუნების კარი“.

ურთიერთობა ქიზიყელებთან, ევსორტიკურ ვარიანულ გლეხებთან, ახლაგაცნობიერ რუს ბოტანიკის განმე მონტოლოისთან ისე პუნებრივად არის აღწერილი, რომ გექმნება სრული წარმოდგენა ავტორის მაღალ მხატვრულ კომპონენტსა და პუბლიცისტურ ნიჭზე. მემატინის დამაჯერებლობა, დაინტერესება იქ კიმდინ. რე აღმშენებლობებით და განახლებით შეტყვევებს ავტორის კეთილგანწყობასზე ოსი ხალხის მიმართ. აქვე ეყვალავერი „ათქოის რიგზე ჩანს. ტიცოანი კარგულ წვდომის ათილექტურ-მატერიალისტურ“ მეთოდს და რეალისტური თვალთახედვით ეადმოგვცემს იქ ნახულს, თუმცა, ნარკვევში გამოძახალს მაინც პოულობს ოსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს მომხდარი კონფლიქტი: „ასი წლებით დამაინტერესებია ოსეთმა და საქართველომ ვერ მოახწრეს რეკონსტრუქციის პირველ დღეებში თავისუფლად ამოესუნთქათ, რომ იმწამსვე ეცნენ ეულში ერთიმ-

კორეს - დაუჯერებელი სისასტიკით უღეტდნენ ერთმანეთს". რასაკვირველია, 1926 წელს, როცა ეს ნარკვევი იწერებოდა, შეუძლებელი იყო ნამდვილი პოზიციის გამოხატვა, რაც შეიძლებოდა ჰქონოდა ტიციან ტაბიძეს როგორც ქართველს ამის თაობაზე, მაგრამ საგულისხმო და პროგრესულია მისი გამონათქვამი 'სოგადად ომის თაობაზე. როგორც ჰუმანისტ მწერალს მას თავისი შეხედულება აქვს ამ გამანადგურებელ მოვლენაზე: „საშინელია ომი, უფრო საშინელია მისგან დატოვებული შურისგების სულისკეთება. ომი თვეობით გრძელდება, ომისგან დაჭრილი და აფორიაქებული ხალხის ფსიქოლოგია კი წლობით და ათ წლობით ცოცხლობს და დიდი დროა საჭირო ჭრილობის მოსაშუშებლად“.

ნარკვევში შთამბეჭდავად გაიფიქრებს ტიციან ტაბიძის თანამგზავრების გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ნ. ლორთქიფანიძის სახეებიც. მენარკვევის ცნობით გ. ლეონიძეს ამ მოგზაურობის დროს დაუწერია ლექსი ღიახესე. ნარკვევში ჩნდება საბჭოთა მწერლების იოანე ვაკელის, სანდრო ეულის სახელებიც. ათიოდე წლის მერე, ეს უკანასკნელნი ურჩევენ მას: „გულახდილად აღიაროს ყველა ის დანაშაული, რომელიც ჩაადენინა მას ხალხის მტრებთან ურთიერთობამ“. ეს ნამდვილად ბედის ირონია იყო, როცა მოძალადის რისხვის ასაცილებლად ითითხნებოდა ამგვარი ბრალდებები მათ მიმართ, ვისაც არასოდეს არაფერი ჰქონია საერთო დალატთან.

ნარკვევი „ერთი კვირა ოსეთში“ მხატვრული დამაჯერებლობით წარმოაჩენს ოსეთში მიმდინარე პოლიტიურ ძვრებს საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროში. რა თქმა უნდა, ყოველივე გარკვეულ დიქტატს ემორჩილება და სააგიტაციო დატვირთვა გააჩნია. სხვა ფიქრი, სხვა განცდა, სხვა დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი შეუძლებელი გახლდათ, რადგან მწერლობის ფუნქცია და მოვალეობა „ხემოდან“ იყო

განსაზღვრული.

1927 წელს ტიციან ტაბიძე განაგრძობს მუშაობას ნარკვევის ჟანრზე და ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად დაწერილ ნარკვევთა სიას უმატებს ნარკვევს „ქართველი მწერლები სომხეთში“. ცნობილია, რომ ტიციან ტაბიძეს მართლაც განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჰქონდა სომეხ მწერლებთან – ოვანე თუმანიანთან და ავეტიკ ისააკიანთან. მასვე ეკუთვნის ავეტიკ ისააკიანის „აბულ ალ მაარის“ თარგმანი ქართულ ენაზე. შ. აფხაიძე ამის შესახებ წერს: „სომხური პოეზიის ამ დიდ პატრიარქებთან მეგობრული დამოკიდებულებით ტიციანი გამოხატავდა საუკუნეთა მანძილზე ერთი ისტორიული ბედით შეკავშირებულ სომეხ ხალხთან თავის უანგარო სიყვარულს და ამიტომ მიუძღვნა სომხეთს ლექსების მთელი ციკლი. ეს ლექსები საესებით დასდევულია მშრალი დეკლარაციურობისაგან. მათში ტიციანის მხურვალე გული ფეთქავს, როგორც სხვა მის ცნობილ ლექსებში“.

ტიციან ტაბიძემ ეს სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ნარკვევით „ქართველი მწერლები სომხეთში“, რომელშიც გადმოცემულია ქართველი მწერლების სომხეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

ქართველ მწერალთა დელეგაციას წინ მიუძღოდა ცნობილი სომეხი მწერალი ალექსანდრე შირვან-ზადე, რომელიც საკმაოდ კარგი მეგზური აღმოჩნდა. იგი არ იყო უცხო ქართველ მწერალთა წრეში და ამიტომაც, ტიციანის თქმით, „დიდი ტემპერამენტისა და პათოსის“ მქონე შირვან-ზადეზე უკეთეს წინამძღოლს ისინი ვერც წარმოიდგენდნენ.

გზადაგზა მწერლები სულგანაბულნი უსმენდნენ მის. ჯაუახიშვილს, რომელიც კავკასიის გეოგრაფიის შესანიშნავი მცოდნე აღმოჩნდა. ალიონზე კი ტკბებოდნენ ლორის მიწის სილამაზით და იგონებდნენ ამ მიწის მკვიდრს – ოვანეს თუმანიანს, მის

გულდა: მასპინძლობას.

ტიციან ტაბიძე მოხიბლული მანდა კარაკლისითა და დელო-
უანით, მაგრამ ყველაზე შთაბეჭდავი მისთვის აღმოჩნდა არარატის
მთა. აქვე მოუღაოდნელად გაიუღეებს ტიციანის ბიბლიური გ.-
წყობილებანი: „მოების ყვარლობზე ნადრმავებულ უბენი კიდევ
მონანს ხარხნალი თოველო და ეს ატირებელი ღანქერი თითქოს
იმ მტრკდების გუნდია, ბიბლიური გადმოცემით პატრიარქმა სოფი
რომ გამოუშვა თავისი კიდობანიდან, და წარღვნის შემდგომ რა
ხდებოდა ქვეყანაზე -- ბიბლიური მოგონება აქ მართლაც
საგაუღლებულია და რაც უნდა დაბადებული უღმერთო იყო, ვერ
დაიუწივებ იმ ადგილებს, რომელიც აღწერილია „შექმნათა წიგნ-
ში“. მართლაც ეს ადგილი საკაცობრიო კულტურის უბედვლი
კერაა“.

მღუდლის საჯახში აღზრდილი პოეტისათვის არც ისე ადვილი
აღზონდა უღმერთობასთან შეგუება. ასე გაბედულად გამოიჩი-
მული აღფრთოვანება ბიბლიური თქმულებების მისამართით
სწორედ გადარჩენილი მრავალსაუკუნოვანი რწმენის გამოძა-
ხილი უნდა იყოს.

მენარკევეის აღფრთოვანებას იწვევდა სევანის ტბა, იგივე გოგ-
ნა, რომელიც ძველ საქართველოში გელაქუნის ტბის სახელით
იყო ცნობილი. როგორც ვიცით, თავის დროზე მისით მოსობდუ-
ლა რომანტიკოსი პოეტი ალ. ჭავჭავაძეც. თითქმის საკუნის
შემდეგ ამ ტბის სიდიადით განცვიფრებული ტიციან ტაბიძე
აგვიღწერს მის მითიურ სიღამაზე: „უსარმზარი მთების გამო-
ქვაბულში ეს ტბა ნაწილიდა, როგორც ციდან ჩამოვარდნილი
ლავეარდი. გგონია კიდევ, რომ ეს მირაფია, მთა გ.ტყუენის და ცა
უკუდმიდან მოხანს. თორემ ამოღენა ტბა როგორ დადებოდა ამ
მთაზე... სევანს ვარშემო გველემპაივით ახევეია ტიტველი მთები,
ითქო მითიური დრაკონები დაწაფებთან ღაუვარდ წყალს, მა-
გრამ გსაში გაქვაებულან და ეშევი ღიად დარჩენიათ“.

ციანი რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს „გოგინას“, რატომღაც პოემად მოიხსენიებს და საბოლოოდ ასე ამოაყრებს თავის შთაბეჭდილებას: „მე მგონი, ვერც მაშინ და ვერც ახლა ვნახე სიტყვები იმ ურძობის გადმოსაცემად, რასაც იმ წამში ვგრძობდი გოგინის პირას, რომელიც ამიერიდან ჩემთვის სარტო პოემის სათაური არ არის, არამედ ნაგრძობი და უანცდელი ადგილია“.

ნარკვევის მესამე თავი წარმოდგენილია სათაურით „არარატი“ ეს ყამირი, უწყლო და უბარაქო მთა არ იყო სიყვარულს საგანი თვით სომხეთში, მაგრამ ტიცციანი რატომღაც მოხიბლულა ამ თეთრი გოლიათის მედიდურობით. ასეთი განცდებით დატვირთული იგი უახლოვდება ერევანს და მის სიახლოვეს რომანტიულ წარსულში გადაჰყავს მენარკვევე. მას აგონდება გრ. ორბელიანი თავისი პოემით „ხადლეგრძელი“. ანუ ომის შემდგომ ღამე ღზინი ერევნის სიახლოვეს“. ნარკვევში მოხანს თანაგრძობა სომეხი ხალხის ტრაგიკული ისტორიის მიმართაც.

მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე ტიცციან ტაბიძეს თითქოს უხილავად თან დასდევდა ღანდი ორი უკუაღმართობის პიროვნების – სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანი და კოტე მაცაშვილის, ამ დროისათვის არც ერთი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ოვანეს თუმანიანთან ტიცციანს განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა. კეთილად იგონებს მას ნინო ტაბიძე თავის წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“, ხადაც იგი წერს: „იშვიათი მეგობრობა აკავშირებდა ოვანესს ჩვენს პოეტებთან. არ ყოფილა თავყრილობა, რომელსაც იგი არ დასწრებოდა და თავისი სიტყვა არ ეთქვა“. ოვანეს თუმანიანს ქართველმა მწერლებმა თბილისში გადაუხადეს იუბილე. ამის შესახებ ნინო ტაბიძე თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ეს იყო აღტაცების, სიყვარულის, პოეზიის ყვეერვერკი.

„პიეტანში“, რომლის თავმჯდომარე ოვანეს თუმანიანი იყო, ხშირად მართავდნენ ქართული მწერლობის შესახებ მოხსენებებს. ზოგიერთ მათგანს ისტორიული ხასიათი ჰქონდა. „ჩვენს მიერ გამართულ ყველა სადამოწმებელი ოვანესი საპატიო სტუმარი იყო და არასდროს ხელცარიელი არ მოვიდოდა“—წერს ტიციანი. მეტი დამაჯერებლობისათვის იგი იდასტურებს ოვანეს თუმანიანის ლექსს „ქართველი პოეტები“. როდესაც საქართველო-აომხეთის საზღვარზე ომის არდიდმა გაიშრიალა, ტიციანმა იმედის თვალი მიაპყრო სწორედ ოვანეს თუმანიანს და გასუთ „საქართველოში“ სიტყვით მიმართა მას: „არავის არა აქვს უფლება ილაპარაკოს სომხეთის ერის სახელით, როგორც თქვენ, და არავის ხმა არ იქნება ისეთი სამართლიანი და გასაგონი, როგორც განათლებული პოეტისა და მამულიწვილისა“. მართლაც, ოვანეს თუმანიანმა დაწვევლა თავისი ყველა შვილი, თუკი რომელიმე მათგანი მონაწილეობას მიიღებდა ამ კონფლიქტში.

მეორე ლანდი იყო კოტე მაყაშვილისა — მწერლის, საზოგადო მოღვაწის, 1917 წლიდან, დღიდან მისი დაარსებისა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, რომლის შვილი 17 წლის მარო მაყაშვილი იყო მათ შორის, ეინც 1921 წელს კოჯორსა და ტაბახმელაში ბოლშევიკური ანექსიის წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდა.

ახალი ერეენის სურათი ნარკვევში იმდენად ცოცხალ ფერებშია მოცემული, ასე გგონია, თავად დააბიჯებ ქვის ქალაქის ქუჩებში. სომეხი ხალხის შრომითი პათოსი, უდიდესი ნებისყოფა მწერალში საოცარ პატივისცემას იწვევს. კულტურის სასახლეები, მუსეუმები, კონიაკის ქარხანა — ყველაფერი ეს სომხეთის სიახლის ატრიბუტებია, რომლის ფონზე ტიციან ტაბიძე კონტრასტულად ხედავს ერეენის ციხის გალავანს. მთელს ნარკვევს მიჰყვება ერთი სულისკვეთება — მეგობრული, თანამგრძობი, მოყვრის გულწრფელობით გათავისებულები.

ტიციან ტაბიძე ფრიად კმაყოფილი, შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა სომხეთიდან. 1929 წლის 16 ივნისს თავის კერძო წერილებში იგი ანდრეი ბელის სწერდა: „ეს კვირა სომხეთში გავატარეთ. ქართველი მწერლების მთელი დელეგაცია ჩავედით, არაწვეულებრივად მიგვიღეს. გზამ კარაკლისიდან დილიუანის გავლით და ერევნისაკენ გაწოლილმა სევანის ტბამ ყველანი მოგვაჯადოვა – განსაკუთრებით მოგვხიბლა სევანის ტბამ თავისი მშვიდი სიდიადითა და სილაჟვარდით, მაშინვე თქვენ გამახსენდით, გასულ წელს ამ ბუნების ქებით რომ გული ვერ იჯერეთ. გაგვოცა აგრეთვე არარატმა და ენმიაძინმა, სომხეთისა და საქართველოს ბუნება, მათი ძველი კულტურა ძალზე ენათესავენ ერთმანეთს, იგრძნობა ერთი ისტორიული ბედი“.

ნარკევი „ერთი კვირა სომხეთში“ სრულად აკმაყოფილებს ამ უანრისათვის წაყენებულ მოთხოვნებს სწორედ ასეთი სულისკვეთების ნარკევეები და სხვა მხატვრული ნაწარმოებები, ქმნიდნენ იდეოლოგიურ პლაცდარმს არსებული რეჟიმის შესა ნარჩუნებლად. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძნელია ეტვი შეიტანო ტიციან ტაბიძის გულწრფელობაში, როცა იგი თავის მეგობრებზე იწყებდა თხრობას.

ტიციან ტაბიძის მეგობრობაზე რუს პოეტებთან შეიძლება ცალკე წიგნიც გამოიცეს. ამ მხრივ ბევრი გააკეთა ნინო ტაბიძემ თავისი მოგონებით „ტიციანი და მისი მეგობრები“. ცნობილია, რომ ტაბიძეების ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ გამოსწავლილი რუსი მწერლები. თავად ტიციანი, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ზედმიწევნით კარგად იცნობდა რუსულ მწერლობას, ამიტომაც იგი ხშირად ცდიდა ბედს თარგმანშიც – პუშკინის, ესენინის, ბალმონტის, სოლოგუბის. ვფიქრობთ, ეს არ იყო იმდროინდელი რეჟიმის მიერ დაკვეთილი ურთიერთობანი. რ. მარგიანი წერს: „ერთი სიტყვით, ნინო ტაბიძე ტიციანთან ერთად ჩვენს დროში ერთ-ერთი ბურჟი იყო რუსი და ქართვე-

ლი მწერლების მეგობრობისა. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ამ საქმეში“.

კეთილშობილი პოეტი ამ სიყვარულს გამოხატაუდა ლექსებით, თარგმანებით და რასაკვირველია, პირადი ურთიერთობითაც. ეს დაპოკიდებულება იგრძინობა ნარკვევში, რომელსაც ეწოდება „ტოლსტოის დღეები“. იგი დაწერილია 1928 წელს და ეძღვნება იმავე წელს იასნაია პოლიანაში ჩატარებულ დიდი რუსი მწერლის ღვე ტოლსტოის 100 წლის იუბილეს.

1928 წლის 3 სექტემბერს ტიციან ტაბიძე გაემგზავრა მოსკოვში, რათა 10 სექტემბერს დასწრებოდა ტოლსტოის დღესასწაულს. ნარკვევია პირველ თავს ჰქვია „გზაში“, სადაც ტიციანი მკითხველს შეახსენებს, თუ რა ამოუწურავი პოეტური ემოციების კიდობანი იყო კავკასია რუსი პოეტებისათვის. ფართო ვრუდიცინისა და ღრმად განსწავლული მენარკვევე არ უშვებს შესაძლებლობას დაიმოწმოს ნაწვევტი კრუტ ჰამსუნის წიგნიდან „მოგზაურობა ზღაპრულ ქვეყანაში“. ტიციანი თელიდა, რომ კავკასია მართლაც ზღაპრული ქვეყანა იყო და ამიტომაც ამ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებსაც განუმეორებელი პოეტური აბლით რთავდა ხოლმე: „18 წელს წერდა „ჰაჯი-მურატს“ ლ. ტოლსტოი. 18 წელი აგროვებდა მასალებს კავკასიის ეპოპეისათვის. ამ ხნის განმავლობაში კავკასიის გამუღმებელი ფიქრი აწუხებდა მის დიდ შემოქმედებას. ამიტომაც არის, რომ ეს უკანასკნელი ნაწარმოები შეუდარებელი ოსტატობით და შთაგონებით არის დაწერილი. ესაა უკანასკნელი სუნთქვა ტოლსტოის გენიისა. შემოქმედების მიწურულშიც ტოლსტოი საქართველოზე ფიქრობდა“. ასეთი შეფასება მისცა ტიციანმა კავკასიის თემას მწერლობაში.

სხვათაშორის, აქვე ტიციანი საგულისხმო ცნობასაც გვაწვდის მისი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ: „მე მომიხდა ამ ზაფხულს სწორედ „ჰაჯი-მურატის“ თარგმნა. ყოველი დღე ჩემი

მუშაობისა ბიბლიური იაკობის ღმერთთან ბრძოლა იყო“. სამ-
წუხაროდ, ამ თარგმანის თაობაზე ჩვენთვის არაფერია ცნო-
ბილი.

გსად მიმავალი პოეტის ფიქრები მოსკოვს დასტრიალებდა.
იმჟამად მას თერთმეტი წელი აშორებდა ქალაქთან, სადაც გაა-
ტარა ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. მენარკევეის მსურას
ენაცვლება ყარაიაში, ფოლიოს ხიდი, აქსტაფა, შამქორი. თი-
თოეულ ამ ადგილს ახლავს პატარა ეპიზოდები არც თუ შორეული
წარსულიდან. ისტორიის ეს პატარა ნარკვევები ისე მიგნებუ-
ლად აქვს შერწყმული მენარკევეს, რომ სრული წარმოდგენა
გექმნება მათ ისტორიულ პრობლემებსა და თანამედროვე ყო-
ფაზე. ამავე დროს მწერალი მთელი არსებით აცნობიერებს
სამოქალაქო ომის მთელს უბედურებას. 1928 წელს, როცა შიმში-
ლობითა და ესქატოლოგიური განწყობილებებით მოქანცული
ხალხი ჭრილობებს იშუშებდა, ტ. ტაბიძეს სისხლხორცეულად
აწუხებდა ამ იდილიის შენარჩუნების საკითხი. ეს დროებითი
მშვიდობა, ასე თუ ისე, იყო რევოლუციის მონაპოვარი. ამ რეალ-
ობას თვალს ვერ მოუხუჭავდა ვერც ერთი მწერალი. ამიტომ
ტიციანშაც სრულიად ლოგიკური შეფასება მისცა მას: „ცხო-
ვრებამ განსაჯა ყველა, ვინც გაიყლის ამ გ'ხა'სე და მოიგონებს
ამბებს სადღაა სამოქალაქო ომის შიმშილის წლების მოგონე-
ბა: სადგურები სავსეა სანოვაგით და ყველგან გრძნობ გაჩა-
რთული ცხოვრების მაჯისცემას. მხოლოდ ხანდახან მოადგები-
ან მაღარებლებს „ბესზპრიზორნიკები“, მაგრამ მათი რიცხვიც
თანდათან კლებულობს. ეკონომიურად მოდონიერებული სო-
ციალისტური ქვეყანა არაფერს სოგავს, რომ ეს ნაშთი სამო-
ქალაქო ომისა და შიმშილობისა მოსპოს“.

მოსკოვს მიახლოებული მწერალი მთელი არსებით განიცდი-
და მოსალოდნელი ადესასწაულის სიხარულს და სწამდა, რომ
თაყის წილ გრძნობებს მსოფლიოს ყველა მწიგნობარი გაიღებ-

და ლ. ტოლსტოის – „მსოფლიო სწეობრივი მერიდიანის“ ხსენების უკვდავსაყოფად: „და მე ვუვიქრობ, რომ ახლა მთელი მსოფლიოდან მოსკოვში მოეშურებიან ტოლსტოის დღესასწაულზე დასასწრებად. ეველა ქვეყნის მწერლები და სწავლულნი, რათა მოვიდნენ და თაყვანი სცენ ამ დიდ ადამიანს და მოაზროვნეს, რომელმაც თავისი სინდისით გამოიტანა ახალი კაცობრიობა“.

ცნობილია, რომ ტოლსტოი სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული კაცობრიობის სულიერ მოძღვრად. ტიცვიან ტაბიძემაც მისი შემოქმედება მომავლის დასაყრდენად მიიჩნია, მაგრამ სამწუხაროდ, აქაც ამუშავდა იდეოლოგიური შეგავლენის მანქანა და ჩრდილი რომ არ მიეყენებინა ტოლსტოის შემოქმედების ლენინისეული შეფასებისათვის, დაასკვნა, საჭიროა აუხსნათ მასებს, რა არის ტოლსტოიში მისაღები და არაო.

ნარკვევში ავტორი საინტერესოდ აღწერს სადღესასწაულო ვითარებას. იუბილეს სტუმრები იყვნენ სტეფან ცვაიგი და ბერნანდ კელერმანი, იქვე იყო ვლ. მაიაკოვსკი, ბორის პილნიაკი, ს. გოროდეცკი. სხვათაშორის, სწორედ ამ იუბილეზე შედგა ტიცვიანის ნაცნობობა ბერ რუს მწერალთან, გარდა პასტერნაკისა: „ვერ შეეხვდი მხოლოდ პასტერნაკს, რომლის გაცნობა მინტერესებდა, – მოსკოვში არ იყო. თანამედროვე პოეტებში პასტერნაკი უთუოდ გამოირჩევა, ის ნამდვილი ოსტატია და უკანასკნელი ლირიკოსი“. მოგვიანებით ეს შეხვედრა შედგა თბილისში, პაოლო იაშვილის ოჯახში. ნინო ტაბიძე ასე აღწერს ამ მღვდელმწიფე წუთებს: „კარი პაოლოს ცოლმა თამარმა გაგვიღო. შევედით და მოჯადოებული შეუდექით. როგორი შინაგანი მღვდელმწიფეებით იყო სავსე. როგორი შთაგონებული სახე ჰქონდა ფეხივერ მოუინაცვლეთ, მაგრამ გაგვიღიმა, ჩვენც გავუღიმიეთ და ამიერიდან უკვე სამარადისო მეგობრები შევიქენით“. ამ მეგობრობას სათუთად ინახავდა ტაბიძეების ოჯახი ტიცვიანის გარ-

დაცვალების შემდგომაც. თავად პასტერნაკს ყველაზე მძიმე წუთებშიც არ შეუწყვეტია ურთიერთობა მეგობრის ოჯახთან, მორალურ და მატერიალურ თანადგომას უწევდა რეპრესირებული პოეტის ცოლ-შვილს. ცნობილია, რომ სწორედ ბორის პასტერნაკი იყო თანამედროვე ქართული პოეზიის პირველი პროპაგანდისტი მოსკოვსა და პეტერბურგში.

დღესასწაულის ყოველი დღე ემოციურად იყო დატვირთული. სახეიმო სხდომაზე გამომსყლელ ორატორთა შორის ჩნდება გერმანელი მწერალი სტ. ცვაიგი თავისი მოხსენებით „ტოლსტოი და ევროპა“. ტიციან ტაბიქემ შემოგვიჩაჩა ამ დიდი მწერლის პორტრეტი: „ხედმეტი თავაზიანია მოკყრობაში, სრულიად ახალგაზრდა გამომეტყველება აქვს, უფრო დიპლომატს ჰგავს, ვიდრე მწერალს. განსაკუთრებით კვლერმანთან შედარებით, რომელსაც უბრალოდ აცვია და მხით არის გადამწვარი, რადგან ბერს მოგზაურობს.“ სხვათაშორის, ტიციანი, რომელსაც იმუამად მეუღლეც თან ახლდა, სტ. ცვაიგის მიერ „გრანდოტელში“ მიწვეულ სტუმართა შორის აღმოჩნდა.

ნარკვევში „ტოლსტოის დღეები“ კარგად იგრძნობა ტიციან ტაბიქის დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისა და პიროვნებების მიმართ. მართალია, ეს მოსაზრებები გარკვეულ ჩარჩოებს არ სცილდება, მაგრამ ყველგან იგრძნობა აზრის სითამამე, სუბიექტური აღქმა მიმდინარე მოვლენებისა. მწერალი გვევლინება არა მარტო მრავალი ისტორიული ეპიზოდის შემტიანედ, არამედ იმ სასოგადოებრივი აზრის წარმომჩენად, რომელიც არსებობდა იმ დროისათვის ამა თუ იმ პიროვნებასთან დაკავშირებით. აი, რას წერს იგი სერგეი ესენინსე, რომელიც იმ დროისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო: „ახლაც ჟრუანტელი მივლის ტანში, როცა მოვიგონებ ესენინის უკანასკნელ სურათებს, სასტუმრო „ანგლეტარში“ რომ გადაუღია. საერთოდ ესენინი ძალიან აკლია რუსულ პოეზიას. ტოლსტოის დღეებზეც ძალიან

აკლია, რადგან ის მისი ნათესაეი იყო. უცხოელ მწერლებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ესენინი და ცრემლიც შევნიშნე შტეფან ცვაივის თვალებზე, სურათებს რომ ათვალიერებდა ესენინის მუხეუმში“. ასეთი ინტერესი არსებობდა 1928 წლისათვის გერმანულ ლიტერატურულ სამყაროში ესენინის მიმართ. რასაკვირველია, ეს არ გასკდავო სრული სურათი ამ დამოკიდებულებასა, თუშცა მრავლისმეტყველია იმ პროცესის გაგებასაოფის, რომელსაც ს. ესენინის დიდ პოეტად აღიარება ერქვა.

ნარკვევის მესამე თავს ჰქვია „იასნაია პოლიანაში“. ყველაზე შთამბეჭდავი ტიცციანისათვის სწორედ აქ, დიდი მწერლის მშობლიურ კუთხეში გატარებული საათები შეიქმნა. შესავალში მწერლის მიერ მიგნებული პარალელი სრულად მეტყველებს მის მხატვრულ დახვეწილობასა და გემოვნებაზე: „ერთი რომელიმე პიროვნება ისე ამოწურავს თავის გარშემო ყველაფერს და ისე შეიერთებს შემოქმედებით, რომ შეუძლებელია მერე იმ ადგილის წარმოდგენა ამ პიროვნების გარეშე. ასე თურმე, ესპანეთის მთები ძალიან ჰგვანან ღონ კიხოტს, ისევე მგლე ღრიან და ფერდებშეფერთხილი, როგორც ეს მწუხარე სახის რაინდი. ჩვენშიაც მწერლების პიროვნება თითქოს აღნიშნავს იმ კუთხეს, საიდანაც წარმოიშვა ეს მწერალი. ხედავთ ყვარლის მთებს, თვითონ ყვარელს – ნოყიერსა და მსუქანს და იღია ჭაუჭაუჭაძე წარმოგიდგებათ; ზემო იმერეთი, საჩხერის რაიონი, „მოდიანახე“ აკაკი წერეთელს გაგონებთ, ფშავ-ხევსურეთი და თავისი ჩაჩქინიანი მთებით – ვაჟა-ფშაველას“. ტიცციანის ეს მხატვრული ასოციაცია კანონზომიერად ერცელდება ლ. ტოლსტოის პიროვნებაზეც და მენარკვევე ასკვნის: „მაგრამ მე არ ვიცი სხვა მწერალი, რომელიც გამოხატავდეს და ავსებდეს თავისი პიროვნებით თავის სამშობლოს ისე, როგორც ლეე ტოლსტოი“. ეს განწყობილება მას უფრო უძლიერდება, როცა იასნაია პოლიანაში შეაბიჯებს. მწერლის დაკვირვებული თვალი წყდება ერთი შეხედვით თითქოს

უმინშენელო დეტალებს და მას იყენებს შტრიხებად ტოლსტოის პორტრეტისათვის. მწერლის ეს ხედავა იმდენად ინდივიდუალური და არასტანდარტულია, რომ ხშირად სცილდება ნარკევერის განზომილებებს. ქართველი ხალხის სიყვარულის ტრადიცია ამ გენიალური მწერლის მიმართ, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ, ტიცვიან ღაბიძის ამ ნარკევეში ღირსეულ გაგრძელებას პოულობს.

ნარკევეში მწერალი წარმოგვიდგენს ლ. ტოლსტოის ოჯახურ გარემო ს. ტიცვიანის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მწერლის ქალიშვილი, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე უფრო ინახავდა მამისეულ ნიშანს: „თუ გარშემო ყველაფერი ტოლსტოის გვაგონებს, მისი ქალიშვილი ყველაზე უფრო ინახავს ტოლსტოის ნიშანს. მამასავით მასიურია, ჩასკვნილი და მაგრად შეკერილი. აცვია გლესური ტანისამოსი – უბრალო და სადა, მაღალი ჩექმები... აღექსანდრა ლეოენა ტოლსტოის საყვარელი ქალიშვილია“. მართლაც, ეს ქალი იყო დიდი მწერლის ერთადერთი მესაიდუმლე. იგი თავის დღიურებსაც კი ანდობდა მას. ნარკევეში ტიცვიან ღაბიძე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის გენიალური მწერლის შესახებ. მოგვითხრობს მასზე, როგორც სკოლის აშენების ინიციატორზე, მის დამოკიდებულებაზე ოჯახის წევრებთან. ნარკევეში ოსტატურად არის აღწერილი ტოლსტოის იშვიათი მხრუნველობით მოვლილი სახლ-მუხეუმი, მწერლის საფლავი. სწორედ აქ, ტიცვიანს აღეძვრება ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე: „აქ ამ საფლავში, ტოლსტოი თითქო ცოცხალი წევს; თითქო ის შეუერთდა მიწას და კიდევ სუნთქავსო. ეს არის მეორე სიცოცხლე, სიკვდილის დათრგუნვა. გრ. ორბელიანს ასეთივე რკინის აგებულების კაცს, რომელმაც მასავით 83 წელს მიატანა და უძღურება არ მიცარებია, რომელიც პირისპირ ებრძოდა ჰაჯი – მურატს, ბუნებაზე აქვს ნათქვამი: „სიკვდილით ბადებს სიცოცხლეს“, მა-

გრამ ყველაზე უფრო რუსთველი მოაგონდება:

„მიწურვილ იყო საფხული,
ახლად ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი
დრო მათი პაემანისა“.

ამ სამუდამო პაემნის განცდის, ამ სიცოცხლის განუწყვეტლობისა და მარადისობის ნიუთიერი ნიშანია ტოლსტოის საფლავი“.

ნარკვევში „ასე იღება კულტურის კარი დარიალთან“, ტიციან ტაბიძე ეხება ორ საინტერესო მოვლენას საქართველოს ცხოვრებაში. ეს არის მეტეხის ციხის ხელოვნების მუზეუმად გარდაქმნა და ყაზბეგში მხარეთმცოდნეობისა და სალიტერატურო მუზეუმის მოწყობა.

ცნობილია, რომ ტიციან ტაბიძე იყო ინიციატორი ყაზბეგში აღ. ყაზბეგის სალიტერატურო მუზეუმის დაარსების. მასვე ეკუთვნოდა მუზეუმის პროექტი, რომლის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება ყაზბეგში მეტად საშური საქმე იყო და იმედოვნებდა, რომ აქ ამავდროულად იქნებოდა აღ. ყაზბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმიც.

ნარკვევი „ასე იღება კულტურის კარი დარიალთან“ იწყება საუბრით საქართველოს უმშვენიერეს ბუნებაზე. ტიციან ტაბიძე აქაც არ ღალატობს ჩვეულ ტრადიციას, არ კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი შეფასებებით და იშველიებს რუს, უცხოელ ავტორებს. მარკო პოლო, კავალერი შარდენი, არქანჯელო ლამბერტი, ალექსანდრე დიუმა, პუშკინი, ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი და ბევრი სხვანი, ის მწერლები და მოგზაურებია, რომლებიც შეჭხაროდნენ კავკასიის უტურფეს ბუნებას. მაგრამ ტიციან ტაბიძის ეროვნულ თაყმობაზე არ აკმაყოფილებს ყურადღების გამახვილება მხოლოდ მისი ქვეყნის ეგზოტიკაზე.

ჩნდება მისი საფუძვლიანი სურვილი საქართველოს, როგორც მდიდარი კულტურულ-ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნის ამ კუთხით სათანადოდ წარმოინისა უცხოელი ტურისტების წინაშე. ამის განხორციელებას, ავტორის აზრით, ხელს შეუწყობდა სწორედ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება. ამით საფუძველი ჩაეყრებოდა „კავკასიის მთიელი ტომების შესწავლის ინსტიტუტს, „ადიკვეთებოდა ეგზოტიკა და გ'სა დაეთმო-ბოდა ქვეყნის მეცნიერულ შესწავლას“.

ნარკვევში ჩანს, რომ ტიცინან ტაბიძეს კარგად ესმის კავკასიელი ხალხის მეგობრობის ფასი. ის, რომ ამ ურთიერთობაზე ბევრად იყო დამოკიდებული კავკასიის ბედი: „აქ თავს იყრის კავკასიის მოსახლე ერების ძარღვი, – აქ ერთმანეთს ხედებიან მოხევეები, ოსები, ქისტები, ინგუშები, ლეკები, მთიულეები, ჩერქეზები და სხვა. მასების ინტერნაციონალური აღზრდა მოითხოვს, რომ მათ იცოდნენ ერთმანეთის ისტორია და ურთიერთობა“.

ტიცინან ტაბიძის ზემოთგანხილული ნარკვევები გარკვეულწილად წარმოადგენს იმ დროს იდეოლოგიურ და კულტურულ ფრონტზე მიმდინარე მოვლენების აღქმა-გაანალიზებას. ნარკვევის ავტორის თვალსაზრისით პოლიტიკურ აღდგომა და სწორი მხატვრული კონცეფციის წყალობით ეპოქისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრება ასახულია მახვილი პუბლიცისტური თვალით. ტიცინან ტაბიძე, როგორც მენარკვევე, გამიორჩევა მოვლენების გააზრებისა და მკითხველამდე მიტანის მეტად თავისებური მეთოდით და მხატვრული ხერხებით. ეს გახლავთ ამა თუ იმ ცნობილი მწერლის ნაწარმოებთა ციტირება-დამოწმება, ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის კონტრასტული დაპირისპირება. ამგვარი მეთოდი იქ განხილულ მოვლენებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს და უფრო სარწმუნოს ხდის აღწერილ ეპი-

ზოდს.

მართალია, ტიცვიან ტაბიძის დიდებულ ფონდში მისი ნარკვევები უყურო სააგიტაციოდ არიან გამიზნული, მაგრამ ამავე დროს, ისინი თვალსაჩინოს ხდიან მწერლის განსწავლულობას, სინამდვილის ნოვატორულ, მაღალხატოვან ხილვა-ათვისების უნარს. დრომ გადააფასა ტიცვიან ტაბიძის ნარკვევების იდეოლოგიური და მომწოდებლური პათოსი, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის პუბლიცისტურ სიბრძნესა და განცდითი სიმახვილით საესე მხატვრულ აზროვნებას.

ტ. ტაბიძის სულიერ-ინტელექტუალურმა განსაკუთრებულობამ და ფართო განსწავლულობამ გამოხატულება ჰპოვა მის პუბლიცისტურ წერილებში. ისინი მოიცავენ ძირითადად ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროს. ამავე დროს მას აქვს წერილები საზოგადო მოღვაწეებსა და ისტორიულ პიროვნებებზე. საკითხთა გაანალიზების სიღრმითა და აქტუალობით ისინი ყურადღებას იპყრობენ არა მარტო წმინდა ლიტერატურული თემატიკისათვის. ტ. ტაბიძის მრავალჯეროვანი არქივის შესწავლისას ცხადი გახდა, რომ მისი წერილები ნაკლებად კომპრომიზული არიან ეპოქისა და დროის მოთხოვნილებების მიმართ, ნაკლებად პოლიტიზირებულნი, ვიდრე ტიცოან ტაბიძის ნარკვევები, რომლებშიც, როგორც უკვე ვნახეთ, გულწრფელი პასაჟების გვერდით მოიპოვება დროის მოთხოვნით დაწერილი სტრიქონებიც. მისი წერილები არ მიეკუთვნება იმ კონიუნქტურულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლებმაც ვერ გაუძღეს დროის ევლილებებს და უღამდამო. იდეურად უსუსურ ნაწარმოებთა ზასაფლაოზე აღმოსნდნენ. უფრო მეტიც, ტიცოან ტაბიძე – პუბლიცისტი გამოიჩინევა ერუდიციის სიფართოვითა და მაღალი ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნებით. მის წერილებში იგრძნობა ოსტატის ხელწერა, რომელიც წინებულად აკონტროლებს ლიტერატურულ სამყაროში მიმდინარე პროცესებს, კომპეტენტურია თეატრალურ ცხოვრების მოღვაწეთა და ფერწერის დიდოსტატთა შეფასების დროსაც.

აღსანიშნავია რუს და სომეხ პოეტებზე დაწერილი წერილები. მისმა ურთიერთობამ, მეგობრობამ რუსულ ლიტერატურულ სამყაროსთან, რუსი კოლექციების ნაციონალური თვისებების დრმა ცოდნამ განაპირობა დიდი სიყვარული რუსი კლასიკოსების მიმართ. ეს პათოსი გასდევს არა მარტო მის ნარკვევებს, არამედ

„ლიტერატურულ-ლიტერატურულ თხზულებებსაც. მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და რუსული ლიტერატურის დიდი თაყვანისმცემელი, მიუხედავად იმ ატმოსფეროსი, რომელსაც დაემთხვა მისი სამწერლო ასპარეზზე გამოცემა, მხედველობაში გვაქვს ქართული ენის ტრიბუნებიდან და სამწერლო ასპარეზიდან გაძევების ტენდენცია, ტიცვიან ტაბიძე მტკივნეულად განიცდიდა ქართულ ენასა და მწერლობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას და ეძებდა გადაწყვეტის გზებს.

ტიციან ტაბიძის, როგორც პუბლიცისტის ნათლობა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უნდა მომხდარიყო 1916 წელს, მაგრა) მისი საპროგრამო წერილი „ცისფერი ყანწებით“ დაიბეჭდა 1916 წელს გამოცემულ სიმბოლისტთა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. გაზეთმა „ჩვენნი მეგობარი“ ამის თაობაზე წინდაწინ აუწყა ქართულ სასოციალიზმის საზოგადოებრიობას. სამოცდამეექვსე ნომერში დაბეჭდილი იყო განცხადება: „კვირას – 29 მაისს ქ. ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული გაზეთი ხელოვნებისა და ლიტერატურის „ცისფერი ყანწები“.

ჟურნალში მთავარი ადგილი პაილო იაშვილისა და ტიცვიან ტაბიძის წერილებს ეკავა. ეს იყო მცდელობა თეორიულად დაეხმებინათ სიმბოლისტების დამკვიდრების აუცილებლობა ქართულ ლიტერატურულ სამყაროში. ტიცვიან ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებით“ დაიწერა ქ. მოსკოვში. ოცდაერთი წლის ჭაბუკი გულდასმით ადევნებდა თვალყურს იქ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ქართული პოეზიის განახლება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. ფრანგულმა და უფრო რუსულმა სიმბოლისტმა ხელი შეუწყო მოდერნისტული ესთეტიკის ჩამოყალიბებას საქართველოში. მისი მესექურნი და მათ შორის ტიცვიან ტაბიძე თვლიდა, რომ ქართული ხასიათი ამისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგი იყო. მიზეზი ამისა ქართველი ხალხის თეატრალიზაციის,

პოზირებისა და გარდასახვის უნარი გახლდათ. ტიცციან ტაბიძე ღრმად იყო დარწმუნებული საქართველოში სიმბოლიზმის დაბადების კანონზომიერებაში და ლიტერატურულ სამყაროს თეორიულად უსაბუთებდა მისი მოვლინების აუცილებლობას. პ. იაშვილის „პირველთქმა“ და ტიცციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“ ის ლიტერატურული მანიფესტებია, რომლებმაც პირველად აუწყო ქართულ ლიტერატურულ სამყაროს სიმბოლიზმის საქართველოში არსებობის შესახებ.

ტიცციან ტაბიძის წერილის „ცისფერი ყანწებით“ ტონი რეალისტებისათვის საკმაოდ გაუგებარი აღმოჩნდა, ხოლო მომდევნო ფსევდორეალისტებისათვის – სრულიად მიუწევდომელი. მიუხედავად ამისა, ქართველი სიმბოლისტები საკუთარი იერსახის ფორმირების პროცესში საკმაოდ ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდნენ. მოდერნიზმის დასამკვიდრებლად სიმბოლისტი პოეტები არა მარტო მხატვრული პოეტური სიტყვით იკაფავდნენ გზას, არამედ თეორიული არგუმენტებითაც.

მართალია, ჯგუფმა „ცისფერმა ყანწებმა“ ოფიციალურად 1915 წელს აუწყო საზოგადოებრიობას თავისი არსებობის შესახებ, მაგრამ სიმბოლისტური ტენდენციები ტ. ტაბიძის პოეტურ მსოფლმხედველობაში უფრო ადრე გვახსენებს თავს. ამის ნიმუშია, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მინიატურები და ნოეკლები. 1916 წელს წერილით „ცისფერი ყანწებით“ ტიცციან ტაბიძემ საბოლოოდ მოუყარა თავი 1909-1914 წლებში არსებულ მინიშნებებს, ასოციაციურ განწყობილებებსა და შეგრძნებებს და თეორიული სახით ჩამოაყალიბა ის ძირითადი პოსტულატები, რომლითაც აპირებდნენ ხელმძღვანელობას ის და მისი ჯგუფის წევრები.

წერილის დასაწყისშივე იგი უღრმავდება და ეძიებს მოდერნისტული ხელოვნების წარმოშობის ფესვებს, მისი წარმოშობისა და გავრცელების არეალს. გეოგრაფიულ არეალს: „ის არის

დვიძლო შვილი ქალაქის“. ქალაქის ატრიბუტები – „შავი ნიღო, მკროთმარე გასი და ელქტრონის ფარნები“ აღვიძებენ ნოდერნისტულ განწყობილებებს. ამ დროისათვის სარწმუნოება კვდება, მაგრამ რადგანაც რწმენის გარეშე არსებობა შეუძლებელი იყო, მოდერნისტები თავის თავს ეღებდნენ „მითის მქმნელთა“ მისიას. წარსულში უმითოდ ყოფნის კოშმარს ისინი ავსებდნენ მოზეიმე სიტყვით, მკაცრი ფორმით, სველისა და მელანქოლიის რეალობით. ფრანგი სიმბოლისტების მსგავსად, ტიციან ტაბიძე იღვა წარსულის უარყოფის პოზიციაზე და აღიარებდა, რომ „ტალახიანი ბურჯუაზიული კულტურა“ უხეშად იცილებდა გიიდან ჰომეროსის, ბაირონისა და შელლის ცეცხლოვან პოემებს. ადამიანი იძარცვებოდა წარსულისაგან და ინტელექტი დგებოდა პირველყოფილ ბუნებას, იდილიურ პატრიარქალურ პირველქმნილ მომხიბლველობასა და მოდერნიზებულ რომანტიკას შორის. ტიციანის ცნობიერებაში ამ ორ უკიდურესობას ამთლანებდა ვაჟა ფშაველასა და ოსკარ უაილდის ფენომენი.

ტიციან ტაბიძე იმოწმებს რეში დე გურმონის განმარტებას სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის თავისებურების თაობაზე, ეს იყო: „ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილ ფორმულების უარყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმიც კი. ეს ნიშნავს კიდევ იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უკუღებულყოფას, ანტიატურალიზმს. ტენდენციებს მხოლოდ იმ ხაზების გადმოკვმისას, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანსხვავებს. სურვილს დაატეო ის, რაც არსებითია“. ტიციან ტაბიძე თანამიმდევრულად, პრაქტიკულად ახდენდა გურმონისეული დებულებების დემონსტრირებას, გეთავაზობდა რა, სინამდვილის სიმბოლურ, დეფორმირებულ აღქმას, უარყოფდა პირდაპირულ ხისუსტესა და აღიარებდა რთულ პირობითობას. თუმცა იქვე შეშფოთებას ცამოთქვამდა სიმბოლიზმის, როგორც

მეთოდებსა და სიმბოლიზმის, როგორც სკოლის აღრევის გამო. ამ სენი ა თაობაზე თავის დროსე აღნიშნავდნენ რუსული სიმბოლიზმის მესვეურნიც — კ. ბალმონტი და ე. ბრიუსოვი თავიანთ წიგნებში: „მთათა მწვერვალნი“ და „შორეულნი და ახლო-ღელნი“.

საქართველოში სიმბოლიზმის შემომიტანად და მის პირველ აპოლოგეტად ტიციან ტაბიძე ასახელებს გრ. რობაქიძეს. მას მართლაც განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა „ცისფერყანწელებთან“. უსახლერო იყო ამ ორდენის მხრიდან მისდამი პატივისცემაც. სიმბოლიზტური ტენდენციების საკმაოდ მძლავრი გაყენის მიუხედავად, გრ. რობაქიძის ერთი რომელიმე მიმდინარეობის ფარგლებში მოქცევა შეუძლებელია. ცნობილია, რომ მისი ინტელექტუალური მსატერული აზროვნება წილნაჯარი იყო არა მარტო სიმბოლიზმთან. მიუხედავად „ცისფერყანწელთა“ დიდი სურვილისა, თავიანთი ძიების წევრად დაესახელებინათ ავტორიტეტული პოეტი, თავად გრ. რობაქიძე უარყოფდა ამ ლიტერატურული სკოლის წევრობას და ერთერთ დასავლურ ჟურნალში წერდა: „მე ვიყავ „ყანწელებთან“ მხოლოდ როგორც მეგობარი, უფროსი, დამხმარე და წამხალისებელი. თქვენ კი მთელით მის მეთაურად, ვთხოვთ შეასწოროთ“. თუმცა ეს საკმაოდ ორაზროვანი უარყოფა ლატენტურად კატეგორიულობის განცდასაა მოკლებული. ნუ დაგვაიწყებება ისიც, რომ გრ. რობაქიძე, რომელიც 1931 წლამდე საქართველოში იმყოფებოდა, მომსწრე იყო „დეკადენტურ მიმდინარეობათა“ წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლისა. შესაძლოა, მისი სიტყვიერი უარყოფა „ცისფერყანწელთა“ მეთაურის ამკლუაში ყოფნის, ამითაც იყო გამოწვეული. 1922 წლის 22 იანვარს პასილი იაშვილის მიერ გრ. რობაქიძე კვლავ „ცისფერყანწელთა“ სამოს წევრად იქნა დასახელებული. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, გრ. რობაქიძის სიმბოლიზტობა ვამტიციოთ, მაგრამ თავად ქართველი

სიმბოლისტები აღიარებდნენ, რომ სწორედ ამ პიროვნებებზე აგრძობინა მათ მოდერნიზმის, როგორც „ახალი დროის პაროლის“ მთელი საიდუმლოებანი.

წერილში „ცისფერი ყანვებით“ ტიცინან ტაბიძე ანვითარებს აზრს, რომ ქართულ სინამდვილეში სიმბოლისმის შემოტანა გრ. რობაქიძის მიერ საკმაოდ უმტიყენეულად მოხდა, რადგან სიახლის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სირთულეები მას შეუმსუბუქა კ. აბაშიძისა და არჩ. ჯორჯაძის ავტორიტეტულმა სიტყვამ: „ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრ. რობაქიძემდე“. – წერდა იგი. ავტორის მოსაზრება მოდერნიზმის დამკვიდრებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე ჩენი აზრით, სავსებით ლოგიკურია. როგორც ვიცით, ქართულ ლიტერატურულ სამყაროში რეალიზმმა ხმალამოდებულმა შემოდგა ფეხი. „მთვარეს გამიჯნურებულ“ რომანტიკოსთა შემდეგ ახალი წესრიგის შემომტანი სამოციანელები ძველ ფორმათა, განცდათა და შეხედულებათა გადასინჯვა-განახლების პროცესში ბევრ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. ამ ბრძოლამ მკვეთრად გამოხატული ხასიათი მიიღო და ლიტერატურის ისტორიას „თაობათა ბრძოლის“ სახელით შემორჩა. XX ს-ის 10-იან წლებიდან კვლავ დაიწყო ქართული ლიტერატურის განახლების პროცესი. აქედან იწყება ქართული მოდერნიზმის ისტორიის ათვლაც. ქართველი მოდერნისტები გულმოდგინედ შეუდგნენ ეროვნული მხატვრული აზროვნების ევროპულთან ზიარების პროცესს. ამათგან ყველაზე გაბედული აღმოჩნდა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი. ისინი საკმაოდ პრეტენზიულად შემოვიდნენ ლიტერატურულ ავანსცენაზე და თაყიანითი საკუთარი კერპები შემოიყვანეს. ეს სიახლე მოულოდნელი აღმოჩნდა. ქართველი საზოგადოებრიობა თავდაპირველად ვერც კი გაერკვა მიმდინარე მოვლენების ხასიათსა და მნიშვნელობაში. რასაკვირველია, ეჭვი და უნდობლობა მათ მიმართ აკაკის სადა,

ნათელი პოეტური ხაზის მერე სრულიად ბუნებრივად გამოიკვეთა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს განწყობილება გარკვეულწილად შეარბილა ჭ. ლომთათიძისა და შ. არაგვისპირელის ნაღვლიანმა მოწოდებებმა, რომელშიც უკვე იგრძნობოდა მოახლოებული სიახლის სუნთქვა. ამგვარად, ნიადაგი მოდერნიზმის მისაღებად საქართველოში უკვე შემზადებული იყო. მხატვრული სტილი მოღლილი ტრადიციული სქემების ვარიანტით მას შეხვდა ცნობისმოყვარე, მომლოდინე თყალებით. ამ მდგომარეობას წერილის ავტორი მიიჩნევდა კ. აბაშიძისა და არს. ჯორჯაძის დამსახურებად: „ოსკარ უაილდი პიროვნების თავისუფლების და მეშინური მორალის დაპირისპირებამ რედინგის ცისემდე მიიყვანა. რედინგი მისთვის ძალიან ადრე დაიწყო და საფლავშიც არ გათაყებულა. ვის არ ახსოვს პარიზის აღელვება „ციმბალისტების“ პირველ ლაშქრობაზე, ვ. სოლოვიოვის და ნ. მიხაილოვსკის რისხვა რუსეთელ სიმბოლისტთა გამოჩენაზე. საფიქრებელი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღელვება გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიაც მონახავდნენ ფინებს ინკეიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრ. რობაქიძეს უთხრეს დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ“.

მართლაც, არჩილ ჯორჯაძის წერილებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე. მათ შორის, „ცისფერყანწელთა“ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. თუმცა არჩილ ჯორჯაძე არასოდეს ყოფილა მომხრე მოქალაქეობრივი პასიურობისა და მისტიკური იდეალისტური განწყობილებების. იგი ხელოვნებისაგან მოითხოვდა ნუგეშისცემას, იმედთან მოწოდებებს და მასში ხედავდა „სიცოცხლის საიდუმლო კანონს“. თავის 1910 წელს დაწერილ წერილში „სიტყვაკახმული მწერლობა“ იგი მართებულად აყვასებდა ლიტერატურულ სამყაროში მიმდინარე პროცესებს და აღნი-

შნაყდა, რომ „ლირიკულ პოეზიაში აშკარად გამოისახა ორი მიმართულება. ერთი, რომელიც ხასიათდებოდა რაციონალისმით და მოქალაქეობრივი მისტიციით. მეორე, კი არსებითად ირაციონალური და თითქმის მისტიკური განწყობილებებით. „ერთ ჯგუფს პოეტებისა ალაფრთიყანებს კონკრეტული სინამდვილის გამშვენებების აზრი. მეორენი გაურბიან ამ კონკრეტულ სინამდვილეს და ოცნების სამეფოს ძებნაში არიან. ამ ორი ზომართულების შესწავლა და დაფასება სალიტერატურო კრიტიკოსათვის ფრიად საყურადღებო იქნებოდა“, — წერდა იგი. ნათელია, თუ ვის გულისხმობდა ავტორი მეორე მიმართულების პოეტებში. ჯერ კიდევ ორიოდე წლით ადრე კი არჩილ ჯორჯაძე შენიშნაყდა, რომ მათი ცრემლები ღერისა და ქვითინის პათეტიკა დამღუპველი იყო ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის: „მე არა მსურს ავაყოლო გული ამ მწუხარე ხასიათის საუბარს. იმაზე ადვილი არაფერია მიაღვე ღარიბ და დამაგრულ კაცს კარს და დაიწყო ქვითინი — რა ხარ, რა ადამიანი ხარ, შენს ქოხში ბნელა, შენს ირგვლივ ოხერაა, შენს გულში სევდაა. დავრდომილ ადამიანის გაბიაბურება ადვილი საქმეა. სიმამაცე, სიუფილდე უფრო ის არის, როდესაც გულგატეხილ ადამიანს ეტყვი — წარბებს ნუ იკრავ, გაიცინე, გაუცინე მზეს, რომელიც ასეთის სიუსხეთ აბნევს სიბოის და სინათლეს... თქვენ უგებთ ანდერჰს არა მარტო დავრდომილ ადამიანს, არამედ მთელ ერს, მართალია პატარა ერს, მაგრამ იმისთანას, რომელსაც ბევრი რამ გამოუცდიდა — ავიც, კარგიც, რომლის გული სიყვარულითაც სძებრდა, სიძულელითაც, ერს, რომელსაც სწავრავდნენ ათასგვარად და ათასგვარად, ხოლო რომელსაც არ დაუკარგავს არც სიცოცხლის, არც სიყვარულის, არც სიძულუაის უნარი“. მოყვანილი ციტატა სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოხატავს არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულებას „ირაციონალური, თითქმის მისტიკური პოეტების“ მიმართ, რომელთა ქვეშ უდავოდ იგულისხმე-

ბიან მომავალი „ცისფერყანწველებიც“. მაგრამ ის ფაქტი, რომ არსილ ჯორჯაძე ცდილობდა მცირე შესწორება შეეტანა მათი ასროვნების სტილში, სულაც არ ნიშნავდა მათი პოტენციური შესაძლებლობების უგულვებელყოფას. თუნდაც იმიტომ რომ, ტ. ტაბიძის მსგავსად ისიც „ახლებური ასროვნების“ შემომტანად გრ. რობაქიძეს მიიჩნევდა: „გრ. რობაქიძე, ადამიანი ნიჭით დაჯილდოვებული, ხოლო ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკურ ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალი და დღემდე თითქმის უცნობ მოვლენად ჩაითვლება“. საყიქრებელია, რომ არსილ ჯორჯაძის ასეთმა შეფასებებამაც შეუმსადა ნიადაგი ტ. ტაბიძის მიერ გამოთქმულ მოსასრებას არსილ ჯორჯაძის ქართული ესთეტიკური კულტურის ერთ-ერთ რეფორმატორად აღიარებისა. საგულისხმო იყო კიტა აბაშიძის დამოკიდებულება „ცისფერყანწველ“ პოეტთა მიმართ. ნან კარგად იცოდა, რომ ლიტერატურული მიმართულებების ერთ ყაიდაზე ჩამოყალიბების პროცესი გარკვეულწილად აფერხებდა ქართული მწერლობის განვითარებას: „ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ მიმანია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად“. კ. აბაშიძემ მართლაც მფარველობა გაუწია ახალგაზრდა ნოვატორებს, რაშიც ბრალი დასდეს და მოგვიანებით ფუტურისტების მიმართაც სიმპათიების გამომვლადენებაში დაადანაშაულებს. თავის წერილში „გონს მოდით!“ მან კორექტულ ფორმებში გაჩოხატა თავისი მოსასრება და საზოგადოებრიობას შეახსენა: „ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისწერო საღამოზე: „ნუ ავიგდებთ ამ მწერლებს აბუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანწებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგი-

ერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხეუჭილი-მეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის, ახალი ძნელი შესაბამისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას, მხოლოდ ყველაფერი კი არ მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი – დავემოთ“.

შ. აფხაიძის მოგონებით „ახალ სიტყვას პოეზიაში მოსარჩელეც გამოუჩნდა. ეს იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. მან ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა პოეტებში ახალი სიო, მოწონებით შეხედა მათ გამოსყლას და კარგი მომავალიც უწინასწარმეტყველა.“

ტრაფარეტ: ღი, დრომოჭმული ხელების საშიშროებაზე ქართულ მწერლობაში ყურადღებას ამახვილებდა ტიცინან ტაბიძეც და მოითხოვდა ძველი აზროვნების სტილში დისონანსის შეტანას: „ბატონი შაბლონი დღეს მაღაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალკუთხიანი და კომპარირით აწევს ქართულ სინამდვილეს. მარტო პოლიტიკური ცხოვრება არ არის მისი მოედანი, ჭრიალა „დროგით“ მწერლობაშიც შემოდის“.

ტ. ტაბიძისა და მისი თანამოაზრეების ბრძოლას „ბატონი შაბლონის“ წინააღმდეგ უკუაღივდა არ წაუყვია. სხვათაშორის, ეს ეჭვი მაშინაც თიხის ყუხებზე იდგა, როდესაც მოწინააღმდეგეები მასიურად უცხადებდნენ უნდობლობას, რადგან აქა-იქ მაინც გამოუჩნავდა ხოლმე მათი „ნამოღვაწარი“ კმაყოფილების გრძნობა ისეთი რადიკალების მხრიდანაც კი როგორც იყო გამსახურდია: „მათ აქვთ ერთი პლიუსი. მათმა ხმაურობამ სოგიერთ ნამდვილ პოეტს გაუღვიძა გაუმჯობესების ძიება, წაახალისა“. პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებსაც კი სძლევდათ სოგჯერ ობიექტურობის გრძნობა და აღიარებდნენ მათ დადებით ზემოქმედებას სალექსო ხელოვნების განვითარების საქმეში. „ლექსის ტექნიკის გამშვენიერება უმაღლეს ხარისხ-

ამდე აიყვანეს სიმბოლისტებმა. მათი პოეტური შემოქმედების განსხვავების მშვენიერი ტექნიკით სიმბოლისტებმა მოაჯადოვეს თითქმის ყველა პოეტი, სიმბოლისმის გაელენას ვერ გაექცა ვერც ერთი პოეტი და ვერც ერთი ჯგუფი“ – წერდა იმხანად პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი მესვეური ალ. დუდუჩავა.

წერილში „ცისფერი ყანწებით“ ტ. ტაბიძე ასახელებს ქართული პოეზიის სამეზას – ს. შანშიაშვილს, გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილს და სამთავეს სიმბოლისტ პოეტად მოიხსენიებს.

სიმბოლისმისგან გ. ტაბიძის დაცვა დღეს არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. არც ი. გრიშაშვილის პოეზია იდგა იმხანად შორს სიმბოლისმის გაელენისაგან. ამისათვის საკმარისია გაუიხსენოთ უფრონაღ „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებული მისი ლექსები „სძინავს დედოფალს“ და „შეშლილი ოთახი“. მაგრამ როგორ მოხედა სიმბოლისტთა შორის ს. შანშიაშვილი? ტ. ტაბიძე ამგვარად ასაბუთებს თავის მოსასრებას: „მისი პირველი გამოსვლა და სიმბოლისტად მონათვლა მაშინ მოხდა, როცა ის ერთი ხელით სთარგმნიდა ნადსონის და რატგაუსის იაფ რომანსებს, მეორეთი მეტერლინგს, კ. ბალმონტს, ედგარ პოს“. რასაკვირველია, დასახელებული არგუმენტები სრულად ვერ გამოდგება ს. შანშიაშვილის სიმბოლისტად აღიარებისათვის, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ეს წერილი დაიწერა 1916 წელს, როდესაც სიმბოლისმი ეს-ეს იყო იკიდებდა ფეხს. ამიტომაც ტ. ტაბიძის მოსასრება იმხანად უფრო სურვილს წააგავდა, ვიდრე დასაბუთებულ ჭეშმარიტებას. იგივე შეიძლება ითქვას ი. გრიშაშვილზე. ჩვენი ასრით, ტ. ტაბიძის მიერ ს. შანშიაშვილის და ი. გრიშაშვილის ძვირფას სამებაში დასახელება შემსადებული იყო კ. აბაშიძის 1912 წელს გამოქვეყნებული წერილით: „ჩვენი ახალგაზრდა მწერლები“, სადაც აქტორი მიმოიხილადა მათ შემოქმედებას და საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა.

ტ. ტაბიძე სრულიად ობიექტური იყო, როცა თავისი სურვილის განსხეულებას ყველაზე რეალურად გ. ტაბიძის შემოქმედებას უკავშირებდა: „ის ახალგაზრდაა ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისაკენ გადახრა. „მე და ღამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმად, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველის წიგნის ნერეების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისა. რაც ძვირად არ ღაფაფასოთ ის, რაც იმან მოგვცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია“.

პროზაიკოსთა შორის წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნიკო ღორთქიფანიძისა და ალ. ჭუმბაძის შემოქმედებაზე. თუმცა იმასაც დასძენს: „არ არის არც ერთი მწერალი, რომელიც ასახავდეს უნაკლოდ სიმბოლიზმის „L'art Poétique-ს“. ტ. ტაბიძე დასახელებულ მწერლებსა და პოეტებს მიიჩნევდა მხოლოდ სიმბოლიზმის კარებთან მდგარ ენთუზიასტებად, მაგრამ შესულა ამ მისტიკურ სიერცეში, მისი აზრით, ეღირსა მხოლოდ პ. იაშვილსა და ვ. გაყრინდაშვილს. „სწორედ ამათ მოაქვთ ჩვენს პოეზიაში და იმაში, რაც მათ მოაქვთ არც გრძნობა და სიახლე... მე ვუცდი, რომ იმათ შეკრან თაიგული და უფრო გამოაჩინონ თავიანთი პოეტური სახე... ამათ მოაქვთ ჩვენში მოდერნიზმი“.

რასაკვირველია, საქართველოში მოდერნიზმის დამკვიდრება კანონზომიერი მოვლენა იყო. ქართულ ბუნებას მართლაც არაჩვეულებრივად მოერგო მისი ფილოსოფია. ტ. ტაბიძე კარგად ფლობდა ქართული ხასიათის იდეალურ განზომილებაში ხედვის უნარს. იგი გრძნობდა ქართველების „აქტიორულ სულს“ და თვლიდა, რომ ამ განსაკუთრებულ ნიჭს უნდა გაეწია მეგზურობა სიმბოლიზმისათვის საქართველოში. მისი აზრით, ქართველი ქალის საღებავების საშუალებით გარდასახვის სურვილი მხოლოდ მოდის ბრალი არ იყო. ქართული ბუნების

პლასტიურობა, ანუ — ნიღაბი სიმბოლიზმის განმსახლვერელი ფილოსოფია იყო: „ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბისა და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“. ტ. ტაბიძე დარწმუნებული იყო, საქართველოში ყველა ნიშანი არსებობდა, რათა სიმბოლიზმი მორგებოდა ქართულ მხატვრულ აზროვნებას. წინასწარმეტყველურად ახდა ტ. ტაბიძის სიტყვები: „ცხოვრება თავისას მოითხოვს და წაიღებს კიდევ. უჭკუო რეცეპტებს არ ემორჩილება იგი. მწერლობა თავისით დაიხვეწება, კათაკმეველნი თვისთონ მიხედებიან წასვლის დროს და არ მოუცდიან შეძახებას“.

ტიციან ტაბიძეს არ აფროთხობდა „სიმბოლიზმის უცხოურობის“ ფაქტიც. მისი აზრით, ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობას იგი საფროთხეს არ უქადდა, რადგან საუკუნეების განმავლობაში „საქართველო არაერთგზის იმყოფებოდა სხვადასხვა კულტურის ზეგავლენის ქვეშ. ცნობილია, რომ არც რომანტიზმი წარმოშობილა ქართულ წიაღში და არც რეალიზმი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქართული მხატვრული კნიბიერების თავისთავადობისათვის. საგულისხმოა, რომ წერილის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე რომ, სიმბოლიზმის სხეულში მხოლოდ ქართული სული უნდა კრიალებდეს: „ჩვენ უნდა დაეხედეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული რომ იყოს მთავარი მორგვა, რომელზეც მოგხვევა ახალი იდეები“.

წერილის მეორე ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისფერი ფანჯების“ მომდევნო ნომერში, რომელიც იმავე, 1916 წელს გამოვიდა. აქ გამოთქმული შეშფოთება იმის თაობაზე, რომ „ვერდენის, ბოდლერის და სტ. მალარმეს სახელებს კიდევ სჭირია დაცვა“, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული საზოგადოებრიობა იმ დროისათვის ჯერაც არ იყო გარკვეული მიმდინარე პროცესებში.

ტიციან ტაბიძის თქმით, ეს იყო ანაკრონიზმი. გაუგებრობა იქამდე მიდიოდა, რომ სიმბოლისტურ ჯგუფს „ცისფერი ყანწები“ ფუტურისტობაც კი გადააბრალებს და დეკადენტობა ლამის სალანძღავ სიტყვად აქციეს. ეს ყაქტი მართლაც იყო გაუგებრობისა და გაუთვითოცნობიერებლობის მანიშნებელი. სხვათა შორის, თავად ტ. ტაბიძის დამოკიდებულება რუსული ფუტურიზმის მიმართ საკმაო ავრესიულობით გამოირჩეოდა. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ წერილის ავტორი ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას „ხულიგნობად“ მოიხსენიებდა და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასეთ აღრევას: „ჩვენ არ ვიცით არაფერი იმაზე უფრო უბადრუკი, როგორც მათი იდეოლოგია. ყოველ შემთხვევაში, ეს ექვსი წელიწადია, რაც რუსის ფუტურისტები მწერლობენ, არ გვაძლევს საშუალებას, რომ იმათზე აზრი გამოვიცვალოთ“. მოგვიანებით ტ. ტაბიძემ მართლაც შეიცვალა აზრი და საკმაოდ შეარბილა ფუტურისტების მიმართ მკაცრი ტონი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამაში დიდი წვლილი თბილისში მოღვაწე რუს ფუტურისტებს – კირილ და ილია სუდანევიჩებს, კრუჩონისსა და ი. სვერიანინს მიუძღოდა.

ტიციან ტაბიძე ცდილობდა ისტორიული არგუმენტებითაც დაასაბუთებინა სიმბოლისტიზმის იდეოლოგიასთან ქართული ხასიათის შეგუების კანონისომიერება. იგი დარწმუნებით აცხადებდა, რომ „ცისფერი ყვავილის“ მისტიკა ქართველთა ცნობიერებაში თავისებურად გარდატყდებოდა. მისივე თქმით: „საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს გაყრილან“ ცისფერი, როგორც ჩუენოყის ცნობილია იდეალის, ლტოლვის ფერია. წითელი – უფრო მიწიერების სიმბოლოა. ტიციანის წითელღეროვანი ლურჯი ყვავილი იმის გამომხატველი იყო, რომ ქართველები არასოდეს ყოფილან არც უკიდურესი მატერიალისტები და, არც თანამიმდევრული იდეალ-

ისტები. ქრისტე ჩვენთვის მიწიერიცაა და ზეციურიც. ტ. ტაბი-
ასე გამოხატავდა ქართული ხასიათის ორბუნებოვნებას: „უწინ
ჩვენ ვიყავით წარმართები – ხოლო რელიგიური გეტერიზმი
შორს იყო ჩვენგან. მრუშიან, ორგიასტულ აზიიდან ჩვენ მაინც
მოვახერხეთ უხრწნელად თავის დაღწევა. შემდეგ ჩვენ შევიქენ-
ით ქრისტიანები, ხოლო ფილოსოფია ჩვენგან შორს იყო. ჩვენ
დაურჩით ისევე წარმართები. შეიძლება იმიტომ, რომ ქრისტიანე-
ბი ვიყავით ქრისტიანობამდე. ჩვენ სული უსხეულოდ ვერ წარ-
მოგვედგინა და სხეული კიდევ უსულოდ. გულგრილად ვუც-
ქეროდით ბიზანტიელ ბერების დოგმატურ ტურნირს და გულგ-
რილად ვუცქერთ ახლაც მატერიალიზმისა და იდეალიზმის
ღუელს“. ასე ლაკონურად არის გადმოცემული წერილში ქართუ-
ლი ცნობიერების გენეზის ისტორია. მისი აზრით, ქართველი
ხალხი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს თვითმყოფადობის
შესანარჩუნებლად. ამიტომაც „ხალხთა ჭკვიანური შებება“ ბე-
დისწერასავით გასდევდა ქართულ ხელოვნებას, რომლის დამოკ-
იდებულება მეზობელი ქვეყნების ხელოვნებასთან იმხანად ჯერაც
შეუსწავლელი იყო, პარადოქსულად უღერს ტ. ტაბიძის მოსაზრება,
რომ: „ძველი ქართული მწერლობა იწყება რუსთაველით და
თავდება ბესიკით“. მაგრამ ამ მოსაზრებას იგი შემდეგნაირად
ხსნის: „შეიძლება ეს ისტორიულად მართალი არ იყოს, შეიძლე-
ბა რუსთაველს წინამორბედებიც ყოლოდეს და ბესიკის შემდე-
გაც არ მომკედარიყოს ძველი ქართული მწერლობის სული.
ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქ მსედველობაში მისაღებია მეტი
შემოქმედების ინტენსივობა. ამ ორ პოეტში საქართველომ შეკრიბა
მთელი თავისი მხატვრული ენერგია“. ამ თამამ განცხადებაში
თითქოს მოულოდნელი არაფერი იყო. „კვფხისიტყაოსანი“, ქართუ-
ლი ეროვნული გენიის უღიადესი განაცხადია. ბესიკი თავისი
მუსიკალურობით კანონზომიერად იმსახურებდა „ცისფერყან-
წელთა“ განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგრამ ორთავე პოეტში

ტ. ტაბიძეს სიბლავდა ის, რომ „რუსთაველი იცავდა პრიმატეს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხედება ედგარ პოს და პოლ ვერლენს. რუსთაველის შემდეგ უდიდესი პოეტი იყო ბესიკი. ბესიკი აგრძელებს რუსთაველის პოეტიკას. არ არის სხვა პოეტი რომელსაც ისე გაეწმინდოს ლირიკული თემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, მჭრელი ეპითეტი, ნაჩრდილთა ნიუანსების გამოსხიობა, ენის მუსიკალური ენერჯის ჯადოქრობა იმას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად“. სწორედ ლექსის მუსიკალობა, რითმათა მრავალფეროვნება სიბლავდა ტიცინანს რუსთაველისა და ბესიკის პოემატებში და აძლევდა ასეთი თამამი პარალელის გაცლების საშუალებას. ეს ორი ქართველი პოეტი, მთელი თავისი გენიალობით ტ. ტაბიძისათვის წარმოადგენდა ქართული ლექსის მეტრს. ამგვარი დამოკიდებულება ამოძრავებდა ტ. ტაბიძეს, როდესაც მწერალთა კავშირის პირველსავე ყრილობაზე მოითხოვა ქიასიდან ბესიკის ნეშტის გადმოსვენება.

სხვათაშორის, რუსთაველთან დაკავშირებით უფრო შორს წავიდა ტ. ტაბიძის თანამოაზრე – ვ. გაფრინდაშვილი. მისი აზრით, რუსთაველის შემოქმედებაში თავისებური ფორმით გამიჯვინდა სიმბოლისტური ესთეტიკის წანამძღვრები. „რუსთაველი ჩვენთვის არის დაკეტილი სასახლე და ამ სასახლეს გაუგებარი სიტყვები სდარაჯობენ, როგორც ლომები“, – წერდა იკი. ტ. ტაბიძე მტკივნეულად განიცდიდა ყველა იმ ქართულ პრობლემას, რომელიც ისტორიულმა კატაკლიზმებმა დაატეხა თავს მის სამშობლოს. აწეწილი ქართული სამყაროს ტრაგიკული აღქმა გამოხატულებას პოულობდა ჯერ კიდევ 17-18 წლის ჭაბუკის მხატვრულ ქმნილებებში. მხედველობაში გვაქვს 1909-1913 წლებით დათარიღებული მისი მინიატურები და ნოველები. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი გამოკრთის წერილში „ცისყვერი ყანვებით“: „მეცხრამეტე საუკუ-

ნის დასაწყისში ხდება უკანასკნელი ტეხილი ქართული პოლიტიკური ცხოვრების, რომელმაც განსაზღვრა მთელი შემდეგი ყოფნა. საქართველომ დაკარგა თავისი სახე, როგორც სახელმწიფომ. ამ დღიდან ყოველი დღე თითო ლურსმანს უმატებს მის კუბოს“. მართალია, წერილის ავტორი არ აკონკრეტებს, მაგრამ „უკანასკნელ ტეხილად“ აქ, ჩვენი აზრით, 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო ტახტის გაუქმება და საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადებაა ნაგულისხმევი.

წერილს ლაიტმოტივად გასდევს ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების იდეა. ის, რომ ქართულმა მწერლობამ ძირითადად შეიძლო აღმოსავლური და რუსული გავლენების შემოტევის დროს ინდივიდუალობის შენარჩუნება, მწერლის აზრით, ყველაზე უფრო ემჩნეოდა ქართულ რომანტიზმს: „ქართულ რომანტიზმს ღვრი წითელი აქვს, ეს ნიშანია ძველი ქართული პოეზიის: ტრადიციების ერთი მხრივ, ქართულ რომანტიკოსებს ეტყობათ გავლენა ევროპის და რუსეთის მწერლების: ბაირონის, შატობრიანის, პუშკინის, მეორე მხრივ – ძველი ქართველი პოეტების. ყველაზე უფრო ბესიკის. ქართულმა გავლენამ სძლია ამ უცხო ჯავლენას“. შეუძლებელია არ შენიშნო, როგორ ესათუთება ტ. ტაბიძე პოეზიაში განსხეულებულ „ქართულ ხასიათს“. გრ. ორბელიანის, აღ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში იგი პოულობს ბესიკის მემკვიდრეობის ნიშნებს, რაც მისთვის შენარჩუნებული ქართული ტრადიციების ნიშანია. სწორედ ასეთი დამოკიდებულება მშობლიურის მიმართ გამოარჩევდა ქართველ სიმბოლისტებს ევროპელი თანამოაზრეებისაგან. ესეც, ერთ-ერთი იმ კანონსომიერებათაგანია, რასაც ტ. ტაბიძე „ხალხთა ჭკვიანურ შეებას“ უწოდებდა და რაც ყველაზე მძლავრი საშუალება გახლდათ იმ მრავალფეროვანი კულტურული ანექსიისაგან თავდასაცავად, რომელიც არასოდეს აკლდა ქართველ ერს.

საგულისხმოდ მოიხანს ტ. ტაბიძის მოსაზრება სიმბოლის-

მისა და რომანტიზმის ნათესაობის თაობაზე: „რომანტიზმზე იმდენი აზრი არსებობს, რამდენსაც მისი სახელი უხსენებია. ამ შემთხვევაში არის ანალოგია სიმბოლიზმთან“. მართლაც, ფრანგი კრიტიკოსის ბრიუნეტიერის არ იყოს, რომანტიზმს ყველა ის თვისება ახასიათებდა, რაც უნდა პქონოდა საზოგადოდ პოეზიას. სწორედ აქედან მოდიოდა მათი მკაფიო ინდივიდუალიზმი, მეტაფიზიკური შეცნობისა და ძიების სურვილი ლექსისა და რიტმის სფეროში.

განსახილველი წერილის V, VI, და VII თავი ეძღვნება მსჯელობას ქართველ სამოციანელთა პოეზიის მნიშვნელობასა და მათ დამსახურებაზე პოეტური სიტყვის ევოლუციის პროცესში. ტიცინის მოურიდებელი კრიტიკის ობიექტები იყვნენ ქართველ სამოციანელთა ლიდერები – ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. ბრალდებად წერილის ავტორს წამოყენებული აქვს ესთეტიური და მსოფლმხედველობრივი არასრულყოფილება, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ელემენტარული ესთეტიკური კულტურის არქონაში, იდეოლოგიურ და კულტურულ ჩამორჩენილობაში, პოეზიის „გაზეთად და სამიტინგო ზაღად“ ქცევაში. ტ. ტაბიძის უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ სამოციანელებმა, კერძოდ ილიამ და აკაკიმ ძველი ქართული იდეოლოგია რუსეთის იდეოლოგიით ჩაანაცვლეს და „ქართული პოეზიის ყვაეილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბალად“. წერილის ავტორი და მისი თანამოზრეები უარს ეუბნებოდნენ ახლობელ წინაპართა ნაშრომებს, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ იმ ძველი ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც პოეზიის მეტრად იყო აღიარებული. მხედველობაში გვყავს შოთა რუსთაველი და ბესიკი. ამიტომაც ტ. ტაბიძემ ასეთი თამამი ფორმულირება გაუკეთა თავის მოსაზრებებს: „ახალი ის არი, რომ ჩვენ მოგვაქვს ის, რაც თქვენ გქონდათ გაუფრთხილებლობა დაგვეიწყებინათ, რომელსაც, რასაკვირველია, თან ემატება ახალიც“. უფრო მეტიც, ტ. ტაბიძე თვლიდა, რომ „ილიას

გამარჯვების დღიდან „შინ გასრდილ კულინარ ქალზე – კნ. ბარბარე ჯორჯაძეზე ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული“. ასეთი ეჭვითა და უნდობლობით უცქერდა ტ. ტაბიძე სამოციანელთა პოეზიას და მოითხოვდა მათი ნააზრევების ტოტალურ გადასინჯვას. გამონაკლისს წარმოადგენდა ვაჟა-ფშაველა, ტ. ტაბიძის თქმით: „ეს სასწაული და სიმბოლო უკანასკნელი საუკუნის, ცეცხლიანი ჩვენება მარადი სულის... მხოლოდ ერის სული იფეთქავს კულტურული ატავიზმით ვაჟა-ფშაველაში, ვაჟამ გაიარა მთელი რიგი რუსულ შიკლათა გაულენისა, მაგრამ მისმა გენიალურმა ბუნებამ სძლია ეს შხამი. მართალია, მისთვის არ იყო ლექსის ტექნიკა და ხანდახან ნაჯახით დათლილ წარმოდგენას ქმნიდა, მაგრამ იმაში იყო ძველი სული და ის მაგიურად იღვიძებდა, როცა შეეხებოდა ქართულ ეპოსს. ვაჟა-ფშაველა დიდი პროტესტია ძველი საქართველოსი და მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა როგორც ამ წმინდა მთას“.

მოგვიანებით ტ. ტაბიძემ ახრი შეარბილა თავის დიდ წინაპრებთან დაკავშირებით და მოწიწება ილიას პიროვნების მიმართ გამოხატა 1922 წელს დაწერილ წერილში „ილია ჭავჭავაძე“. იმავე წელს ვარამ გაგელის ფსევდონიმით ტ. ტაბიძე გამოეხმაურა ა. წერეთლის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც და ილიასაგან განსხვავებით, საკმაოდ ორაზროვანი დამოკიდებულება გამოამჟღავნა აკაკის პიროვნების მიმართ, აქცენტირება გაუკეთა რა მის გარეგნულ მონაცემებს და არა პოეტურ ღირსებებს. გასეთ „ბახტრიონში“ მან აღნიშნა: „ვისაც უნახავს ა.წერეთელი სიბერეში, ის სამუდამოდ დაიჯერებდა, რომ ამ ღვთიურ ტურტელში ბიბლიურ წინასწარმეტყველის თავით და ფაფარით უსათუოდ უნდა ყოფილიყო დიდი ნიჭის მატარებელი სული. ლიტერატურის ისტორიაში სხვა თავის თანამედროვეთა შემოქმედებასთან კიდევ რომ დაინრდილოს აკაკი წერეთელი, მას მაინც ვერაფერს წაართმევს პირველობას როგორც

ზოლოტიურად გამართუელის ყოველი მხრით დამშვენებას ქართული რასისინის“.

კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფის ტენდენცი: ახასიათებდა რუსულ სიმბოლიზმსაც. ყვაკილის მაგიერ „რუსულ ხორბლად“ ქცეულ რუსულ მწერლობას, ტიცვიანის თქმით, არ შესწევდა კეთილისმყოფელი სეგაველენის უნარი ქართულ მწერლობაზე. საუბარი იყო რუსულ კლასიკურ მწერლობაზე, რომლის ნაკლზე მიუთითებდნენ თავად რუსი სიმბოლისტები. კერძოდ, ბ. ივანოვი თავის წიგნში „По вопросам“, რომელიც საკმაოდ უცნაურ ბრალდებებს უყენებდა რუს კლასიკოსებს. იგი მათ ადანაშაულებდა მხატვრული პოტენციების დამდაბლებაში. მისი თქმით ლ. ტოლსტოი ადამიანში ღუპავდა მხატვარს, ხოლო გოგოლი – თვით ადამიანს. მიუხედავად რუსი სიმბოლისტების ასეთი დამოკიდებულებისა კლასიკურ მემკვიდრეობის მიმართ, ტიცვიანის აზრით, მათ მაინც ვერ აიცილეს კლასიკოსების გავლენა და გაათავეს „კალმისკურ ხლისტობით“.

საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე ქართული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად იბრძოდა არა მარტო მწერლობაში, არამედ თეატრალურ ცხოვრებაშიც. იგი კატეგორიულად მოითხოვდა უნიჭო რუსული თეატრის გაყენებისაგან ქართული თეატრალური ხელოვნების დაცვას: „რუსული ხელოვნების მიბაძვა და გავლენა ისე დიდია, რომ ქართული თეატრის კრისისზე ლაპარაკობენ, მის დაარსებიდან ჩვენ დღემდე და იდეალად აღებულია „რუსეთის სამხატვრო თეატრი“, რომლის ნედლი ნატურალიზმი უკვე მობეზრდა თვითონ რუსებს, სადაც ყოველი ცდა ახალი დადგმის თავდება აუცილებელი ყოფიასკოთი, სადაც მხოლოდ ა. ჩეხოვის პროვინციული ქალიშვილები გრძნობენ თავს თავისკუფლად და გულმოჯერებით სტირიან. თითქოს ქართული აქტიორულაბუნება და თეატრალიზაცია ცხოვრების არ გულისხმობდეს ქართული თეატრის მომავალ ბედს“.

წერილში „ცისფერი ყანწებით“ მონანს ტ. ტაბიძის დამოკიდებულება 1905-07 წლების რევოლუციის მიმართაც. ცხადი ხდება, თუ რას ელოდებოდა იგი ამ ეპოქალური მოვლენის მიმართ. მისი დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ ღოიიალური იყო და ამავე დროს ფრთხილიც. მწერლის პროგნოზით რევოლუციას ხალხის გამოყხისლება უნდა გამოეწვია, მაგრამ როგორ გადატყდებოდა რევოლუციური სულისკვეთება ქართულ ხასიათში? ტიცინან ტაბიძემ კარგად იცოდა ქართული სიფიცხისა და ფანატისმის ამბავი. ჩვენთვის ბოლომდე უცნობია, თუ რა პოლიცია ეკავა პირადად მას 1921 წლის 25 თებერვალს, მაგრამ მისი თანამოაზრის, პაოლო იაშვილის მიერ რუსული რევოლუციის იმპორტიორთა „დასაშოშმინებლად“ რაზმის გაგზავნა, იმც არც თუ ბუნდოვანი მანიშნებელია, რომ ამ ორდენის ზოგიერთ წევრს გარკვეული იმედები აკავშირებდა რევოლუციასთან. თუმცა ტ. ტაბიძე ეჭვით აცხადებდა, რუსული საქმე და იმპერიადღისმი დემოკრატიული სოლიდარობის ეგიდით უფრო მოსატყუებელი მიზანიაო.

ტ. ტაბიძე წინააღმდეგი იყო რუსული და ქართული ხელოვნების „გადაწენისა“. იგი ოცნებობდა ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების შექმნასა და მათი საშუალებით ეროვნული პარტიკულარისმის აღევაზე. ხელოვნების განწმენდა ყოველდღიური ბანალისა და მოძველებული ესთეტიზმისაგან თუნდაც „მშენიერი ტუილის“ ფასად, ტ. ტაბიძეს ეროვნული ხერხემლის გამაგრების წინაპირობად მიაჩნია.

მრავლისმთქმელია წერილის დასასრულს გამოთქმული მოსაზრება საქართველოს ეროვნული სიმტიციის შენარჩუნების აუცილებლობაზე, ქართული იდეის აღდგენაზე. ქართული სულიერი ფენომენისადმი ტ. ტაბიძის ერთგულების დასტურია მისი ძიებანი ლიტერატურისა თუ ხელოვნების სფეროში. ეს ის სადინარი გახლდათ, რომელსაც პ. იაშვილის თქმით, ქართვე-

ლი ერის „თვითშეყვარება“ ეწოდებოდა. მათი მცდელობები მიმართული იყო იქითკენ, რომ ძირიანად შეეცვალათ ქართული აზროვნება, გაეცოცხლებინათ ეროვნული წესრიგის ესთეტიკა და აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციები. ეს იღუპა კვებავდა მათ მცდელობებს კულტურისათვის მიენიჭებინათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ტ. ტაბიძე დარწმუნებული იყო, თუ აღდგებოდა ეროვნული პოეზია თავისი ტრადიციებით – ეს იქნებოდა „ქართული ლომის“ გამოფხიზლების საწინდარი. დამონებული სული დაუბრუნდებოდა პირველსაწყისს და მოხდებოდა ეროვნული აღდგომა. „რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად სვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკეთება ქართული იღუპა... საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იღუით, მაშინ არ იქნება საჭირო „მშენიერი ტყუილი“, რადგან ეროვნული აღდგომა იქნება დიდი სინამდვილე, ქართველი მხატვარიც ნახავს მაშინ თავის ამდუნხანს დაკარგულ სულს, ნახავს და გაიხარებს. ეს იქნება უდიდესი სასწაული და ეს სასწაული იქნება“ – ოპტიმისტურად აცხადებდა ტიციან ტაბიძე.

წერილში გამოთქმული წმინდა ესთეტიკური კონცეფციები ეროვნული აღდგომის იღუითაც არის მოტივირებული. მოგვიანებით ქართული კრიტიკის „დიდოსტატებმა“ ეს „თვითშეყვარება“ ნაციონალიზმად მონათლეს. ეროვნული აღდგომისათვის ზრუნვა – წარსულის კულტად. საქართველოს აწეწილი ყოფით გამოწვეული სევდა – უხერხემლო პესიმიზმად. იყო სხვა გამოსავალიც – ფართო მკითხველს ხელში არ საეარდნოდა მსგავსი წერილები. ეურნ. „ცისფერი ყანწების“ 1916 წლის ორივე ნომერი გამომცემლობა „საქართველომ“ მხოლოდ 1990 წელს მიაწოდა ახალ თაობას. ცნობილია, რატომ არიდებდნენ თავს მასზე ასე დაწერილებით მსჯელობას. რუსულ იმპერიალიზმსა და საქართველოს ძველი დიდების აღდგომაზე საუბარი ბეერს ვერაფერს

შემატებდა მხატვრული ლიტერატურით სომასე მეტად „დაი-ტერესებულ“ პარტიულ ხელმძღვანელობას. ამიტომაც ლიტერატურულ კრიტიკას ნაწარმოებთა განხილვისა და შეფასებისას შეგნებულად რჩებოდა უკანა პლანზე მხატვრული ფორმა და წამყვან ადგილს იჭერდა იდეური შინაარსი.

ეკვებარეშეა, რომ იმხანად ტ. ტაბიძემ და მისმა თანამოაზრეებმა იტვირთეს არა მარტო პოეზიის ევროპული რადიუსით გამართვის მისია, არამედ ეროვნული ლიტერატურის მედროშის როლიც და ქართულ ლიტერატურულ სამყაროში რადიკალური გადატრიალება მოახდინეს.

1923 წელს უურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ დაიბეჭდა ტ. ტაბიძის წერილი „დადაისში და ცისფერი ყანწები“. 1916 წელს, როდესაც ქართულმა სიმბოლიზმმა ოფიციალურად აუწყა ლიტერატურულ სამყაროს თავისი არსებობის შესახებ, ევროპაში იგი უკვე განვლილი ეტაპი იყო და ასპარეზზე გამოდიოდნენ ავანგარდისტები. 1916 წლის 14 ივლისს ტრისტან ტცარამ „ბატონ ანტიპირინის მანიფესტით“ ლიტერატურულ ევროპას აცნობა დადაისმის შესახებ.

1916 წლისათვის ქართველ მოდერნისტებს უკვე ჰქონდათ ევროპულ ლიტერატურულ პროცესებთან ურთიერთობის გამოცდილება და ამიტომაც დადაისმის საქართველოში დიდხანს არ დაუგვიანებია. 1918 წელს მისი რეციდივები უკვე სახეზე იყო და ტ. ტაბიძე, გულმოდგინედ ცდილობდა რეალობად ექცია იგი. საამისოდ აქვეყნებდა არა მარტო ორიგინალურ დადაისტურ ლექსებს, არამედ თარგმნიდა ფრანგი, რუსი დადაისტების ლექსებსა და მანიფესტებს. რუსი დადაისტების ცენტრი იმხანად იყო თბილისში და იგი ფუნქციონირებდა „41“ სახელწოდებით. მათ ჰქონდათ საკუთარი გამომცემლობაც, რომელიც განსაკუთრებით ნაყოფიერად მიუშაობდა 1918-20 წლებში.

1918 წლიდან საქართველოში გრძელდება ქართული ლიტერ-

ატურის განახლების პროცესი და ამჟამად იგი შედის ფაზაში, რომელსაც ავანგარდიში ეწოდება. უფრო სწორედ ეს იყო ქართული ავანგარდიზმის ფორმირების წლები. სხვათაშორის, 20-იან წლებში არსებობდა ქართველ პოეტთა კიდევ ერთი დაჯგუფება, კიდევ ერთი „იში“, რომელსაც „სომნაბულიში“ ეწოდებოდა. მისი იდეოლოგი გახლდათ ვანლერ დაისელი იგივე (ივანე ბაბუაძე), რომლის შემოქმედების სუსტი ფასეულობის დადგენა ჯერ კიდევ არ მომხდარა ლიტერატურის ისტორიაში. მ. ქურდიანი თავის ნაშრომში „მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ფორმირების პროცესი საქართველოში“ მართებულად უწოდებს ამ წლებს „პრობანგანდისტულ პერიოდს“. ქართველ დადაისტებში ყველაზე უფრო კოლორიტულ ფიგურად აღიარებული იყვნენ ტ. ტაბიძე და გრ. ცეცხლაძე. მათ შემოქმედებაში ყველაზე მკაფიო ფორმით გამოვლინდა დადაისტური ტენდენციები. ტიციან ტაბიძეს ჰქონდა საკუთარი მანიფესტიც. 70-იან წლებში მ. ქურდიანის მიერ მიკვლეულ იქნა ტ. ტაბიძის 1923 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული „დადას მანიფესტი“. მკვლევარის მიერ იგი თავის დროზე იქნა გამოქვეყნებული კრებულში „პოესია“. იმდენად, რამდენადაც იგი ტ. ტაბიძის ლექსთა არც ერთ კრებულში არ არის შეტანილი, მოგვყავს მისი სრული ტექსტი:

„ჩემი სული დაგლეჯილი ხურჯინია
სპარსელს რომ ჩამოაქვს ენსელიდან,
შიგ დაეტევა მთელი აზიის სისულელე
და ხარკს არ გადაიხდის საკავშირო რესპუბლიკისთვის
რა შეედრება, როცა კრუა სომეხი მუცელს იცლის
ექსპრესიის მოლოდინში ვოკსალის გადაღმა
თქვენ ყველას ოყნა გჭირდებათ თქვენი დედა მ...
ჩემს იქით პარიზია... ელისეის მინდვრები
ჩასუქებული უოფრი მოუტაცნიათ

წმინდა ილიას ცხენებს

პოლ კლოდელი კოცნის წინელი

ქალის ბაღღამიან ფეხს

და ტრისტან ტცარა ათამაშებს „დადას“ კუკლას.

ვისივარ მოედანში. შეღებილი ინით თათარი

აგორებს კამათლებს

(ესეუკ კოსმეტიკაა და თავის გასართობი)

ამბობენ არაბები ვარსკვლავთმრიცხველობენ.

უნდა იყო იდიოტი, რომ ძველებურად სწერო ლექსები,

როცა სატურიის სანაო'სე გლვებებს

უხსნაან ელექტრიფიკაციას,

როცა პრეზიდენტია მიხა ცხაკაია,

მთაწმინდის შემოღამებას მარტო ზო'სები ელიან,

ერთი დარსა ქუნა გაუნათებელი.

ვის უნდა შენი ნაზი ლექსები,

ორსული ქალიშვილები სიცილით იხოცებიან,

თუ პოეტი ხარ ყველაფერი მაგარი გქონდეს.“

ლექსად დაწერილ დადაისტურ მანიფესტს მეტი დამაჯერებლობისათვის თეორიული არგუმენტებიც ესაჭიროებოდა. ეს მისია იტვირთა ტ. ტაბიძის წერილმა „დადაისმი თუ ცისფერი ყანწები“.

წერილის შესავალში ტ. ტაბიძე ახდენს მოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის დეფინიციას და ხაზს უსკამს იმ „უდიდეს პათოსსა და თვითდამტკიცების სურვილს,“ რაც განაპირობებდა სწორედ ბრძოლისუნარიანობასა და ენთუზიაზმს. ის ფაქტი, რომ სიმბოლიზმის ფილოსოფია ბევრისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი აღმოჩნდა, სულაც არ ნიშნავდა მის ფიასკოს. ამ კანონზომიერ გაუგებრობას თავის დროზე ვერ აცდა სტ. მაღარმეც – ფრანგული პოეზიის მეტრი, რომელიც თანამეცამულეებმა გაუგებარ ავტორთა ხიაში შეიტანეს. თუმცა,

ტ. ტაბიძის თქმით, „პირველი ქრისტიანი აპოლოგეტები არ სწერდნენ ისეთი მოწიწებით მაცხოვარსე, როგორც დეკადენტი პოეტები სწერენ მაღარმეზე“. ამ მხრივ გამოინაკლისს არც რუსი სიმბოლისტები წარმოადგენდნენ. აღ. ბლოკის სიკვდილმა განგაშის ზარი ჩამოკრა და აიძულა რუსული საზოგადოებრიობა სიმბოლისტების ისტორია სერიოზულ მსჯელობის საგნად გაეხადა.

საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვალა ველემირ ხლენიკოვის სიკვდილის შემდეგაც, რომელიც ტ. ტაბიძის თქმით, „იყო და დარჩება რუსული ფუტურიზმის გამართლებად“. წერილში აშკარად იგრძნობა ავტორის დამოკიდებულების ცვლილება ფუტურიზმთან დაკავშირებით, რაც სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება მისი დადასმით გატაცების გამო. საგრძნობი ცვლილება მოჩანს ილია ჭავჭავაძესთან მიმართებაშიც: „მართალია ის იდგა, როგორც დარიალი, მას ეხეთქებოდა ყოველი შესაძლებლობა ქართული კულტურის ასახვისა. ის იყო ავტორი პროზის, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ბანკირი, ორატორი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, პოლიტიკოსი და კიდევ სხვა, აგრეთვე პოეტიც, უფრო გამართლებული წიწამურით, მაგრამ ყველაფერი ეს არ იძლეოდა პაფოს“. ტიცინან ტაბიძე ამჯერად უფრო ობიექტური იყო ილიას დეკადენტიზმსა და საზოგადოებრივი დამსახურების შეფასების დროს, მაგრამ მისი პოეზიის დასახასიათებლად ეპითეტები მაინც არ გაიმეტა. მაშასადამე, იგი იმ დროისათვის კვლავ ძველ მოსაზრებას ავითარებდა, რომლის მიხედვით ქართული ლექსის განახლების, ჭეშმარიტი პოეტური ხელოვნების საიდუმლოებათა ფლობის უპირატესობას „ცისფერყანწელთა“ სკოლას ეკუთვნოდა. რომ სწორედ მათ ერგოთ მიიმე, მაგრამ საპატიო მისია „ამოუყვსებელი კულტურის ხერელების გაყვებისა“.

ტ. ტაბიძეს კარგად ესმოდა, რომ მოდერნისტული პოეზიი-

სათვის ხერხემალი კრიტიკას უნდა გაემაგრებინა. ამ მისიონათვის კი მოძველებული „მეშინაური კრიტიკა“ ვეღარ ივარგებდა და დაბრკოლებას შეუქმნიდა ახალი პოეტური სტილის დამკვიდრებას. ამიტომაც ტ. ტაბიძე „ვეროპულად გამართული“ ლექსების პარალელურად მოითხოვდა თეორიულ არგუმენტებს, რის ნიმუშსაც იგი თავად აწოდებდა ქართულ ესეისტიკას. საჭირო იყო მოდერნისტული ანბანის მკითხველამდე მიტანა. ე.ი. არა მარტო ლექსის წერა, არამედ „ლექსზე წერა“. სამართლიანი იყო მის მიერ გამოთქმული გულისწყრომა: „დღეს, როგორც არაინ კითხულობს, ვინ ააშენა კავკასიონის ქედი, ისე არაინ კითხულობს, ვინ გადააგდო ქართული მწერლობიდან მეშინაური კრიტიკა და შექმნა მოდერნისტული სტილი“. მართლაც, მათ დამსახურებებს იმ დროისათვის აკლდა ობიექტური შეფასებები. სათანადო ლიტერატურული ფონის შექმნას ხელს უშლიდა არა მარტო კრიტიკაში არსებული მოძველებული შეხედულებანი და კოდექსები, არამედ ის პოლიტიკური ატმოსფეროც, რომელიც მაინე იმპორტის სახით „მოვიდა ფოსტით პეტროგრადიდან“. ტიცვიან ტაბიძეს მხედველობაში აქონდა სამოქალაქო ომი და რევოლუცია, „რომელმაც მოუსწრო ამ პოეტებს შემოქმედების დაწყებისას და ამასთან ეს რევოლუცია ორგანულად არ იყო გამოტანჯული ქართული ხალხისაგან“. აშკარაა, რატომ იქონია მაინე სეგავლენა და რატომ მოველინა ეს ეპოქალური მოვლენები ქართულ სიმბოლისტებს ხელისშემშლელ ფაქტორად. „რუსული ექსპორტი“ ქართულ პოეტურ აზროვნებას საფუძვლად ვერ გამოადგებოდა. ტიცვიან ტაბიძე სწორედ ამ ხელისშემშლელ პირობებს ასახელებდა იმის გასამართლებლად, რომ ქართულმა სიმბოლიზმმა ვერ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ამასთან, ძველ ქართულ მწერლობას ხომ საკმაოდ მყარი ტრადიციები გააჩნდა: „მაგრამ ძველი მწერლობა გამოდგა ბასალეთის ტბა და პოეზიის მზე ვერ დასწვდა სმანებულ აკვანს“. ლიტერ-

ატურული არქაიზმის წისკვილზე ასხამდა წყალს ისიც, რომ ამ დროისათვის აეანგარდისტულ და მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამის მწვავე განცდით წერდა ტ. ტაბიძე, დღეს პოეზია თვითონ ებრძვის თავის თავს სასიკვდილოთ. იგი იგონებს კაფე „იმედში“ თბილისში მოღვაწე ფუტურისტების – ი. სდანიევის, ა. კრუნიონიხისა და ტერენტიევის მიერ ჩატარებულ საღამოს, რომელზეც მოხსენებით გამოსულა ა. კრუნიონიხი და რასაც „ტფილისის აკადემიური წურბელების“ – მათემატიკის დოქტორ გოროდეცკისა და ხაზანოვის განმაქიქვბელი გამოსვლა მოჰყოლია. მათი აგრესიულობა ტ. ტაბიძისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ფუტურისტის მიმართ კრიტიკით დამსწრე სასოგადოების წინაშე წარსდგა ქართული მოდერნიზმის მეტრი – გრ. რობაქიძე, მიუხედავად უდიდესი მოწიწებისა მის მიმართ, ტიცციანმა სამართლიანად გამოხატა გულისწყრომა: „რომ იმ დამეს გრ. რობაქიძე დარჩენილიყო თავისი თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტიყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბაღღამის დაწვეთება“. გრ. რობაქიძის გამოსვლა, როგორც წერილიდან ვგებულობთ, საკმაოდ ემოციური უნდა ყოფილიყო. ტ. ტაბიძე გადმოგვცემს: „მას უღალატა ორატორის სომიერება, ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხვი“.

საუბედუროდ, ამ საღამოს თაობაზე სხვა ცნობების მოკლევა ვერ მოხერხდა. არც გრ. რობაქიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა შემორჩა ისტორიას. წერილიდან ცნობილი ხდება ისოლოდ მისი უარყოფითი დამოკიდებულება ფუტურისტისა და კერძოდ, დადაიზმის მიმართ. ტ. ტაბიძის გადმოცემით ამ „ღვაწლით შემოსილმა მთაწმინდელმა“ ფუტურისტის რეციდივებს მწერლობაში შეგნებული ჯამბაზობა უწოდა. რის საპასუხოდ წერილის ავტორი შენიშნავს: „თქვენ ამტიცებთ, რომ ისინი შეგნებ-

ულად ჯამბაზობენ: მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრ-
დობა: საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოში და შეიძლება
მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თეი-
თონ ქვეყნისთვის“.

ტ. ტაბიძე არ მაღავეს, რომ გრ. რობაქიძის ასეთი მძაფრი
გამოსვლა მისთვის საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან
ცოტა ხნით ადრე გრ. რობაქიძეს მშვიდად მოუსმენია ტ. ტაბი-
ძის მიერ დ. კაკაბაძის მოწყობილ მხატვრობის სადამოხე წაქ-
ითხული დადაიზმის დეკლარაცია. მწერლისთვის გაუგებარი
აღმოჩნდა, რამ განაპირობა კრუნიონიხის მიმართ გრ. რობა-
ქიძის ასეთი გაწიწმატება.

სხვათაშორის, ამ სადამოს ესწრებოდა ავანგარდისტი მხატ-
ვარი ლადო გუდიაშვილი. გრ. რობაქიძის ცეცხლოვანი გამოს-
ვლით აღფრთოვანებულ ლადო გუდიაშვილს შეუქმნია გრ.
რობაქიძის პორტრეტი. ტიციან ტაბიძე გადმოგვცემს: „ამ ღამის
შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრ. რობაქიძის პორ-
ტრეტი: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს:
„გრ. რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტენი
ბაღღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვარს ჩა-
სცეს ღახვარი“. საუბედუროდ, კარგა ხანს უცნობი იყო, თუ რა
ბედი ეწია ამ ტილოს. იგი არ იყო მოხსენიებული ლ. გუდიაშ-
ვილის რეპროდუქციითა არც ერთ კრებულში. რა თქმა უნდა, ეს
გამოწვეული იყო გრ. რობაქიძის ემიგრანტობის ფაქტორით,
რადგან საბჭოეთში საგულდაგულოდ უმალავდნენ საზოგადოე-
ბას მის სახელს.

წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“ კვლავ მოჩანს
ტ. ტაბიძის აღფრთოვანება ვაჟა-ფშაველას ფენომენით. ეს ბემ-
ბერაზი ყოველთვის იყო ტიციანისათვის ქართული ეროვნული
გენიის განუმეორებელი სიმბოლო. ვაჟასადმი დამოკიდებულე-
ბას არასოდეს განუცდია ცელილება მის მსოფლმხედველობა-

ში. ვაჟას-ფშაველას მხატვრული სამყაროს მკვეთრი ეროვნულობა, ხალხურობა და ქართულ მითოსთან სიახლოვე იყო ის საფარი, რამაც იხსნა იგი ახალი თაობის შემოტევისაგან. ტ. ტაბიძე მიიჩნევდა, რომ მისი ბადალი ქართულ ლიტერატურულ სამყაროს არ მოეპოვებოდა: „ვაჟა-ფშაველა იყო უკანასკნელი ქართველი პოეტი, რომელმაც ამოწურა საქართველოს საკუთარ საშოს ნიადაგი. შემდეგში, როგორც არ დაიბადება მეორე კახაბერი, ისე არ იქნება მეორე ვაჟა-ფშაველა“. ამის გამო ტ. ტაბიძე ვაჟას მიმდევრობას მწერლობაში ყოველად უსაფუძვლო და სამასხრო საქმედ მიიჩნევდა.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ დადაიზმი, როგორც ლიტერატურული მოვლენა და ავანგარდიზმის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფორმა, რასაკვირველია, ბევრით იყო დავალებული მოდერნიზმისაგან. ამიტომაც წერილში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ცისფერ ყანწებს“ ჯერაც არ ამოუწურავთ თავისი შესაძლებლობა და მის შემდგომ, ტ. ტაბიძის პრაქტიკული და თეორიული საქმიანობაც ფაქტად ექცია დადაიზმი ქართულ მწერლობაში, მანიშნებელია იმისა, რომ იგი აპირებდა „ცისფერყანწელთა“ სკოლის ფარგლებში წამოწყებული ნოვაციისათვის ბრძოლას. დადაისტები უფრო განსხვავებულ რაკურსში ამჟღავნებდნენ თავიანთ სათქმელს. როგორც აღნიშნავს ბელა წიფურია თავის წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“: „ეს ესსე მხოლოდ რამდენიმე შტრიხით წარმოგვიჩენს ავანგარდიზმისა და „ცისფერი“ ყანწების მიმართების პრობლემას და ეს სულაც არ გახლავთ რეალური შინაგანი ცვლილებების ამსახველი ფაქტი“. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი ფესვები ფუტურისმიდან მოდიოდა, მაგრამ მოდერნიზმთან აერთიანებდათ ძველის ნგრევის, ახლის, უჩვეულოსა და არნახულის დამკვიდრების სურვილი. ეს ფაქტიურად XX საუკუნის დასაწყისში უკვე მონიშნული გ'სის გაგრძელება გახ-

ლდათ.

პოეზიაში მემარცხენეობის თემას ეხება ტ. ტაბიძის წერილი „ირონია და ცინიზმი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების“ მე-9 ნომერში 1923 წელს.

მემარცხენეობის პრობლემა ტრადიციულად გულისხმობდა ძველისა და ახლის დაპირისპირებას. ეს პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მოდერნიზმის დამკვიდრებისა და ავანგარდისტული ხელწერის პოეტთა გამოჩენის შემდგომ. ეს კანონზომიერი დაპირისპირება ტიცვიან ტაბიძეს განგაშის მიზეზად არ მიუჩნევია, რადგან მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებაშიც. უფრო მეტიც, მან კარგად იცოდა, რომ საფრანგეთში მემარცხენეობის პრობლემები პოეზიის აღმასვლის სამსახურში ჩადგა მაშინ, როცა „საქართველოში არც იყო დაწყებული დავა იღია ჭავჭავაძესა და კნ. ბარბარე ჯორჯაძეს შორის“.

60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურულ სამყაროში წამოწყებული დავა გრ. ორბელიანისა და იღია ჭავჭავაძის თაობებს შორის. ტ. ტაბიძის აზრით, ლიტერატურის პერმანენტული განახლების დასაწყისი იყო. თუმცა სამოციანელებმა მხოლოდ წამოიწყეს ეს ბრძოლა, მაგრამ ვერ დაასრულეს. ამის მიზეზად ტიცვიან ტაბიძე ასახელებდა იმას, რომ „ამ დროის შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩამჯდარი ადამიანის სიმღერას. მთელი ტრაგიზმი ქართული პოეზიის ის იყო, რომ პოეტები ჩამორჩნენ მშობლიურ პრიმიტივეს და ევროპის რადიკალური ელფთვის უარდა გვერდით ტყილისს“. ამ ვაკუუმის გარღვევა – თელიდა ავტორი, შეძლეს სწორედ „ცისფერყანწელებმა“. მართალია, სამოციანელთა დეაწლი „რუს სემინარიელთა“ ესთეტიკის შევიწროების საქმეში დიდი იყო, მაგრამ კონკრეტულად მხოლოდ „ცისფერყანწელთა“ მანიფესტებში დაისყა პირველად პოეზიაში მემარცხენეობის საკითხი. წერხლის ავტორი დარწ-

მუნებთ აცხადებდა: „პირველად „ცისფერ ყანწების“ მანიფესტებში დაისვა პრობლემა პოეზიისა საქართველოში. პირველად აქ გაიმართა სიტყვა და პირველი ეს იყო მაგარი უარი რუტინი ფილისტერობის და ესტეტიურ ბარბაროსობის წინააღმდეგ“.

ამბოხი მოძველებული, ტრაფარეტული შეხედულებების წინააღმდეგ და ქართული პოეზიის ევროპულთან ზიარების აუცილებლობის ქადაგება, სულაც არ ნიშნავდა ქართული ლექსის მხოლოდ ევროპულ ყაიდაზე გაწყობასა და საკუთარი იერსახის მსხვერპლად მიტანას. პირიქით, ტ. ტაბიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად გულმოდგინედ ცდილობდა ინდივიდუალობის შენარჩუნებას. პირველად გრ. რობაქიძემ დაბეჯითებით უარყო ის მოსაზრება, თითქოს დამპყრობელმა ერებმა სასიკეთო ცვლილებები შეიტანეს ჩვენს ლექსთწყობაში. უფრო მეტიც, მან კატეგორიულად მოითხოვა ქართული პოეზიის ყოველგვარი გაფლენისაგან დაცვა. ტ. ტაბიძე საეცებით ეთანხმებოდა გრ. რობაქიძის მოსაზრებას, რომ დამპყრობელი ერები ახდენდნენ მხოლოდ სრულ განადგურებას სულიერი კულტურის. საქართველოს მუდმივად აწეწილი ყოფა, უცხოთა თარეში იწვევდა ეროვნულ დეკადენსს, რაც უპირველეს ყოვლისა სულიერი კულტურის დაჩივებით გამოიხატებოდა. მონგოლი, არაბი, სპარსელი და „მფარველის“ მანტიაში გამოწყობილი სხვა დამპყრობნი ქართულ პოეზიას აცლიდნენ ეროვნულ სულს. ამიტომ მართაფი გახლავთ წერილის ავტორი, როცა აცხადებდა: „ქართული ლექსი და ქართული სიტყვა „ცისფერყანწელებს“ ჩაუვარდათ ხელში, როგორც გადამწვარი მუგუსხალი და საჭირო იყო მართლ: სასწაული, რომ ლექსი გამართულიყო ლექსად და აღმდგარიყო პრიმატე ფორმის და იდეის. შეიძლება აშკარად ითქვას, რომ „ცისფერი ყანწები“ ისე იბრძოდნენ ქართული კულტურისათვის, როგორც მთაწმინდელები ათონში.“

სხვათაშორის, ამ გარდაქმნებისათვის ნიადაგის მომზადე-

ბაში ტ. ტაბიძე ხედავდა ილია ჭავჭავაძის დიდ დამსახურებას. როგორც ვხედავთ, 20-იანი წლებიდან იგი მეტ ობიექტურობას იწმენდა მისი პიროვნების მიმართ, მაგრამ არ არის სადაო, რომ პოეზიის ევროპული სტანდარტებით გაჩართვა, მისი რაფინირება და ამავდროულად ეროვნული ფესვების შენარჩუნება უმეტესწილად ქართველ მოდერნისტებს დააწვათ მხრებზე.

ესსე „ირონია და ცინიზმი“ პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. წერილის პირველი ნახევარი, როგორც უკვე ვნახეთ, ეძღვნება მემარცხენეობის პრობლემას პოეზიაში. მეორე კი – სახელდობრ სათაურში მითითებულ მოდერნისტული პოეზიისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს – ირონიისა და ცინიზმის პრობლემას. ტ. ტაბიძის მიდრეკილება ირონიისა და ცინიზმისადმი შემსაღებელი იყო ევროპული და რუსული სიმბოლიზმი. ირონია, „როგორც უკანასკნელი გამართლება პოეზიისა“ ახასიათებდა შ. ბოდლერს, სტ. მალარმეს, ლაფორტუსა და ანდრე ბელსაც. ფრანგული ირონია რუსულ სიმბოლიზმში ცინიზმად გარდატყა. ეს იყო დროული რეაქცია რუსული პოეზიისა რომელიც თავისთავადობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული. ამით რუსული სიმბოლიზმი თავისობრივად გაემიჯნა ფრანგულ სიმბოლიზმს. ფრანგებისათვის დამახასიათებელი ირონია, რაოდენ სენსაციურად არ უნდა უღერდეს, ტ. ტაბიძემ ფრანგული პოეზიის გამართლებად გამოაცხადა.

მაგრამ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ქართულ მოდერნიზმში? 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ შ. აფხაიძე წერდა: „არის ერთი პრობლემატური წერტილი ტ. ტაბიძის პოეზიაში: ირონია – დამოუკიდებელი პრინციპი“. ტ. ტაბიძის პოეზიაში ირონიისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით საგრძნობი იყო მის დადასტურ ლექსებში. სამყაროს ირონიული ხედვა, პაროდირებული გარემომცველი საგნები, რომლებიც ჩნდებოდნენ მის პოეზიაში იყო პროტესტი მწარე ცხოვრებისეული სინამდვილის

წინააღმდეგ. ცხოვრების მახინჯი სინამდვილე, გაუფასურებულ ძვირფასეულობა, მოძველებული პათეტიკური ემოციები – მასი პოლიტიკური ირონიისა და ცინიზმის ობიექტებად იქცნენ.

ირონიას ავანგარდისტული პოეზიის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა ვ. გაფრინდაშვილიც. თავის სტატიაში „ბოგემა“ იგი წერდა: „დღევანდელი პოეზია შექმნა ბოგემამ. ეს პოეზია ატარებს სიმბოლოს ანუ ირონიის ნიღაბს, რაც ერთი და იგივეა“. მართლაც, ირონია იმხანად იქცა ავანგარდისტული ესთეტიკის ერთ-ერთ კატეგორიად. თუმცა ავანგარდისტული ტექსტი უკვე აღარ იწერებოდა ტრადიციული ავტორისეული პოზიციიდან. როცა ტექსტის მიღმა მოსალოდნელი იყო ჭეშმარიტება, ავანგარდისტები ცალსახად აცხადებდნენ, რომ მარადიული ჭეშმარიტება აღარ არსებობს არც მატერიალურ და არც სემანტიკურ-ალურ სამყაროში.

ტ. ტაბიძის მოსაზრებით, რუსული ცინიზმის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა ვ. როზანოვმა. ეს მოსაზრება მას არაერთხელ გამოუთქვამს თავის ზეპირ გამოსვლებშიც. კერძოდ, ხელოვანთა სასახლეში ვ. როზანოვის ირგვლივ გამართულ კამათზე. რუსული ცინიზმის დიდოსტატებად მან ასევე დაასახელა ფუტურისტულ ჯგუფ „41“-ში გაერთიანებული პოეტები: ილია ზდანევიჩი, ა. კრუჩინინი და ი. ტერენტიევი.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ დროისათვის ტ. ტაბიძის დამოკიდებულება რუსი ფუტურისტების მიმართ იმდენად დადებითი იყო წინა წლებთან შედარებით, რომ იგი თამამად ანიჭებდა მათ უპირატესობას იტალიელ ფუტურისტებთან შედარებით. რუსულ ფუტურისტებს იგი კლასიკურად აღიარებდა და მასში უფრო მეტნიშნებს ხედავდა ფუტურისტისა, ვიდრე მარინეტის მანიფესტებში. ტ. ტაბიძე სავსებით იზიარებდა რუსი ფუტურისტების ხმამა-

ლალ განაცხადს – „Воистину Россия футуристичнее Маринетти“ „ყველაზე უფრო უშედეგოდ, პოეზიისათვის გაიარეს მარინეტის მანიფესტებმა. მარინეტი შეიქმნა გ. დანუნციოს ეპიგონე, მისი დეკლარაციები მაშინაზე და მილიტარისტულ ლექსებზე დარჩნენ მხოლოდ ნიმუშებათ ყალბი რიტორიკის და უნაყოფონი“. ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა წერილის ავტორმა იტალიურ ფუტურისმს და დასასრულს შენიშნა: „პოეზია უფრო დრამატულია, ვინემ მარინეტის მაშინაო“. აშკარაა წერილის ავტორის მოთხოვნა საკუთარი თავისა და პოეზიის სხვა მესვეურთა მიმართ – თითქოს მარტივი სიმბოლოებისა და პირობითობის მიღმა უნდა იგრძნობოდეს ცხოვრებისეული მოვლენების განცდის უნარი, რისი ნიჭიერი ოსტატი თავადაც იყო.

1920 წელს იანვარში ს. ცირეკიძის რედაქტორობით გამოვიდა „ცისფერყანწელთა“ ყოველთვიური უკრნალი „მშვილდოსანი“. მასში ამ ორდენის წევრთა ორიგინალური პოეტური ნიმუშების გვერდით იბეჭდება კ. ნადირაძის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. აფხაიძისა და ტ. ტაბიძის ლიტერატურული წერილები, რომლებიც ერთგვარ გამოხმაურებას წარმოადგენს „ცისფერყანწელი“ პოეტის – ვ. გაფრინდაშვილის პირველ წიგნზე – „დაისები“. იგი გამომცემლობა „კირჩხიბმა“ 1919 წელს მიაწოდა ქართველ საზოგადოებრიობას.

უკრნალში, როგორც უკვე ვახსენეთ, გამოქვეყნებული იყო ტ. ტაბიძის პატარა წერილი „დაისრული სებასტიანე“. უკრნალ „მშვილდოსნის“ და ვ. გაფრინდაშვილის „დაისების“ გამოცემის გამო წერილის ავტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებების პარალელურად მასში ხაზგასმულია ჯგუფ „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული დეაწლის ობიექტური შეფასების აუცილებლობა. ასეთი პათოსი ჩვეულებისამებრ გასდევდა მთელ მის ესეისტურ შემოქმედებას.

წერილის სახელწოდება „დაისრული სებასტიანე“ შთაგო-

ნებულა ვ. გაფრინდაშვილის კრებულის სახელწოდებიდან „დაისები“. ვ. გაფრინდაშვილი თავისი პოეტური ხატოვანებით, რომლის აპოთეოსს წარმოადგენდა მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი პირველი მისი პოეტური კრებული – „დაისები“, ტ. ტაბიძეს მთავონებდა ესპანელ წმინდანს – სებასტიანეს მიერ განცდილ წამებას. ისე როგორც თავის დროზე სებასტიანეს ნაწამებ სხეულს, ამ კრებულსაც უსათუოდ გამოუჩნდებოდა თავისი „მწვადლები“. ამიტომ სახელწოდება წერილისა „დაის-რული სებასტიანე“, სენი ასრით, გამოხატავს იმ განწყობილებებს, რომელთა მოგერიება ხშირად უხდებოდათ „ცისფერყან-წელებს“. ტ. ტაბიძემ მაღალი შეფასება მისცა ვ. გაფრინდაშვილის პოეტურ კრებულს. „დაისები“ ფარდაა, რომელიც ამიერიდან გაჰყოფს ნამდვილ პოეზიას წარსული ბანალობიდან“ – აღნიშნავდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ ესე ვ. გაფრინდაშვილის ლექსების კრებულს ეძღვნება, ტიცვიან ტაბიძე არ უშეებს შესაძლებლობას აღნიშნოს გრ. რობაქიძისა და პ. იაშვილის ღამსახურება ქართული პოეზიის განახლების პროცესში. იგი მათ პოეზიის ვირტუოზებად მოიხსენიებს. განსაკუთრებულად გამოყოფს გრ. რობაქიძის ღამსახურებას სალექსო ხელოვნების დახვეწისა და სრულყოფის საქმეში, ქართულ კრიტიკაში ლექსზე მსჯელობის პრეცედენტის ინიციატივაში. ამაზე დაყრდნობით ტ. ტაბიძე კვლავ იმეორებს მის მიერ უკვე არაკართხელ გამოთქმულ მოსაზრებას გრ. რობაქიძის სიმბოლისტიკის თაობაზე: „იგი დაჯერებული სიმბოლისტია, შემოქმედებაში, კრიტიკაში პირველად გრ. რობაქიძემ წამოაყენა ლექსის პრობლემა“.

პ. იაშვილს, როგორც ყველაზე თვითდაჯერებულ სიმბოლისტსა და საკუთარი ხელწერის მქონე პოეტს წერილის ავტორი ადარებს ვილ ვერჰარნს. ტ. ტაბიძე იმედს გამოთქვამდა, რომ ლიტერატურის ისტორია ობიექტურად შეაფასებდა სე-

მოთხანა მოთვლილ პოეტთა დაძსახურებას: „სხვა დროს სხვა მწერალნა სამი ტომი მაინც უნდა დაწეროს თვითეულ'სე ამ სამში - ქართული პოეზიის ისტორიაც აქედან დაიწყება“.

საგულისხმოა, რომ „ცისფერყანწელთა“ ისტორიის დაწერას ტ. ტაბიძე სხვა პოეტებს ანდობდა, რადგან თვლიდა, რომ მომავალი თაობისათვის ეს მეტი ობიექტურობით იქნებოდა აღბეჭდილი.

სიმართლეს არ არის მოკლებული ტ. ტაბიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ოთხი წელი „ცისფერი ყანწების“ გამოცემის დღიდან საკმაო გახდა, რომ ქართულ პოეზიას ერთიანად შეეცვალა ფრონტი. ამ წლების განმავლობაში არც ერთი სახელი არ შემატებია ქართულ პოეზიას, რომელიც თავის პოეზიას არ იწყებდეს „ცისფერი ყანწებიდან“ და მისი ნიშნის ქვეშ არ მოდიოდეს“. შემოთნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოიყვაროთ იმ ცნობილ პოეტთა და მწერალთა სახელები, რომლებიც „ცისფერყანწელთა“ ჟურნალში აქვეყნებდნენ ლექსებს და მართლაც მოდიოდნენ „მათი ნიშნის ქვეშ“. ესენი იყვნენ: გ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, გრ. რობაქიძე. მართალია, სოგიერთ მათგანთან ამ დროისათვის „ყანწელთა“ ჯგუფის წევრებს მეტად დაძაბული ურთიერთობა პქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ დასაწყისში ისინი მონდომებით თანამშრომლობდნენ მათ პერიოდულ გამოცემებთან. 1920 წლისათვის ი. გრიშაშვილისა და „ცისფერყანწელ“ პოეტთა გ'სები უკვე გაყრილი იყო. ამის დასტურია თუნდაც ჟურნალ „მშვილდოსნის“ იმავე ნომერში გამოქვეყნებული კ. ნადირაძის წერილი „ქართული პოეზია“, რომელშიც ავტორი ი. გრიშაშვილს „მდარე პოეტთა“ კატეგორიაში აერთიანებს და მის ლიტერატურულ აღმანახ „ლეილას კოცნას“ უულგარულობისა და მხატვრული სიღატაკის ნიმუშად მიიჩნევს.

ტ. ტაბიძის უარყოფით ტონს „ცისფერი ყანწების“ ლიტ-

ერატურული ოპონენტების მიმართ სინანულის გრძობაც ახლავს თან. „ქართული პოეზიის არენაზე“ შეყრილი უნიჭო პოეტების წინააღმდეგობა. ღირსეული მეტოქის არყოფილება და ღირსეურატურულ პარნასზე შემოსევეით თავშეყრილ პოეტთა ხსენებაც კი, მისი თქმით 'სიანს აყენებდა პოეზიის პრესტიჟს.

ესეში „დაისრული სებასტიანე“ კვლავ იწინებს თავს მოდერნისტულ და ავანგარდისტულ დაჯგუფებებს შორის არსებულ დიაპოზიუმის მტკივნეული განცდა. ტ. ტაბიძე შესანიშნავად აცნობიერებდა ასეთი დაპირისპირების არსებობის მანვე ზეგაყვლენას: „პოეზია, როგორც მორიელი დაუბრუნდა თავის საკუთარ თავს შხამით – ეს ყველაზე უფრო საშინელი ტერორია“.

ტიციან ტაბიძე ამკვიდრებდა სიმბოლიზმის მიერ შემოთავაზებულ პოეტურ თავისებურებებს და ებრძოდა მწერლობაში არსებულ შაბლონებსა და ტრაფარეტებს. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ პოეტური ნიმიუშებით მოდერნისტული ტენდენციების რეალობად ქცევა ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო ამ პოეზიის მკითხველამდე მიტანა. რისთვისაც აუცილებელი იყო მათი აზროვნების სტილისა და გემოვნების შეცვლა, ახალი ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბება, მოდერნიზმის პრიმატის დამკვიდრება.

ტ. ტაბიძემ და მისმა თანამოაზრეებმა შექმნეს მოდერნიზმი საქართველოში რეალობად ექციათ. მათი განაცხადი ქართულ მწერლობაში სერიოზული აღმოჩნდა. სწორედ „ციხეკერძან-წელთა“ დიდი დამსახურება იყო ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში მომხდარი საოცარი ტრანსფორმაცია კრიტიკული რეალიზმიდან მოდერნიზმზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი წერილების თემატიკა არ განისაზღვრება მხოლოდ ლიტერატურულ სამყაროში მიმდინარე იმ პროცესებით, რომელიც ახახავდა ახალი მიმდინარეობებისა და ესთეტიკის ჩამოყალიბებას. ტ. ტაბიძე ყურადღებას ამახვილებდა სხვა პრობლემურ საკითხებზეც. თემატური თვალსაზრისით უაღრესად ორიგინალურად გვეჩვენება მისი წერილი „ომის თემა ქართულ მწერლობაში“. იგი პირველი მსოფლიო ომის თავისებურ გამოხმაურებას წარმოადგენს. თუმცა, წერილში გატარებული ასრი რაინდობის, სამშობლოსათვის მსხვერპლთშეწირვის იდეის უფრო ემსახურება.

წერილი დაწერილია ქ. მოსკოვში 1915 წელს სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკის მიერ. ცხადია, მიმდინარე მსოფლიო ომი, რომელშიც რუსეთი აქტიურად იყო ჩაბმული ძალაუნებურად განაწყობდა მას ამ თემისადმი. საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძემდე ასე გამოკვეთილად ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა კლასიფიკაცია არავის მოუხდენია, არც მის მიზანდასახულობაზე ყოფილა ფართო მსჯელობა. რასაკვირველია, ტ. ტაბიძეს, პოეტს, პუბლიცისტს თავისებური მიდგომა მართებდა ომის, როგორც დამანგრეველი ადამიანებისათვის უბედურების მომტანი მოვლენებისადმი, მაგრამ წერილის ავტორი სულ სხვა დატვირთვას აძლევს მას, როცა იგი თავისუფლებისა და ერის ღირსების შენარჩუნების მოტივით წარმოებს. საბედისწერო ჭიდილი ამ

მიზეზით საქართველოს ხომ არასოდეს აკლდა. ტ. ტაბიძე ვაღდე-
ბულად თვლიდა არ გამოირიცხავდა „სიკედილთან ახლოს დგო-
მას“, თუ იგი ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი საშუალება იყო. მან
იცოდა, თუ როგორ არ ტოვებდა მისი სამშობლო – „დაჭრილი
გლადიატორი“ საუკუნეების განმავლობაში ასპარეზს. „უამით
უამამდე, საუკუნით საუკუნემდე, ქალდეას ცისქვეშ და კავკასიის
კალთებზე“.

წერილში მოჩანს ქართველთა უფლისაგან რჩეულობის
მესიანისტური იდეაც. გმირობისა და რაინდობის შემნახველი
ერი „რჩეული აქტიორია ზენაარისა და ომი გაიხადა ღვთის
მსახურებად. ხმლიანი არმაზის ქურუმი განაგრძობდა ქურუ-
მობას ქრისტიანთა სხვისთუის თვინიერ, ჩვენთვის მრისხანე
ღმერთისას“.

საგულისხმო იყო, რომ განსხვავებით ვეროპულისა ქართულ
მწერლობაში, იშვიათად შემოდიოდა პაციფისტური იდეები. მას
არასოდეს უღალატნია ძველი იდეებისა და ტრადიციებისათვის.
მწერალი სწორად პოულობს „დაჭრილი გლადიატორის“ –
საქართველოს უკუდავების მიზეზს. სწორედ მწერლობაში გა-
ტარებული მებრძოლი სულისკვეთების გამო „ქართველი
სასწაულად აბამდა ერთმანეთს სინა'ხესა და სიფიცხეს“. აგრე-
სიული მომხდურისადმი საკადრისი პასუხის მიგება, ტ. ტაბიძის
აზრით, ქართველის ნაციონალური თვისება იყო, რომელმაც საუკუ-
ნეებს გამოარიდა ერის სული.

წერილიდან ვგებულობთ, რომ ტ. ტაბიძეს ჩაფიქრებული
ჰქონდა ომის თემისათვის ეძღვნა მთელი მონოგრაფია. რამ-
დენადაც ვიცით, მწერალს ეს განზრახვა სისრულეში არ მოუყ-
ვანია. ეს სურვილი, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო მისი
სულისკვეთებით ყოფილიყო ერის სულიერი ცხოვრებისა და
განვითარების ბარომეტრი. 1915 წელს პირველმა მსოფლიო ომმა
უდიდესი განსაცდელი მოუკლინა ერებს. მისივე თქმით, მან

ნათელზე გამოიყვანა ფიქრი, რომელიც დიდი ხანია მტვერ-
მიყრილი და ცოცხალმკვდარი იყო. ყველა ერი ნაახედა თავის
გულის სიღრმეში, მათ შორის - ქართველებიც.

ტ. ტაბიძე არ ეთანხმება ომის მსულელობის დროს შემო-
ქმედებითი პროცესისადმი ტრადიციულ, დამკვიდრებულ შეხედ-
ულებას და თვლის, რომ ომი არ წარმოადგენს დაბრკოლებას
პოეტთათვის. ამის საილუსტრაციოდ იგი ევროპულ და რომაულ
მწერლობას იშველიებს, სადაც უხედად მოიპოვება ომისა
და საბრძოლო ბატალიებისადმი მიძღვნილი სტრიქონები.

რუსულ და ევროპულ მწერლობაში მცირე ექსკურსის
შემდგომ, ტიცინანი უბრუნდება მშობლიური ქვეყნის ლიტერა-
ტურაში მიმდინარე პროცესებს იმ იმედით, რომ „ახალი სიტყვე-
ბის“ ამოთქმის ბედნიერება ქართულ მწერლობას ჯერაც წინ
ელოდა. ყველაზე მეტ შესაძლებლობა ამ მხრივ იგი ხედავდა ს.
შანშიაშვილის, გ. ტაბიძისა და ალ. აბაშელის შემოქმედებაში.
მანამდე კი ქართული მწერლობის ვალი ომის თემასთან მიმა-
რთებით, ტ. ტაბიძის აზრით, გამოსყიდული ჰქონდათ ვაჟა-ფშავე-
ლასა და კოტე მავაშვილს: „ვაჟა-ფშაველამ ევროპის ომზე სიკვდი-
ლის წინ შექმნა ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“. ამ
ლექსში მთელი ვაჟაა. აქ ყოველი სტრიქონი სუნთქავს სიმარ-
ტივით, რომელიც მარტო ვაჟას შეუძლია გახადოს ღვთაებრი-
ვად. აქ მთელი რწმენაა, ცრემორწმუნეობა, გულის სიწვილე,
ვაჟაკობა, ომის ცეცხლი და საჩენელი ისეა გადაწნული, შექსო-
ვილი, რომ გაგრძობინებს პოეტის ჯადოქრობას. ვაჟას პოეზია-
ში ფიქრიც არაა ომის ბოროტებაზე, ასეთი საკითხის დასმას
სულაც არ გაუვლია მის პოეზიაში. მას მხოლოდ ის აწუხებს,
რომ „სამშობლოს უშველოს თავის ხარჯითა“.

სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ ომისა და ხელოვნების
ურთიერთობისათვის საკითხის პირველად შეეხო გ. ქიქოძე.
მან 1914 წელს „სახალხო ფურცელში“ გამოაქვეყნა წერილი

„ომი და ხელოვნება“ სადაც აღნიშნა: „ომის ნიჭი ყოველ ერს აქვს, ეს საკაცობრიო კუთვნილებაა. მაგრამ ყველას ერთნაირად ცოდი ძალუკს ბრძოლის შთაბეჭდილებანი ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებში ჩამოაყალიბოს. დიდი მილიტარული პოეზია და პლასტიკა მხოლოდ ორიოდ მაღალნიჭიერმა ხალხმა შექმნა“. ტ. ტაბიძე იმდროისათვის იცნობდა გ. ქიქოძის წერილს და აღიარებდა მას როგორც ნოვატორს. არც ის არის გამორიცხული, რომ ოციოდე წლის ჭაბუკი სწორედ გ. ქიქოძის ამ წერილის გამო იწყებს დაინტერესებას ომის თემატიკით ქართულ მწერლობაში.

1915 წლათა დათარიღებული ტ. ტაბიძის წერილი „მარტოობის ორდენის კაპალერი“, რომელიც მან თავის ბიოაშვილს, იმხანად ახალგაზრდა პოეტს – გალაკტიონ ტაბიძეს უძღვნა. 1914 წელს ქ. ქუთაისში გამოიცა გ. ტაბიძის პირველი ლექსების კრებული. უფრო ადრე 1913 წელს პაოლო იაშვილის რედაქტორობით გამოშველ უურნალ „ოქროს ყერაში“ კი დაიბეჭდა მისი ლექსები – „მე და ღამე“ და „უხილაფი“. გალაკტიონის ურთიერთობა ცისფერყანწულთა ლიდერთან. პაოლო იაშვილთან შემდგომაც გრძელდება და იგი 1915 წელს მისივე თანხმობით ბეჭდავს ლექსებს უურნალ „ცისფერ ყანწებში“. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ სასოგადოების აგრესიამ „ცისფერი ყანწების“ მიმართ ჩამოაშორა მოგვიანებით გალაკტიონი ცისფერყანწულთა პრესას. ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერთა აზრს, ვინც თვლის, რომ გ. ტაბიძე სერიოზულად განიცდიდა თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში სიმბოლიზმის გაკლენას. კერძოდ, იგი ფრანგული სიმბოლიზმის შედარებით ნათელი ფრთის – ვერლენის მიმდევარი იყო. ტ. ტაბიძემ ყველაზე ადრე მიუთითა ამ გავლენის თაობაზე. გალაკტიონ ტაბიძის ლანდებითა და სიმბოლოებით დასახლებული პოეტური სამყარო მისთვის ყველაზე მახლობელი და მშობლიური იყო. წინათგრძნობა იმისა,

რომ პოეზიის ჰორიზონტზე გამოჩნდა საკუთარი, განუმეორებელი ხელწერის პოეტი, „რომელსაც არაყინ არ ჰგაყდა, და რომელიც არაყის არ ჰგაყდა“, მუდმივად ახლავს ტ. ტაბიძის წერილის ყოველ აბზაცს. „როგორც მასსოვს, ჩვენთან არაყინ არ მოსულა ასეთი უცნაური ქესტით, გაქანებული ილუზიის ქარით, უხილავი ნაბიჯით, როგორც ეს უწყველო და უტეხი ჭაბუკი“. ამით ტ. ტაბიძემ იმთავითვე მიგვანიშნა მის განსაკუთრებულობაზე და მარტოსულობის, როგორც გენიოსების ზედისწერაზე. მან იმთავითვე დალანდა გალაკტიონის თავზე პოეტის ეკლის გვირგვინი და უწოდა მას „მარტოობის ორდენის კავალერი“. ჩვენი აზრით, გაუგებრობას აქვს ადგილი მ. კვესელაყას წიგნში „პოეტური ინტეგრალები“, სადაც ავტორი გ. ლეონიძეს მიაწერს ამ სიტყვებს და მოგვითხრობს, რომ გიორგი ლეონიძემ უწოდა მას მარტოობის ორდენის კავალერიო. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტიცციანი ამ შემთხვევაში სტ. მაღარამეს იმეორებს, რომელიც გრაფ ვილიე დე ლილ-ადანს უწოდებდა მარტოობის ორდენის კავალერს. ტიცციანი იყო პირველი, ვინც გ. ტაბიძის მისამართით გამოიყენა ეს შედარება.

წერილში მოჩანს შეშფოთება თანამედროვე მწერლობის მდგომარეობის გამო, რომელიც ავტორს დედაბრის მიერ სხვადასხვა ნაჭრებისაგან ნაკერ საბანს აგონებს და სადაც „ალაგ-ალაგ მოჩანს სილუქე აბრეშუმის ქსოვილისა“. მართლაც, მწერლობა მოითხოვდა დაწმენდას, დახარისხებას. ამ თვალსაზრისით, გალაკტიონში იგი ხედავდა პოეტს, რომელსაც შეეძლო ეთავა ეს პროცესი, რადგან მის პოეზიაში იგრძნობოდა სიმბოლიზმის სუნთქვა. სიმბოლიზმს კი, როგორც ცნობილია, ცისფერყანწელები დიდ მისიას აკისრებდნენ და ცდილობდნენ სწორედ მისთვის წაეგდოთ ხელში ქართული პოეზიის განახლების ინიციატივა. მართალია, ტ. ტაბიძე აღიარებდა გალაკტიონის შემოქმედებით ორიგინალობას, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ მის პოეზიაში

„გაკრობა ნ. ბარათაშვილისა და მ. გურიელის ტრადიციებიც“, თუმცა მათთან მიმსგავსებას იგი ახლენდა გალაკტიონის საბუდისწერო მარტოობით და არა პოეტური ხერხებით: „ამ სახეთა ცვლას უნვეულო თვალის შეამჩნევს გ. ტაბიძეში, გრძნობ, რომ პოეტი უკვე გადმოფრინდა ძველი ბუდიდან, მაგრამ სიერცქის ლაღად საფრენად ჯერ კიდევ ვერ ენდობა და შიშით მიიკულებს გზას. მის სიმღერებში, გზების ძებნაში თქვენ ნოდისხართ ნ. ბარათაშვილიდან და მამია გურიელიდან, მაგრამ სწორი ხასი, რომელიც გაარჩევს მას ამ პოეტებისაგან, ისევე როგორც ალ. ბლოკს პუშკინისაგან, ჯერ მსოფლივ კონტურით ღრის შემოხას-სული“. აშკარაა ტ. ტაბიძის მცდელობა გამოიყოს სიმბოლისტთა შემოქმედებითი თავისებურებანი და გამიჯნოს იგი კლასიკური მწერლობისაგან.

ტიციან ტაბიძის მიერ მოდერნისტული ესთეტიკის ჩამოყალიბების პროცესში გ. ტაბიძე ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ პოეტად იყო აღიარებული მოგვიანებითაც, ტ. ტაბიძის 1916 წლის საპროგრამო წერილში „ცისფერი ყანწებით“, თუმცა მეტი სიფრთხილისათვის იგი აღნიშნავდა, რომ პოეტი ძიების ხანაში იყო. იგი ხედავდა გალაკტიონში სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ უკანასკნელი სიტყვის თქმის უფლებას ყოველთვის სამომავლოდ იტოვებდა, თითქოს გრძნობდა, რომ გალაკტიონი ადრე თუ გვიან თავისი გზით წავიდოდა. „ჩვენი პოეტის სიმღერა, – წერს ტიციანი – არ ჰგავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც ბოდლერის გლადიატორის კენესაა. იცი, რომ ის საშინელ სიტყვებს არ ამბობს, მაგრამ გრძნობ, რომ ეს პრელუდიებია მომავალი დიდებული ორატორიებისა“.

გალაკტიონის პირველი ლექსების კრებულის გამოსვლათან დაკავშირებით ტ. ტაბიძემ სათანადო არგუმენტების მოწოდებით საზოგადოებას დაუსახელა ის სიმპტომები, რომელთა

გამო გალაკტიონი სიმბოლისტად აღიარების პრეტენდენტად გამოაცხადა. ეს იყო გალაკტიონის პოეზიაში ელგარ პოს შავი ყორნის გამოჩენა, მარტოობის განცდა, სიკვდილთან სიახლოვე და მასში შევებისა და აღტაცების ძიება. განსაკუთრებული ყურადღება გააძახილა გ. ტაბიძის ლექსზე „შემოდგომა“: „გ. ტაბიძე შენი ტირის შენი თვალებით, იგი ახლობელია, საყვარელი და მიყვები მას“.

ტ. ტაბიძე განსაკუთრებულად მოხიბლული ჩანდა გალაკტიონის ლექსთა მუსიკალობით, სწორედ ამ ნიშნით აკავშირებდა იგი სიმბოლისტ პოეტებთან. „მუსიკალური ნოტები უბრალო სიტყვებსაც ფერადი წარმტაცებით აელვარებენ. „ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენსო“ – წერდა იგი. ნიმუშად ტ. ტაბიძე ასახელებდა გალაკტიონის ლექსს „ტყეში“, რომელიც მას აგონებდა პოლ ვერლენის „ინსტრუმენტაციის ფრ.თააშეგებულ ფრენას“, ფრანგი პოეტის დევიზი – „მუსიკა ყველაზე უწინ“. პირველად სწორედ გ. ტაბიძემ გაითავისა და სტილურ თავისებურებად გაიხადა. ლექსის მუსიკალობის ასეთ ოსტატურ უნარს ტიცვიანი ქართული ენის დამსახურებადაც მიიჩნევდა. სწორედ ქართული ენის მდიდარი შესაძლებლობანი აძლევდა საშუალებას პოეტს ოსტატურად გამოიყენებინა იგი. მან იმთავითვე შენიშნა, რომ მრავალმხრივი, ინტიმური, ძლიერი ტემპერამენტისა და მხატვრული გულწრფელობის მქონე გალაკტიონი გამორჩეულ ადგილს იკავებდა პოეზიაში. რომ იმდროისათვის უკვე პოპულარული პოეტების – ი. გრიშაშვილისა და ს. შანშიაშვილის ველური, მჭრელი მეტაფორებისაგან განსხვავებით გალაკტიონის ლექსი სულ სხვა უღერადობას გამოსცემდა და მკითხველს სულ მალე დაიპყრობდა.

ტ. ტაბიძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მაღალი შეფასება მისცა გალაკტიონის პოეზიას და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა. ამასთან დაკავშირებით მან დააკონკრეტა

და ცალკე გამოყო პოეზიის ის მახასიათებლები, რომელიც გამორჩეულა გალაკტიონს მისი თანამედროვე პოეტებისაგან. რაც მთავარია, ტ. ტაბიძე, რომელიც განსაკუთრებულად მგრძნობიარე იყო ქართული პოეტური პროფილის დახვეწა-რაფინირების მიმართ. და ეს მიაჩნდა იმ სადინარად, საიდანაც უნდა ესაზრდოვა ქართველ პოეტს, გალაკტიონის სტრიქონებში აშკარად გრძნობდა ეროვნული სულის სუნთქვას: „ტ. ტაბიძის ლექსებიც მდიდარია პოეტური სასუბით. ამასთან ეს სახეები უშუალოდ განცდილი არიან, შადრევანივით ჩქეფს, არ არის ძალით გამოგონებული, ყველა უადრესად ქართული სულით ფეთქავს“.

ტ. ტაბიძეს ოდნავი ეჭვიც არ გამოუთქვამს გალაკტიონის შესაძლებლობებზე. მისი ნიჭის განვითარება მას ისეთ ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა, როგორც მზის ამოსვლა: „არ არის საჭირო ლოცვა იმაზე, რომ პოეტის ნიჭი აყვავდეს, როგორც არ არის საჭირო მზის ამოსვლაზე ლოცვა“ – წერდა იგი.

ტ. ტაბიძის წერილის აზროვნების ლოგიკა, მსჯელობის მეთოდი და სტილი მართლაც გაოცებას იწვევს, რადგან იგი დაწერილია ოცი წლის ჭაბუკის მიერ, რომელიც გაბედულად და დამაჯერებლად წინასწარმეტყველებს ტ. ტაბიძის საპატიო ადგილს ქართულ პოეზიაში. ჩუენი აზრით, ტიცციანის შეფასებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა იმათთვის, ვინც დარწმუნებულია, რომ გალაკტიონის პოეზია მართლაც იყო სიმბოლისტური ესთეტიკით აღბეჭდილი და მისი ურთიერთობა ურნალ „ცისფერ ყანწებთან“ ნამალადევი არ ყოფილა. ტ. ტაბიძე თავისი მეტაფიზიკურ-მისტკური მსოფლმხედველობით, ინდივიდუალური მითა და მუსიკალობით, რა თქმა უნდა, წილნაყარი იყო სიმბოლისტური სკოლის მეთოდებთან და იმთავითვე იზიარებდა მის ძირითად პოსტულატებს.

რევოლუციის შემდგომ არის დაწერილი ტიცციან ტაბიძის წერილი „რევოლუცია და პოეტები“. იგი დათარიღებულია 1921

წლის 20 ოქტომბრით. ამ დროისათვის საქართველოში ბოლშევიკები უკვე ტკბებიან გამარჯვების ეიფორიით. ინტელიგენციის ნაწილს კი მართლაც სჯეროდა, რომ ისინი მოვიდნენ ძმობისა და ერთობის, ხალხთა ბედნიერების სახელით. მწერლები, პოეტები უშელავათო ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდნენ – მათ უნდა მიეღოთ რევოლუცია. ბევრი მათგანი საბედისწეროდ დაფიქრდა, შედრკა და უკანაც დაიხია.

25 თებერვლის სისხლიან ღღეს ტ. ტაბიძე პაოლო იაშვილთან ერთად ქუჩაში გამოსულიყო და გაოგნებულ თბილისელებს წესრიგისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა. ორთავემ იცოდა, რომ ასეთი განგაშის დროს პანიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ, შექრწუნებულ ხალხს დამშვიდება ესაჭიროებოდა. არც პაოლოს და არც ტიციანს ქალაქი არ დაუტოვებიათ. მათ თბილისს მომდგარ ბოლშევიკებს რაშიც კი გაუგზავნეს, რათა შემოსვლის დროს ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას არ ჰქონოდა ადგილი. ჩვენი აზრით, ამ ინიციატივას არა პოლიტიკური სარჩული, არამედ ადამიანების უსაფრთხოების სურვილი ამოძრავებდა.

ტ. ტაბიძე, რომელიც თვითმხილველი იყო უდიდესი ისტორიული კატაკლიზმებისა, პირველად დაფიქრდა რევოლუციაზე, იმაზე, თუ რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ პოეტები მასთან. ძნელი სათქმელია, ეს წერილი პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირებაა თუ კომპრომისების შედეგი, მაგრამ მასში მიგნებულად დაძებნილი პარალელები ანტიკური ხანის მწერლობის დროინდელ რევოლუციურ მოვლენებსა და ხელოვნებას შორის ინტერესის მომგვრელს ხდის წერილს და ხელოვნურობისაგან, ყალბი პათეტიკურობისაგან ათავისუფლებს. ტიციანი დარწმუნებულია, რომ „ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იღვანენ რევოლუციის მხრებზე და ბევრი პოეტიც სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რევოლუციის ცეცხლით,

და რომ ამ რევოლუციის ქარიშხალი მათი პოეტურ სტიქი-
სათვის დიდი სტიმული ყოფილა“.

რევოლუციის თანამედროვე მოდელს ანტიკურთან და საერ-
თოდ განუღილი პერიოდის რევოლუციებთან ანათესავენბა
წინააღმდეგობის, არსებულთ უკმაყოფილობის განცდა და
გარდაქმნათა სურვილი. ის პოეტები, ვინც ამ სულისკვლევით
იღწვოდნენ, დევნილი და მოკვეთილი აღმოჩნდნენ როგორ ;
ფილისტერი სასოგადოების, ისე მთავრობის მიერ. როცა წერ-
ლის ავტორი იშველიებს ჯორჯ ბაირონისა და პერსი ბი'ი
შეღლის მაგალითებს, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ მისი სიმ-
პათიები უფრო ერთა თავისუფლების იდეით მოტივირებული
რევოლუციის მხარეზეა, ხოლო კლასობრივი თანასწორობის
პრობლემა ტ. ტაბიძეს ნაკლებად აინტერესებს: „ბაირონი წარ-
სულ საუკუნეში ბაიროლი იყო რევოლუციისა და ამბოხისა, მასაც
წილად ხედა სამშობლოდან განდევნა, – ინგლისი ვერ ურიგდუ-
ბოდა მის მებრძოლ ტემპერამენტს. დიდხანს დარჩება უკეთილ-
შობილეს ლეგენდად ბაირონის სიკვდილი ბერძენ ინსურირეგ-
ტებში, რომელთაც ააფრიალეს აჯანყების დროშა დესპოტური
ოსმალეთის წინააღმდეგ. თითქმის ბაირონივით მღელვარედ გა-
ტარა თავისი ცხოვრება მისმა თანამედროვემ და ინგლისის
უზენაესმა პოეტმა პერსი ბიში შეკლდომ. ისიც განდევნილ იქნა,
როგორც პროტესტანტი და ემიგრანტობაში შეწყდა უდროოდ
მისი სიცოცხლე. შეღლის „განთავისუფლებული პრომიეთე“ და
„ირლანდიისადმი“ დიდხანს დარჩება მებრძოლი პოეზიის
შედევრად“. ჩვენს შემოთმთყუანდელ მოსაზრებას ამასთან დაკავ-
შირებით ამყარებს ისიც, რომ რევოლუციურად განწყობილ
პოეტთა შორის ტიცციანი ასახელებს შექსპირს, გოეთესა და სერ-
ვანტესს. მებრძოლ პოეტთა რიცხვს მიაკუთვნებს იგი სიმბოლიო-
მის სკოლის მიმდევართ – არტურ რემბოს, ბოდლერსა და ვერ-
ლენს. ცნობილია, რომ ისინი მართლაც იბრძოდნენ საფრანგურ

თის კომუნის დროს. ბოლღერი გამოსცემდა გაზეთ „ბარიკადს“. საფიქრებელია, რომ ბოლღერის წაბაძვით დაარქვა ტიცინამ მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთს „ბარიკადი“.

რევოლუციისა და აჯანყების პოეტებად ხელაუდა ტ. ტაბიძე ვიქტორ პიუგოსა და ემილ ვერჰარნს: „რევოლუციის დაფდაფებს სცემს ვიქტორ პიუგო, ეს ყველაზე ღიდი, ნაციონალური პოეტი საფრანგეთისა და უახლოეს დროს ემილ ვერჰარნი თუჯის ლექსში აქანდაკებს ქალაქს, მისი პოეზია გამართლებია რევოლუციისა და აჯანყებისა“.

ტ. ტაბიძის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა რუსული მწერლობის რევოლუციური, მეზრძოლი ხასიათი. იგი მართე-ბუღად მსჯელობდა, როცა პროტესტანტობის ნიშნებს ჯერ კიდევ რადიკალიზაციის პოეზიაში ამინეუდა და ამ ტრადიციის გამგრძელებლად პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს და რუს დეკაბრისტებს ასახელებდა. აღსანიშნავია, რომ წერილის ავტორი მწერლობაში რევოლუციონერობის ტრადიციის გამგრძელებლად მიიჩნეუდა ბლოკსა და ბრიუსოვს. რადგან თებერვლის რევოლუციის დროს მოსკოვის რუსულ გაზეთებში პირველი მანიფესტი-ლექსით სწორედ ვ. ბრიუსოვი გამოვიდა. აღ. ბლოკმა კი თავისი ვალი რუსეთის რევოლუციის წინაშე მოიხადა ლექსით – „სკვითები“ და „თორმეტნი“. რევოლუციის სამსახურში ჩადგა ისეთი მენარცხენე პოეტი, როგორც ვლ. მაიაკოვსკი იყო. ამის შესახებ ტიცინი წერდა: „ფუტურისტები, მაიაკოვსკის მეთაურობით დგანან რევოლუციის ფრონტზე, მაიაკოვსკი დღეს უკეთესი პოეტია რუსეთში და მისი შემოქმედება სულ შეეწირა რევოლუციას“. მართლაც, ბოლშევიკებმაც შესანიშნავად გამოიყენეს რუსი ფუტურისტები. მათი წელილი ბოლშევიზმის იდეოლოგიის გასამყარებლად უდიდესი იყო, მაგრამ საბოლოოდ ასეთი თავგანწირვის შედეგად მათ შერჩათ გაუფასურებელი, დამახიჯებელი ცანასწორობის, შრომის სუფევისა და ჰუმანიზმის პრინციპები.

ტ. ტაბიძე, რომელიც რწმენასა და ოპტიმიზმს გამოხატავდა რევოლუციის მიმართ, ჰიუგოსა და ბოდლერის, თავისუფლებაზე ოცნებობდა და არა უთქმელობით. გატანჯულ, მართვად სასოგადობაზე. „ქართული მწერლობა თითქმის რუსთაველიდან იწყება და რუსთაველი დღემდე ინახავს ჰუმანიზმის სახეს. მის იდეებს თანასწორობისა და შრომის შესახებ დღესაც ისევე იყენებენ საქართველოში, როგორც სახარების ტექსტს“ – წერდა იგი. საცნაური ხდება, თუ რომელი იდეალებით იკვებებოდა იგი, როცა რევოლუციას უკავშირდებოდა. თუმცა მაინც არ კარგავდა ზომიერების გრძნობას სამომავლო პროგნოზებთან დაკავშირებით და „კარკეული სიფრთხილით აცხადებდა: „უნდა ითქვას, რომ პროლეტარული დიქტატურის დროს იქმნება კულტურის ახალი პერიოდი. რა სახეს მიიღებს შემდეგში ეს კულტურა ან რით განსხვავდება წარსული კულტურისაგან, ამაზე შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ლაპარაკი. დღეს ეს მხოლოდ შემოქმედების პროცესშია“. ტ. ტაბიძის პროფეტულობა გამართლდა – ცნობილია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები და როგორ იქცა „ზეადამიანური ეპოქა“ „ნამდვილი პოეზიის“ საგნად.

ცალკე უნდა გამოიყოს წერილები ქართველ კლასიკოსებზე. სიმბოლისტებს განსაკუთრებული სიმპათიები არ ამოძრავებდათ კლასიკოსების მიმართ. თუ არ ჩავთვლით შოთა რუსთაველს, ბესიკს, დ. გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას. ტ. ტაბიძე პრინციპულად არ ღებულობდა ილიასა და აკაკის შეხედულებებს მწერლის დანიშნულებისა და პოეტური ხელოვნების შესახებ. მისი სითამამე, როგორც წინა წერილების განხილვისას ვნახეთ, იქამდე მიდიოდა, რომ იგი თავს არიდებდა საუბარს ილიასა და აკაკის პოეტურ დამსახურებაზე და ეჭვის, განგაშის გრძნობით მოითხოვდა მათი მემკვიდრეობის რევიზიას. საუბარია ტ. ტაბიძის წერილზე „ცისფერი ყანწებით“, „დადაისმი თუ ცისფერი

ყანწები“. მოგვიანებით მან ახრი შეიცვალა ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაში და 1922 წელს არც თუ ერცველი წერილით გამოისყიდა დანაშაული. სამაგიეროდ მას ახრი არ შეუცვლია აკაკის მიმართ. იმავე 1922 წელს გასეთ „ბახტრიონის“ 24-ე ნომერში იგი მიესალმა აკაკის ძეგლის დადგმას ოპერას წინ და რატომღაც მგოსნის გარეგნულ ღირსებებზე უფრო მეტი ისაუბრა, ვიდრე მის პოეტურ დამსახურებაზე. „ლიტერატურის ისტორიაში სხვა თავის თანამედროვეთა შემოქმედებასთან კიდევ რომ დაიხრდილოს აკაკი წერეთელი, მას მაინც ვერავინ წაართმევს პირველობას როგორც სოლოგოვიურად გამართულს დამწევენებას ქართული რასსინის“ – აღნიშნა მან.

ერთადერთი პოეტი XIX ს-ის კლასიკოსებიდან, რომელიც გადაურჩა მოდერნიზტების რისხვას და მათი მუდმივი აღტაცების საგანი იყო, გახლდათ ვაჟა-ფშაველა.

სხვათაშორის, ნ. ტაბიძე თავის წიგნში „ტიციანი და მისი მეგობრები“ გვაწედის ცნობას იმის თაობაზე, რომ ელიშე ჩარენცის რედაქტორობით სომხურ ენაზე გამოიცა ტ. ტაბიძის წიგნი „ახალი ქართული ლიტერატურა – მე-19 საუკუნე. მოკლე ნარკვევი“. ეს წიგნი ელიშე ჩარენცის წარწერით ინახება ტ. ტაბიძის სახლ-მუსეუმში. სამწუხაროდ, მისი ქართული ვერსიის მოძიება დღემდე ვერ მოსერხდა. იგი უსათუოდ შეაგსებდა ტ. ტაბიძის უაღრესად საინტერესო ესეისტურ მემკვიდრეობას.

როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს, ი. ჭავჭავაძის მკველელობის მე-15 წლისთავეზე ტ. ტაბიძემ დაწერა წერილი „ილია ჭავჭავაძე“. ამჟამად მან ობიექტური შეფასება მისცა პოეტის ღვაწლსა და დამსახურებას არა მარტო პოეზიის, არამედ მე-19 საუკუნის ქართულ სასოგადოებრივ ცხოვრებაში და უწოდა მას „ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი“. ასეთი გარდატეხა პოეტის ცნობიერებაში ნამდვილად გულწრფელი იყო, და არა „ზემოდან“ ნაკარნახევი, რადგან 20-30-იან წლებში პროლეტარული კრიტი-

კა ფ. მახარაძის მეთაურობით გააყვთრებით ებრძოდა ილიასა და მისი შემოქმედების მკვლევართ. იგი არც იმას მოეკრიდა, რომ 1928 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა მე-9 ტომში, რომელშიც მწერლის პოლემიკური წერილი „ნუთუ?!“ იყო შეტანილი თავის საპასუხო „თავის გამართლება“ ასეთი უნდა – პასუხად ილია ჭავჭავაძეს“ შეეტანა. ასეთ ატმოსფეროში ტ. ტაბიძემ მაინც მოახერხა ეთქვა მთავარი სათქმელი ილიას, როგორც პოეტისა და ერისკაცის დიდ მისიაზე ქართულ სინამდვილეში: „ილია ჭავჭავაძემ თავისი დევის ხელით სრულიად გარდატეხა ეს სტილი... ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა, როგორც გიგანტიც. ყოველი მოზღვავებული ტალღა, უცხო თუ შინაური იმას დაეტაკებოდა და ილიაც იყვრიებდა. ილია ყველგან ცდიდა თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მეცნიერი, რეჟისორი, ფინანსისტი, ორატორი, ისტორიკოსი და კიდევ რამდენი სხვა, და ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ ღარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე“. შეგნება იმისა, რომ ი. ჭავჭავაძის პიროვნება უდიდესი მოვლენა იყო XIX ს-ში ტ. ტაბიძის ცნობიერებამდე დაგვიანებით, მაგრამ მაინც გარდუვალი კანონისომიერებით მოუხდა. ილიას უმისოდ წარმოუდგენელი იყო არა მარტო XIX ს-ის ქართული მწერლობა, არამედ ზოგადად ქართული სინამდვილე, ეროვნული ცნობიერება.

ამ წერილშიც ტ. ტაბიძე ავლენს კრიტიკულ დამოკიდებულებას აკაკი წერეთლის პოეზიისადმი და თანამედროვეთა უკულტურობას მიაწერს იმას, რომ ილიას ლექსს აყენებდნენ აკაკისე დაბლა. ეს მაშინ, როცა ილიას პოეზია, მისი აზრით, სამუდამო თემა იყო განხილვისთვის.

როგორც უკვე ვახსენეთ, ქართველ სიმბოლისტებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ვაჟა-ფშაველასადმი. იგი იყო ერთადერთი ქართველი პოეტი XIX საუკუნისა, რომელსაც

აღფრთოვანებით, უკრიტიკოდ იღებდა XX საუკუნის ყველ ქართველი მწერალი.

ვაჟა-ფშაველა – რომელმაც საკუთარი სწავლებრივი და ფსიქოლოგიური ცვლილებები შეიტანა მხატვრულ სამყაროში და ამასთან ერთად არ უღალატა თერგდალეულთა რეალისტურ ტრადიციებს, ტ. ტაბიძისათვის ყოველთვის იყო „უმბერასი მთისა და მწერლობისა“. როდესაც ათიანი წლების სამეცნიერო კრიტიკაში, კერძოდ კ. აბაშიძის მიერ გამოითქვა ახრი ვაჟას სიმბოლისტობის თაობაზე, ტ. ტაბიძემ გამოსინინა საოცარი ობიექტურობა – მან წარმოუდგენლად მიიჩნია ვაჟას ნატევა სიმბოლისტური სკოლის ფარგლებში და მისუთითა, რომ საქმე გექონდა სიმბოლიზმის, როგორც სკოლისა და სიმბოლიზმის – როგორც მეთოდის აღრევის ფაქტთან. ვაჟა-ფშაველა მე-19 საუკუნის პოეტთაგან ყველაზე უფრო ხალხური და გასაგები იყო. იგი ყველაზე გამოკვეთილად ამუღაუნებდა ქართველი ერის ბუნების სიდიადეს. მოხიბლულმა ვაჟას მიერ გასულიერებული და ამეტყველებული ბუნებით, ბოროტებისა და აეკაცობის წინააღმდეგ ამხედრებული გამირთა გაღერეთ ტ. ტაბიძემ სუღისუღ რამდენიმე წერილი უძღვნა მის შემოქმედებით ფენომენს.

ტ. ტაბიძის თხზულებათა სამტომეულში და 1955 წელს გამოცემულ რნეულში შეტანიღია წერიღები: „ვაჟა-ფშაველა“, „ღაღით გურამიშეიღი და ვაჟა-ფშაველა“. მაგრამ მისი პირვეღი წერიღი პოეტზე გამოქვეყნდა 1922 წელს „ბახტრიონის“ მეექვსე ნომერში, რომეღიღ მთღიანღად ეძღვნებოღა ვაჟა-ფშავეღას. გარღა ტიცინანის წერიღისა, აქვე ვ. კოტეტიშეიღის წერიღი – „ვაჟა“, გრ. რობაქიძის ლექსი – „ვაჟაური“, ვ. ლეონიძის „ექსპრომიტი“, არტურ ლაისტის პატარა სტატია „მოთების პოეტი“ და ვ. ბარნოვის მოგონება ვაჟა-ფშავეღასზე. ტ. ტაბიძის აქ გამოქვეყნებული წერიღი მის არც ერთ კრებულში არ არის შეტანიღი. ტიცინან ტაბიძის ახრით, ვაჟა, როგორც საუკუნის ფენომენი საქართვე-

ლოს ფენიქსისებური განახლებების საწინდარი იყო. პოეტები მას გრძნობდნენ როგორც ადამიანი მისესა და ღმერთს. თავის დროზე ილიამ „პუშკინისეული ინტუიციით“ იგრძნო ლომი ბრჭყალებით და მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

აღორძინებასა და ღვთაების შორის მრავალჯერ გარდასული ქართული მწერლობა, ტიციანის თქმით, სწორედ ვაჟასნაირმა გენიოსებმა იხსნეს. თვით ფრანგებსაც შეშურდებოდათ მისი მოვლინებაო, – წერს იგი და შემდგომ ასკვნის: „რა სანახაობა იქნებოდა ფრანგი პოეტისათვის, რომელიც ეწვალა რონსარით, ვოლტერით, ბოდლერით, რომ წარმოიდგინოს ვაჟა-ფშაველას მთელი ბარბაროსული ძალა და უშუალო პოეტური სტიქია. ჩვენ დღეებში ასეთი სასწაული არავის სჯერა. ჭეშმარიტად, ვაჟა-ფშაველა მისტიური ნიშანია საქართველოს მეთავეჯერ გაახალგაზრდავების. ყოველი ერი ვაჟა-ფშაველასთანა გენით იწყებდა თავის ისტორიულ ცხოვრებას. ბერძნებში ჰომერი, რომში ვერგილი, საქართველოში კი გამოდის ეერიპიდიც ყოფილა როგორც რუსთაველი და მეცხრამეტე საუკუნეში ხელმეორედ იწყებს ჰომერის ხაზს – ვაჟა-ფშაველა“. ვაჟა მართლაც იყო საკუთარი ხმისა და უღერადობის პოეტი ცხოვრების ფილოსოფიური შინაარსითა და ფსიქოლოგიური გამართლებით. მისი ესთეტიური დიდებულებით მოხიბლული ტ. ტაბიძე სიამაყით, ქართული ნიჭისა და აზრის უპირატესობით ადარებდა ვაჟას ფრანგ პოეტებს და ამავდროულად არც იმის აღნიშვნა ავიწყდებოდა, რომ ამ ბუმბერაზის მსატკრული და ფილოსოფიური სამყაროს წვდომის მთელი ბედნიერება ქართულ სალიტერატურო კრიტიკას წინ ელოდა.

ორიგინალურად მოხანს ტ. ტაბიძის შედარება ვაჟა ფშაველასი ტიუტჩევთან. მისი აზრით, ისინი ემსგავსებიან იმით, რომ ერთავე „უკანასკნელი სიღრმით აჩენენ თავიანთი ერის სულს“.

წერილში მოცემულია ცნობა ამის თაობაზე, რომ გრ. რობა-

ქიპე ამხადებდა წიგნს, რომელშიც აპირებდა ქართული პრობლემის ახსნას ისეთი სახელებით, როგორც რუსთაველი, თამარი, გ. სააკაძე, მითიური წმ. ნინო, ვაჟა-ფშაველა იყო. როგორც ჩანს, გრ. რობაქიძე იმხანად მუშაობდა თავის ცნობილ ეხსეზე „ვაჟას ენგადი“.

ქართული მწერლობისა და ხელოვნების რენესანსის სათავეებთან ტ. ტაბიძე ვაჟასთან ერთად ღებდა ნიკო ფიროსმანს: „ეს ორი ის ვეშაპია, რომელთაც შეუძლია დაეყრდნოს კიდევ რამდენიმე საუკუნით საქართველო“ – მართლაც, ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში ეს ორი ბუმბერაზი ყველაზე უფრო განასახიერებდა ეროვნული კულტურის არსს. ნიკო ფიროსმანი ქართული ლიტერატურის უბეში ჩაიხარდა. ქართული ლიტერატურისა და ხალხური პოეზიის სამყარო იყო მისი წმინდათაწმიდა ტაძარი, რომელიც მის არსებას აღტაცებისა და მოწიწების გრძნობასთან ერთად, უმშეუნიერესი ოცნებით ავსებდა. არც ერთი ქართველი მხატვარი იმხანად ისე ახლოს არ მისულა ქართული პოეტური სიტყვის საგანძურთან, არც ერთს ისე მძაფრად არ განუცდია მისი მძლავრი ცხოველმყოფელი ზეგავლენა, როგორც ნიკო ფიროსმანი.

წერილში ტ. ტაბიძემ პირველად გააუღერა იმ დროისათვის დიდუბის პანთეონში დასაფლავებული ვაჟა-ფშაველასათვის სამუდამო განსასვენებელ ადგილად მთაწმინდის მიწის სამართლიანი მოთხოვნა: „მთაწმინდა ისე არაყის არ ეკადრება, როგორც ამ მართლა მთას“; – აღნიშნა მან.

1927 წელს ტიცვიან ტაბიძემ ვრცელი ესეე მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას. ნაშრომს უფრო გაწაფული ესსეისტის ხელი ეტყობა და მსჯელობაც უფრო დახვეწილი და დასაბუთებულია. მისი ძიებანი მიმართულია ქართულ მწერლობაში ვაჟას ნაგვიანები კანონისაგანის მიხედვების დადგენისაკენ. იმისკენ, თუ რატომ მოხდა, რომ ვაჟას მხატვრული სამყარო ძნელად აღსაქმელი

შეიქნა სოციერთათვის. „სოციერთთა“ რიცხვში იგი ასახელებს
ა წერეთელსაც. ტ. ტაბიძე მართებულად განსაზღვრავს ამის
წილს, როცა წერს ასეთი დაბრკოლებები ვაჟას ფშაურმა დი-
ალექტმა შეუქმნაო. თვით აკაკიმაც ვერ აღიქვა თავდაპირველად
ვაჟას პოეზიის მთელი ხიბლი. სამაგიეროდ, ილიამ მაშინვე იგ-
რბნო ვაჟას გენიის „პირველი ქუსილი“ და ბრძანა, ბარათაშვი-
ლის კვალში აპირებს ჩადგომას ერთი ახალგაზრდაო. 1902 წელს
ილიას ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ეს გაუბედავი
სიტყვები ვაჟას კანონიზაციად მიიჩნიეს. მაგრამ ვაჟა-ფშაველა
ისე გარდაიცვალა, რომ მას არ უგრძობია ერის ისეთი საყ-
ოველთაო სიკვარული, დაფასება, როგორცაც სიცოცხლეში
დააჯილდოვეს ილია და აკაკი. ტიცინან ტაბიძე სწორად განმარ-
ტავს ამის მიზეზებს: „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზენიტში
მწერლობა და პოლიტიკა იმდენად გაეთიშნენ ერთიმეორეს ობიექ-
ტური მიზეზების გამო, რომ მწერალი თავისთავად ვეღარ თამა-
შობდა ისეთ როლს, რომელიც წინათ დაკისრებული ჰქონდა
ილიას და აკაკის“. ვაჟას შედარებითი აპოლიტიკურობა წერი-
ლის ავტორს სულაც არ მიაჩნდა მწერლის ნაკლად. მისი აზრით,
იმხანად მოდურ პოლიტიკურ პარტიათა დავამ, რომელნიც ერ-
თიმეორეს ეცილებოდნენ სასოგადოების ხელმძღვანელობის
ხელში ჩასაგდებად, ვერ იქონია და არც შეეძლო მოეხდინა
რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მთის პოეტზე, რომელსაც ხალხ-
ის წიაღში ჰქონდა ფესვები გადატეხილი და ზოგადსაკაცობრიო
ფილოსოფიურ პრობლემებს ეჭიდებოდა. „ეს ის პერიოდია, როდეს-
საც პირველად იდგამს ფეხს ნაროდნიკული მიმართულება და
შემდეგ მარქსიზმი. პირველმა მიმართულებამ ვაჟა-ფშაველასე
იქონია გავლენა და ბევრი მისი ნაწარმოები აღბეჭდილია ხალხ-
ოსნური სულისკვეთებით. მაგრამ უმთავრესად ვაჟა-ფშაველას
შემოქმედებას სხვაგან ჰქონდა ძირი – ის პირდაპირ ეყრდნობო-
და ხალხურ, ცინცხალ შემოქმედებას და მის სოველ ფესვებს.

ვაჟას იდეალი არ შეიძლებოდა სხვა რამ ყოფილიყო — და ; ს
პქმნიდა წარმოდგენას, თითქოს ვაჟა-ფშაველა ჩამორჩა ეპოქას“.

ტ. ტაბიძესა და მის თანამოაზრეებს არასოდეს გასჩენიათ
აზრი ვაჟას ჩამორჩენილობის თაობაზე. ტ. ტაბიძე იყო ერთ-
ერთი პირველი, ვინც კრიტიკის შაბლონისა და წინდაწინ შე-
მუშავებული სქემების წინააღმდეგ გაილაშქრა და ვაჟას შე-
ფასება ახალი კრიტერიუმებით მოითხოვა. ვრცლად შეეხო იგი
ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტური სკოლის ფარგლებში მოქცევის
მცდელობასაც.

ვაჟას სიმბოლისტობის საკითხი ქართულ მწერლობაში პირვე-
ლად წამოჭრა კიტა აბაშიძემ. ის კარგად იცნობდა გამოჩენილ
ფრანგ და ბელგიელ სიმბოლისტებს და ნათ შეხედულებებს
მწერლობაზე, კარგად ესმოდა მათი უკიდურესობანიც და
ჯეროვნად აფასებდა სიმბოლისტთა მხატვრული სიტყვის
მუსიკალურ ფაქტორს, ბგერათა გაფერადოვნების ფილოსოფიას.
მაგრამ კ. აბაშიძემ რატომღაც სიმბოლისმის არსებობის საზო-
მად აირონია სიმბოლოს — როგორც პოეტური ხერხის გამოყენე-
ბა მწერლობაში. უფრო მეტიც, იგი ხშირად აღუგორიასაც სიმ-
ბოლოდ მიიჩნევდა. მან თითქმის გააიგივა სიმბოლისტების მიერ
გაფეტიშებული სიმბოლო — როგორც პოეტური ხერხი. აქედან
ვამომდინარე, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სიმბოლისმის
საუკეთესო წარმომადგენელი როგორც პროზაში, ისე პოეზიაში
ვაჟა-ფშაველაა“.

მოგვიანებით ტი.პურ სიმბოლისტად მიიჩნია ვაჟა ფშავე-
ლა ვიქტორ გოდცევემაც, მაგრამ იგი მასში უფრო სიმბოლის-
მის უძველესი სახეობის გამოხატულებას ხედავდა: „Важна-Пшавел-
ла можно условно назвать символистом. Но его символизм не
стоит в общеевропейской связи. Он оригинален, самобытен.
основан на старой, народной, мифологии“.

ტ. ტაბიძე ჯერ კიდევ 1916 წელს აღნიშნავდა, რომ საქმე

გვაქვს სიმბოლიზმის – როგორც სკოლისა და სიმბოლიზმის – როგორც მეთოდის აღრეყის ფაქტთან. იმ დროისათვის იგი ვერ ასახელებდა იმ მიზეზებს, თუ რამ გამოიწვია ასეთი მცდარი აზრის ჩამოყალიბება. მხოლოდ 1927 წელს წერილში „ვაჟა-ფშაველა“ მან შეძლო გაეცა საკარაუდო პასუხი: „ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად ნათუილას აღბათ ის უწყობდა ხელს, რომ სწორედ მაშინ, ამ საუკუნის დასაწყისში „სიმბოლიზმი იყო ითავარი ლიტერატურული სკოლა, რომელმაც შეცვალა ნატურალიზმი და ნაწილობრივ რეალიზმი. ამიტომ სიმბოლიზმი აქამდე რჩება ერთგვარ ლიტერატურულ განწყობილებად, უმთავრესი, რაც ახასიათებს ამ სკოლას ეს არის ნატურალიზმის უარყოფა, ფორმალურ ღირებულებათა გადაფასება; რაც შეეხება სიმბოლიზმზე დამყარებას, ფრანგმა კრიტიკოსმა რემი დე გურმონმა დაამტკიცა, რომ სიმბოლიზმზე დამყარებულია ანტიკური და საშუალო საუკუნეების მწერლობაც. ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად გამოცხადებას უმთავრესად ეს უწყობდა ხელს, რადგან შეუძლებელია ვაჟას დეკადენტურ გადახრაზე ლაპარაკი“.

ტ. ტაბიძემ იმთავითვე საუჭკოდ მიიჩნია ვაჟას სიმბოლისტობის მტკიცებისათვის სიმბოლიზმისა და ზოგიერთ პოეტურ სახეთა ხმარებაზე დაქრდნობა და მიუთითა ალეგორიის სიმბოლიზმთან გაიდენტურების სიმცდარეზე. სხვათაშორის, ამ მიზეზთა გამო იმხანად სიმბოლისტად გამოცხადდა ისეთი პოეტები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ამ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.

ტ. ტაბიძე არც მისტიციზმის არსებობის პრეცედენტს უშვებდა ვაჟას შემოქმედებაში. პირიქით, იგი თვლიდა, რომ ვაჟა-ფშაველას აზროვნება მთლიანად ეწინააღმდეგება მისტიციზმს. რომ მას ჰქონდა ნამდვილი წარმართის მსოფლმხედველობა და ყველაზე გამოკვეთილად ეს მოჩანდა „გველის მჭამელში“. ტ.

ტაბიძის ეს მოსაზრებები სრულიად საფუძველიანია. ვაჟას კაქ-
შირი სიმბოლოზიმთან დასაბუთებულად უარყვეს შემდეგდროინ-
დელმა მკვლევარებმაც. სიმბოლოების გამოყენება არ ნიშნავდა
სიმბოლისტობას, რადგან სულიერი კულტურის განვითარების
სხვადასხვა საფეხურს განსხვავებული სიმბოლოების შემოტანა
ახასიათებდა.

საინტერესოდ მოიანს ტ. ტაბიძის შეფასებანი ვაჟა-ფშავე-
ლას ლექსის ფორმალური ღირსების საკითხთან დაკავშირე-
ბით. იმ დროისათვის გავრცელებული მოსაზრებით, ნაწილი
ვაჟას ლექსს აღიარებდა დიდ გარდატეხად ქართულ ლექსთწ-
ყობაში, სხვანი თელიდნენ, რომ ვაჟა უფრო გაუმართავი ლექსით
წერდა. ტ. ტაბიძე შემოთხამთელიდ მოსაზრებათა არც ერთ
მიმდევართ არ განეკუთნებოდა, მას საკუთარი და ვფიქრობთ,
მართებული შეხედულება გააჩნდა ამის თაობაზე: „ვაჟა-ფშავე-
ლას არც პქონია თავისი ინდივიდუალური ლექსის წყობა და
არც რიტმი – ის უმთავრესად ეყრდნობა ხალხურ შაირს და
როცა შესწავლილი იქნება ფშაური ხალხური სიტყვიერება, მა-
შინ ყველასათვის აშკარა იქნება, თუ რამდენად შედუღებულია
ვაჟა-ფშაველა ხალხურ ენასთან, მის ლექსთწყობასთან“. წერი-
ლის ავტორი იმასაც მიუთითებდა, რომ ვაჟა ლექსს ზოგჯერ
იოლადაც ეპყრობოდა, მაგრამ ამაშიც იგი მწერლის იმ საიდუმ-
ლოს გრძნობდა, რომელიც ლექსს „ნაჭედის სიმტკიცეს“ ანი-
ჭებდა. საერთოდ, ვაჟას ლექსთწყობაზე საუბარს ტიცვიანი ნაა-
დრეუადაც მიიჩნევდა, რადგან „ვაჟა-ფშაველას ლექსის დაკვირვება
და გარჩევა წამოჭრიდა მეტად საინტერესო, თუმცა რთულ პირობ-
ლემას, რადგან იმ დროისათვის არ იყო შესწავლილი საზოგა-
დოდ ქართული ლექსის ბუნება და ამაზე მხოლოდ მიახლოე-
ბით შეიძლებოდა საუბარი. საფიქრებელია, რომ ტ. ტაბიძე, რომელ-
მაც კარგად იცოდა სიმბოლისტების ღვაწლი და დამსახურება
ქართული ლექსთწყობის გადახალისების საქმეში, არ კარგავდა

საკუთარი ღირსების გრძნობას და ვაჟას ლექსთწყობაზე საუბარს სამომავლოდ მოიაზრებდა. უფრო დეტალურია მისი მსჯელობა ვაჟა-ფშაველას ენის თაობაზე. ის, რომ ვაჟა-ფშაველა „შეგნებულად ეყრდნობოდა ხალხურ მოტივს, ტიცინან ტაბიძის თქმით. იყო „მისი პოეტური გზა და მისია, ეს იყო მისი დამსახურება“, — აკაკის მიერ ვაჟას ენის დაწუნებას, წერილის ავტორი „ზარს! მოდებას“ უწოდებდა, რადგან თავად აკაკი ძლიერი იყო ძმუნად, რამდენად ეყრდნობოდა ხალხურ შემოქმედებას. ცნობილია, რომ თავად ვაჟა-ფშაველას კარგად ესმოდა ენის რთული მწერლის თვითდამკვიდრების პროცესში; იგი არაერთგზის აცხადებდა, რომ „მწერალს, უპირველეს ყოვლისა, მისი საკუთარი ენა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა, მისი ფიზიონომიაა და უკეთესად რომ ესთქვათ, მწერლის სულია. ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“, ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, თუ ერთი-ორი რამ წაგვიკითხავს წინათ, შეგედგება ხელმოუწერელი რომ შეგხვდეთ ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის. ამ განსაკუთრებულ დაღს რა ასვამს ნაწარმოებს და რა ჰხდის მას ადვილ საცნობელად? ეს გახლავთ „ენა“ რაშიაც უხილავად ჩაქსოვილია მთელი მისი სულიერი სიცოცხლე, ავლადიდება“.

საკამათოა, ტ. ტაბიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ შეძლო მიეცა ქართული მწერლობისათვის ნამდვილი ეპოსი. თუ ავტორს მხედველობაში ჰქონდა მთის ეპოსი, რასაკვირველია, მოსაზრება სწორია. ვაჟა-ფშაველას ზემოტესწილად მთაში უხდებოდა ცხოვრება, სადაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი ისტორიული ყოფა და შეიძლებოდა ამ წყაროს ნახვა. ტიცინან თაბიძე ვაჟას პოემებს ქართული ეპოსის საუკეთესო ნიმუშად ასახელებდა. მაგრამ საინტერესოა რას უწუნებდა იგი ვაჟას წინამორბედ და მის თანამედროვე პოეტთა ეპიკურ ღონილებებს? ეს იყო „პათოსის წარსულში გადატანა“, პირდაპირი

ხილვისა და საგნებზე უშუალო ხელშეხების არქონა, რომ ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ ქართლის ცხოვრების მატრიანეს. ვაჟა კი უშუალო განცდა იყო, ხალხური ფანტაზიის სამყარო კოლიზი: ებითა და დევგმირებით აღსავსე, ბუნებისა და ომის ეპიზოდები. ის საუკეთესო აღწერით, სადაც ყოველი არსება ცოცხლობს და ფიქრობს — წერდა იგი. ზემოთმოყვანილის თაობაზე საინტერესოა ლ. ასათიანის აზრი, რომელიც თითქმის იგივეს იმეორებს: „ვაჟას სიძლიერე მის ეპიკურ პოემებშია. მან როგორც პომეროსმა დააგროვა ხალხური ძველი თქმულებები და შექმნა ახალი საგმირო ეპოსი — სადაც მოცემულია მონუმენტალური სახეები თავისუფლებისა, მეგობრობისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანებისა. თუ ნ. ბარათაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა მეტნაწილად „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიულ წარსულში ნახეს თემატიკა თავისი პოემებისათვის, ვაჟა-ფშაველამ საქართველოს მთის საგმირო ეპოსში იპოვა უხვი მარაგი გზნებისათვის“.

საინტერესო გახლავთ ტ. ტაბიძის მოსაზრება ვაჟა ფშაველას პროზაზე. იგი ემხრობა ტრადიციულ შეხედულებას: „მისი სტილი დახვეწილია, არ აქვს არც ერთი პროვინციული გამოთქმა და მისი წმინდა ქართული კიდევ დიდხანს დარჩება ქართულ მწერლობაში“. ვაჟას პროზა მართლაც სრულიად უნიკალური მოვლენაა ქართულ მწერლობაში კრისტალურად წმინდა მხატვრული ენის, იშვიათი ფსიქოლოგიური სიმართლისა და მომხიბლავი თხრობისა. ტ. ტაბიძემ ისიც შენიშნა, რომ მისი პროზა უფრო მიწიერი, რეალისტური და კლასიკური ნიჭით იყო აღჭურვილი, ვიდრე პოეზია.

ტ. ტაბიძე ვაჟას შემოქმედებაში დაჩაგრული ადამიანის ტრაგედიასაც ხედავდა და მას „ხალხის ბედითა და ტანჯვით ანატირებ“ მწერალთა რიგებში ასახელებდა. მართლაც, ცნობილია რომ, ვაჟა ფშაველა მთელი არსებით განიცდიდა უთა-

ნასწორობისა და უკუღმართობის გამოვლინებებს სასოგადოებრივ ხაზში და მისი სიმპათიები აშკარად დაჩაგრულთა მხარეზე იყო.

წერილში „ვაჟა ფშაველა“ ტ. ტაბიძე, პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ახდენს მთის პოეტების კლასიფიკაციას. იგი მართებულად შენიშნავდა, რომ მთა ქართულ მწერლობაში პირველად შემოიყვანა ილია ჭავჭავაძემ. მთის პოეტთა სკოლაში მან გააერთიანა ვაჟა ფშაველა, ალ. ყაზბეგი და რ. ერისთავი. „ვაჟა ფშაველა მაინც ამ სკოლის მეთაურად უნდა ჩაითვალოს, რადგან სწორედ მან დაწმინდა და ძირამდე ამოწურა მთების ეპოსი. ისეთი ორგანული კაეშირი, ისეთი გათქვეფა ხალხსა და საზოგადოებაში, როგორც ამას ვხედავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ქართულ მწერლობაში იშვიათია. ვაჟა-ფშაველას ამ შემთხვევაში არაერთგვაროვანი წინაპარი არ ჰყავს, ის მივიდა ხალხთან უშუალოდ, ისწავლა მისი ენა. ვაჟა-ფშაველათი თვითონ მთამ დაიმღერა თავისი საკუთარი ხმით შედეგებული გულის სიღრმიდან“.

ვაჟა ტიცვიანისთვის იყო ხალხის მარადი მესაიდუმლე, როგორც მისსავე მინდია. „იგი გულთმისანი ჯადოქარია და შემოქმედებას ღია თვალებით, ყოყლის დამტევი გახსნილი გულით უცინის. ვაჟა არის ღიდი ნიშანი ხალხის სიცოცხლის წყურვილისა და მისი ენერჯის სიმტკიცისა“... პოეტები მას გრძობენ, როგორც ადამიანები მშესა და ღმერთს“ – აღნიშნავდა იგი და სწორედ ამ გრძობიანობით წერდა თავის ესეებს ვაჟაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ვაჟას შემოქმედებითი თავისებურებებისა და მაღალი მხატვრული ღირსების თაობაზე ნიჭიერი, ლიტერატურულ პროცესებსა და მის კანონზომიერებებში ღრმად ჩახედული ესეისტის ხელწერა გახლავთ. ნოვატორული მიგნებებითა და დასკვნებით ეს წერილი ტ. ტაბიძის ესეისტური მემკვიდრეობის საუკეთესო მარგალიტია და ამასთან „ვაჟა-ფშაველას“ პოეტური

გენიის ერთ-ერთი პირველი ობიექტური შეფასება.

ანალოგიური ღირსებებით გამოირჩევა ტ. ტაბიძის წერილი „დ. გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა“. მან პირველმა შენიშნა და ფორმულირება გაუკეთა მოსახრებას ვაჟა-ფშაველასა და დ. გურამიშვილის პოეტური ნათესაობის შესახებ.

დავით გურამიშვილი – ადრეული ქართული რეალისტური მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ვაჟა ფშაველას უსაყვარლესი პოეტი იყო. შოთა რუსთაველთან ერთად ვაჟა „დავითიანის“ ავტორს თავის წინამორბედად სახავდა. მართლაც, მრავლისმეტყველი ასპექტების მომცველია ვაჟა-ფშაველას ორგანული შეხედრა დავით გურამიშვილის პოეზიასთან. ტ. ტაბიძის თანახმად მათ ანათესავენდა ორი მთავარი ხაზი – ეროვნული და ხალხური. ვაჟამ დავით გურამიშვილი თავის წინამორბედად თავად აღიარა. როგორც ტიციან ტაბიძე აღნიშნავდა: „უფრო აწკარად არ შეიძლება პოეტმა გამოამჟღავნოს თავისი პოეტური ვინაობა, როგორც ეს ამ ლექსშია გამოთქმული. გაუგებრობაა, რომ ამ გულცხელი აღსარების შემდეგ სხვაგან ეძებენ ვაჟას შემოქმედების სათავეს. თვითონ პოეტმა მაგისტრალური ხაზებით გახსნა და გაშალა თავისი გენეალოგია. ამ მაგური გასაღების შემდეგ ძალიან იოლი ხდება ვაჟა-ფშაველას განყენებისა და განმარტოების ლეგენდა“. არ ვიქნებით ობიექტური, თუ არ აღვნიშნავთ, რომ ამ ფარდის ახლა სწორედ ტ. ტაბიძის დამსახურებაა, მხოლოდ მის შემდგომ ვაჟასა და დ. გურამიშვილის პოეტური ურთიერთობის საკითხს შეეხსენ ალ. ბარამიძე, მ. ზანდუკელი, გრ. კიკნაძე, ლ. მენაბდე, ი. ევგენიძე, ტ. მოსია. ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ზოგიერთი მათგანის მოსახრებას.

ლევან მენაბდეს მოსახრებით: „ვაჟა ფშაველას ბევრი რამ აკაეშირებდა დ. გურამიშვილთან, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობისას მეტწილად მათი შემოქმედების თემატიკურ მსგავსებასა და ხალხური პოეზიისადმი ინტერესს გახაზავენ“. კრიტიკოსი

იქვე შენიშნავს, რომ ამ საკითხს, თავის დროზე საგანგებო წერილი უძღვნა ტ. ტაბიძემ.

უაღრესად საინტერესო დაკვირვებები გამოთქვა ამ სიკითხზე გრ. კიკნაძემ. მან პირველმა აღნიშნა, რომ დ. გურამიშვილის შემოქმედებაში გამოიქვეყნებული ბუნების ესთეტიკური ობიექტად გადაქცევის ტენდენცია თავის მემკვიდრესა და გამჟღავნებელს პოულობს ვაჟა-ფშაველას სახით. უფრო ნეტიც, იგი თვლიდა, რომ „ვაჟას გურამიშვილმა გაუწია წინაპრობა სახეების სიტყვიერი გაფორმების სფეროში, შეასწავლა მხატვრული ხატის შექმნა: მისი ხერხი – შედარების მოუხდელად ხატის შექმნა“.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებდა ტ. ტაბიძეც, მაგრამ ხაზს უსვამდა ვაჟასა და გურამიშვილის ხალხური წყაროებით სარგებლობის მსგავსებაზე. იგივეს შენიშნავს ტ. მოსია თავის ეტიუდებში: „შესაძლოა ორივე შემოქმედებათა ამოსავალი პუნქტი ფოლკლორული რეპერტუარი იყო, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ „სიმღერის“ მოტივი ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროში „დავითიანის“ წაბადებით ცნობიერდება“.

ტიციან ტაბიძის აზრით, დ. გურამიშვილს ვაჟასთან ანათეზავებდა არა მხოლოდ თემატიკა, არამედ მამულის სიყვარულის უფაქიზესი განცდა და პატრიოტული გრძნობების სიცხოველემამ მხრივ, წერს იგი „ვაჟა-ფშაველამ პირდაპირ ჩამოართვა ხელი და ხმალი დ. გურამიშვილს“. ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულს და მისი გაპარტახებით გამოწვეული გულისტკივილი აბასრდობდა დ. გურამიშვილის პოეზიასაც. იგი უშუალო ოკითხილველი იყო ქართლის თავზე დატრიალებული უბედობისა. ასევე იყო ვაჟა-ფშაველაც, რომელიც ხედავდა, ძველი აფათისა და ზნე-ჩვეულებებისაგან არაფერი რჩებოდა, და აქ მან რეკონსტრუქციის კერადანგრეულმა და კერაგაპარტახებულმა დევთა ხელმოწიფის საშინელი დრტივინით შეუტია დამპყრობელ ძალას“ – ასევე

ტ. ტაბიძე, რომელიც პოეტური ინტუიციით აკავშირებდა ამ ორ ბუმბერაზს და ამისათვის სულაც არ საჭიროებდა განსაკუთრებული ანალოგიების მოძებნა—მისადაგებას. მათ სულიერ ნათესაობაზე მსჯელობის საბაბს აუტორს, რა თქმა უნდა, ვაჟას შემოქმედება აძლევდა, სადაც იგი გურამიშვილს თავის წინამორბედად და შემოქმედების წყაროდ ასახელებდა. ტ. ტაბიძეს მიხედველობიდან არ რჩება იმის აღნიშვნა, რომ: „დავით გურამიშვილის პოეზიასთან დანათესავება და სათაყვის გახსნა სრულიად არ უკარგავს ვაჟა ფშაველას დიდოსტატისა და ხალხური პოეზიის საკუთარ შემოქმედებაში გადატანის დამსახურებას“.

დასასრულს, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას ტ. ტაბიძის იმ დამსახურების თაობაზე, რომელიც ვაჟა-ფშაველას მისი სიტყვებით „კანონისაც“ ეხება მწერლობაში. მან აღმოაჩინა მწერლის გენიოსური ინდივიდუალობა და ამავდროულად იგი ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს არ მოწყვეტა. მან პირველმა მიუთითა გურამიშვილისა და ვაჟას პოეტური ნათესაობის შესახებ, რითაც მკვლევართ მწვანე გზა გაუხსნა ამ საკითხის შემდეგი სიღრმისეული კვლევისათვის.

როგორც ცნობილია, მთა თავისი პოეზიით აალაპარაკა ვაჟა-ფშაველას ძმამ ნიკო რაზიკაშვილმაც – მწერლობაში ბაჩანად წოდებულმა. ტ. ტაბიძე დაინტერესდა ამ მთის პოეტითაც და 1923 წელს უძღვნა წერილი „ბაჩანა“. მან მოახდინა ბაჩანას პოეზიის თავისებურებების ანალიზი და განსასლერა მისი ტიპოლოგიური მიმართება ვაჟას პოეტურ სამყაროსთან.

წერილის შესავალში ტ. ტაბიძემ უფრო დააკონკრეტა და განავრცო თავისი შეხედულებანი მთის პოეზიასთან მიმართებაში. მან კვლავ აღნიშნა, რომ პირველად სწორედ ილიამ აალაპარაკა მთა თავის „მიზაყრის წერილებში“, მას მოჰყვნენ ა. ყაზბეგი, რ. ერისთავი, მაგრამ ლომის წილი მთის სკოლის პოეტებში ეკუთვნოდა ძმებს რაზიკაშვილებს. ტ. ტაბიძის ამ მოსაზრებას

იმ დროისათვის და არც მის შემდგომ, სალიტერატურო კრიტიკის მხრიდან რევიზია არ განუცდია.

წერილში ავტორი თანამიმდევრულად ახდენდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზს, როდესაც ბაჩანას მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა: „იმ დროს, როცა ბაჩანას უხდებოდა წერა, საქართველო განიცდიდა ცარიზმის საშინელ რეჟიმს. რა თქმა უნდა, მთა ყველაზე მწვავედ გრძნობდა თვითმპყრობელობის სულის დამსუთავი წესწყობილების აუტანელ სიმძიმეს. მთაში შენახული იყო თავისუფლების სიყვარული და ეს დაგუბებული გრძნობა ნიაღვარივით სცემდა პოეტის გულს ღანაც“. ამ პათოსითა და გულისტკივილით შექმნილ ნაწარმოებთა რიცხვს ტ. ტაბიძე მიაკუთვნებდა ბაჩანას ლექსებს – „მუხა“ და „ვინა სთქვა საქართველოზე“.

აღნიშნავდა რა ბაჩანას ხალხოსნური განწყობილებებს, ტიციან ტაბიძე მის ლექსებში ხედავდა ცხოვრების უკუღმართობის გამკლავების ტენდენციასა და საღ ოპტიმიზმს.

1928 წლისათვის ლიტერატურულ კრიტიკაში უკვე ფეხი ჰქონდა მოკიდებული წარსულის და თანამედროვეობის შეპირისპირების გზით „ეპოქის მაჯისცემისა და სუნთქვის“ გადმოცემის მეთოდს, რაც ტ. ტაბიძის ზოგიერთ წერილშიც არის გამოყენებული. ჩვენ სულაც არ ვაპირებთ ამ პათოსზე ყურადღების გამახვილებით ნაკლი მოუძებნოთ წერილის დირსებას, რადგან გლეხის მდგომარეობა რევოლუციამდელ საქართველოში მართლაც აუტანელი იყო. ბაჩანას მიერ აღწერილი გლეხი – მისი ლექსებისათვის გაწეული შრომა, ცოლ-შვილის შიმშილი, სიღარიბე, მჭვარტლიანი სახლი, აჭრელებული კონკები და ამის გამომწვევი მიზეზი – სოფლის მრავალი მოძალადე, მართლაც კონტრასტს ქმნიდა ოცდაათიანი წლების სოფელთან. ამიტომ ტ. ტაბიძის მიერ გამოხატული კმაყოფილების გრძნობა გლეხის სასიცოცხლო პირობების გარდაქმნის გამო ყალბად ნამდვილად

არ გვეჩვენება.

თუმცა ტ. ტაბიძე ბაჩანას პოეზიის ძირითად თემატიკად მაინც ბუნებას ასახელებს, იგი მთის ბუნების ნამდვილი ტრფიალი და მესაიდუმლე იყო, წერს იგი. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ აქ ის ვაჟა ფშაველას მაინც ჩამორჩებოდა.

მართლაც, ვაჟას დარად, ბაჩანაც ხალხის ფანტაზიასა და პოეზიის გაელენით ქმნიდა ლირიკულ შედეგებს. მართალია, ხალხური მოტივების დამუშავებისას, მან ვერ შეძლო მიედწია იმ მაღალი მწვერვალებისათვის, როგორც მისმა უფროსმა ძმამ, მაგრამ „ისინი ისე დაუახლოვდნენ ხალხს, გამოიტანჯეს მათი ბედი და უბედობა, ისწავლეს მისი საიდუმლო და გადნენ ხალხურ შემოქმედებაში, გულისხმობს, რომ მათი ფესვები ისე მაგარია, რომ არაერთი და ორი თაობა კიდევ დაუბრუნდება ამ პოეზიის ანკარა წყაროს, რათა იქ ეძიოს ახალი ცხოვრების დასაყრდენი“— თვლიდა ტიცვიან ტაბიძე.

განსახილველი წერილის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ბაჩანას შემოქმედებითი მოტივების გამოყოფა და მთის პოეტების კლასიფიკაცია, რომლის მედროშეებად წერილის ავტორი ძმებ რაზიკაშვილებს ასახელებს. მისი თქმით, „ამ სიყვარულის ტყუპის ცალებმა პირველად აამღერეს მთა ნამდვილი პოეზიით“. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას, მაგრამ საკამათოდ მიგვაჩნია ის, რომ ტ. ტაბიძე მთის სკოლასთან აკავშირებს შ. არაგვისპირელსაც. ეს შეხედულება მან ორი წლით ადრე 1926 წელს გამოთქვა წერილში „შიო არაგვისპირელი“.

ძნელი სათქმელია, თუ რა კრიტერიუმებით დაუახლოვა ტიცვიანმა შიო არაგვისპირელი მთის სკოლას, რადგან წერილში იგი ვერ გვაწვდის ამ მოსაზრების შესაფერ არგუმენტებს. ჩვენი აზრით, შიო არაგვისპირელის უპირველეს დამსახურებად ქართულ მწერლობაში ფსიქოლოგიური ნოველის ჟანრის დამკვიდრება

უნდა მივიჩნიოთ. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ა. წერეთელი მიუ-
ლითებდა 1898 წელს: „ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ,
რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვი-
სპირელი თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით, მისმა ზეგავლენ-
ებამ, მიმბაძეველობამ ბევრი გამოიწვია, თითქმის სკოლა შექმნა“.

მიუხედავად ამისა, ტ. ტაბიძის მიერ წერილში მოცემულია
ბევრი საყურადღებო ცნობა შიო არაგვისპირელის ბიოგრაფი-
ულ მომენტებთან და შემოქმედებით მეთოდთან დაკავშირებით.
შეგახსენებთ, რომ საიმდროოდ, როცა იწერებოდა ტ. ტაბიძის ეს
წერილი შიო არაგვისპირელის ბიოგრაფია ჯერ კიდევ დაუ-
სუსტებელი და შეუსწავლელი გახლდათ. ტიცციანს უსარგებლია
თავად მწერლის მიერ შედგენილი ავტობიოგრაფიიდან, რომელ-
იც 1919 წელს შიოს თავისი იუბილეს დღისათვის გადაუცია
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილისათვის.

წერილის შესავალში მოცემულია იმდროინდელი ლიტერა-
ტურული ატმოსფეროს მოკლე მიმოხილვაც, აღნიშნულია, რომ
XIX ს-ის ქართულ ბელეტრისტიკაში ფსიქოლოგიური ნოველ-
ის შემოტანისა და დამკვიდრების პრიორიტეტი სწორედ შიო
არაგვისპირელს ეკუთვნოდა, თუმცა იქვე ფსიქოლოგიური ნოვე-
ლის ჟანრის დამკვიდრების საქმეში ტიცციან ტაბიძე არ ივიწ-
ყებდა ნ. ლორთქიფანიძის, თედო რაზიკაშვილის, დ. კლდიაშვილის
და სხვათა დამსახურებას. მაგრამ მათგან განსხვავებით, შიო
არაგვისპირელს აღიარებდა პირველ მწერლად, რომელმაც „რღვე-
ვის, ძიების და დაკვირვების საგნად ადამიანის „შიშველი სული“
გაიხადა“.

ფსიქოლოგიური ნოველის შექმნით ტ. ტაბიძე შიო არაგვი-
სპირელს გი დე მოპასანთანაც აკავშირებს. თუმცა იქვე დასძენს,
რომ ქართველი მწერლის ეტიუდებს აკლდა სიუჟეტის სიმკვე-
თრე და „სიტყვის ეკონომია“, ამ შემთხვევაში მართლაც გაუგე-
ბრობა იყო მისი მიკუთვნება მოპასანის სკოლისათვის.

გაუგებრობად მიიჩნევს წერილის ავტორი შიო არაგვი-სპირელის ილია ჭავჭავაძესთან შედარების მცდელობას, რომელმაც იმხანად გაიჟღერა. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო შიო არაგვისპირელის მართლაც უწყველო წარმატება მკითხველთა შორის: „ლიტერატურულ ასპარეზზე მისი გამოსვლა დიდი ზეიმით იქნა მიღებული. 1902 წელს მის მოთხრობას „მიწა“ ერთ-ერთი პირველი გამოცხმაურა ივანე გომართელი: „ჩვენს ბელეტრისტიკაში ძალიან ცოტაა იმდენად მარტივი და მასთან გრძობით სავსე წარმტაცი მოთხრობა, როგორც ბ-ნი არაგვისპირელის „მიწა“, – აღნიშნავდა ტ. ტაბიძე. ამასთან მიანიშნებდა შ. არაგვისპირელის ნოველების რეალისტურ ხასიათზე და პესიმიზტურ მსოფლმხედველობაზეც. იგი თანამიმდევრულად განიხილავდა მწერლის მოთხრობებს: „მიწა“, „კველავი დაეკარგე“, „გიული“, „ანტონ ზურაბიძე“, „დიდუდა მარიამი და ხატაურა“, „ჩემო შვინდავ“. ქართული სოფლისა და გლეხობის ღრმა ცოდნა, მომხიბლავი ფსიქოლოგიური სიმართლე, ადამიანის რაობისა და დანიშნულების საკითხი – აი, ის თემატიკა, რომელსაც გამოყოფდა ტ. ტაბიძე შ. არაგვისპირელის მხატვრულ მემკვიდრეობაზე საუბრისას.

სხვათაშორის, უფრო ადრე კ. აბაშიძემ შენიშნა, რომ შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ორი დიდი ლიტერატურული სკოლის ელემენტები იყო გაერთიანებული და „მისი თხზულებები რომანტიკული და რეალური სკოლის ზეგავლენის ქვეშ აღმოცენდნენ“.

ტ. ტაბიძის მიერ ქართველი კლასიკოსებისადმი მიძღვნილი წერილია 1934 წელს დაწერილი „ვასილ ბარნოვი“. იგი არ ისახავს მიზნად ვ. ბარნოვის შემოქმედებითი თავისებურებების წარმოჩენას, მისი მიზანი სხვა იყო – ხელი შეეწყო მწერლის მემკვიდრეობის დაბეჭდვა-გამოცემის საქმისათვის. ცნობილია, რომ საიმღროოდ ვ. ბარნოვის არც ერთი წიგნი არ იყო გამოცემი-

ლი. 1933 წლის მიწურულში გამოცემილი „ფედერაციის“ გამოცემისაგან ვ. ბარნოვის მოთხრობათა კრებულის შედგენა და გამოცემა დაეკალა ს. ჩიქოვანს. ამ სამუშაოს შესრულებაში მას ეხმარებოდა ვ. ბარნოვის ძველი მეგობარი თედო სახოკია. წიგნი გამოიცა 1934 წლის მაისში, ხოლო მწერალი იმავე წლის ნოემბერში გარდაიცვალა. ტ. ტაბიძის წერილი დაწერილია ვ. ბარნოვის გარდაცვალებამდე.

მართალია, ამ წერილს არა აქვს ვ. ბარნოვის შემოქმედებითი თავისებურებების კვლევისა და შეფასების პრეტენზია, მაგრამ მასში გაცხადებულია ტ. ტაბიძის დამოკიდებულება მსოფლიო მწერლის მიმართ. მის სამართლიან გულისტკივილს იწვევდა იმხანად ლიტერატურულ ავანსცენაზე ვ. ბარნოვის შემოქმედების მიმართ კრიტიკის უწყურადღებობა. „ამაში დამნაშავე აღბათ ვ. ბარნოვის თავაზიანობა და თავმდაბლობაა. ვ. ბარნოვის ტაბიძის მწერლებისათვის მწერლობა არის ღვაწლი და სიწმინდე, ცხოვრების აზრი და შემოქმედება“, – თვლიდა ტ. ტაბიძე. სალიტერატურო კრიტიკამ მოგვიანებით ობიექტური შეფასება მისცა მწერლის შემოქმედებას. ჯერ კიდევ 1924 წელს გ. ქიქოძე აღნიშნავდა: „იგი მოაზროვნე მხატვარია, ყველაზე უფრო ფილოსოფიურად განსწავლული ახალ ქართველ მწერალთა შორის. ამით იგი ერთი მხრით უახლოვდება სხვა ერების ფილოსოფიურად მოაზროვნე ხელოვანთ, ხოლო მეორე მხრით, ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს განაგრძობს“. მაგრამ ეს მოგვიანებით, მანამდე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ვ. ბარნოვის შემოქმედების არაობიექტური შეფასების რეციდივებს არაერთხელ აქონდა ადგილი. მიუთითებდა რა მისი მოთხრობების სისუსტეზე, ივ. გომართელი 1902 წელს თავის წერილში „სიტყვაკასმული მწერლობა“ წერდა: „ჩვენი ბელეტრისტები (იგულისხმება ვ. ბარნოვი) მარტო სიყვარულსა და მხოლოდ სიყვარულს ხედავენ გარშემო, მეტს ვერაფერს. მართა-

ლია, სუსტი ნიჭისათვის გათელილი და გაცვეთილი გზით სიარული უფრო ადვილია, ვიდრე ახალი გზის მოპოვება, მაგრამ დროა ჩვენმა ბელეტრისტიკამ მიანებოს თავის ცარიელი სიყვარულის ხატვასა და თვალი გაახილოს, თორემ ამივე გზით თუ იარა, ჩამორჩება ცხოვრებას“.

30-იან წლებში დამოკიდებულება ვ. ბარნიოვის პიროვნებისა და მისი ლიტერატურული ნიჭის მიმართ შეიცვალა. ტ. ტაბიძე იყო ერთ-ერთი მათგანი ვინც ცდილობდა ცვლილებები შეეტანა ამ შეფასებებში და წარმოეჩინა მისი, როგორც მწერლის დამსახურება ქართული ისტორიული პროზისა და „ისტორიაში ფილოსოფიური პრობლემების გახსნის საქმეში“, რომ მწერალი ყოველთვის იდგა ერის ბედისა თუ ებუღოების სადარაჯოსე.

თანამედროვეთაგან განსაკუთრებული იყო ტ. ტაბიძის დამოკიდებულება სანდრო შანშიაშვილის მიმართ. მისი პოეტური გემოვნება ეჭვს არაეის აღუძრავდა. ტ. ტაბიძე „ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთ ფალაენად“ ყოველთვის აღიარებდა სანდრო შანშიაშვილს. მას მოსწონდა სანდროს ლექსების კეთილხმოვანება და ჰუმანური პათოსი, მაღალი ზნეობრივი უღერადობა და მშობლიური მიწის ის არომატი, რომელიც მასში იგრძნობოდა. სანდრო შანშიაშვილს ტ. ტაბიძე თვლიდა კისფერყანწელთა „აკენის დამრწეველ“, მის პოეზიაში ხედავდა „ნათესაურს, ახლობელს, ახალი ქართული პოეზიის სათავეს“.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სანდრო შანშიაშვილის გამორჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე მისი საოცარი პოპულარობა და კრიტიკოსთა კეთილგანწყობა მოჰყვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ პოეტის სულიერი განწყობილებანი როგორღაც ემთხვეოდა იმდროინდელი ახალგაზრდობის სწრაფვას, ოცნებას მშვენიერ სინამდვილეზე. მისი სიტყვა გამოირჩეოდა თავისებური სიცხოველით, გარდა ამისა მის, შემოქმედებას განსაკუთრე-

ბულ ყურადღებას უთმობდა კ. აბაშიძე – იმდროინდელი კრიტიკის ავტორიტეტი, რომელიც 1912 წელს საგანგებო წერილი უძღვნა ახალგაზრდა პოეტებს – სანდრო შანშიაშვილს და ი. გრიშაშვილს.

ტ. ტაბიძის ლექსები – „გომბორის მთაზე“, „იარალის“, სწორედ სანდრო შანშიაშვილს ეძღვნება, ხოლო 1926 წელს იქმნება ვრცელი წერილი – „სანდრო შანშიაშვილი“. უფრო ადრე მისი პოეზიის თავისებურებებსა და მიმართულებაზე მან აზრი გამოთქვა წერილში „ცისფერი ყანწები“, სადაც ხაზი გაუსვა მის მგოსნურ ნიჭსა და მთარგმნელობით უნარს. იმ დროისათვის ს. შანშიაშვილი მართლაც გატაცებით თარგმნიდა ბალმონტს, ედგარ პოსა და მეტერლინგს.

ტ. ტაბიძეს არც 1926 წელს შეუცვლია თავისი დამოკიდებულება მისი პოეზიის მიმართ და გაბეღული განაცხადით გამოვიდა, სანდრო შანშიაშვილმა პირველმა გახსნა ჩვენი საუკუნე ლექსებითო. თუმცა კომარტებულად მიაჩნდა ს. შანშიაშვილის სიმბოლისტად აღიარების ფაქტი. ჯერ კიდევ 1916 წელს იგი აღნიშნავდა, რომ ადვილად იძლევიან სიმბოლიზმის ატენტსო. ტ. ტაბიძე თვითონვე განმარტავდა მიზეზს, თუ რამ წარმოშვა ს. შანშიაშვილზე ასეთი მოსაზრება – ეს იყო მისი გატაცება სიმბოლისტი პოეტების თარგმნით.

სხვათაშორის, 70-იან წლებში სანდრო შანშიაშვილის „სიმბოლიზმით გატაცების“ თაობაზე იმავე აზრს ავითარებდა ს. ჭილაია: „ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში შეინიშნება მისტიკური, სიმბოლისტურ-დეკადენტური მოტივებით გატაცება. ამ პერიოდში დაწერილ ლექსში – „სარკეში“ ნათლადაა გამოხატული ფრანგი დეკადენტების გავლენა. აქ პოეტი მაღარბესეული სიმბოლისტური პოეტიკის გზას იზიარებს“. ს. ჭილაია იქვე დასძენდა, რომ „ს. შანშიაშვილი არ მისულა სიმბოლისტების უკიდურეს სასლვარზე. სიმბოლიზმის ნაკადი მის შემოქმედებაში პროპორ-

ციულად, მის რეალისტურ ნაწარმოებებთან შეუარდებით, ნაკლები მნიშვნელობის და ადგილის მქონეა“.

ტ. ტაბიძე, რომელიც უშუალოდ მოწმე იყო მისი პოეტური შესაძლებლობების განვითარებისა და ცვალებადობის, სრულიად სამართლიანად არიდებდა თავს პოეტის რომელიმე მიმდინარეობის ფარგლებში მოქცევას. ჩვენ ახრით, წერილის ავტორი სავსებით მართებულად მსჯელობს, რადგან ს. შანშიაშვილის ადრეული პერიოდის შემოქმედება მართლაც გამოირჩეოდა განწყობილებათა და ახრთა ცვალებადობით.

ტ. ტაბიძე ეძებდა ს. შანშიაშვილის პოპულარობისა და ლიტერატურული გამძლეობის მიზეზებს: „ის ახლოს არის ქართული ენის პირველ სიცოცხლესთან. ამიტომაც არის, რომ ის საუკეთესო წარმომადგენელია მისი თაობის და ამიტომაც შერჩა ლიტერატურული გამძლეობა“.

თავისუფალი განსჯისა და სუბიექტური თვალთახედვის ნიშნებს წარმოადგენს ტ. ტაბიძის წერილები დ. კლდიაშვილზე და მწერლობაში უიარაღოდ ცნობილ კონტრაქტე თათარაშვილზე.

კონტრაქტე თათარაშვილი ლიტერატურულმა სამყარომ პირველად ისტორიული მოთხრობით „მამულუქით“ გაიცნო. მწერალს იპოლიტე ვართაგავასთან ერთად უსწაველია სასულიერო სემინარიაში, რომელიც ასე მოგვითხრობს უიარაღოს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის შესახებ: „1912 წელს №2 „გრდემლში“ დაბეჭდილ „მამულუქს“ გატაცებით მიესალმა ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი, მან ქართული პროზის შედევრად ჩათვალა იგი. „გრდემლის“ მეორე ნომრშივე დაიბეჭდა ნიკოლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“. მაშინდელმა მკითხველებმა არ იცოდნენ, რომელი მოთხრობისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა. შემდეგში ეს „ბედნიერი ტყუელები“ გაითიშნენ. ნიკოლორთქიფანიძე გახდა პროზის თვალსაჩინო მსლვაწედ. „მამულუქის“ ავტორის შესახებ კი მთელ ქართულ პრესაში მოიძებ-

ნება მხოლოდ ხუთი სტრიქონისაგან შემდგარი ბიოგრაფიული „ნიობა“.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ დატოვა უყურადღებოდ ი. ვართ-აგაყამ ტ. ტაბიძის შესანიშნავი წერილი „ისტორიული ნოველ-ლა „მამელუქი“. იგი 1932 წელსაა დაწერილი და წარმოადგენს შესანიშნავ კრიტიკულ გააზრებას. ეს ისტორიული ნოველა, მისი აზრით, წარმოადგენდა რევოლუციის წინანდელი პროზის პატ-არა შედეგს – რომლის დაწერის დროს ისტორიული და ლიტერატურული გარემო ისეთი იყო, რომ ლექსი საგრძნობ-ლად ჩაგრავდა პროზას. ხოლო სიმბოლიზმი, როგორც ლიტერ-ატურული სკალა ზეობის ხანაში იყო. ევროპაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესი საგრძნობლად უსწრებდა წინ საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას. საზოგადოებაში კი ვარირებდა აზრი პროზის კრიზისის შესახებ. ამ საკითხზე წამოწ-ყებულ კამათს ტ. ტაბიძე ყოველად უსაფუძვლოდ მიიჩნევდა და საესებით ობიექტურად აღნიშნავდა, რომ ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბე-გის, ეგ. ნინოშვილის და ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე მწერლობას პროზის კრიზისის საკითხი დღის წესრიგში არ უნდა დაეყენებინა. მით უფრო, როცა მკითხველის სამსჯავ-როზე წარსდგა კ. თათარაშვილი თავისი ნოველით „მამელუქი“.

სხვათაშორის, „ფედერაციის“ მიერ გამოცემულ უიარაღოს „მამელუქს“ დართული აქვს ტ. ტაბიძის წინასიტყვაობა.

როგორც ცნობილია, პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა დავით კლდიაშვილის შინაარსითა და ფორმით უაღრესად ორიგი-ნალური პროზის შესახებ ეკუთვნის კ. აბაშიძეს. იგი გამოქვეყ-ნდა 1895-1901 წლებში იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“.

ტ. ტაბიძის წერილი „დავით კლდიაშვილი“ 1931 წელსაა დაწ-ერილი. კ. აბაშიძის შემდეგ ქრონოლოგიურად იგი გახლავთ ერთ-ერთი პირველი მცდელობა დავით კლდიაშვილის მხატვრული

სტილისა და სამწერლო ნიჭის შეფასებისა. ტიციან ტაბიძემ იმთავითვე აღნიშნა მწერლობაში დავით კლდიაშვილის დიდი დამსახურება: „მან შექმნა იუმორი ქართულ მწერლობაში“ და გვიჩვენა თავად-აზნაურთა უკანასკნელი ბუდეების განადგურება“.

საინტერესოდ მოჩანს ავტორის მოსახსრება დავით კლდიაშვილის რუს მწერლებთან – ჩეხოვსა და ბუნიინთან მსგავსების შესახებ. რუსული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა ტიციანს ასეთი პარალელები დაეძებნა: „შემოდგომის აზნაურების გადაგვარება რუსეთში აღწერეს ა. ჩეხოვმა და ი. ბუნიინმა. განსაკუთრებით უკანასკნელის შედარება შეიძლება დავით კლდიაშვილთან. ისინი ერთი თაობის ხალხია და მათი დაპირისპირებით აშკარა გახდება, როგორ შეიძლება ერთ და იმავე ფაქტთან სხვადასხვა მეთოდით მივიდეს მწერალი“.

ტ. ტაბიძე აღნიშნაუდა იმასაც, რომ დავით კლდიაშვილს არ ჰქონია კლასთა ბრძოლის გაგება და ქართულ მწერლობაში პირველობა წერილ აზნაურთა ბუდეების ნგრევის ჩვენებისა ეკუთვნოდა გ. წერეთელს. იმავე ასრს ავითარებდა შ. აფხაიძეც: „უეჭველია დავით კლდიაშვილს ჰყავდა თავისი წინამორბედი გ. წერეთლისა და სხვათა სახით. მთელი რიგი ტიპები პირველად მათ მიერ იქნენ შემჩნეულნი ქართულ სინამდვილეში და გაცოცხლებულნი თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში“.

გრძნობდა რა დავით კლდიაშვილის მოთხოვნათა უდიდეს მნიშვნელობას ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, ტ. ტაბიძე მოითხოვდა მისი მემკვიდრეობის საფუძვლიან შესწავლას. იგი დავით კლდიაშვილს აწროვნებისა და სტილის ორიგინალობით, უბრალო, სადა, მაგრამ მოქნილი ენით, რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენლად და სანიმუშო თანამედროვე მწერლად აღიარებდა.

ტ. ტაბიძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში გამორჩეული ადგილი უკავია წერილებს, რომელიც ეძღვნება რუს და სოჭეს მწერლებს. მათ საფუძვლად უდევთ ტ. ტაბიძის ახლო მეგობრული, წმინდა ადამიანური ურთიერთობანი და შემოქმედებითი კავშირები. პოეტის ოჯახი იმ დროისათვის ხშირი მასპინძელი იყო ქართველი და სომეხი მწერლებისა. თავად ტ. ტაბიძეს დიდი ამაგი მიუძღვის ქართულ – რუსულ და ქართულ – სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. „ტიციანს უყვარდა და კარგად იცნობდა რუს პოეტთა ლექსებს. საოცარი შთაგონებით უკითხავდა მეგობრებს პუშკინის, ბლოკის, ტიუტჩევის, ანდრეი ბელის ლექსებს“. – იგონებს ნინო მაცაშვილი.

ტიციან ტაბიძის ოჯახში ხშირი შეხვედრები იმაროებოდა იგი იქცა ლიტერატურულ სალონად. „ვინ არ მინახავს ტიციანის სახლში, – იგონებდა ლადო გუდიაშვილი. მისი კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისათვის, მისი მოყვარული და კეთილშობილური გული ყველგან მეგობრებს პოულობდა“. საერთოდ, შეიძლება ითქვას რომ იმ პერიოდში თბილისს ეტანებოდნენ და აქ მოჰქონდათ გული ხელოვანთ. ი. ბუნინი თურმე პრადაში იცნებობდა, ღმერთო, ნეტავ, ახლა დამსვა საქართველოშიო.

ქრონოლოგიურად პირველი წერილი, რომლითაც იხსენებთ ტ. ტაბიძის რუს მწერლებზე დაწერილი ესეთა ციკლი, დათარიღებულია 1921 წელს და ეძღვნება ალექსანდრე ბლოკს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა ალ. ბლოკი ძირითადად აღიქვეს მის „სიმბოლისტურ“ და „დეკადენტურ“ ჟღერადობაში. თუმცა, თავად მწერალი 1912 წელს ალი არსენიშვილს საპასუხო წერილში მოუწოდებდა, რომ „წუწუნისა და მოთქმის დრო აღარ იყო“. ნიშნად მისი ლექსების სიყვარულისა, მათ უნდა დაეძლიათ „მისი შხამი“ და ამოეკითხათ იქ მომავლის იმედი.

1921 წლის 7 აგვისტოს ალ. ბლოკის მაჯისცემა შეწყდა.

პოეტის სიკვდილს საქართველოში პირველები გამოეხმაურნენ - გადამკტიონ და ტიცვიან ტაბიძეები. გალაკტიონმა თორმეტ სტრიქონად შეაჯერა უსასღერო მგლოვიარება. ტ. ტაბიძემ კი ახალი პოეზიისა და დროის გულთმისანი მესაიდუმლე წერილით გამოიტირა. მასში გაცხადებულია უდიდესი ტკივილი მისი უაზრო სიკვდილის გამო: „ეს იყო ყველაზე უფრო მოულოდნელი, უეცარი, უაზრო სიკვდილი, ისევე როგორც სკრიაბინისა. რუს პოეტებს ჯერჯერობით ვერ მოუნახავთ სიტყვები გარდაცვლილ პოეტზე, მაგრამ ზარი იქნება ალბათ დიდი და ღირსეული“,- აღნიშნა ტიცვიან ტაბიძემ.

ალექსანდრე ბლოკი ანდრეი ბელისთან ერთად კუთუნოდა სიმბოლისტების მეორე თაობას. საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე ბლოკს აღიქვამდა არა მხოლოდ დეკადენტ, ხილვებითა და ფანტასმაგორიებით დატვირთულ პოეტად, მან ბლოკში შეიგრძნო რევოლუციის მოლოდინი „სასწაული წინასწარმეტყველური ინტუიციით“. აღ. ბლოკის „სკეითებში“ მან დაინახა „რევოლუციის გამოძახება და ქადილი“. პუშკინის მერე ტ. ტაბიძე აღ. ბლოკს ყველაზე ეროვნულ პოეტად ასახელებდა და მას უწოდებდა „პოეზიის ნერონს“.

1934 წელს მწერალთა კავშირის პირველ საკავშირო ყრილობაზე ტ. ტაბიძემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება აღ. ბლოკისა და რევოლუციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე და იქ დამსწრეთ შეახსენა, ჩვენი დროისათვის არც თუ მცხადები ჭეშმარიტება, „აღ. ბლოკის „თორმეტნი“ და „სკეითები“ დღემდე ციაგებენ ჩვენს წინაშე ლენინური სახკომსაბჭოს დეკრეტისამებრ და რომ, თუ ყრილობაზე ხშირად გაისმა სახელი მაიაკოვსკისა, არანაკლები უფლება აქვს ამისა ბლოკს“.

მართლაც, რუსეთის პირველმა რევოლუციამ უადრესად დიდი როლი თამაშა ბლოკის იდეურ-შემოქმედებით განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებითი გზა სიმ-

ბოლისტების რიგებში დაიწყო და გარეგნული ნიშნებით მომავალშიც სიმბოლიზმის გაუქმებით ვითარდებოდა, მან მთელი არსებით შეიგრძნო რევოლუციის მოახლოება და პომეებში – „თორმეტნი“ და „სკეთები“ მართლაც ნახა „თავისი სრული ხმის აწევის საშუალება“. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელია ამ პერიოდისათვის ტ. ტაბიძე თავის შეფასებებში და აქედან გამომდინარე, არც ალ. ბლოკის რევოლუციასთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხია ბოლომდე გარკვეული.

სიმბოლიზმის მეორე „მორთოლვარე ფრთა“ ტიცინისათვის ყოველთვის იყო ანდრეი ბელი – მისი თანამედროვე, ოჯახთან დაახლოებული რუსი პოეტი, რომელიც მას განსაკუთრებულად უყვარდა. შ. აფხაიძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „ტიცინს ძალიან უყვარდა ანდრეი ბელის ერთ-ერთი ლექსი, რომელსაც ხშირად აწეული ხმით იტყოდა ზეპირად. ამ ლექსს უწოდებდა საუკეთესოს და კითხვისას აქცენტს უკეთებდა სიტყვებზე: „Россия, Россия, Россия“. რაღაც წინასწარმეტყველურ ლექსად თვლიდა მას. გასაგებიც იყო: ამ ლექსში იგრძნობა ადრინდელი ტიცინის სულიერი მოტეხილობა, იდუმალი, პოეტური ცრემლი თუ სწრაფვა რაღაც შორეულისაკენ, ჯერ შეუცნობლისაკენ“.

1927 წელს ანდრეი ბელი საქართველოში ჩამოვიდა და სამი თვე დაჰყო. 2 იკლისს პოეტი სამხედრო გზით ვლადიკავკაზამდე გააცილეს პ. იაშვილმა, გ. ლეონიძემ, კ. ნადირაძემ, პ. ინგოროყვამ და ტ. ტაბიძემ. ანდრეი ბელიმ დაუეიწყარი შთაბეჭდილებები გაიყოლა საქართველოდან, ამათგან ყველაზე თბილი ტ. ტაბიძესა და მის ოჯახზე: „აი დიდთვალეა, ფართობეჭიანი, წელში ოდნავ მოხრილი უცნაური ტიცინი, სულ წინ მიიწევს, მხარს ისე გვაშეყლებს, ვერც მე მხედავს და ვერც; თავის ამხანაგებს. ქარი განიერ პერანგს უფრიალებს, თქვენში ისეთს რასმეს ნიშნავს, სახტად დარჩებთ. წლების მანძილზე მწერლებს ესაუბრები, მათ გვერდით მუშაობ, ისინი კი აინუნშიც არ გაგდენ“.

ბენ, არ აინტერესებთ რითი სულდგმულობა, ამ ქართველმა ერთ დღეში ამოიციო ყველაფერი, მიმიხვდა გულისნადებს. ტ. ტაბიძის ლექსებში ჰაეროვანი, ჟღერადი, ფართოტალღოვანი ხმოვნების ზვირთები გვაოცებენ, ყურადღებას თანხმოვანებზე ამახვილებენ, მიწა კი არა ჰაერი იპობა, როცა იგი ლექსებს კითხულობს. ჰაეროვანი ტაბიძე ელვასავით ჭექსს, ნიაღვრად მოედინება“. ტიცციანის პოეტური ბუნება რუს თანამოქალაქეთ გულწრფელად აღაფრთოვანებდა. ისინი ძლიერი და ემოციური ფერებით ხატავდნენ მის სახეს, რომელმაც თავის მხრევაც უკვდავყო მათი სახელები ქართულ მწერლობაში.

ტ. ტაბიძის წერილი ანდრეი ბელიზე დაწერილია მისი გარდაცვალების შემდგომ. მან ბელის შემოქმედებას ღირსეული ადგილი მიუძინა არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის დიდ ოჯახში.

წერილში ტ. ტაბიძე მიემხრო ბ. პილნიაკისა და ბ. პასტერნაკის შეფასებებს ანდრეი ბელიზე, რომლებმაც იგი მსოფლიო სახელებს ამოუყენეს და გამოთქვეს ასრი ანდრეი ბელის შემოქმედების გადამწვევტ ზეგავლენაზე რუსეთის ყველა ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. თუმცა ამ უკანასკნელი მოსაზრების თაობაზე ტ. ტაბიძეს თავისი შეხედულება გააჩნდა, რადგან თვლიდა, რომ ანდრეი ბელის შემოქმედებაში შეინიშნებოდა ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციებიც და იგი სტილისა და მსოფლმხედველობის ძიებაში მრავალ საბედისწერო ბრძოლაში ებმებოდა ხოლმე: „როდესაც ანდრეი ბელი ხედებოდა კაპიტალისტური კულტურის კრიზისს, ეხეთქებოდა კარებს ამ საჰერობილიდან გასაფრენად, მაგრამ ვერ ენახა ეს გზა, ან თუ ხანდახან ნახულობდა, მალე რწმუნდებოდა, რომ ეს არ იყო მთავარი მაგისტრალი, ეს იყო მხოლოდ დროებითი განათება და ერთი ჯურღმულიდან მეორე ჯურღმულში გადავარდნა“. ვფიქრობთ, ტ. ტაბიძე „ჯურღმულში“ ანდრეი ბელის დეკადენ-

ტური პოეზიით გატაცების პერიოდს გულისხმობდა. რასაკვირველია, 1934 წელს ამ მიმდინარეობას წერილის ავტორი დადებით ეპითეტს ვერ მიუსადაგებდა. ჩვენს ამ მოსაზრებას ამაგრებს ტ. ტაბიძის კომენტარიც, რომელსაც იგი ურთავს ანდრეი ბელის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს, მართალია, ეს ლექსი ბლოკის „თორმეტნის“ და „სკვითების“ ყალიბითაა დაწერილი. მაგრამ ქრისტე მაინც არ სცილდება რევოლუციასო.

ტიციან ტაბიძე წინასწარმეტყველის ადლოთი გამორჩეულს უწოდებდა ანდრეი ბელის რომანს „პეტერბურგი“. იგი ეძღვნება 1905 წლის რევოლუციას. და მასში მართლაც ძალუმად იგრძნობა ანდრეი ბელის რევოლუციის სამსახურში ჩადგომის სურვილი. იმავე განწყობილებას ამჩნევდა იგი პოეტის სხვა ნაწარმოებებშიც – „ორი საუკუნის მიჯნაზე“ და „საუკუნის დასაწყისი“, სადაც მან მართლაც გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სხვადასხვა არაპროლეტარული ლიტერატურული დაჯგუფებების მიმართ. ამ პერიოდისათვის კრიტიკული თავად ტ. ტაბიძის აზრიც მათ მიმართ: „ჰგონიათ, რომ მსოფლიო პრობლემებს არკვევენ და ჭეშმარიტებას ეძებენ – ნამდვილად კი მომწვედელი არიან ბურჟუაზიული კრიზისის რგოლში. ისინი სათავეში უდგანან ლიბერალურ აზროვნებას, აკადემიას, უნივერსიტეტს, რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოებებს და მწერლობას – ოღონდ, სადაც ეს ხალხი შედის, ყველგან შეაქვთ თავისი სულიერი სიცარიელე, ხალხის ძირებიდან მოწყვეტა, მორალური უძლურება და ქიმერული ოცნება“.

ტ. ტაბიძეს ჩაფიქრებელი ჰქონდა ვრცელი მოგონებების დაწერა ანდრეი ბელიზე. ეჭვსგარეშეა, მას მართლაც ბევრი ექნებოდა მოსაგონარი, თუნდაც პოეტის სამთვიანი სტუმრობის თაობაზე საქართველოში 1927 წლის ზაფხულში. სამწუხაროდ, უფრო ვრცელი მოგონების შექმნა მას არ დასცალდა.

რუსული სიმბოლიზმის ისტორიაში ლიდერის როლი

ეკუთვნოდა ვალერი ბრიუსოვსაც. წერილში „ვალერი ბრიუსოვი“ ტ. ტაბიძემ მისთვის დამახასიათებელი უნიკერსალობით, მოვლენების გაანალიზებითა და პოეტის როლის გათვალისწინებით სოგადად კულტურაში აღნიშნა ის წვლილი, რომელიც ბრიუსოვს მიუძღოდა რუსული პოეზიის განვითარების საქმეში, კერძოდ, რუსული ლექსის რაფინირება-დახვეწის პროცესში: „არაფინ რუსეთში არ იცის ლექსის მაგია და ალგებრა, როგორც ბრიუსოვმა. მან ინკუბუსის სიმძაფრით ამოსწოვა პუშკინის ლექსი და ქიმიურად დახსნა თ. ტიუტჩევი. უეჭველია, ვ. ბრიუსოვს არ აინტერესებდა ლექსი მარტო მეცნიერულად. მან გამოსწოვა და შეიღწა რუსეთის ლექსის ყოველი შესაძლებლობა და შეშლილი ინჟინერივით მიუყენა სამყაროს. ვალერი ბრიუსოვი ნამდვილი იოანე კალიტაა რუსული პოეზიისა, მან შეკრიბა, შეამრთელა და ლათინური ფოლადივით შეჭყვდა რუსული ლექსი“.

აქვე ტ. ტაბიძე აღნიშნავდა, რომ მის პოეზიას თემატური განახლება ესაჭიროებოდა, რომ თავისი თავის გადამღერებით კმაყოფილებამ ბრიუსოვის რიტორიკა სიყალბეში გადაზარდა. თავის დროზე ამასვე უკიუიანებდა მას ანდრეი ბელიც, თავის მოგონებებში აღ.ბლოკსე, მან საკმაოდ მკაცრად დაახასიათა ბრიუსოვის პოეზიაში არსებული ეს ტენდენცია. ტ. ტაბიძე თავის შეფასებებში შედარებით ღმობიერი იყო. იგი გადაჭარბებულად მიიჩნევდა ბრიუსოვის მიმართ ასეთ სიმკაცრეს და კორექტულად ურჩევდა თანამოკალმეს გაეხალისებინა თავისი პოეზია. ამ გახალისებაში, უფიქრობთ, იგი გულისხმობდა დაინტერესებას რევოლუციური თემატიკით, რომელიც 1924 წლისათვის უკვე ლიტერატურისათვის წაყენებულ ერთ-ერთ მოთხოვნილებად იყო ფორმირებული.

სხვა თანამედროვეებთან შედარებით მცირე მოგონება დაგვიტოვა ტიცციან ტაბიძემ ელ. მიაიაკოვსკისე. მიუხედავად იმ-

ისა, რომ მას რუსი პოეტი არა მარტო სიმწიფის ხანაში ახსოვდა, არამედ ყმაწვილობისას, როდესაც ისინი ერთად სწავლობდნენ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. „ტანმაღალი, გამხდარი კმაწვილი, რომელიც რუსი ბიჭებისაგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ შესანიშნავად ცურაობდა რიონში და მუშტი-კრივშიც კარგი დამრტყმელი იყო“ – იგონებს იგი.

როგორც პოეტი მათაკოესკი საქართველოში ჩამოვიდა 1914 წლის 25 მარტს. მას თან ახლდნენ ფუტურისტი პოეტები დ. ბერლიუკი და ვ. კამენსკი. მისი შემდეგი ვიზიტი შედგა 1924 წელს. საუბედუროდ ტ. ტაბიძეს ვერც ამჟამად მოუხერხებია მასთან შეხვედრა. ამ დროისათვის მას ნათარგმნი ჰქონია ვლ. მათაკოესკის „მისტერია ბუფი“, რადგან დიდ ქართველ რეჟისორს კ. მარჯანიშვილს განსრახული ჰქონდა „დაედგა იგი ფუნქციურიორზე, ღია ცის ქვეშ, ანტიკური სანახაობის მსგავსად.“ მათაკოესკის მოუწონებია კ. მარჯანიშვილის ჩანაფიქრი, რაც სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩენილა.

ტ. ტაბიძეს უკანასკნელად ვლ. მათაკოესკი უნახავს 1928 წელს მოსკოვში, როდესაც ტარდებოდა ლ. ტოლსტოის იუბილე. მათაკოესკის თხოვნით, ისინი „გრანდ-ოტელში“ შესულან და დიდხანს უსაბრიათ. იმხანად თურმე მათაკოესკი გამგზავრებას აპირებდა სასლყარგარეთ, რაშიც მას წინააღმდეგობას უწევდა „რაპი“.

წერილი „ვლადიმერ მათაკოესკი“ ნაკლებად ეხება პოეტის შემოქმედებით თავისებურებებს, იგი უფრო მოგონებაა და ტიცციან ტაბიძის პიროვნული დამოკიდებულების გამოხატულება.

1937 წელს საბჭოეთში აღინიშნა ალ. პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა კომიტეტი, რომელიც მოწოდებული იყო ორგანიზება მოეხდინა ამ ღონისძიებისათვის. სახელგამმა გამოსცა პუშკინის ორტო-

შეული, რომლის თარგმანი ეკუთვნოდა პ. იაშვილს, კ. ჭიჭინაძეს, ვ. გაფრინდაშვილს, გრ. ცეცხლაძეს, ს. ნიქოყანს, კ. ნადირაძეს, გ. განიწილაძესა და ტ. ტაბიძეს. გარდა თარგმანისა, ამ თარიღთან დაკავშირებით ტ. ტაბიძემ დაგვიტოვა წერილი „აღ. პუშკინი“.

პუშკინის იუბილემ დიდი გამოხმაურება მოიწვევა საქართველოში 1899 წელსაც. გადახდილ იქნა პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენიებლად, გაიგზავნა გვირგვინი სასაფლაოზე, დაარსდა პუშკინის სახელობის ფონდი ასოთამწყობთათვის. ამ თარიღს გამოეხმაურნენ გაზეთები „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეკრიბა და გამოსცა აღ. პუშკინის თხზულებათა კრებული, რომელშიც შევიდა ყველაფერი, რაც იმდროისათვის იყო ნათარგმნი.

თითქმის ოცდათვრამეტი წლის მერე, რადიკალური სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, 1937 წელს საქართველოში კვლავ სერიოზული აღინიშნა პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილე. ტ. ტაბიძის წერილიც სწორედ ამ თარიღს ეძღვნება.

ტიციან ტაბიძემ თავისი თვალთახედვით განსაზღვრა აღ. პუშკინის პოეზიის დიდი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მან ყურადღება გაამახვილა კავკასიის და კერძოდ, საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების ზეგავლენაზე მის შემოქმედებაში. პუშკინის დაინტერესება კავკასიის თემით პირველად შენიშნა აღ. გოგოლიძე. მან თავის სტატიაში „რამდენიმე სიტყვა პუშკინზე“ აღნიშნა, თუ როგორი ზეშთაგონებითა და ვნებით აღწერდა პოეტი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ბუნებას. ტიციან ტაბიძე გოგოლის მოსაზრებას იზიარებდა: „პუშკინმა პირველმა შემოიტანა რუსეთის პოეზიაში საქართველოს ბუნების ამღერება. მის კვალს მიჰყვა მ. ლერმონტოვი და შემდეგ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გამოჩენილი რუსი

პოეტი, რომელსაც არ ეძღვნას თავისი სიმღერა ამ ბუნებისათვის. მაგრამ ის სისრულე, სისადავე, ყოვლისდამტევი სუქოთაგონება, რაც ბუნებრივად ამშვენებდა პუშკინის პოეზიას, დღემდე მიუწვდომელი რჩება“.

ტ. ტაბიძე ალექსანდრე პუშკინს თვლიდა ახალი რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელად და მიაჩნდა, რომ მის გავლენას არ იყო მოკლებული ქართული მწერლობაც: „ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, როცა ქართული მწერლობა თავს იხსნიდა ირანული პოეზიის შეგავლენისაგან და ქართველი რომანტიკოსები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი და სხვები თანდათან ტოვებდნენ იმ გზას პოეზიაში, რომელსაც ადგნენ ბესიკი და საიათნოვა, და ევროპული კულტურის გარემოცვაში შედიოდნენ, როცა თავის თავს ნახულობდა ადრე გადასული ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია, – პუშკინი იყო პირველი პოეტი რუსეთში, რომელთანაც მათ აკავშირებდათ პოეტური გემოვნება და მეთოდი“. საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე თავის მოსაზრებებს ქართველი პოეტების ნათესაობის შესახებ პუშკინთან ამაგრებს პროფ. დონდუას შეხედულებებით წიგნიდან „Пушкин в мировой литературе“, რომელაც ასევე თვლიდა, რომ გრ. ორბელიანს, ალ. ჭავჭავაძეს, ილიასა და აკაკისაც ბევრი რამ ანათესავებდათ პუშკინთან. ქართველი აუტორები მართლაც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე თარგმნიდნენ პუშკინს. ამ თარგმანებით იყო მეტწილად შედგენილი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1899 წელს გამოცემული პუშკინის საიუბილეო კრებული. ტ. ტაბიძე უარყოფითად აფასებდა ამ გამოცემას, თვითკრიტიკის გრძნობას არ იყო მოკლებული არც 1937 წელს გამოცემული კრებულის შეფასება: „რადგანაც წიგნი მსაღდებოდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მას არ შეიძლებოდა არ დატყობოდა დამქარება და ყველა თარგმანი არ არის ერთნაირი ღირსების.“ – წერს

სწიციან ტაბიძე.

ტ. ტაბიძე იმედს იტოვებდა, რომ მომავალში უფრო სრულყოფილი თარგმანის გაკეთება მოსერხდებოდა და როგორც 1937 წელს შეეფერება, იმგვარი პათოსით ასრულებს: „ა. პუშკინი სიამაყეა უდიდესი რუსეთის ერის, ამჯერად დროს და სწორედ ამით ის არის სიამაყე საბჭოთა კავშირის ყველა ერისათვის“. რაშიც ჩვენს ავტორს ვერ დავეთანხმებით, რადგან ქართველ ერს და ქართულ მწერლობას სიამაყისათვის თავისი გენიოსებიც კმარა.

1929 წელს ტ. ტაბიძე გამოეხმაურა გრიბოედოვის სიკვდილის 100 წლისთავსაც.

რუსი მწერლებიდან ალ. გრიბოედოვი იყო პირველი, რომელმაც გულწრფელი პოეტური სტრიქონები უძღვნა თბილისს. გარდა ამისა, იგი სხვა მხრიდანაც იყო დაკავშირებული თბილისთან – აქ შეხვდა, შეიყვარა და ცოლად შეირთო პოეტმა ალ. ჭავჭავაძის ულამაზესი ასული ნინო.

ცნობილია, რომ ალ. გრიბოედოვს როგორც მწერალს სახელი გაუთქვა მისმა ერთადერთმა ნაწარმოებმა „კაი ჭკუისაგან“. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე ცდილობდა ხელი შეეწყო გრიბოედოვის უკვდავი კომედიის თარგმნისა და გავრცელებისათვის. თავის მსატერულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში იგი ხშირად იყენებდა გრიბოედოვის კომედიის გამონათქვამებს. ალ. გრიბოედოვისადმი ტრადიციული პატივისცემისა და დაფასების ნიშნულს წარმოადგენს ტ. ტაბიძის წერილი – „ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრება“. სადაც ხაზგასმულია მწერლის უდიდესი როლი რუსეთის აზროვნების ისტორიაში და აღწერილია ბიოგრაფიული ცხოვრების ის მომენტები, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მისი, როგორც სასოგადო მოღვაწისა და მწერლის ჩამოყალიბების საქმეში.

ტ. ტაბიძის აზრით, გრიბოედოვის კომედიაში პირველად

გაისმა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ, რითაც „მან გადაშალა თანამედროვე ეპოქის სული“. პოეტმა სამუდამო დაღი დაასყა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბატონყმური რუსეთის და მამინდელი საზოგადოების სიდუსჭირე. ყველა ამ მიზეზთა გამო, ტ. ტაბიძის თქმით „მან მისცა ახალგაზრდობას გეზი რეალიზმისაკენ და საფუძველი ჩაუყარა სატირულ კომედიას, რომელსაც ვერ ასცდა შემდეგში ვერც ერთი დიდი რუსი მწერალი“.

ამ წერილსაც კრიტიკოსის ობიექტურობა და სწორი შეფასების უნარი გამოარჩევს. ტ. ტაბიძემ დამსახურებული ადგილი მიუჩინა ალ. გრიბოედოვის სამწერლო ტალანტს, რომელსაც საუბედუროდ გაფურჩქენა არ დასცალდა.

უკვე არაერთგზის ითქვა, თუ როგორი ადამიანური ურთიერთობები აკავშირებდა ტ. ტაბიძეს სომეხ პოეტებთან. ეს არც ვისიმე გულის საამებლად, არც ერთია ურთიერთობის კომუნისტური კოდექსებით იყო ნაკარნახევი. სულით მწერლები, კალმის კეთილშობილი რაინდები და კუმანისტები სრულიად ბუნებრივად ამყარებდნენ ურთიერთობას და მართლაც სანიმუშო მეგობრობის გაკეთილებს იძლეოდნენ.

განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა ტიცციანს ოვანეს თუმანიანთან, ავეტიკ ისააკიანთან და ელიშე ჩარენცთან.

ოვანეს თუმანიანი – ფართო მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური პორიზონტის პოეტი იყო, რომელმაც საუკეთესოდ იცოდა თავისი სალხის წარსული ისტორია, თანამედროვე ვითარება, ამავდროულად დიდი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი გახლდათ ქართული პოეზიისა. ცნობილია, თუ როგორი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა იგი 1893 წელს ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების დროს. 1919 წლის 2 აპრილს ტ. ტაბიძის სადამოზე მან წაიკითხა საქართველოსადმი მიძღვნილი პოემა, სადაც საქართველოს „კავკასიის საფრანგეთი“ უწოდა. უფრო ადრე, თავის წერილში „დღეგრძელობა ქართველ ხალხს“ იგი

წერდა: „ძმებო, ქართველებო, ჩვენო მრავალსაქუქნიანო ძმებო, მუდამ თავისუფალნი და კეთილშობილო ძმებო! თუ სულის ჭეშმარიტი ანარეკლია ღიტიერატურა, პოეტი კი ამ სულის გამომხატველი, მაშინ მე თქვენთან მომაქვს სომხობის სული, როგორც ყველაფერზე მაღალი და კეთილშობილი. რაც შეუძლია ხალხსა და ადამიანს კვირდეს“.

ადეკატური იყო ტ. ტაბიძის დამოკიდებულება ოვანეს თუმანიანის მიმართ. ეს აისახებოდა პუბლიცისტურ წერილებში, თარგმანებსა და, რაც მთავარია - პოეზიაში.

ტ. ტაბიძე აღტაცებული საუბრობდა ოვანეს თუმანიანის დიდ პატრიოტიზმსა და ავტორიტეტზე საკუთარ ხალხში: „ოვანეს თუმანიანს ნამდვილი ძველი პატრიარქის გაულენა კქონდა სომხის ერზე. მას უსმენდა არა მარტო ხალხი, არამედ ხალხის მეთაურნიც, რომელნიც თითქოს ყოველთვის დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ სიყვარულში. ოვანეს თუმანიანის ასეთი გაულენა თავის ხალხზე მე მაგონებდა ილია ჭავჭავაძეს.“ ოვანეს თუმანიანის პიროვნების დიდ ღირსებას, ტიცციანის აზრით, წარმოადგენდა ისიც, რომ პატრიოტიზმი მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო ქართველების თაყვანისმცემელი. 1918 წელს, როდესაც ქართველებსა და სომხებს შორის სისხლი დაიღვარა. ოვანეს თუმანიანმა სასტიკად აუკროძალა თავის შეილებს ჩარევა და თქვა, რომ იგი დასწყევლიდა ძმათამკვლელ ომში მონაწილე შვილს.

წერილი ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების შემდგომია დაწერილი. სევდიანი აბსაცები მოწმობს როგორი უკლისტიკივით გააცილა მან სომხური მწვერლობის პატრიარქი და ქართველთა დიდი მოამაგე პოეტი.

სომხური პოეზია ახალი მოტივებით გაამდიდრა და პოეტური კულტურის მწვერვალზე აიყვანა ავეტიკ ისააკიანმა. ამ პოეტისათვისაც ქართული თემა მახლობელი და საყვარელი

იყო. ამის დასტური გახლდათ მისი „თავისუფლების ზარი“, „ქართველი მგოსნის სიმღერა“, „თამარის სიმღერა“. მასვე ეკუთვნის სომხურად ა. წერეთლის, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანისა და კ. გამსახურიდან თარგმანები.

წერილი „ავექტიკ ისააკიანი“ დაწერილია მის მიერ „აბულ-ალ-მაარის“ თარგმანთან დაკავშირებით. თავად ტ. ტაბიძეს არ ჰქონდა პრეტენზია სრულყოფილი თარგმანისა და აღიარებდა, რომ მან ნაწარმოები თარგმნა მხოლოდ ავეტიკ ისააკიანისადმი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად. იმდროისათვის „აბულ-ალ-მაარი“ უკვე თერთმეტ ენაზე იყო თარგმნილი. სხვათაშორის, ამ პოემას მაღალი შეფასება მისცა ვ. ბრიუსოვმაც, რომ არაფერი ეთქვათ თავად ტ. ტაბიძესე, რომელმაც თავის წერილში იგი საუკეთესო სომხურ პოემად აღიარა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოემის შთაგონების წყაროს ავეტიკ ისააკიანი ქართულ მწერლობაში ეძებდა: „მოხარული ვარ განვაცხადო, რომ ჩემი პოემის „აბულ-ალ-მაარის“ შთაგონება ჩემი უფროსი ძმის ნიკო ბარათაშვილის „მერანი“ იყო.“ ეს განცხადება სიხარულით აესუბრა ტ. ტაბიძეს, რადგან ამ ფაქტს დიდ ლიტერატურულ მნიშვნელობასთან ერთად, კავკასიის ერთა ერთიანობის გამოძახილად თვლიდა. საგულისხმოა, რომ თარგმნისას ტიცციანს უსარგებელია ვ. ბრიუსოვისეული თარგმანით.

ტ. ტაბიძემ დაინტერესება გამოხატა საიათნოვას პოეტური მემკვიდრეობის მიმართაც. 1930 წელს მან მოითხოვა საიათნოვას შესწავლისა და მისი მემკვიდრეობის გამოცემის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა.

საიათნოვა — ქართულად მოსიმღერე სომეხი პოეტი მღეროდა როგორც ქართულად, ისე სომხურად და ახერხაიჯანულადაც. ტ. ტაბიძემ წერილში პოლემიკა გამართა ი. გრიშაშვილისა და კ. კეკელიძის მოსასრებებთან დაკავშირებით. ამის საფუძველს, როგორც წერილიდან ირკვევა, მას აძლევდა არა

მარტო საკუთარი შეხედულებანი, არამედ ვ. ბრიუსოვისეული მოსაზრებანიც, სადაც მან მაღალი შეფასება მისცა საიათნოვას პოეზიას.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. ტაბიძე დადებითად ეხმაურებოდა საიათნოვას პოეზიას, იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ აშუღის ჟანრი და მისი ენა არ უნდა დაკანონებულიყო ქართულ მწერლობაში. სხვათაშორის, ეს ტენდენცია იმხანად შეინიშნებოდა არამარტო პოეზიაში, არამედ თეატრშიც. საფიქრებელია, რომ ტ. ტაბიძის დაინტერესების მიზანი უფრო მეცნიერული უნდა იყოს, რადგან მოითხოვდა აშუღური პოეზიის სპარსულ პოეზიასთან მიმართების საკითხის გარკვევას. ამით იგი ცდილობდა უფრო გაეფართოებინა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის არეალი.

ტ. ტაბიძე, რომელიც ყველა ქართული პრობლემის ირგვლივ ტრიალებდა, რა თქმა უნდა დაინტერესებული იყო ქართული თეატრის აღორძინებით. მას საკუთარი მოსაზრებებიც გააჩნდა ამის თაობაზე.

20-იანი წლებიდან პ. იაშვილთან ერთად იგი მხარში ამოუდგა დიდ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს, რომელიც ამავე დროს ნინო ტაბიძის ნათესაყი იყო და მისი ქალიშვილის ნიტას ნათლიაც.

1922 წელს ტ. ტაბიძე აღფრთოვანებით გამოეხმაურა ქართულ სცენაზე კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ლოპე დე ვეგას „ცხერის წყაროს“. გაზეთ „ბახტრიონის“ 21-ნომერში ვ. გაგელის ფსევდონიმით გამოქვეყნდა მისი წერილი „ცხერის წყარო ქართულ სცენაზე“, სადაც მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქართულმა თეატრმა დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

1924 წელს ქართული თეატრის ცხოვრებაში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები. იგი დაკავშირებული იყო კორპორაცია „დურუჯის“ ჩამოყალიბებასთან. ინიციატორი და სულისჩამდგმელი ამ გაერთიანებისა იყო ალ. ახმეტელი, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველოს უნდა ჰყოლოდა თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი თეატრი – „ანთებული ქართული გულით და აღზნებული ქართულით“. „დურუჯი“ კორპორაციას ეწოდა კ. მარჯანიშვილის საპატივცემულოდ, მის მშობლიურ სოფელში ჩამავალი იმავე სახელწოდების მდინარის გამო. სიახლე და ძიება, – აი რა იყო თავდაპირველად ამ კორპორაციის ძირითადი მიზანი. მაგრამ „დურუჯელები“ გამოირჩეოდნენ აგრეთვე რადიკალური, უკომპრომისო, შეუდრეკელი ბუნებით. ისინი ჯიქურ შეიჭრნენ თეატრალური ცხოვრების სიღრმეში და მოითხოვეს კ. მარჯან-

იშვილის სტილის გადახალისება, ძველ მსახიობთა ხელწერის შეცვლა. ამგვარად დაიწყო გათიშვა თეატრის ცხოვრებაში. „უთანხმოებამ არასასურველი ხასიათი მიიღო, თეატრალური საკითხის გარშემო საზოგადოებაშიც ორი ბანაკი განჩნდა: კ. მარჯანიშვილის მომხრენი და ს. ახმეტელის მომხრენი“. ასეთ პირობებში ტ. ტაბიძემ ს. ახმეტელის მხარე დაიკავა, რადგან მას გულწრფელად სწამდა, რომ ს. ახმეტელი იყო კ. მარჯანიშვილის ნიჭიერი მოწაფე და რაც მოთავარია, ს. ახმეტელი შეძლებდა თეატრის ნაციონალური სახის ფორმირებას. იგი თვლიდა, თეატრალური ცხოვრება თავისი მოღვაწეობითა და შეცდომებით, ძველისა და ახლის თანამშრომლობითა და ბრძოლით, ახალი კადრების აღზრდით – საბოლოოდ ეროვნული ფორმის ძიების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. 1924 წლის 29 იანუარს ტ. ტაბიძე პაოლოსთან ერთად ესწრებოდა „დურუჯის“ მანიფესტის წაკითხვას რუსთაველის თეატრში და მათ მხარდამჭერთა რიგებში იყო. ეს თანადგომა მან გამოიხატა წერილობითაც. ტიცციანმა არ ითაკილა არც დურუჯის კადნიერი ტონი, არც ძველ თაობაზე შემოტევა და თავის წერილში „დურუჯის დეკლარაცია“ განაცხადა: „არ შეიძლება ახალი საქმის გაკეთება, თუ ძველს არ ეთქვა უარი. შეტევის დროს ისეთი დიდი ფრონტი უნდა გაშალო, რომ უკან დახვეის დროს რამე დაგრჩეს. ვულგარული თქმით, ეს ანდაზით გამოიხატება: წყლის გაღმა გაედავე, რომ გამოდმა დაგრჩესო. ასე იბრძვის ყოველი ახალი სკოლა, რომელიც შემდეგ აკეთებს კომპრომისებს, რადგან მოლიანად უარყოფა ძველისა შეიძლება მხოლოდ მანიფესტით; ისე კი რაც არის ძველში კეთილშობილი და გამძლე, ატავისტურად გადაეცემა ახალ ცოცხალ ორგანოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. ტაბიძეს კარგად ესმოდა კ. მარჯანიშვილის პერსონის მნიშვნელობა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში, იგი დარწმუნებული იყო, რომ ქართულ

თეატრს ესაჭიროებოდა განახლება, ქართული თეატრისა და ხელოვნების ხაზი უნდა გამართულიყო მსოფლიო რადიუსით. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე იგივეს მოითხოვდა ტ. ტაბიძე პოეზიასთან მიმართებაში. ასე რომ, მას გარკვეულწილად უკვე ჰქონდა ძველთან ბრძოლის გამოცდილება. სწორედ ამის გათვალისწინებით მან განაცხადა: „ძველის დანგრევა და უარყოფა არ არის დანაშაული, – ეროვნული აღორძინება სწორედ ამასეა დამოკიდებული და არა ყბადაღებული წინეთის ქვითკირზე. ქართული ერი იმით არის გამარჯვებული, რომ ყოველთვის განახლების გზას ადგას, თორემ ისედაც გრძელი ისტორია ნაცრად აქცევდა. კარგი ტრადიცია თვითონ შეინახავს თავის თავს და ატავისტურად გადავა შთამომავლობაში. უნიჭობას ვერ გაამართლებს ობსკურანტიზმი: პატრიოტობა და ქართველობა ნუ იქნება ღონემიხდილთა მონოპოლია. ერთხელ გრ. ორბელიანს ეგონა, რომ ილია ჭავჭავაძე ანგრევედა საქართველოს, მაგრამ ის ნოვატორი დარჩა ქართველობის დაუწრდილველ კოლოსად“.

ასე დაუჭირა მხარი ტ. ტაბიძემ თეატრის ახმეტელისეული განახლების იდეას. ქართული თეატრი თავისი შინაგანი კანონზომიერებებით ეპოქის შესაბამისად იწყებდა არსებობას. აქედან გამომდინარე, ირღვეოდა ძველი სტერეოტიპები და მათი შეფასების კრიტერიუმებიც. ტ. ტაბიძის მოთხოვნათა შორის, რომელიც მან წაუყენა ქართულ თეატრს და რომელთა შორის უპირველესი ეროვნულობა იყო, განნდა თეატრის პოლიტიზირების მოთხოვნაც. ტ. ტაბიძე სიღრმისეულად ერკვეოდა ქართული თეატრის განვითარების კანონზომიერებაში და გრძნობდა იქ განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ იმას, რომ დაპირისპირებას ძველსა და ახალ თაობას შორის ძირეული გარდატეხა უნდა მოეტანა, სიმწიფის ხანაში უნდა შეეყვანა თეატრი. ეს სახეცვლილება ძირითადად მსახიობთა კადრებსა და თეატრის რეპერტუარზე უნდა ასახულიყო.

ტ. ტაბიძე გამოყოფდა ძველი ქართული თეატრის ორ მაგისტრალურ ხაზს – ეს იყო საგმირო, რომელიც აღინიშნა ალ. სუმბათაშვილის „ღალატით“ და მეორე – ა. ცაგარელის „ხანუმა“ მისი მიმყოლი კომედიებით. იგი აუცილებლად თვლიდა საგმირო ხაზის შენარჩუნებას: „თუ ამ საგმირო პათეტიურობას შინაარსი შეეცვლება, მისი აღორძინება დღესაც დროის მოთხოვნილებაა, ვინაიდან რევოლუცია წარმოდგენელია ამ საგმირო მოტივების გარეშე. ეს გმირული ტონი 'სედმიწევნით უდგება ჩვენს ქარიშხლიან, რევოლუციურ ეპოქას და უმტკივნეულოდ შეუძლია შესისხლხორცება“.

სამაგიეროდ, წერილის ავტორი პროტესტს გამოთქვამდა თბილისის „ეთნოგრაფიული ნალექის“ ღამის ეროვნულ საძირკვლად ქცევის ტენდენციის მიმართ, რაც თეატრის ცხოვრებაში გამოვლინდა და უპირველესად სწორედ „ხანუმაში“. აისახა იმხანად თეატრის რეპერტუარის შეცვლა დროის მოთხოვნადად იქცა. ტ. ტაბიძის განმარტებით, ხალხი უკვე აღარ კმაოფილდებოდა „ზაგმუკისა“ და „კარმენის“ მარტო კარგი დადგმის საზოგადოებაში მომწიფდა „ახალი ცხოვრების სცენაზე გადატანის საკითხი“. მართლაც 1930 წელს რუსთაველის თეატრში დაიდგა გ. ლავრენევის პიესა „რღვევა“. დადგმა ეკუთვნოდა ა. ანმეტელს, რომელსაც ტიცინი თანუგრძნობდა. როლებში დაკავებული იყვნენ – უშანგი ჩხეიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, გიორგი დავითაშვილი, თამარ ჭავჭავაძე და სხვები. ტ. ტაბიძე, რომელიც ამ დროისათვის „ეპოქის რიტმს“ იყო აყოლილი კმაყოფილებით შეეგება სპექტაკლის დადგმას. უმოაერესი, რაც ხიბლაედა პოეტს იყო დადგმის ეროვნული სულისკვეთება: „მთელი პიესა აგებულია სწორედ იმ რიტმზე, რომელიც ჩვენ ეროვნულ რიტმად მივიჩნიეთ და რომელიც ასე ესისხლხორცება რევოლუციურ გმირულ ეპოპეას“. ეს იყო ტიპური შემთხვევა იმ დროისათვის, როცა რევოლუციურ იდეალებთან მიჰყავდათ ხოლმე

სცენა, მხატვრობა და მწერლობა.

როგორც უკვე ვახსენეთ, თეატრში მომხდარი გათიშულობის დროს ტ. ტაბიძემ ს. ახმეტელის მხარე დაიკავა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი ტენდენციური იყო კ. მარჯანიშვილის – დიდი რეჟისორის ღვაწლის შეფასებისას. ტიცციანმა შესანიშნავად იცოდა ამ ხელოვანის ადგილი ქართული თეატრის ცხოვრებაში, ის რომ კ. მარჯანიშვილმა მტკიცედ აიღო თავის ხელში სცენის სადავეები და გაბედულად გამოიყვანა იგი თეატრალური ცხოვრების შარაგზაზე. 1933 წელს, როცა იგი გარდაიცვალა ტ. ტაბიძემ წერილით გამოიგლოვა დიდი ხელოვანი. იგი სიამაყით მოიგონებდა კ. მარჯანიშვილთან დაკავშირებულ ყოველ წუთს. ასეთივე ტკივილით გააცილა მან ლ. მესხიშვილიც. „რამდენი სიამაყეა ყოველი ქართველი ხელოვანისათვის ამ გიგანტების ნამოქმედარში“ – წერდა იგი.

თეატრალურ ციკლს მიეკუთვნება მისი წერილი ალექსანდრე სუმბათაშვილზე. სამშობლოდან წასული ხელოვანის ბედი ტიცციანმა გ. სააკაძისა და პაულე ციციანოვის ხედავს შეადარა. მას მართლაც გული შესტკიოდა, რომ ნიჭიერი შემოქმედი საქართველოს ფარგლებს გარეთ ახმარდა თავის უნარსა და ტალანტს. ცნობილია, რომ შჩეპკინთან ერთად ა. სუმბათაშვილმა შექმნა მოსკოვის მცირე-საიმპერატორო თეატრი, რომელიც მოგვიანებით რუსეთის კლასიკურ ეროვნულ თეატრად იქნა აღიარებული. სუმბათაშვილი იყო აგრეთვე ქართული კოლონიის თავმჯდომარე მოსკოვში. უკანასკნელად იგი 1923 წელს ესტუმრა საქართველოს. ტიცციანის მოგონებით ერთ პასუხისმგებელ მუშაკს მისთვის შეუხსენებია, სუმბათაშვილს აქვს დამსახურება, მაგრამ დღეს სხვა არის ახლანდელი თეატრის შემქმნელიო. ტ. ტაბიძე სწორედ ამაში ხედავდა სუმბათაშვილის ტრაგიზმს. მას ხომ ბევრი შეეძლო მიეცა მშობლიური თეატრისათვის, თუმცა „საქართველოში არ ყოფილა ასე თუ ისე შესამჩნევი რაიმე

შემთხვევა, რომ სუმბათაშვილი არ გამოხმაურებოდა ან როგორც კოლონიის თავმჯდომარე, ან კერძოდ როგორც სუმბათაშვილი. და თუ მოსკოვში იქნებოდა რამე საჭირო, მაშინ ხომ აუცილებელი იყო მისი იქ ყოფნა, დახმარება და საქმის მოწყობა“.

ტ. ტაბიძე ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებასაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილები ნიკო ფიროსმანზე, ლ. გუდიაშვილსა და იაკობ ნიკოლაძესე.

1922 წელს გაზეთმა „ბახტრიონმა“ მე-8 ნომერი მთლიანად უძღვნა თვითნასწავლ მხატვარს ნიკო ფიროსმანიშვილს. გაზეთის პირველ გვერდს ამშვენებდა კ. ზდანევიჩის მიერ შესრულებული ფიროსმანის პორტრეტი და მისივე წერილი. აქვე იყო გრ. რობაქიძისა და გ. ლეონიძის წერილებიც. ჩვენთვის საყურადღებო გახლავთ ის ცნობა, რომელსაც გვაწვდის გაზეთის ეს ნომერი. მასში ნათქვამია, რომ მზადდება გამოსაცემად ტ. ტაბიძის მონოგრაფია „ნიკო ფიროსმანი“. წიგნი უნდა დაბეჭდილიყო დიდ ფორმატად და საუკეთესო ქაღალდზე. მასში მოთავსებული უნდა ყოფილიყო ნიკო ფიროსმანის ყველა რეპროდუქცია და უცხოელი მხატვრების წერილები მის შემოქმედებაზე.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ეს დაპირება სისრულეში არ იქნა მოყვანილი. მაგრამ ჩვენს ხელთ არის ტ. ტაბიძის ვრცელი წერილი ნიკო ფიროსმანზე, რომელიც 1926 წლით არის დათარიღებული. იგი შესულია იმავე წელს გამოცემულ წიგნში „ფიროსმანი“. აქვეა გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, კ. ზდანევიჩის და კ. ჩერნიავსკის წერილები. წიგნს ამშვენებს ფიროსმანის 5 ფერადი და 28 შავთეთრი სურათის რეპროდუქცია.

თავად ტ. ტაბიძის ოჯახში ინახებოდა ნ. ფიროსმანის ორი სურათი – „ბატი და გოგონა“ და „ქართული ესო“. ამჟამად ისინი მისი შვილიშვილების ოჯახშია დაცული.

ტ. ტაბიძის წერილი „ნიკო ფიროსმანი“ შეიცავს უამრავ ინფორმაციული ხასიათის ცნობას მხატვარზე. როგორც ჩანს, ტ. ტაბიძეს, რომელსაც მონოგრაფიის დაწერა ჰქონდა განზრახული, მიკვლეული და შეგროვილი ჰქონია საკმაოდ სოლიდური მასალა მხატვარზე. თუმცა, თავად ავტორი ამ მხრივ არ აზვიადებდა თავის დამსახურებას და აღნიშნავდა: „აღბათ ძალიან გაწაფული ხელოვანის მეისტორიეც, რომელიც ყველაზე უფრო მეთოდს და კლასიფიკაციას აფასებს, ვერ აღადგენს მისი შემოქმედების პერიოდებს. ჩვენ პირადად ის გვეხატება, როგორც გაღვიძებული გოლიათი, რომელმაც იგრძნო მაგიური ძალა საღებავებისა, ნიაღვარივით გამოხეთქა მასში დაგუბებულმა გენიამ, რათა მადლით და ნიჭით მოერწყო ჩვენი დროის საქართველოს მხატვრობის ყამირი მიწა“. მიუხედავად ავტორის მოკრძალებინსა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წერილში თავმოყრილია მეტად საყურადღებო ცნობები არა მარტო პირადად მხატვარზე, არამედ მის მკვლევარებზე, ფრანგ მხატვარზე ლე დანტიუზე და კ. ზდანევიჩზე. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი მთელი ცხოვრება თავს უყრიდა მხატვრის უზო-უკელოდ მიმოფანტულ შედეგებს. მან დადუქვას გადაარჩინა ფიროსმანის ტილოები – 70-ზე მეტი შედეგრი შეისყიდა, შეაგროვა და შემდგომ საქართველოს მიართვა უსასყიდლოდ.

ტ. ტაბიძე წერილში აღნიშნავდა „გენიალური პრიმიტივის“ – ნიკო ფიროსმანი შემოქმედების ეროვნულ კოლორიტს, მხატვრული ხედვის უშუალობას. მეტად საინტერესოდ მოჩანს მისი მოსაზრება ფიროსმანისა და ვაჟა-ფშაველას ნათესაობის შესახებ: „ნიკო ფიროსმანი მარტო იმიტომ კი არ არის საინტერესო, რომ ის გამართლებულია, როგორც მძლავრი მხატვარი, არამედ იმიტაც, რომ ის გამოხატავს ქართველი ხალხის მხატვრულ პოტენციალს – ამ მხრივ ის ენათესავება მთების პოეტს – ვაჟა-ფშაველას. ორივე შემოქმედს ძირი ხალხის გულში

აქვს და ორივე ძირამდე ამოწურავს ხალხურ "შემოქმედებას". ტ. ტაბიძემ, როგორც ვიცით, იგივე აზრი განაუთარა "უფრო ადრე" თაყვის წერილში „ვაჟა-ფშაველა“.

ტ. ტაბიძეს გამოყენებული აქვს ლ. გუდიაშვილის, დ. შვევარდნაძის, არჩ. მაისურაძის მოგონებები. მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა ჯერ კიდევ ცოცხალი ფიროსმანის ირგვლივ ხმაური, რათა შთამომავლობას არ დაკარგოდა მისი შედეგები.

1916 წელს შეიქმნა მხატვრის ბიოგრაფიისა და სხვა ცნობების შემკრები კომისისა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლ. გუდიაშვილი, ი. გაგოლაშვილი, დ. შვევარდნაძე, მ. თოიძე და სხვები. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ იყო საკმარისი. ტ. ტაბიძე თვითმხილველთა მოგონებებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, თუ როგორ გარდაიცვალა მთელი საქართველოს თვალწინ საშინელ სიღარიბესა და არაადამიანურ ტანჯვაში ოსტატი, რომელიც შემდგომ ქართული მხატვრობის თვითნაბად გენიად იქნა აღიარებული. „ეინ იცის, რამდენ ხანს მოუნდება ლოდინი საქართველოს, რომ კიდევ ამოვარდეს ასეთი უეცარი მადანი კულტურისა და შემოქმედებისა. ასეთი ბედნიერებით ბუნება იშვიათად ასაჩუქრებს ხალხს“, – აღნიშნა ტიცციან ტაბიძემ.

საბედნიეროდ, სულ მალე ქართული ხელოვნების წიაღი ახალი სახეებით შეივსო. ესენი იყვნენ ლ. გუდიაშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. შვევარდნაძე და სხვები.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იმხანად სიამაყით აუწყებდა საზოგადოებას: „მხატვრობის დარგში პროგრესია. ორმა გამოფენამ გვიჩვენა, რომ საქართველოს შეუქმლია იამაყოს იმისთანა მხატვრებით, როგორიც არიან: ფიროსმანი, გაბაშვილი, მრეკლიშვილი, შვევარდნაძე, ქიქოსე, გუდიაშვილი და სხვები“. ჟურნალის პროგნოზი ქართული მხატვრობის დიდი შენაძენის თაობაზე მართლაც რეალური გამოდგა. ამათგან ლ. გუდიაშვილი,

რომელსაც ტ. ტაბიძის ოჯახი მოფერებით ჯეირანს ეძახდა, „განცვიფრებითა და მოწიწებით“ წარმოადგენს კულტურული საქართველოს სახეს. სხვათაშორის, უცხოეთში გამგზავრების წინ ტიციანისა და პაოლოს ინიციატივით ახლანდელი გრიბოედოვის თეატრში მოეწყო პოეზიის საღამო, რათა ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრებისათვის – ლ. გუდიაშვილისა და დ. კაკაბაძისათვის გასამგზავრებელი თანხა ეშოვნათ.

პარიზიდან ახლად ჩამოსულმა ლ. გუდიაშვილმა 1926 წელს მოაწყო გამოფენა, რომელსაც, რა თქმა უნდა, დაესწო ტ. ტაბიძე. აღფრთოვანება და კმაყოფილება მხატვრის ოსტატობით მან გამოხატა თავის ესსეში, სადაც განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მხატვრის ეროვნულ თავისებურებებს: „ლ. გუდიაშვილს ჰქონდა და აქვს ის, რაც არც ერთ ოსტატობაში არ გაიცვლება – ეს პირწმინდა სიცოცხლე ეროვნული შემოქმედებისა და პრიმიტივის გრძნობა, ჩვენ ყოველთვის გვახარებდა, რომ ლადო გუდიაშვილი მხატვრობის მემარცხენეობის პრობლემასთან აერთიანებდა ნამდვილი ხალხური და ეროვნული შემოქმედების ძირებს“. ტ. ტაბიძემ ხელოვანის ინტუიციით განჭვრიტა მხატვრის გენიალობა, რომ იგი „აცახცახებული იყო შემოქმედებით და გრძნობდა საქართველოს ძირებს, მისი მიწის ყნოსვას.“

ტ. ტაბიძის სახლმუზეუმში ახლაც ინახება პოეტის ლ. გუდიაშვილისეული პორტრეტი.

ტ. ტაბიძის დაინტერესებას ხელოვანის ბედით, მისი სამუშაო პირობებით გამოხატავს წერილი იაკობ ნიკოლაძეზე. მისი მიზანი იყო მიექცია სათანადო ორგანოების ყურადღება, რათა მოქანდაკეს შესაფერისი სამუშაო პირობები ჰქონოდა. მოქანდაკეთა სიმრავლით არც თუ განებივრებულ საქართველოს ტ. ტაბიძემ ხელოვანის მიმართ გულგრილობაში დასდო ბრალი ასეთი მკვეთრი ტონი განპირობებული იყო იმით, რომ მას უკვე ჰქონდა ნანახი უსახსრობისა და ყურადღების გარეშე დარჩენი-

ლი მხატვრის ტრაგედია – ყიროსმანის სახით. ამიტომაც გან-
გაშის გრძნობა, რომელიც ახლავს ამ წერილს მოქანდაკის ბე-
დის გამო გადაჭარბებული სულაც არ იყო.

1919 წელს რუსთაველის პროსპექტზე, თეატრის შენობაში
გაიხსნა კაფე „ქიმერიონი“. იგი თავშესაყარი იყო პოეტებისა და
მხატვრების, მსახიობებისა და ხელოვნების თაყვანისმცემლების.
მისი გახსნის ინიციატივა ეკუთვნოდა „ცისფერყანწველებს“.
სწორედ მათ მიაწოდეს ეს ახრი მწერალთა კაეშირს, რომელსაც
იმხანად კ. მაყაშვილი თავმჯდომარეობდა. მწერალთა კაეშირმა
თითქმის ათი სხდომა მოანდომა, რათა კაყესათვის სახელწოდე-
ბა შეერჩია. წინადადება იყო მრავალი, მაგრამ გაიმარჯვა ე.
გაფრინდაშვილის ლექსიდან აღებული სიტყვამ „ქიმერიონი“.

სამი წლის შემდეგ ტ. ტაბიძემ თავის წერილში „ქიმერიონ-
ნი“ შთამომავლობას დაუტოვა კაფეს გახსნასთან და მოხატვას-
თან დაკავშირებული ბევრი საინტერესო ცნობა. წერილში ჩნ-
დება რუსი მხატვრის ს. სუდეიკინის სახეც. მისი ნამდვილი
გვარი გახლდათ მედვედევი. იგი ძალზედ საინტერესო მხატვარი
იყო. თბილისში ჩამოვიდა ფრესკული ხელოვნების გასაცნობად,
მაგრამ ისე ღრმად ჩაერთო თბილისის კულტურულ ცხოვრება-
ში, რომ გაუთვალისწინებელზე მეტხანს დაჰყო თბილისში და
ბევრი კეთილი საქმეც გააკეთა.

ტ. ტაბიძე მოხიბულული იყო სუდეიკინის პიროვნებით:
„ერთი შეხედვით გრძნობთ უთუოდ დიდ არტისტს: ღია ცის-
ფერი თვალები, რომელსაც შეხედვით მხოლოდ რუს არის-
ტოკრატიაში; ასტრალის სიმნატისა და ანტიური ფორმების ტანი;
ორმოც წელზე მეტია – ვინ იტყვის, რომ ის კიდევ არ იყოს
ლიცეისტი. ნამდვილი გამართლებაა დორიან გრეის: ღია თვალე-
ბი მაინც ინახავენ ახალგაზრდობასა და შემოქმედებასთან ერ-
თად რაღაც დიდ დაწყველას. სუდეიკინს მარტოს ვერავენ წარ-
მოიდგენს. მას თან დაჰყვება თავისი მუ'ხა. ეს თითქმის დაუჯერ-

ებელი ამბავია საუკუნო არტისტული სიყვარულისა. გრეტხ-
ნისთვალეა ვერა არტუროვნა ლურო-სუდეიკინისა, რომელიც
აქერებდა ერთ დროს თბილისში ყველა გამელელს, რომელსაც
რაიმე ესთეტიკური გრძობა ჰქონდა“.

ტ. ტაბიძემ ჩაიწერა ს. სუდეიკინის წერილი ქართველ მხ-
ატკრებზე და დაბეჭდა იგი გასეთ „საქართველოში“. ეს იყო
ნამდვილი ოსტატის წერილი, დაწერილი ცოდნითა და უჩვეუ-
ლო სიყვარულით.

ტ. ტაბიძისა და პ. იაშვილის თხოვნით კაფე „ქიმერიონის“
მოხატვა ლ. გუდიაშვილსა და დ. კაკაბაძესთან ერთად დაევალა
ს. სუდეიკინსა. ტ. ტაბიძის წერილში შემონახულია ამ მოხატ-
ულობის თავდაპირველი აღწერილობა: „შესავალ კარებთან
რომის კეისრის წამოსასხამში დგას პოეტი. მისი მეორე სახე
იხედება ალაყაფის კარის სარკმელში. მის წინ დგანან ქალები:
განსაკუთრებით ყველაზე უფრო გამოირჩევა ერთი ქალი მარგო,
ნამდვილი პროტოტიპი ფრანსუა ვიიონის კაბატჩიცა მარგოსი
ესპანური ქედით და წამოსასხამით. ყანწებით ხელში დახატუ-
ლია პაოლო იაშვილი. თავს ახვევია მტრედები და სახე უბრწყ-
ინავს, როგორც ილია წინასწარმეტყველს... ფონი – ცისფერი
მტრედები ცისფერ ყანწებში აღნიშნავენ მის გულკეთილობას.

შემდეგ სუდეიკინის ავტოპორტრეტი. ხელში უჭირავს სარკე,
რომელშიაც იყურება ამური, და როგორც მადონა დგას ვერა
არტუროვნა. ეს არის ახალი მისტერია. ეს სახეები გადაღებუ-
ლია ორიგინალიდან. შემდეგ ხეზე – რომელიც აღნიშნავს ხეს
ცნობადისას მიყუდებული დგას ტიცინი პიეროს წამოსასხამში,
ქვევით ტრაგიკული ბალაგანი, არდანი და თუთიყუში – ფონი
მეწამული ქაღალდისი. შემდეგ, როგორც საიდუმლო სერობა, ნინა
მაყაშვილი კოლომბინას კოსტიუმში ნიღაბით და კიდევ ქართუ-
ლი სამება მხატვრების: „ლალო გუდიაშვილი, იაკობ ნიკოლაძე,
დავით კაკაბაძე“.

სხვათაშორის, ს. სუდეიკინს ეკუთვნის არაერთი ტიფო ქართულ თემაზე – „დაისი ჯოჯოხეთში“, „ნატურმორტი აგტოპორტრეტით“, „ბორჯომში“. ისინი ერთხანს ამშვენებდნენ ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ რედაქციას ხელოვნების სასახლეში. ამათგან ერთ-ერთი – „ბორჯომი“ სუდეიკინს პირადად ტიცვიანისათვის უჩუქებია.

ტ. ტაბიძის წერილი „ქიმერიონი“ იმითაც არის საყურადღებო, რომ შთამბეჭდავად მოგვეითხრობს რუსი და ქართველი მხატვრების ურთიერთობის შესახებ, ამ იდილიური ატმოსფეროს შემქმნაში დიდი წვლილი სწორედ ტიცვიან ტაბიძეს მიუძღოდა.

სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის

საგანგებოდ გვინდა შევხერდეთ ტ. ტაბიძის იმ წერილს, რომელიც ეხება ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მწერლის 1966 წელს გამოცემულ სამტომეულში შეტანილია მისი წერილი „სალიტერატურო ქართულისათვის“. გარდა ამისა, ტ. ტაბიძის ხელნაწერია ფონდში ინახება „შენიშვნები ქართული ენის სიწმინდის შესახებ“ და „კრიტიკული შენიშვნები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ“, რომელიც მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ გამოა დაწერილი. სამწუხაროდ, ამ წერილების მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული, მაგრამ რაც არის და რისი ამოკითხვაც შესაძლებელია, ცხადს ხდის ტ. ტაბიძის აქტიურობას ქართული ენის ღირსების დაცვის საქმეში.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს ხელთ სრული სახით მოღწეულია მხოლოდ 1928 წლით დათარიღებული წერილი „სალიტერატურო ქართულისათვის“, სადაც ტ. ტაბიძე ენის სიწმინდის დაცვასთან ერთად აყენებს მისი მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობის საკითხსაც. მას წერილში მოჰყავს რუსეთის მაგალითი, სადაც იმ დროისათვის მართლაც სათანადოდ იყო დაყენებული რუსული ენის კვლევისა და შესწავლის საკითხი. ტ. ტაბიძეს იმდროისათვის გააჩნდა კონკრეტული წინადადებები მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო სიტყვიერების თეორიის შესასწავლი სახელმძღვანელოების გამოცემა, რადგან „ქართველი მწერალი კითხულობს რუსულ წიგნებს, მაგრამ ქართული სიტყვის ბუნება საგრძნობლად განსხვავდება რუსული ენის ბუნებისაგან, ასე რომ შეუძლებელია ამ წიგნებში ქართული წიგნის მაგივრობა გასწიონ“.

ენის სიწმინდის დაცვის აუცილებელ ფაქტორად იგი აგრეთვე

ასახელებდა ენის გაწმენდას „თბილისის ყიზილბაშური დ. ალექტისაგან“. ჩვენი აზრით, მას მხედველობაში ჰქონდა ის აღმოსავლური ნაკადი, რომელიც შემოიტრა სოციერთი პოეტის ლექსიკონში. განსაკუთრებით საგრძნობი ეს ტენდენცია იყო ი. გრიშაშვილის პოეზიაში. სავარაუდოა, რომ ტ. ტაბიძის ამ მოსაზრებას ბიძგი მისცა 20-30-იან წლებში ი. გრიშაშვილის წინააღმდეგ მიმართულმა კრიტიკის ასუირთებამ ლიტერატურული პრესის ფურცლებზე და ცისფერყანწვლების გართულებულმა ურთიერთობამ პოეტთან.

ნიშანდობლივია, რომ ტ. ტაბიძე კლასიკური მწერლობის ტრადიციების შენარჩუნების პარალელურად საჭიროდ თვლიდა ენის ბუნებრივი განვითარებისათვის ხელის შეწყობას. მას მხედველობაში ჰქონდა ენის გამდიდრება ნეოლოგიზმებით.

ეროვნული თვითგამორკვევის მწკავე პრობლემებით არის აღსავე ტ. ტაბიძის პუბლიცისტური წერილი „ტყილისი“. იგი გამოქვეყნდა 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“. წერილს მიაკვლია ზაურ მეძველიამ და 1988 წელს გაზეთ „თბილისში“ თავისივე კომენტარით გამოაქვეყნა. ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ გახდა მოწმე ტ. ტაბიძის პატრიოტული შეგნებისა და სულისკეთების. თბილისის იმდროინდელი მდგომარეობით შეცბუნებული ახალგაზრდა მწერალი განგაშის ზარებს რეკს, რათა ქართული საზოგადოებრიობა თბილისის „დარღვეული სულის“ აღსადგენად დარაზმოს. აღტაცებას იწვევს ოცდაერთი წლის ჭაბუკის შემართება, მწერლური სითამამე და მოვლენების ობიექტური შეფასების უნარი. სომხურ-რუსული ცნობიერების მოძალება ათიან წლებში მართლაც სახეს უკარგავდა არა მარტო დედაქალაქს, არამედ მთელ საქართველოს. ქართული ენა რნებოდა ენად „საშინაო ხმარებისათვის“. გაღკვარების გზაზე დამდგარ ინტელიგენციას ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული რუსულად აზრის გამოსატვა.

ტ. ტაბიძის წერილში „ტფილისი“ არაორაზროვნად, კატეგორიულობით არის დასმული უცხო ენათა მომქალაქეობით სახედაკარგული თბილისის გადარჩენის საკითხი. ავტორი წერს: „რა არის დღევანდელი თბილისი? ეს კეთროვანი ქალაქია. აქ ქართველები თითქოს სტუმრად და უცხოელებად გრძნობენ თავს. ძველი ნანგრევები თანდათან ქრებიან. წარსულის სტილი ირღვევა. დღევანდელი თბილისი კრებულია მოქალაქეების: – ქართველების, სომხების, რუსების და რამდენი სხვების. თბილისის სულიც ასეა გაყოფილი“.

საფიქრებელია, რომ ტ. ტაბიძის ეს წერილი თავისებური გამოხმაურებაა სომეხთა აბსურდული პრეტენზიებისა თბილისთან დაკავშირებით. ტ. ტაბიძე საგანგებოდ აღნიშნავდა: „არავის ენა არ უნდა მოუბრუნდეს იმის სათქმელად, რომ თბილისი ქართული დედაქალაქი არ უნდა იყოს. ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს არაფერმა, როცა საკითხი თბილისზე დადგება. ჩვენ ყველაფერს მოვითმენთ, გარდა ჩვენს სულზე სიარულისა, თბილისი კი ჩვენი სულია. თბილისის ბედი საქართველოს ბედი. ყოველი გარდამოხვეწილის ჩექმა ლურსმავს ქართულ სულს“. ასეთი გულისტკივილით, მამულიშვილური სიყვარულით ტ. ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველმა შეახსენა ქართულ საზოგადოებრიობას მოსალოდნელი საფრთხის – „თბილისის სულის“, ანუ ქართული სულის დაკარგვის შესახებ და მოითხოვა დედაქალაქში „გარდამოხვეწილის ჩექმის“ გავლენის აღმოფხვრა. ძნელი მისახვედრი არაა, თუ ვის გულისხმობდა აქ მწერალი. ამ გავლენის ბრალი იყო ისიც, რომ ქართულ პოეზიასა და მხატვრობაში გვიან შემოვიდა თბილისის თემა, რომ ქართველი შემოქმედნი სათანადოდ ვერ გრძნობდნენ თბილისს. ტ. ტაბიძის ეს წერილი ზარის დარისხებასავით უღერს. ჩვენთვის გაუგებარია რატომ არ შევიდა სემოთხსენებული წერილი მწერლის 1995 წელს გამოშვებულ კრებულში. იგი ხომ მკაფიოდ წარმოაჩინეს ტ. ტაბიძის მამულიშ-

ვიღურ ინტერესებს, მის ერთგულებას ქართული ფენომენის მიმართ.

ტ. ტაბიძე მართლაც უაღრესად საინტერესო ფიგურა გახლდათ არა მხოლოდ როგორც პოეტი. იგი ყოველთვის დროულად გრძნობდა იმ სატიკივარს, რომელიც ქართული ფენომენის რღვევის საფრთხეს ქმნიდა.

მე-20 საუკუნის ქართული ესთეტიკური კულტურის სრულყოფილად წარმოსაჩენად, სულიერ-ინტელექტუალური პროცესების გასაანალიზებლად ტიცციან ტაბიძის შემოქმედებას განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. არამარტო მისი პოეტური მედიტაციები, არამედ წერილები და ესსეები უტყუარი მეგზურია მეოცე საუკუნის ლიტერატურულ ფასეულობათა დასადგენად. ქართულ ესსეისტიკას ბევრი შესძინა მისმა ინტელექტუალურმა სიმწიფემ, ნატიფმა გემოვნებამ – თაურ-აზრისაკენ ლოგიკურად მიმავალმა. ტიცციან ტაბიძის სრულყოფილი მწერლური პორტრეტის ქმნადობისათვის ამ თვალსაზრისით უხვ მასალას სწორედ მისი პროზა, პუბლიცისტიკა და ნარკვევები გვაწვდის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე მ., ტიცვიან ტაბიძე, თბ., 1963
2. აბაშიძე კ., ეტიუდები XIX ს-ს ქართული ლიტერატურის შესახებ, თბ., საბჭოთა საქართველო, 1970
3. აბაშიძე კ., ცხოვრება და ხელოვნება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971
4. ასათიანი გ., კრიტიკული დიალოგები, თბ., 1977
5. ასათიანი ლ., რჩეული ნაწერები, თბ., 1958
6. აფხაიძე შ., მახსოვს მარადის, თბ., 1959
7. ბოდღერი შ., ჩემო ვიწერო, თბ., 1991
8. გა'ს. „ბახტრიონი“, № 24, თბ., 1922
9. Голяшев В., О Бажа-Ишанеца, М., 1935
10. გომართელი ი., რჩეული თხზულებანი, თბ., 1966
11. გრიშაშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, თბ., 1956
12. დუმბაძე ნ., ქართული სიმბოლიზმი, ბათუმი, საბჭოთა აჭარა, 1973
13. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1964
14. ვართაგავა ი., ქართველი მწერლების სილუეტები, თბ., 1956
15. რადიანი შ., თანამედროვენი, თბ., 1965
16. ჟურნ. „ილიონი“, №1, თბ., 1965
17. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №1, თბ., 1920
18. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1995
19. გა'სეთი „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1934
20. გა'სეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1936,

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	5
2. „ხევედა, შენა ხარ ჩემი სატრფო“	17
3. არესისა და პარმონის მემკვიდრენი	40
4. „ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი“	51
5. ბატონი შაბლონის წინააღმდეგ	85
6. წინაპრები და თანამედროვენი	123
7. ძართული თსატრისა და მხატვრობის ქომაგი	174
8. სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის	186
9. გაყოფილებული ლიტერატურა	190